

კონსტანტინე კაკიტაძე

**სიტყვის მნიშვნელობის
ცვლის საკითხები ქართულში**

თბილისი 2005

К. Ш. Какитадзе

**Вопросы изменения значения
слова в грузинском языке**

რედაქტორი — პროფ. კახა გაბუნია
რეცენზენტები: — პროფ. მურმან სუხიშვილი
დოც. ჭაბუკი ქირია

ISBN 99940-0-687-8

© კონსტანტინე კაკიტაძე

შესავალი

ყოფით სიტყვასმარებაში სიტყვებს სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ მათი მნიშვნელობის დაზუსტება და განსაზღვრა რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში თუ სიტუაციაში გამოყენება საყოველთაოდ გავრცელებულია გამოთქმა: „*ნუ ეძებთ სიტყვის მნიშვნელობას, ეძებთ მისი გამოყენება*“ (ვიტგენშტეინი). ყოველი გამონათქვამი დროისა და სივრცის ჩარჩოებითაა შემოზღუდული ისევე, როგორც მეტყველი და მსმენელი, საგნები და მოვლენები. სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა კონტექსტის გარეშე ზოგჯერ შეუძლებელიც კია. მით უფრო სრულყოფილია სიტყვის მნიშვნელობის განმარტება, რაც უფრო მეტ კონტექსტშია წარმოდგენილი. ამით უფრო ნათლად ვლინდება მისი განსხვავებული მნიშვნელობები.

სიტუაციური ფაქტორითაა განპირობებული ის ხერხიც, რაც მდგომარეობს პირდაპირ შესაბამის საგნის მითითებაზე. ამ ხერხს ფილოსოფიაში ოსტენსიური ეწოდება. ასეთი განმარტება არ მიესადაგება აბსტრაქტულ სახელებს და, ამის გამო, ვერ იქნება ამომწურავი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე დასაზუსტებელია ტერმინები — „*მნიშვნელობა*“, „*ენობრივი მნიშვნელობა*“, რადგანაც ტერმინი არის სიტყვა, რომელიც გამოხატავს მეცნიერული თუ პრაქტიკული მოღვაწეობის ამა თუ იმ დარგის ცნებას, და, რომელსაც ზუსტად დადგენილი მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ აღსანიშნ ობიექტთან ცალსახა დამოკიდებულებაშია, ე. ი. იგი ერთ მნიშვნელობას გამოხატავს.

„*მნიშვნელობა*“ არის ცოდნა იმისა, თუ რაზე მიუთითებს სიტყვა. ენობრივი გამონათქვამი. სიტყვის გამოყენების ყველა შემთხვევაში მნიშვნელობა ვიცით, თუ ვიცით, რაზე მიუთითებს ის. მნიშვნელობა, როგორც აზრის გამოხატველი, აზროვნების ფორმას წარმოადგენს. ენისა და აზროვნების ურთიერთობა კი ლოგიკის პრობლემაა; ენობრივი გამონათქვამის აღქმისა და მათთან დაკავშირებული ემოციების ანალიზი ფსიქოლოგიის საკვლევი ობიექტია (დამენია, 1990).

ლინგვისტიკა შეისწავლის „*ენობრივ მნიშვნელობას*“ და „*შინაარსს*“.

ეს შესაძლებელი ხდება ენის სისტემური ბუნების გამო. ენის სისტემა ისეთი მთლიანი რთული მექანიზმია, რომელშიც ელემენტები ურთიერთგანპირობებულობის გზით ქმნიან ორგანიზებულ მთლიანობას. ყოველი ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ იმ კანონზომიერი მიმართებების მიხედვით, რომელსაც იგი ამყარებს ამავე სისტემის სხვა ერთეულებთან. ლინგვისტიკა იკვლევს ამ მნიშვნელობათგამოსახვის ენისეულ ორგანიზაციას, გამოსახვის წესებს და მის ენობრივ მექანიზმს, ფუნქციონირების კანონზომიერებას.

კონკრეტული ენების იმანენტური ბუნების ამოხსნა, ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების განხილვა პარადიგმატული და სინტაგმატური ჭრილების მიხედვით, მნიშვნელობის ცნების შემუშავება, რასაც ქმნის ნიშნის მიმართება ამავე სისტემის სხვა ნიშნებთან, ენაში მნიშვნელობათა გამოსახვა ენის შინაგანი კანონებისა და ორგანიზაციის კანონზომიერებების მიხედვით გულისხმობს „ენობრივი მნიშვნელობის“ ცნების გაგებას.

ენობრივ ერთეულთა ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით განხილვის შედეგად ვიღებთ მნიშვნელობებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის „ენობრივი მნიშვნელობის“ შინაარსს.

ენაში გამოსახატავი მნიშვნელობის შესაბამისად, გამოყოფენ ლექსიკურ მნიშვნელობას და გრამატიკულ მნიშვნელობას.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ლექსიკური მნიშვნელობა და მისი ცვლა. ქართული სიტყვის მნიშვნელობის კვლევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. განსაკუთრებით დაწვრილებითაა შესწავლილი სიტყვის მნიშვნელობის განვითარების ისეთი სფერო, როგორიცაა პოლისემია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის მნიშვნელობა განვითარებას განიცდის დროშიც. მნიშვნელობის განვითარების ეს სახე გულისხმობს მის მკვეთრ ცვლილებებსაც. ნაშრომში „სიტყვის მნიშვნელობის ცვლილების საკითხი ქართულში“ მსჯელობა მიმდინარეობს ზოგადთეორიული საკითხების ფონზე როგორიცაა — ცვალებადობა, ენის ცვალებადობა, ენისა და ლექსიკის განვითარება, ენა და კულტურა და სხვა.

თავი პირველი

ენობრივი ცვლილებები

§ 1. ცვლილების პროცესის არსი

ცვლილება რთულ პროცესს წარმოადგენს, რომელსაც მრავალი თავისებურება ახასიათებს. ამიტომ მისი არსის ყოველმხრივი დახასიათებისათვის საჭიროა ცნებათა მთელი სისტემა, რომელთაგან თითოეული მოცემული პროცესის გარკვეულ თავისებურებას ასახავს.

ცვლილების პროცესი აუცილებლად გულისხმობს იმას, რაც იცვლება, და ყოველთვის არსებობს როგორც პროცესი რიგი ობიექტის (საგნის, ნივთის, მოვლენისა) ცვლილებისა, რომელიც ხასიათდება გარკვეული თავისებებით, სტრუქტურით და ა. შ. თავის დროზე ანაზღაურდება მიაქცია არისტოტელემ. „საგნების გარეშე არკითარი მოძრაობა არ არსებობს“, — წერდა იგი [არისტოტელე, 1934, გვ. 194]. შემდგომში ეს აზრი სხვებმაც გამოთქვეს, ოღონდ სხვაგვარად. კერძოდ, აქალიბებდნენ მოსაზრებას, რომ ცვლილების ცნება აუცილებლად გულისხმობს ცვლადი საგნის, სხეულის ცნებას. „მოძრაობის იდეა, წერდა დ. იუმი — აუცილებლად ითვალისწინებს მოძრაეი სხეულ იდეას“ [იუმი, 1906, გვ. 211]. „ცვლილების ცნება, — იცავდა ან. მოსაზრებას ჰ. ზიგვარტი, — საერთოდ წარმოუდგენელია ნივთი ცნების გარეშე“ [ზიგვარტი, 1909, გვ. 350].

სხვა მოსაზრებას გამოთქვამს რიგი ფილოსოფოსებისა, რომელთა აზრითაც, ცვლილება არ გულისხმობს ცვალებად ობიექტს. „მოძრაობა არ გულისხმობს იმას, რაც მოძრაობს“. „არის ცვლილება. — აცხადებ ბერგსონი, — მაგრამ არ არის ცვალებადი საგნები. მოძრაობა არ გულისხმობს მოძრაე სხეულებს“ [ბერგსონი, 1913, გვ. 28].

მეცნიერული შემეცნების მთელი პროცესი მოწმობს, რომ მხოლოდ ცვალებად საგანთან დაკავშირებული ცვლილების პროცესის განხილვა შეუძლია გაგვარკვიოს ამ მოვლენის არსში.

ცვლილების პროცესის განხილვისათვის საინტერესოა მოსაზრებები რომლის მიხედვით „მოძრაობა სხვა არაფერია, თუ არა დროის სხვადასხვა მომენტში სხვადასხვა ადგილის დაკავება სივრცეში“ და, რომ „ჩვენ ვცხოვრობთ უცვლელ სამყაროში“ [რასელი, 1903, გვ. 347]. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საგნები და მოვლენები განსხვავდებიან დროსა და სივრცეში, მაგრამ არ ჩანს ის მიზეზები, რაც იწვევს ამ განსხვავებებს.

ამიტომ მნიშვნელოვანია გაიკვეს ის მიზეზები, რაც იწვევს გარკვეულ განსხვავებებს დროსა და სივრცეში.

ცნებები „საგანში განსხვავების გაჩენა“, „საგნის გარკვეული ნიშ-

ნების გაქრობა“, „ახალი ნიშნების გაჩენა“, „ერთი საგნის მეორეთი შეცვლა“, „საგნის გაქრობა“ და ა. შ. ახასიათებს ცვლილებას, როგორც პროცესს. ეს გულისხმობს ცვლილების პროცესის განუწყვეტელ და მკიდრო კავშირს ცვალებად საგანთან, ანუ იმასთან, რაც იცვლება.

ამასთანავე, ცვლილების პროცესის დახასიათებისას აუცილებელია კიდევ ერთი მომენტის გათვალისწინება. კერძოდ ის, რომ ცვლილების პროცესი არ შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობის გარეშე — ეს კი არის ცვალებადი საგნის შენარჩუნების პროცესი [სვიდერსკი, 1959]. ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი ცნებების შესახებ საუბარი არ შეიძლება, თუ არ გავითვალისწინებთ ცვალებადი საგნის თუნდაც შეფარდებით მდგრადობას. ერთი სიტყვით, ცვლილების პროცესი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მოცემული საგნის რიგი ნიშნების გაქრობასთან და ახალი ნიშნების გაჩენასთან ერთად საგანი ინარჩუნებს თავის რიგ მახასიათებლებს (გარკვეულ ელემენტებს), ე. ი. გარკვეული სახით განაგრძობს არსებობას, ინარჩუნებს შეფარდებით მდგრადობას.

ეს ნიშნავს, რომ რაც მხოლოდ ქრება (წარმოიქმნება, იცვლება), არ იცვლება, ისევე როგორც არ იცვლება ისიც, რაც არის ძალიან მტკიცე, რაც მხოლოდ შენარჩუნებულია. იცვლება მხოლოდ ის, რაც ერთდროულად ქრება (წარმოიქმნება, იცვლება) და შენარჩუნებულია, ე. ი. საგანი, რომლის მახასიათებელთა ერთი რიგი იცვლება, ხოლო მეორე რიგი შენარჩუნებულია. ყოველივე ამის შედეგად მიმდინარეობს ცვლილების პროცესი.

ამ პროცესში ხდება ერთი საგნის უარყოფა მეორის მიერ: ცვალებადი საგანი ერთგვება ცვლილების შედეგში, „ინახება“ მასში, მაგრამ ინახება გარდაქმნილი, სახეცვლილი. რამდენადაც ცვლილების პროცესში საგნისაგან რაღაც რჩება, ეს „ნარჩენი“ და „შენახული“ წარმოქმნის ახალ საგანს, რამდენადაც ცვლილების პროცესი არ გულისხმობს საგნის აბსოლუტურ გაქრობას, ანუ ცვლილების პროცესი გულსხმობს მოცემული საგნის გადაქცევას საგნად, რომელიც პირველისაგან განსხვავდება გარკვეული მახასიათებლებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცვლილების ასეთი პროცესი ხშირად ერთადერთ შესაძლებელ მოვლენად ითვლება. „ცვლილება ესაა ერთი ყოფიდან მეორე, განსხვავებულ ყოფაში გადასვლა“ [შმიდტი, 1956, გვ. 45].

საგნის მდგომარეობად მიჩნეულია მისი მახასიათებლების, განსაზღვრებების (არსებითი და არაარსებითი, რაოდენობითი და თვისობრივი) ერთობლიობა. განსაზღვრულ პირობებში ცვალებად საგანში შეიძლება შენარჩუნდეს მისი ძირითადი კანონზომიერებანი, სტრუქტურის ელემენტები, კავშირები — ერთი სიტყვით, მისი არსებითი მხარეები. ცვლილე-

ბის დროს ამ მხარეთაგან არაარსებითი იცვლება. საგანი გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში.

ამავე დროს, საგნის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი სტრუქტურის ძირითადი ელემენტების, მისი ძირითადი კანონზომიერებების შეცვლა. აქედან გამომდინარე, ვიღებთ საგანს, რომელსაც აქვს თვისებრივად ახალი სტრუქტურა, სპეციფიკური კანონზომიერებანი, სხვა არსი.

ამიტომ ცვლილების პროცესი თავისი არსით არის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა და რომელიმე საგნის სხვა საგნად ქცევა. ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ ერთი საგნის მეორე საგნად ქცევა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის იგივეობრივია. წყლის ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა არ ნიშნავს მის წყალბადად ან ჟანგბადად ქცევას ელექტროლიზის მეშვეობით. ამიტომ ეს ორი მომენტი ცვლილებისა ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს. თუმცა ერთის განხილვა შეუძლებელია მეორის გარეშე და, პირიქით. ამის მაგალითები კი გვხვდება ფილოსოფიურ და ლოგიკურ ლიტერატურაში. მაგალითად, ე. კანტი ცვლილებად მიიჩნევდა მხოლოდ საგნის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას. სხვა ფილოსოფოსები კი ამ პროცესს განიხილავენ როგორც გარდაქცევას „ცვლილება (Veränderung), — სხვად ქცევაა, ერთი განსაზღვრული ყოფიერების ერთი თვისობრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა“. აღნიშნავენ ისინი [ლოსკი, 1922, გვ. 91].

საკითხი ცვალებადობის რაობაზე, მის არსსა და შინაარსზე მჭიდროდ უკავშირდება საგნის იგივეობის საკითხს.

პრობლემა ძირითადად შემდეგში მდგომარეობს: რჩება თუ არა (გარკვეული აზრით) ცვალებადი საგანი ისეთივე საგნად, როგორიც იყო იგი ცვალებადობის დაწყებამდე, თუ ამ პროცესში გარდაუვალია მისი სხვა საგნად ქცევა. „რჩება თუ არა მოხუცი იმავე ადამიანად, როგორიც იყო ოდესღაც, ჭაბუკობაში, ან საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო რჩება ისეთივედ თუ არა?“ — კითხულობს ტ. გობსი [გობსი, 1926, გვ. 95]. საკითხის გადაწყვეტა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა იგულისხმება იგივეობაში. მოაზროვნეთა ერთი ნაწილი ამ ცნებაში გულისხმობს მხოლოდ აბსოლუტურ თანხვედრას, იდენტურობასა და ნებისმიერი განსხვავების უარყოფას. „იგივეობა ჰქვია იმას, — მიუთითებდა არისტოტელე, — რაშიც არ არის სპეციფიკური განსხვავება და არ არის, რაშიც ეს სხვაობა არის [არისტოტელე, 1937, გვ. 50]. იგივეობის ასეთ განსაზღვრებას აბსტრაქტულ იგივეობას უწოდებენ.

საგნის ცვლილების პროცესი, თავისი არსით, გამორიცხავს ამ საგნის აბსტრაქტულ იგივეობას, რადგანაც იგი ითვალისწინებს, რომ ცვალებად საგანში არ რჩება აბსოლუტურად ერთგვარი მახასიათებლები. ამდენად ცვალებად საგანთა სამყაროში არ არსებობს აბსოლუტური იგივეობა.

საორგანო ბუნებაში იგივეობა, როგორც ასეთი, არ არსებობს, თი-
ოველი სხეული უწყვეტად განიცდის მექანიკურ, ქიმიურ, ფიზიკურ
ზემოქმედებას, რომლებიც მუდმივად იწვევს მათში ცვლილებებს, ახდენს
მათი „იგივეობის“ მოდიფიკაციას.

აქედან უშუალოდ გამომდინარეობს ის, რომ კითხვაზე — შეიძლება
დარჩეს თუ არა ცვალებადი საგანი იგივე, მივიღებთ უარყოფით პა-
უზს. რამდენადაც აბსტრაქტული იგივეობა თავისთავად გამორიცხავს
ცვალებადობას. ამ მოსაზრებას იზიარებს დ. იუმი [იუმი, 1906, გვ.
58-189, 204, 233-235].

მაგრამ მეცნიერული კვლევის რეალურ პრაქტიკაში დაშვებულია, რომ
ცვალებადი საგანი შეიძლება დარჩეს იგივე. ამასთანავე, არ გამორიცხა-
ვენ საგანთა სხვაობას დროში. ცვლილება და იგივეობა არ განიხილება
როგორც საგნები, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხავენ ერთმანეთს.
უფრო მეტიც, ცვალებადობის პროცესი აუცილებლად გულისხმობს ცვა-
ლებადი საგნის იგივეობას „როცა ვლაპარაკობთ ცვალებადობაზე, თვი-
თონ სიტყვა ცვალებას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედვე-
ლობაში გვაქვს ის სუბიექტი, რომელიც იგივე რჩება“ [კუზნეცოვი, 1961,
გვ. 149]

ცვალებადი საგნის იგივეობის აღსანიშნავად ჰეგელის მიერ შემოტა-
რულია კონკრეტული იგივეობის ცნება, რომელიც არ უარყოფს, რომ
ძოცავს სხვაობებსა და ცვლილებებს ეს ცნება გულისხმობს იმას,
რომ საგანი, განიცდის რა გარკვეულ ცვლილებებს, მაინც ინარჩუნებს
შეფარდებით მდგრადობას. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ № მდი-
ნარე რჩება იმავე მდინარედ, მიუხედავად იმისა, რომ იცვლება მისი
ქულის შედგენილობა, ნაპირების მოხაზულობა და ა. შ., ჩვენ ვგულისხ-
მობთ მდინარის იგივეობას მისი ცვლილების პირობებში. კონკრეტული
იგივეობის ცნება ეფუძნება საგნის ცვლილებისა და შეფარდებითი
სიმტკიცის კავშირს. ცვალებადი საგნის შეფარდებითი სიმტკიცე და
იგივეობა ის არის, რომ მიუხედავად მისი ცვლილებისა, გარკვეული
დროის განმავლობაში იგი ინარჩუნებს თავის ძირითად კანონზომიერ-
ებებს, სტრუქტურის ელემენტებს, კავშირებს და ა. შ., ანუ იმ ძი-
ოთად მხარეებს, რომლებიც დამახასიათებელია მისთვის, როგორც
საგნისათვის. საგანი იგივე რჩება მხოლოდ მაშინ, თუ ცვლილებები
არ ეხება მის არსს, სტრუქტურას, ძირითად კანონზომიერებას, ანუ
იგი არ განიცდის ისეთ ცვლილებებს, როგორიცაა მაგალითად, ერთი
მიფარეობიდან მეორეში გადასვლა. სხვა შემთხვევაში, ანუ როცა
ფარევისიანად იცვლება მთელი მისი სტრუქტურა, არსებითი მხარეები,
მისი იგივეობა ირღვევა და იქცევა სხვა საგნად.

ცვალებადი საგნის იგივეობა პრაქტიკაში განიხილება როგორც „გენე-
ტიკური იგივეობა“. ამ ტერმინის ნაცვლად, ვნათმეცნიერებაში საუბა-

რია „ისტორიულ იგივეობაზე“, თუმცა ფილოსოფიურ და ლოგიკურ ლიტერატურაში უფრო ხშირად გენეტიკური იგივეობა გვხვდება. [მდგრებიზმის, 1962, გვ. 58, 59, 297 და ა. შ.; კარნაპი, 1928, გვ. 179 და სხვ.]

არცთუ იშვიათად ესა თუ ის საგანი იგივე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ განიცადა ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეეხო მის თითქმის ყველა მხარეს, თავისებურებას. მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ ასაკოვანი კაცი რომელიც ადრე იყო ბავშვი, მაინც იგივე აღამიანია. მან ხომ დროთა განმავლობაში შეიცვალა ჩვევები, შეხედულებები, ხასიათი, გარეგნობა და ა. შ. მიუხედავად ყველა დროული ცვლილებისა მაინც ჩაითვლება, რომ ეს ის კაცია, რომელსაც ადრე ვიცნობდით.

ყველა ანალოგიურ შემთხვევაში იგივეობა ჩვენ გვესმის როგორც გენეტიკური იგივეობა. ამ ცნების შემოტანისას ფილოსოფოსები ამოდიან იქიდან, რომ არც ერთი საგანი არასოდეს უკვალოდ არ ქრება, მიუხედავად იმისა, თუ რა ცვლილებას განიცდის იგი და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას. ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად, საგანი ინარჩუნებს იგივეობას თავის თავთან, სახელდობრ — გენეტიკურ იგივეობას.

აღიარებენ რა ახალწარმოქმნილი საგნის იგივეობას იმ საგანთან, რომლისგანაც იგი წარმოიქმნა, სრულიადაც არა აქვთ მხედველობაში, რომ ეს საგნები ატარებენ აბსოლუტურად იმავე თვისებებსა და თავისებურებებს ან ემთხვევიან ერთნაირი არსებითი ნიშნებით. ცვლილების შედეგად საგანს უყალიბდება ახალი ნიშნები, თვისებები, მათ შორის, არსებითი თვისებებიც. ამიტომ არის, რომ გენეტიკურად იგივე საგნები არ ემთხვევიან ნიშნებითა და თავისებურებებით, რომლებიც უნდა იქნეს განხილული, როგორც სავსებით განსხვავებული ნიშნები და თავისებურებები. აღიარებენ რა მათ გენეტიკურად იგივეობრივად, მხედველობაში აქვთ რომ ერთი მათგანი წარმოიქმნა მეორისაგან, ამ უკანასკნელია ცვლილების შედეგად და, ამდენად, ცვლილების პროცესში საგანი არ შეიძლება გაქრეს მთლიანად და ამ საგანთა შორის არსებობს უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირი.

ცვალებადი საგნის „გენეტიკური იგივეობის“ გაგება ფართოდაა გავრცელებული მეცნიერებაში. მაგალითად, როცა საუბრობენ რომელიმე ენის ან ენობრივი ერთეულის ისტორიულ იგივეობაზე, სწორედ გენეტიკური იგივეობა აქვთ მხედველობაში. ივარაუდება, რომ ენის ისტორიულ იგივეობასთან მაშინაც გვაქვს საქმე, როცა საქმე ეხება განსხვავებას დროში დიდად დაშორებულ ენებს შორის, თუ მეორე ენა წარმოადგენს ცვლილების და არა შეცვლის შედეგს. ასე მაგალითად, ა. სმირნიცკი მიუთითებს, რომ მთელი რიგი ცვლილებების შედეგად ერთი ეპოქის ენა შეიძლება უფრო მეტად განსხვავდებოდეს სხვა ეპოქის ენისაგან, ვიდრე დიალექტი A დიალექტი B-საგან [სმირნიცკი, 1955, გვ. 19-20].

რა ცვლილებებიც უნდა მოხდეს ენაში, მისი ცვლილების დროს ის მაინც ინარჩუნებს ისტორიულ (resp. გენეტიურ) იგავეობას. მთავარია, რომ შემდეგი თაობების ენა წარმოადგენდეს ცვლილების, ევოლუციის, და არა შეცვლის შედეგს, რომ თაობების ენებს შორის შენარჩუნებული იყოს უწყვეტობა, მემკვიდრეობითობა. მაგალითად, გარკვეული დროის მონაკვეთში ქართული ენა იღვევებოდა სხვა ენის მიერ გამოყენების რიგი სფეროებიდან. თუკი მას სხვა ენა მთლიანად გამოდევნიდა, მაშინ აღილი ექნებოდა შეცვლას. მაგრამ ეს არ მომხდარა. ქართული ენა რჩება ქართველების ენად ამ ერის მთელი ისტორიის მანძილზე და იგი ინარჩუნებს თავის თავთან იგივეობას.

ხშირად საუბრობენ იმ საგნების გენეტიკურ იგივეობაზე, როცა ერთი მათგანი წარმოადგენს გარდაქცევის შედეგს, ამავე დროს, უკვე აღარ შეიცავს აღარც ერთ მხარეს, აღარც ერთ ელემენტს იმ საგნისა, რომლის გარდაქცევის შედეგიცაა. ლინგვისტები, ჩვეულებრივ, განიხილავენ რა ისტორიულ იგივეობას ენისას, არსებითად არ ლაპარაკობენ ენისათვის დამახასიათებელი თავდაპირველი ელემენტების შენარჩუნებაზე.

ფ. შმიდტი განიხილავს ცვლილების ტიპებს: 1) უცვლელ ურთიერთობებში ხდება ურთიერთობის ელემენტთა გაცვლა; 2) უცვლელ ურთიერთობებში ერთი ან ორი ელემენტი იცვლება სხვა ელემენტებით; 3) ელემენტები უცვლელია, იცვლება ამ ელემენტთა შორის ურთიერთობის სახეები; 4) უცვლელი ელემენტების შემთხვევაში არსებულ ურთიერთობებს აკლდება ან ემატება ურთიერთობის ერთი ან რამდენიმე სახე; 5) არსებული ურთიერთობები იცვლება ახალი ან არსებული ელემენტებით [შმიდტი, 1956].

აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს ცვლილებათა შემდეგი ტიპები: საგნის თავისებურებათა (თვისებათა) ცვლილება, საგნის ფუნქციათა ცვლილება, საგნებს შორის კავშირის ცვლილება, საგნის სტრუქტურის ცვლილება. სტრუქტურის ელემენტთა ცვლილება, საგნის ცვლილება, ერთმანეთთან დაუკავშირებელ საგანთა ცვლილება, ცვალებადობის პროცესის ცვლილება.

იმისთვის, რომ გავარკვიოთ, რა მოსდის ცვლილების პროცესში ობიექტებს, უნდა გაირკვეს ცვლილების არსი. ამისთვის კი საჭიროა გამოვლინდეს, თუ რა მოსდის მისთვისებს, ფუნქციას, სტრუქტურას და ა. შ.

სტრუქტურული ცვლილებების დროს უნდა გავარკვიოთ, რა ცვლილებები მოსდის სტრუქტურის ელემენტებს და მათ კავშირებს. მაგ. ლინგვისტიკაში განიხილება რა ბგერითი ცვლილებები, ერთი მხრივ, გამოიყოფა ცვლილებები „ფონემის შემადგენლობაში“, ხოლო მეორე მხრივ, ფონემებს შორის კავშირის ცვლილებები. სტრუქტურის ელემენტთა ცვლილების განხილვისას განირჩევა სტრუქტურის ცალკეული ელემენტის ცვლილება და სტრუქტურის ელემენტთა რაოდენობის შეცვლა.

სტრუქტურის ელემენტების სპეციფიკური ცვლილება მდგომარეობს მისი ფუნქციისა და სხვა ელემენტებთან კავშირის შეცვლაში. შეიძლება ფუნქცია შესუსტდეს ან გაძლიერდეს და ფუნქციები (კავშირები) გაიზარდოს ან შემცირდეს. ფუნქციების შემცირება შეიძლება მოხდეს როგორც მათი საერთო გაქრობით, ასევე ფუნქციების გადაწაფილების შედეგად. შესაბამისად, ფუნქციათა გამრავლება ხდება მათ მიერ ახალი ფუნქციების, ან სხვა საგანთა ფუნქციების აღებით.

ამავე დროს, შეიძლება ერთი რიგის ფუნქციების სხვა ფუნქციებით შეცვლაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ საგანს აქვს მთავარი და დამატებითი ფუნქციები, მაშინ ნათელია, რომ ხდება შესაბამისი ცვლილებებიც. რომელიმე მთავარი ფუნქცია ხდება დამატებითი და პირიქით.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საგნის, როგორც ასეთის, განსაზღვრული სისტემის სპეციფიკური ცვლილება არის ის, რომ მან შეიძლება კავშირი დაამყაროს სხვა საგანთან და ამის მეშვეობით გახდეს მოცემული სტრუქტურის ელემენტი.

საგნის სტრუქტურაში შეიძლება იყოს მთავარი, გაბატონებული და დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი ელემენტები. ამ შემთხვევაში სტრუქტურის ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ მთავარი გახდეს მეორეხარისხოვანი და პირიქით.

ცვლილებათა ტიპები შეიძლება გამოიყოს, თუ გავითვალისწინებთ. იმ ცვლილებათა ურთიერთობებს, რომლებსაც განიცდის ობიექტთა რომელიმე კლასი და ამ მოცემული კლასის ობიექტები. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ მოვლენა რომელიმე კლასისა სხვადასხვა პირობის ზეგავლენით გადაიქცევა სხვა სახის მოვლენად. ბიოლოგიაში ცვლილებათა ასეთ ტიპს ეძახიან დივერგენციას (რომელიმე ბიოლოგიური სახეობის სხვადასხვა პირობების ზეგავლენით სხვა სახეობად ქცევა), ხოლო ენათმეცნიერებაში დიფერენციაციას (ერთი ენის დიალექტების დამოუკიდებელ ენებად ქცევა). ამ ცვლილებებიდან განსხვავდება ცვლილებათა პროცესი, რომლის შედეგადაც სხვადასხვა სახის მოვლენები გარკვეული მიზეზების შედეგად იქცევა ერთსა და იმავე სახის მოვლენად. ლინგვისტიკაში ამ მოვლენას ინტეგრაცია ეწოდება.

ცვლილებათა კლასიფიკაციაში, რომელიც ითვალისწინებს რომელიმე სახეობის ინდივიდებისა და თვითონ სახეობის ცვლილებებს, უნდა გამოიყოს ორი ტიპი. პირველი, რომლის დროსაც ინდივიდი შეიძლება A მდგომარეობიდან გადავიდეს A_1 , A_2 , A_3 და ა. შ. მდგომარეობაში, და შედეგად რაიმე ახალი, ჭერ არ არსებული კი არა, ისეთი მდგომარეობა მოგვეცეს, რომელშიც უკვე არიან მოცემული სახეობის სხვა წევრები.

მეორე ტიპის ცვლილებათა შედეგად ინდივიდი შეიძლება გადავიდეს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მოცემული სახეობის არც ერთი ინდი-

ქვეყნიერ არ ყოფილა უფრო მეტიც, ის შეიძლება იქცეს ისეთ რამედ, რაც არასდროს არსებულა. მეორე ტიპის ცვლილებებს ენათმეცნიერებანი განვითარებას, ასევე ისტორიულ ცვლილებას უწოდებენ [ზვეგინცევი, 1962, გვ. 182-201].

თუკი გარკვეულ ენაზე მოლაპარაკეთა მეტყველებაში ხდება ისეთი ცვლილებები, რომლებიც თავსდება ამ ენაში არსებული დიალექტების ჩარჩოებში, ამ დროს ადგილი აქვს ენის ფუნქციონირებას. თუ ამ ცვლილებას მივყავართ თვისობრივად ახალი ენობრივი ფორმების ჩამოყალიბებამდე, რომლებიც ადრე არ არსებობდნენ, მაშინ ხდება ენის განვითარება.

ნათელია, რომ ნახსენებ ტიპებს შორის განსხვავება შეფარდებითია და მათ აზრი აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდის ცვლილება განიხილება მთელ სისტემასთან მიმართებაში, ხოლო თუ ინდივიდის ცვლილებას განვიხილავთ სისტემიდან ამოგლეჯით, მაშინ შეუძლებელია ვთქვათ, ეს ცვლილება ფუნქციონირებაა თუ განვითარება.

საკითხი განვითარების, როგორც ცვლილებათა პროცესის სპეციფიკური ტიპის შესახებ, და აგრეთვე იმაზე — განსხვავდება თუ არა განვითარება ცვლილებათა სხვა ტიპებისაგან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. თავის დროზე თვლიდნენ, რომ ეს ორი ცნება — განვითარება და ცვლილება, თანაბარმნიშვნელოვანია [შლრ. ტოპორკოვი, 1928, გვ. 106]. მიიჩნევენ აგრეთვე, რომ განვითარება საერთოდ არაა თვისობრივი ცვლილება [კოჩკა, 1961, გვ. 32-34]. სხვა მოსაზრებით, განვითარება თვისობრივი ცვლილებაა სტრუქტურისა [გრუშინი, 1961, გვ. 63]; ზოგიერთის აზრით, ესაა შეუქცევადი ცვლილებები ან მოძრაობა მარტივიდან რთულსაკენ ან საფუნქციონირებრივი მოძრაობა დაბლიდან მაღლისაკენ და ა. შ.

§ 2. ენის ცვლილების პრობლემა

ცვლილების პრობლემასთანაა დაკავშირებული საკითხი ენის ცვლილების შესახებ, რომელიც ღრმა წინააღმდეგობებს მოიცავს. თვითონ საკითხის დასმაც გულისხმობს ბუნებრივი სიმყარის (სიმტკიცის) დარღვევას და უარყოფას განვითარების მიერ. სწორედ ესაა ენის პარადოქსი. შ. მალიი წერს: „ენები გამუდმებით იცვლება, მაგრამ მათი ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ უცვლელობის შემთხვევაში“ [ბალი, 1950, გვ. 18]. მისი „განხილვა, როგორც არამდგრადისა, ცვალებადისა და ევოლუციურისა, — ნიშნავს იმას, რომ მივუსადაგოთ ისეთი შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება ენის იდეას“ — ასე ფიქრობს შვედი მეცნიერი ბ. მალმბერგი [მალმბერგი, 1947, გვ. 25-26], რომლისთვისაც „განვითარებადი ენა“ — ესაა *contradictio in adiecto*, „თუ ენაში ვიგულისხმებთ სისტემას“. ბუნებრივი იქნებოდა, რომ ენა არ იცვლებოდეს. „თუ ენა სისტემაა,

რომელშიც ყველაფერი ურთიერდაკავშირებულია და მისი დანიშნულებაა ურთიერთგაგებინება საზოგადოებაში, მაშინ მოსალოდნელია მისი როგორც სისტემის, სიმტკიცე [ლორაჩი, 1954, გვ. 97]. მაგრამ ვითარება პირიქითაა, — ამატებს იგი, — სისტემა იცვლება. ენა უცვლელი იქნება და კიდევაც, რომ საქმეში გარეფაქტორები არ ერთვებოდეს. მათი ჩარევის გარეშე ენა მუდმივად უცვლელი იქნებოდა. აქედან გამომდინარეობს გარე და შიდა ფაქტორების გამოყოფა: პირველი ითვლება ცვლილებების მიზეზად, მეორე თითქოს ეწინააღმდეგება ცვლილებებს და აღადგენს სისტემის თანასწორობას.

ენის სტატიკურობის თეორია, რა თქმა უნდა, სოსიურისაგან გამომდინარეობს. მაგრამ მსგავსი მოსაზრებები გვხვდება არა მარტო მის უშუალო მიმდევრებთან, არამედ პარიზის წრის ფონოლოგებთანაც.

ენის ცვლილების საკითხს მიეძღვნა ე. კოსერიუს ნაშრომი „სინქრონიკა და ისტორია“, რომელშიც საყურადღებო პრობლემებია წამოყენებული. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა — ცვლილების ზოგადი პრობლემა, ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა, რადგანაც ზოგადი ენათმეცნიერება ესაა ისტორიული ლინგვისტიკის შედეგების სხვადასხვა კონკრეტული-ისტორიული პრობლემების განზოგადება. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოადგენს ჰიპოთეზებს ახალი კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად. კოსერიუს აყენებს ე. წ. ლოგიკურ პრობლემასაც (რატომ იცვლება ენა), რომელიც ენათა ცვალებადობის თეორიულ პრობლემას წარმოადგენს. ამდენად, იგი დამოკიდებულია ფაქტების ცოდნაზე, მაგრამ მისი გადაწყვეტა არ შეიძლება იყოს სხვადასხვა კერძო გადაწყვეტის უბრალო განზოგადება: პირიქით, სწორედ მისი გადაწყვეტის შემდეგ შეიძლება წამოიჭრას პრობლემები — ცვლილების ისტორიულობის შესახებ.

ყველაზე საშიში შეცდომა, — მიუთითებს კოსერიუს, — შეიძლება იყოს, რომ ენა განხილული იქნეს, როგორც საგანი. ენის განვითარების პრობლემის შემთხვევაში ეს შეცდომა მდგომარეობს იმის დაშვებაზე, თითქოს ცვალებადობის საკითხი მისი მიზეზების მოძიებით შეიძლება გადაიჭრას.

ენობრივი ცვლილებების პრობლემა ორმაგად უკანონო იქნება. — აღნიშნავს კოსერიუს, — თუ მას ავრევთ კერძო ცვლილებების პრობლემებში და განვიხილავთ მიზეზობრივი, გარეგანი აუცილებლობის ტერმინებით.

მოლაპარაკე ხელახლა კი არ იგონებს გამოხატვის საშუალებებს. არამედ იყენებს უკვე არსებულ მოდელებს იმიტომ, რომ ის არის ისტორიული ინდივიდუმი, და არა სხვა ვინმე, და იმიტომაც, რომ ენა ხასიათდება ისეთივე ისტორიულობით და იმავე ყოფით. როგორც მთავარი მოცემული ინდივიდუმი. ესე იგი, მეტყველება, ინარჩუნებს რა გამოხატვის ინდივიდუალურ თავისუფლებასა და აზრობრივ მიზანმიმართებას, აუცილებლად რეალიზდება განსაზღვრულ ისტორიულ

ჩარჩოში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ენა. ამასთანავე, სამეცნიერო მოღვაწეობა თვითონ ისტორიულია და წარმოადგენს ადამიანის ისტორიულობის საფუძველს. ამიტომაც ის დიალოგი, სხვასთან საუბარი. ილაპარაკო — ნიშნავს აუწყო. ამ მიმართებით მეტყველება ერთდროულად არის პირველი საფუძველი და პირველი ფორმა ინტერსუბიექტურობის გამოვლენისა, სხვასთან ყოფნისა, რაც ემთხვევა ადამიანის ისტორიულ ყოფას. მართლაც, „სხვასთან ყოფნა“ ნიშნავს ურთიერთგაგებინებას, ე. ი. ერთსა და იმავე ისტორიულ სიბრტყეზე ყოფნას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ენის მეშვეობით, ადამიანის შემეცნება ყოველთვის ისტორიული შემეცნებაა, ადამიანში ისტორიული შემეცნების გამოვლინების საშუალება კი არის ენა [კოსეროვი, 1963, გვ. 186].

ენობრივი ცვლილება ხდება დიალოგში მოლაპარაკის ერთი ენობრივი ჩვევიდან მეორეზე გადასვლისას. ყველაფერი, რაშიც გამოიხატება არსებული მოდელიდან გადახვევა, შეიძლება ინოვაციად ჩაითვალოს. მსმენელის მიერ ინოვაციის, როგორც მოდელის აღქმა, არის მიღება.

ინოვაციას შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ტრადიციული მოდელის „დამახინჯება“. ბ) ენაში არსებული იზოფუნქციონალური ვარიანტებიდან და ერთეულებიდან ერთ-ერთის არჩევა; გ) სისტემური წარმონაქმნი (სისტემის შესაბამისად ფორმების „გამოგონება“); დ) სხვა ენებიდან სესხება; ე) ფუნქციონალური ეკონომია. შეიძლება იყოს სხვა ვარიანტებიც. ინოვაციების ტიპოლოგია იმდენადაა საჭირო, რამდენადაც გამოირკვევა საშუალებები, რომლითაც მეტყველება თავს აღწევს ენობრივ ჩარჩოებს. მაგრამ ინოვაცია არ არის ცვლილება. ენობრივი ცვლილება წარმოადგენს ინოვაციის გავრცელებასა და განზოგადებას. ე. ი. ცვლილება არის ინოვაციების მიღება. საბოლოოდ ცვლილება, პირველ ყოვლისა, „მიღებაა“ [კოსეროვი, 1963, გვ. 192].

„მიღება“ — აქტია, რომელიც არსებითად განსხვავდება ინოვაციისაგან. ინოვაცია, რამდენადაც იგი განისაზღვრება მდგომარეობისა და ენობრივი აქტის მიზანმიმართულებით, „მეტყველების ფაქტია“. „მიღება“ ახალი ფორმის, ახალი ვარიანტის არჩევის ახალი საშუალებებაა მომავალი აქტების პერსპექტივაში და წარმოადგენს „ენის ფაქტს“, გამოცდილების ჩვევად ქცევას. ის განეკუთვნება ენის ათვისებას, ენობრივი საშუალებით „ველავწარმოქმნას“. ინოვაცია — ესაა ენის გადალახვა; „მიღება“ — ენის გამოყენებაა თავის თავის გადასალახვად. ინოვაცია და „მიღება“ განპირობებულია ენით, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით. ინოვაცია ფიზიკური მიზეზებითაც შეიძლება აიხსნას (მაგ. თავისუფლების შეზღუდვა ფიზიკური გარემოების გამო), მაშინ როცა მიღება, იგივე ათვისება, განსაზღვრული ენობრივი მოდელის შეცვლა, — წმინდა აზრობრივი აქტია, და აქედან გამომდინარე, „მი-

დება“ შეიძლება გამოწვეული იყოს კულტურული, ესთეტიკური ან ფუნქციონალური მიზნებით.

ენობრივი ცვლილების პრობლემა, ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა „მიღება“. მაგრამ ეს არ არის მიღების მიზეზების პრობლემა. ესაა შესაძლებლობების, პირობების პრობლემა. ის, რომ მრავალრიცხოვანი ინოვაციიდან მხოლოდ ზოგიერთი მიიღება და ვრცელდება, გამოწვეულია იმით, რომ მიღება არ არის მექანიკური კვლავწარმოქმნა. ეს ყოველთვის არჩევანია.

ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ ცდას შეარიგოს ლინგვისტიკის ტრადიციული და სტრუქტურალისტური მიმართულებები ენობრივი ცვლილებების შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტას, ანუ სხვადასხვა მიმდინარეობების გაერთიანებას ჯერ კიდევ ა. მარტინე შეეცადა [მარტინე, 1954]. ლ. იელმსლევიც თავის შრომებში ლინგვისტიკური კვლევის ტრადიციულ და ახალ მეთოდებს განიხილავს როგორც ენათმეცნიერების განვითარების უწყვეტი პროცესის ერთმანეთთან დაკავშირებულ ცალკეულ ნაწილებს [იელმსლევინი, 1960, გვ. 48]. ეუქენიო კოსერიუ თვლის, რომ ლინგვისტიკის ერთმანეთთან დაპირისპირებული მიმდინარეობების სინთეზი შესაძლებელია ამ მიმდინარეობების ძირითადი დებულებების კრიტიკული გადასვლით და მათში რაციონალური ელემენტების გამოვლენით.

სწორედ ამ მიდგომას ვხედავთ მის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. რომელიც, როგორც ეს მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში, არაა დაზღვეული გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობებისაგან.

მაგალითად, ჯერ კიდევ 1960 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ნ. სპენსმა მიაქცია ყურადღება იმ არათანმიმდევრულობას, რომელსაც ვხვდებით კოსერიუს მსჯელობაში ინოვაციებისა და მისი მიღების შესახებ, და აქედან გამომდინარე, საერთოდ ცვლილების შესახებ [სპენსი, 1960, გვ. 28-29].

როდის გადადის ინოვაცია ცვლილებაში? სადაა მათ შორის საზღვარი? რამდენმა ადამიანმა უნდა მიიღოს ინოვაცია, რომ იგი ცვლილებად იქცეს? — სვამს კითხვებს ნ. სპენსი. მდგომარეობას ვერ იხსნის თუ ჩავთვლით, რომ ინოვაცია არის ინდივიდუალური მოვლენა, ხოლო ცვლილება — საზოგადოებრივი. ეს ყოველი ინდივიდუალური ფაქტი, რადგანაც ის მიემართება მეორე ინდივიდს, უკვე ინდივიდთაშორისი ფაქტია. ამდენად, აქ გვაქვს არა ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი სხვაობა.

ამასთანავე, ნათელია, რომ ინოვაციის ცვლილებაში გადაზრდისას გვაქვს არა ორი, არამედ სამი მოვლენა: 1. საკუთრივ ინოვაცია (განზრახული ან შემთხვევითი); 2. იმის გააზრება, აკმაყოფილებს თუ არა ეს ინოვაცია ამა თუ იმ ექსპრესიულ ან ფუნქციონალურ მოთხოვნილებას (ე. კოსერიუ თვლის, რომ ენის ცვლილება არის შეგნებული პროცესი) და 3. ამ გააზრებული და მიღებული ინოვაციის იმ დონემდე გენერალიზაცია

რომ შესაძლებელი იყოს ცვლილებაზე საუბარი. „სხვა სიტყვებით, წერს ნ. სპენსი, — ცვლილება, საკუთრივ, მიეკუთვნება არა ინოვაციის გავრცელებას, არამედ გააზრების, შეცნობის შუალედურ საფეხურს, თუკი ეს საერთოდ გვაქვს რეალობაში და აღმოჩნდება ინდივიდუალური მოვლენა. [სპენსი, 1960, გვ. 31].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ე. კოსერიუ ინოვაციასა და მიღებას შორის ათავსებს ენობრივ თავისუფლებას, რომელიც შეიძლება იმართებოდეს კულტურით, გემოვნებით, ან პრაქტიკული გონებით. ეს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ავტორის მიერ დახატულ სურათს. კერძოდ, გაუჩვეველი რჩება, რით სჯობია ეს ფილოსოფიური კატეგორიები ვ. ჰუმბოლტის ხალხია მისტიურ სულს. ენობრივი თავისუფლების ამ ქაოსში ალგილად შეიძლება დაიკარგოს ენის ფუნქციონირებისა და ევოლუციის კანონზომიერებები.

მართლაც, როდესაც კოსერიუ მსჯელობს იმის შესახებ, რომ ლინგვისტური კანონები არ შეიძლება იყოს გამოგონებული, არამედ ისინი უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კანონზომიერებებს, მაშინ როცა ენობრივი ცვლილებები, მისი აზრით, ემყარება ენობრივ თავისუფლებას, გასარკვევი ხდება ენობრივი თავისუფლების მიმართება ნებისმიერ კანონთან. ქოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ლოგიკურად უკეთესი იქნებოდა კანონებზე უარის თქმა.

გრძნობს რა უხერხულობას, კოსერიუ ცდილობს იმით გაამართლოს თავისი მოსაზრებები, რომ ამტკიცოს — კანონები ეხება მხოლოდ იმ საკითხს, თუ როგორ ხდება ცვლილებები, და არა იმას, თუ რატომ ხდება ისინი. ისინი არის არა აუცილებლობის, არამედ შესაძლებლობის კანონები და ყველა კანონი დამოკიდებულია ერთ აუცილებელ — სამეტყველო მოღვაწეობის თავისუფლების კანონზე.

აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი მტკიცება, რომ „ენაში არსებობს კანონები და საჭიროა მათი ძიების გაგრძელება“, ხოლო შემდეგ კოსერიუ ამბობს, რომ ლინგვისტიკა არ შეიძლება იყოს მეცნიერება კანონების შესახებ, რამდენადაც ამას ეწინააღმდეგება მისი ობიექტის ბუნება. „ლინგვისტიკამ უარი უნდა თქვას დაადგინოს მიზეზობრივი კანონები... ამით ის გახდება უფრო ზუსტი მეცნიერება ადამიანის შესახებ“.

აქ დგება ცენტრალური საკითხი გამოკვლევისა — ენობრივი ცვლილებების მიზეზობრიობის შესახებ. კოსერიუ ამტკიცებს, რომ ენობრივი პროცესების განხილვისას არ შეიძლება იყოს გამოყენებული მიზეზობრიობა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: თუ ენა მუდმივ განვითარებაშია, მაშინ რა იწვევს, ამ ცვლილებებს, ანუ რითაა განპირობებული ლინგვისტიკის ობიექტის ეს ძირითადი მახასიათებელი?

ავტორი ცდილობს მის მიერ განხილული ასპექტების — პირობების,

რომლებშიც ენობრივი ცვლილებები ხდება, და განსაზღვრული ცვლილებების ისტორიული პრობლემების — იზოლირებას. ამ ორი ასპექტის ცვლილებებს შეიძლება ჰქონდეს მიზეზები. მაგრამ რატომ უნდა განვიხილოთ ეს ასპექტები ენობრივი ცვლილებებისგან მოწყვეტით? ამ პრობლემების ერთმანეთთან დაშორება, როგორც ვ. ზვიგინცევი აღნიშნავს, ნიშნავს იმას, რომ ვთქვათ, მიზიდულობის კანონს და ხიდან ვაშლამ მიწაზე დაცემას არავითარი კავშირი არა აქვს ერთმანეთთან [ზვიგინცევი, 1963, გვ. 125-143].

ენობრივ ცვლილებას სჭირდება უფრო დამაჯერებელი ახსნა, ვიდრე ენობრივი თავისუფლებაა. ენის ფუნქციონირება არის არა გაუაზრებელი და მიზანმიმართავი პროცესი, არამედ მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია გარკვეული, მუდმივად ცვლადი პრობლემების გადასაჭრელად. ენობრივი სტრუქტურა არ შეიძლება იყოს უცვლელი, რადგან მან მანამ უნდა გაუსწოროს კომუნიკაციის მოთხოვნებს. იგი არ არის თავისუფალი პროცესი. ის ყოველთვის ხორციელდება განსაზღვრულ პირობებში, რომლებიც ექვემდებარება ენის მკაცრ სტრუქტურულ კანონებს. ამ სდეროში არ შეიძლება იყოს თავნებობა და ყველაფერი განპირობებულია მიზეზობრივად. ამდენად, მიზანმიმართულობა ფუნქციონირებისას ქმნავოლუციის მიზეზობრიობას.

ენათმეცნიერებაში მიზეზობრიობის პრობლემას, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ენის ისტორია, მისი განვითარების მიზეზების გაშუქების გარეშე, ზედაპირული დაფიქსირება იქნება იმ ცვლილებებისა, რაც ენაში ხდება. ენის განვითარების მიზეზების შესწავლა ნიშნავს გავიდეთ უბრალო დაკვირვების საზღვრებიდან იმ სიღრმეებისაკენ, საიდანაც იწყება მეცნიერება. მართლაც ცვლილებების მიზეზების ახსნა გვეხმარება გამოვავლინოთ ენის ისტორიის შინაგანი კანონზომიერებანი. ენობრივი ცვლილებების მრავალფეროვნების გამო მათი კვლევა გულისხმობს ენისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული და ფუნქციონალური თავისებურებების გათვალისწინებას.

მიზეზების პრობლემას რამდენიმე ასპექტი აქვს. საქმე ისაა, რომ ენის ისტორიაში მიზეზობრივი კავშირები არა მარტო მრავალრიცხოვანი, არამედ პრინციპულად მრავალფეროვანია და სხვადასხვა სიბრტყეზეა განფენილი. მათ დასანახად კი საჭიროა ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა რაკურსი, ასპექტი თუ დონე.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ცვალებადობა ენის განუყოფელი, შინაგანი მახასიათებელია, რომელიც ეფუძნება ენის (როგორც კულტურის ფაქტსა და ფაქტორს) ბუნებას. თითოეული ადამიანის მეტყველება ინდივიდუალურია იმდენად, რამდენადაც ინდივიდუალური შეიძლება იყოს საზოგადოების რომელიმე წევრი. ერთ ენაზე მოლაპარაკების მანერა სხვადასხვანაირად მეტყველებენ. ერთი ადამიანის მეტყველება არ

იმეორებს მეორისას. მეტყველების ინდივიდუალურ-შემოქმედებით საწყისებს მივყავართ ენასთან მიმართებით ახალი სამეტყველო თავისებურებების წარმოჩენამდე. ამასთანავე, ენის სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, ეს ახალი არ შემოიფარგლება ინდივიდუალური მეტყველებით. უკვე მისი წარმოქმნისთანავე იგი გულისხმობს ორი ადამიანის ურთიერთობას. „სიახლის“ ბედი დამოკიდებულია მოლაპარაკეთა სოციუმის მოთხოვნილებებზე. ენობრივი ნორმა ირჩევს ინოვაციას, გარკვეულწილად ზღუდავს (როგორც ასეთს) და ამით აძლევს მას ზეინდივიდუალურ ხასიათს.

აქედან გამომდინარე, ენობრივ ცვლილებას აქვს სოციალური ხასიათი. ენის ცვალებადობა განპირობებულია, ერთი მხრივ, მეტყველების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი ხასიათით, მეორე მხრივ კი — ინდივიდუალურისა და სოციალურის ურთიერთშემოქმედებით.

ენის ევოლუციაში გამოყოფენ ზოგად და მუდმივ (პანქრონიულ) პირობებსა თუ წანამძღვრებს. ერთი მხრივ, ისმება კითხვა, თვითონ ენის აგებულებაში რა იძლევა ცვლილების შესაძლებლობას, და მეორე მხრივ, სამეტყველო მოღვაწეობის რა შინაგანი კანონზომიერებები იწვევენ ცვლილებებს ენაში. ე. ი. გამოიყოფა ორი ასპექტი — სტრუქტურულ-სემიოტიკური და ფსიქოლინგვისტური.

თუ ჩავთვლით, რომ ენობრივი ცვლილებების წანამძღვრები წარმოადგენს ძვრების სავარაუდო პირობებს, საკუთრივ მიზეზი არის ენის ისტორიის უშუალო და სპეციფიკური ფაქტორები. ეს ფაქტორები, ამავე დროს, სხვადასხვაგვარია. განარჩევენ შინაგან და არაენობრივ ფაქტორებს. ენობრივი ცვლილებების წანამძღვრებად ითვლება — პირველ რიგში ის, რომ ენა რთული დინამიკური სისტემაა, აქედან გამომდინარე: მისთვის შინაგანადაა დამახასიათებელი ცვალებადობა; ენა წარმოადგენს ღია სისტემას, რაც ხელს უწყობს ახალი ერთეულების, ურთიერთობებისა და ქვესისტემების შექმნას. ენობრივი სისტემის ადაპტური ხასიათი განაპირობებს მის შემგუებლობას როგორც სტრუქტურული, ასევე ფუნქციონალური ხასიათის ცვლილებებთან; ენას აქვს თვითრეგულირების, ქვესისტემების კოორდინაციის უნარი, რაც ქმნის სისტემის განვითარების შინაგან ლოგიკას. ენობრივი ევოლუციის წანამძღვრად ითვლება სემანტიკური და ფორმალური ვარიაცია.

ენის შინაგანი ცვლილების ფაქტორებად მიჩნეულია — აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ასიმეტრიულობა (მრავალმნიშვნელიანობა და ომონიმია, სინონიმია); უზუსისა და ენობრივი სისტემის, კოდისა და ტექსტის, მოლაპარაკისა და მსმენელის, ენის ინფორმაციული და ექსპარესიული ფუნქციების ანტონიმია.

§ 3. ლექსიკის განვითარების საკითხი

ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ ლექსიკის სრულყოფილება გამოიხატება სიტყვათა რაოდენობაში. ეს, რა თქმა უნდა, საკითხის ზედაპირული ხედვაა. სიტყვათა რაოდენობა თავისთავად არაფერზე არ მიუთითებს. ენას შეიძლება ჰქონდეს უზარმაზარი სიტყვარი, მაგრამ, თუ ის არ არის „დამუშავებული“, თუ შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვების დიდფერენციაცია მოლაპარაკეს არაფერზე მიუთითებს, თუ მრავალმნიშვნელოვნიან სიტყვათა სტრუქტურა იშლება უბრალო „მნიშვნელობათა ჯამად“ და არა აქვს აზრობრივი ცენტრი, მაშინ ასეთი მდიდარი სიტყვარიანი ენა ფუნქციონალურად ღარიბი, შედარებით უზუსტო იქნება ადამიანთა ურთიერთობის პროცესში. ენაში ხარისხის ცნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაოდენობისა.

სიტყვათა რაოდენობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. არავის შეაქვს ეკვი, რომ გოლსუორთის სიტყვარი რიცხვობრივად აღემატება შექსპირისას, პირანდელოსი — დანტესისას, ბუნინისა — პუშკინის სიტყვარს. ნებისმიერი ენის ლექსიკა რაოდენობრივად სწრაფად იზრდება: ახალი ცნებები და საგნები ითხოვენ ახალ სიტყვებს, მაშინ, როცა ძველი სიტყვები რჩება ახლის გვერდით და მხოლოდ უმნიშვნელოდ გამოდის ხმარებიდან, იქცევა არქაიზმად. აქ ზრდის პროცესი მნიშვნელოვნად უსწრებს გადააზრებისას: სიტყვათა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. აქ სხვადასხვა ლექსიკონის შედარება გარკვეულად შეფარდებითია. შეიძლება ესა თუ ის სიტყვა არსებობდეს ენაში, მაგრამ მან ლექსიკონში ასახვა ვერ ჰპოვოს სხვადასხვა მიზეზით. ჭერ კიდევ 1859 წელს ლ. ბლანმა გამოსცა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის ლექსიკონი“. შემდეგ გამოჩნდა კიდევ სამი ლექსიკონი: 1887 წელს პოლეთის, 1905 წელს — სკარტაცინის, 1954 წელს ზიბცენირ-ვივანტისა [ბუდაგოვი, 1968, გვ. 122-130; გოლენიშჩევ-კუტუზოვი, 1971, გვ. 285-319]. თითოეულ მკვლევარს მიაჩნდა, რომ იგი უფრო სრულად გადმოსცემს „კომედიის“ ლექსიკის თავისებურებებს, ვიდრე მისი წინამორბედი. რასაკვირველია, ნაწარმოების სიტყვათა ჩამოთვლა არაფერს აძლევს მეცნიერებას. საქმე ისაა, თუ დანტე, შექსპირი ან სხვა შემოქმედი როგორ იგებს და იყენებს ამა თუ იმ სიტყვას, თუ როგორ შეესატყვისება სიტყვების ასეთი გაგება და გამოყენება მოცემული ეპოქის სხვა შემოქმედთა გაგებასა და გამოყენებას, თუ როგორ ფუნქციონირებს მოცემული პერიოდის ენა.

ნებისმიერი ენის ლექსიკის მკვლევრის წინაშე ორი სიძნელე დგას. ერთი მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არა მხოლოდ სიტყვათა სიმრავლე ამდიდრებს ენას, არამედ ის, თუ როგორ ფუნქციონირებს სიტყვა, თუ რა კავშირშია სიტყვათა სიმრავლე ხარისხთან, მის უნართან უფრო და უფრო ზუსტად, ადეკვატურად გადმოსცეს ადამიანის გრძნობები და აზრები.

ახალი სიტყვების გაჩენასთან ერთად მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაჩნდა ენაში უკვე არსებულ სიტყვათა ახალი მნიშვნელობებიც.

უურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სიტყვების ადრეული დიფერენციაცია მხოლოდ გარკვეული სტილის ფარგლებში იყო საგრძნობი. ხოლო გვიანდელმა დიფერენციაციებმა მიიღეს უფრო მკვეთრი გამოხატულება და შეიძინეს საყოველთაო ხასიათი.

სიტყვების ვიწრო სტილურ დიფერენციაციას მოსდევს ზოგადსტილური და ზოგადენობრივი დიფერენციაცია ამავე სიტყვებისა. ვიწროსტილური დიფერენციაცია უკვე უკანა პლანზე გადადის.

ლექსიკის სრულყოფა აქ თავს იჩენს არა რაოდენობრივ, არამედ ხაისხობრივ პლანში.

ჩვეულებრივ, ლექსიკის ისტორიული კვლევა-ძიებისას მკვლევრები აღწერენ სიტყვის მოძრაობას ძირითადიდან გადატანით მნიშვნელობაზე. როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ერთ-ერთი სავარაუდო გზაა სიტყვის სემანტიკის განვითარებისა. შესაბამისობა აქ შეიძლება იყოს მრავალფეროვანი. ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო და რთული, მაგრამ იგი ყოველთვის მოითხოვს ისტორიული ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის თვალსაზრისით გააზრებას.

სიტყვის მოძრაობაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს თვალი გავაქცნოთ ადამიანის აზრის მოძრაობას. რაც შეეხება მნიშვნელობის გაფართოებას, იგი საშუალებას გვაძლევს, უფრო ზუსტად და სრულად ვადმოვცეთ აზრები და გრძნობები.

სხვადასხვა, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით მახლობელი სიტყვების აზრობრივი დიფერენციაციის პრობლემა, ისევე, როგორც პრობლემა სხვადასხვა მნიშვნელობის პოლისემანტიური სიტყვების ფარგლებში დიფერენციაციისა, ერთნაირად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ენის სრულყოფის პროცესის გაგებისათვის.

აუცილებელია იმის მითითებაც, რომ ორივე ეს პროცესი, რომელიც განუწყვეტლივ მიმდინარეობს ნებისმიერ ცოცხალ ენაში, ერთ ისტორიულ ეპოქაში უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მეორეში. ასეთი სხვაობა გამოწვეულია სალიტერატურო ენების ჩამოყალიბების სპეციფიკით, იმით, რომ თითოეული ენის ისტორიაში გვაქვს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პერიოდები.

აქ შეიძლება გამოიყოს ასეთი მომენტები: 1) საზღვრის დაღება სიტყვების მნიშვნელობებს შორის 2) ძველი სიტყვების გადააზრების ზრდა. 3) ახალი სიტყვების ფორმირება.

ისეთი თვალსაზრისო ლინგვისტიკ კი, როგორიც ფ. დე სოსიური იყო, თვლიდა, რომ ცვლილებებს, რომლებიც ლექსიკაში ხდება, აქვს შემთხვევითი ხასიათი, და ამიტომ, ისინი არ იწვევენ მკვლევართა ინტერესს, რომლებიც ცდილობენ ჩამოაყალიბონ ამა თუ იმ მოვლენის არსებობის წესები და კანონები [სოსიური, 1933, გვ. 98].

უეჭველია, რომ ენის ნებისმიერ სფეროს თავისი თავისებურებები აქვს. მაგრამ მათი გაიგივება შემთხვევითობასთან დაუშვებელია. არ შეიძლება ლექსიკის განვითარება დავაცილოთ ისტორიულ განვითარების პროცესს. თუ, რა თქმა უნდა, ვითარდება მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურაც.

ლექსიკის განვითარება შეინიშნება მისი მადიფერენცირელი შესაძლებლობების გაძლიერებაში. ამავე დროს, არსებითია ის ცვლილებებიც, რომლებიც ხდება ამა თუ იმ სიტყვის პოლისემიაში. როგორც წესი, სიტყვები მონოსემიიდან პოლისემიისაკენ, ან პირიქით, არ მოძრაობენ. მაგრამ გვაქვს ასეთი მაგალითიც, კერძოდ: თანამედროვე ქართულში დღეს იკიდებს ლექსემა **ნესტო**, რომელიც ქეგლის მიხედვით აღნიშნავს -- ცხვირის გარეთა ორ ხვრელთაგან ერთს. „ნესტოების საშუალებით ჰაერს შედის ცხვირის ღრუში“ („პლასტიკ. ანატ.“). „რეზიკოს დამწვარი თაფლისა და ნიგვზის სუნი ცხვირის ნესტოებში უღიტინებდა“ (თ. რაზვი). „[მერანი] ნესტოებს ბერავდა და თან ხელებში ეტანებოდა ძია ესტატე“ (ვაჟა).

ქეგლში გვხვდება რთული სიტყვა **ნესტოებგაბერილი** — „სახეანთებული, ცხვირის ნესტოებგაბერილი [ქალი] თვალებიდან ცეცხლს ყრიდა დორივეს იგვრიებდა (აკაკი); და ნესტოვანი (ნესტოვანისა) რასაც წვრილნასვრეტები აქვს. ნესტოვანი კირქვა.

როგორც ვხედავთ, პირველ და მეორე შემთხვევაში ორივე ლექსიკური ერთეული მიემართება ცხვირს, ხოლო მესამე ლექსემა **ნესტოვანი** უკვე აღარ გულისხმობს ადამიანის სხეულის ამ ნაწილს. ასეთი შემთხვევები თანამედროვე ქართულში ძალზე იშვიათია. თუმცა ის, რომ ლექსემა „ნესტო“ დამოუკიდებლად, მსაზღვრელის (ცხვირი) გარეშე თითქმის არ გვხვდება, იმაზე მიუთითებს, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს კავშირი თავის ძველ მნიშვნელობასთან (ხვრელი). თუმცა დღეს ნესტოს გაგონებისას მასზე წარმოდგენა იშვიათად თუ ვინმეს შეექმნება.

ლექსემა **ნესტო** ძირითადად მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება.

ეს სიტყვა ძველ ქართულში მრავლობითში გვხვდება ცხვირის ხვრელთა აღსანიშნავად: „აღასრულა გუემასა შინა რავდენიმე ყამი ვიდრემდის შთობისა მისგან დაიყვანეს ნესტუნი საყნოსელთა მისთანი“ (კიმ. 292,29). „ორნი ნესტუნი გრძნობისანი შექმნა შორის ცხვრთაგსთა“ (6. ემეა 84,1); „მოიზიდის... ჯორჳმან სტურსა მას შინა ორთა მათგან ნესტუთ... რომელნი არიან საყნოსელსა შინა ღრტილისასა, და მით განუზოგის ჳმან და იჳმნის ჳმა სასმენელ“ (კაც. აგებ. 159,5).

ძველ ქართულში „ნესტოების“ აღსანიშნავად მრავლობითის ფორმით გვხვდება სიტყვა „ცხვირი“: „არცა გამოეწმიდნეს ცხვრნი მისნი“ (II მეფ.

19,24); „შენ განაცხადე აქლემსა მუსმარი ცხვრთა“ (მამ. სწ. 148,2); „ვითარცა ძმარი ცხვრთა მტკივან, ეგრეცა ვნებაჲ“ (ივ. სულ. 25,20); „და სხუამან მლოგვ შთაუსხა ცხვრთა“ (კიმ. I, 207,14); „ხოლო ვორცი საესვებით განუწესა მრავალი ვიდრე გამოდინებადმე ცხვრთა“ (აპოფს. 79, 39).

ძველ ქართულშივე ნესტოსა და ცხვირის აღსანიშნავად გვხვდებოდა საყნოსელი (ი-ყნოს-ს ზმნის მყოფადის მიმლ. გასუბსტანტივებული) [ლ. გელენიძე, 1974, გვ. 47], „ორთა მათგან ნესტუთა, რომელნი არიან საყნოსელსა შინა ღრტილისასა...“ (კაც. აგებ. 159,6); „შევალს ორთა კართა შენთა საყნოსელთა სურნელებად განსარყუნელი“ (მამ. სწ. 148, 29).

ნესტვ ძველ ქართულში, როგორც ჩანს, ძირითადად ზერელს, ფორს აღნიშნავს: „[ფუტკარმან] განაფინის ცვლისა მისგან ქერქი თხელი, და აღაშენის ჯურელები... ყოველი ნესტვ მისგან მიყრდნობილ არს მეორესა და სითხელითა მცირისა მის ქერქისაჲთა განიყოფვიან ერთმანერთისაგან“ (ექუს. ილ. აბ. 113,31); „ნესტუნი იგი გულთა მათთანი მწულილ არიან“ (ექუს. 54,21); „რაჲამს დასოვლდიან იგინი ზეთითა, მოსწყდიან, რამეთუ ნესტუნი იგი ვორცთ მათთანი დაიყვნინან და უკუეთუ ძმარი ეპკურის მათ ზედა, კუალად ცხოვნიან იგინი, რამეთუ ნესტუნი იგი მათნი კუალად განეხუნინან“ (ექუს. ილ. აბ. 120, 2); „თავთა თუსთაჲსა უმაღლეს არიან კმითა ყნოსითა მით ჰაერისაითა, რომელი-იგი ნესტუთა მათგან მკერდისათა განწვალეებითა ვორხისაჲთა ირავალსახედ აღმოუტევის და ჰივინ“ (ექუს. 100,30); „მერმე მისცის ნესტუთა გულისათა მკრთომალეთა“ (კაც. აგებ. 225,5); „ნესტუები იგი ქმნის ერთმანერთსა ზედა ორსართულედად და ოდესმე სამსართულედად“ (ექუს. ილ. აბ. 114,1).

ნესტუ-ვე ნიშნავს სისხლძარღვს (არტერიას, ვენას): „გული განუყოფს სისხლისა მას ცხოველებისასა ყოველთა ნესტუთა გუამისათა“ მ. სწ. 176, 29; „რაჲამს აღივსნენ ნესტუნი საფეთქელთანი კუამლისა მისგან“ H-2251, 284r.

ძველ ქართულში ნესტუ||ნესტვი აღნიშნავს საყვირს, სალამურს: „წარავლინნეს ანგელოზნი თუსნი ნესტვთა დიდითა (საყვრითა დიდითა“ DE) C, მთ. 24,31; „სცემდეს ნესტუებსა“ M, II ნეშტ. 23,13; „სტყნიდეს ნესტვთა“ O, IV მფ. 11,14; „დაჰბერვიდეს ნესტუებსა თუსსა“ O, II, ეზრა 3,10.

ნესტვი (საყვირი) ორი სახის უნდა ყოფილიყო: 1. ნესტვ ჰედილნი, რომელიც ლითონისაგან კეთდებოდა და 2. ნესტვ რქისაჲ „რქისი“, რქის საყვირი: „მისცა ნესტვ რქისა ჯელთა მათ ყოველთასა“ M, — „მისცა რქისები ჯელსა ყოველთასა“ G, მსჯ. 7,16.

როგორც ივ. ჭავჭავიძე მიუთითებს, საყვირის, საყვრნი რქისანის ნაცვლად ოშკისა და მცხეთის საპატრიარქო წიგნსაცავის რედაქციებში, ნესტვ არის ნახმარი [ჭავჭავიძე, 1990, გვ. 163].

ამავე ფუძესთანაა დაკავშირებული ძველი ქართული სიტყვა: ა) ნესტუვა ზაბერვა, საყვირის ცემა: „ნესტუვიდენ ნესტუთა“ G, რიცხ. 10,8.

ბ) დანესტუვა „დაბერვა“: „დაპნესტუეს სამთა მთავართა ნესტუთა რქისათა“ G — „დაპბერა სამმანვე მან გუნმან ნესტუსა მას რქისასა“ M., მსჯ. 7,20.

გ) მენესტუე ჩასაბერავი ინსტრუმენტის დამკვრელი: „მენესტუენი სცემდენ ნესტუსა“ მ. სწ. 92,31; „არწმუნის მათ მიმსავსებად სირცხულსა მენესტუეთასა და მეფანდურეთასა“ ბ. კეს.-ეკუს. დღ. 53,19...

სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს: ნესტუ რამც საკრავი გა(ნ)კვრეტილი არიან, ნესტუად ითქმიან. ZA.

რაიცი საკრავნი განკვრეტელნი პირით იბერვიან, ნესტენი არიან, რაიცი წვლილად განკვრეტილია, ნესტუად ითქმიან B. ნესტე(ნი) ეწოდებიან, რომელიცა სასტვენელნი რქათაგან ანუ ხეთა ანუ ძვალთაგან გა(ნ)თლილ(ი) და(ნ)კვრეტილ არიან: სტვირსა, ჭომონსა, ავილსა, სალაშურსა, ზურნაიკსა და ყო(ვ)ელთა მისთანათა, ხოლო მათსა მბერავსა მსუამარი.

ივ. ჭავჭავიძე მიუთითებს, რომ „დაბადების“ თარგმანის უძველესი რედაქციის ტექსტშივე შეხვდება ადამიანი ამ ტერმინს, რომელსაც ძველ ქართულში ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონდა და საერთოდ ლულის მაგვარი აგებულების საგნისა თუ სხეულის ზოგადი სახელიც იყო. ამ სიტყვისაგან არის წარმომდგარი ცხვირის ნესტოს სახელიც... იმისდა მიუხედავად, რომ საყვრი და ნესტუ სინონიმებად მოჩანან, მაინც საყურადღებოა, რომ ნესტუ ბაქარისეულის ხელთნაწერის დედანშიც ყოფილა, რომელშიც, ჩვეულებრივ, საყვრი არის ნახმარი, და ეს გარემოება საკრავთა ამ ორი სახელის სრულს იგივეობას მეტად საეჭვოდ ზღის, გარკვეული ხანითგან მაინც“ [ჭავჭავიძე, 1990, გვ. 166].

ვ. თოფურიას აზრით, ლექსემაში ნესტვი „ძირად სტუ გამოიყოფა. რომლის მნიშვნელობის ძიება სტუ-ენა, უ-სტუ-ენ-ს: უ-სტუ-ინ-ა ხერხდება. ამდენად, ნე ნესტუს განუყრელი ნაწილი არ უნდა იყოს“ [თოფურია, 1979, გვ. 68]. არნ. ჩიქობავა წერს: „სტურ- || სტუ-ირ... შდრ. ნე-სტუ- ... ზჰნა სტუ-ენ-ს...

ისწავებდენ ფსალმუნთა ნაცვლად სიმღერისა გინა თუ ნაცვლად სტურისა... ოქროპირ., 81r.

ნე-სტუ-: ... მახლმან განვლო ვორჯი მისი. მეუფისა ნესტუ... სვან., 176“ [ჩიქობავა, 1942, გვ. 82].

არნ. ჩიქობავას აზრით, სტუ-ში უ სუფიქსი უნდა იყოს, რომელმაც „შეიძლება ფუძის შიგნით გადაიადგილოს.

ძვ. ქართ. კიც-უ — ახ. ქართ. კვიც.

ნესტ-უ- → ნესუტ- („საყვირი“):

... ნესუტსა დაეციოთ... ახალსა ნესუტსა კეთილად სასწაულოვან:

დღესასწაულისა ზნისასა... ნესტუსა კმა უმაღლმსასა... უდაბნ., 51v“ [ჩიქობავა, 1942, გვ.87].

ნე- პრეფიქსი სპეციალურ ლიტერატურაში ნივთის კატეგორიის მაწარმოებელ მორფემადაა მიჩნეული [ჩიქობავა, 1942, გვ. 143].

სტუ- ძირის შესატყვისია მეგრულში შვიტ-ინ-ი „სტვენა“ [გელენიძე, 1979 გვ. 48]. როგორც კ. პ. შმიდტი მიუთითებს, გ. დეეტერსს ეკუთვნის სვანური ნეშტრალ „ნესტოები“ სიტყვის დაკავშირება ქართულთან [შმიდტი, 1962, გვ. 128].

მ. ჩანაშვილი მიუთითებდა, რომ ქართული ნესტო (ანატ.) ნესტუები (აკრავე) და სვანური სტურაზრ „ნესტოები“ ერთი და იგივე ფუძეებია [ჩანაშვილი, 1910, გვ. 67].

ამ აგებულებისა და შინაარსის ფუძეთა ერთმანეთთან დაკავშირება საეჭვო არ უნდა იყოს, თუმცა, როგორც ლ. გელენიძე აღნიშნავს, ნეშტრალ და სტურაზრ ფუძეები სვანურში მას ვერ დაუდასტურებია [გელენიძე, 1979, გვ. 48].

ღიალექტებში ნესტო||ნესტვი წარმოდგენილია შემდეგი ლექსიკური და ფონეტიკური ვარიანტებით. ნეშტვი-ი (ფშ.) საკრავე (სალამური, სტვირი); ნეშტვები (მოხ.) — ძარღვები.

ზემოთ მოყვანილი მასალა ნათლად გიჩვენებს, რომ, როგორც ივ. ჩანაშვილი მიუთითებს, ნესტო||ნესტვი ლექსემათა ძირითადი და ზოგადი მნიშვნელობა „ლულის მაგვარი აგებულების საგნისა თუ სხეულის“ აღნიშვნა იყო.

ამის დასამტკიცებლად შეიძლება განვიხილოთ სტვ- ფუძესთან დაკავშირებული სახელური თუ ზმნური ძირები.

მეგრულსა და ჰანურში სტვ- ფუძის შესატყვისი ზმნებია:

ჰან. სტვ-||სთვ : დუ-სტვ-ინ-უ

მეგრ. რ-შვ- : დუ-რშვ-ინ-უ

ქართ. სტვ- : და-უ-სტვ-ინ-ა [ჩიქობავა, 1939, გვ. 314].

ავტორი იქვე მიუთითებს, რომ „ქართულში „სტვენის“ გარდა „შტვენა“ (და „ფშტვენა“-ც) არის ღიალექტებში (მაგ. გურულში) მოცემული.

მეგრ. რშვ- უნდა იყოს სტვ → სვ-ს შესატყვისი (ტ-ს დაკარგვა ს-ს შემდეგ დასავლურ კილოებში და მეგრულში ბუნებრივია: სტუდენტი → სუდენტი...), რ-კი დართული ჩანს (ფონეტიკური დანაზარდია).

სტვ- კი საერთოა ქართულისა და ჰანურისათვის.

მნიშვნელობის მიხედვით სტვ-||რშვ- ძირი ქართულსა და ჰანურში სხვაობას არ იძლევა“ [ჩიქობავა, 1939, გვ. 315].

აქვე უნდა მოვიყვანოთ სვანური მასალაც: ლისტული (სტვენა), ზოსტული (სტვენს).

ამრიგად, სტვ- სამივე ქართველური ენისათვის საერთო ფუძეა, რომელიც საბას განმარტებით ნიშნავს ბაგით წივილს.

სტვ-საგანაა ნაწარმოები სტური — სასტინავი (საბა), რომელშიც გამოიყოფა -ირ სუფიქსი [ჩიქობავა, 1942, გვ. 82]. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დადასტურებულია სტივის ფონეტიკური ვარიანტი: — ფსტური. ქართული ენის დიალექტებში გვაქვს: ლეჩხ., ქვემოიმერულა. ფშტილი — წისქვილის ნაწილი, რომლისგანაც ბორბალს წყალ სცემს (მ. ჩიქოვანი); ფშტირი — ხის ვიწრო მილი კუდის წისქვილისა (იმერ.) (ზ. ჭყაბუაძე); გურულში — 1. სიმღერის ხმაა ერთგვარი (გ. შარაშიძე); 2. კუდიანი წისქვილის მილი, რომლისგანაც ბორბალს წყალი ესხმება (ს. ულენტი).

სტივის ნაცვლად ფსტივის ხმარების შემთხვევა ძველ ქართულში შეუნიშნავს ივ. ჭავჭავიძელს [ჭავჭავიძელი, 1990, გვ. 185]. განიხილავს რა ციტატებს ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან და აღიარებს მათ ბერძნულ, სომხურ და ლათინურ შესაბამის ძეგლებს, ივ. ჭავჭავიძელს მსჯელობს, თუ საკრავთა რომელ ჯგუფს განეკუთვნება სტივი. ჩვენთვის მთავარია, რომ სტივი ერთ-ერთი უძველესი მუსიკალური საკრავია, რომლის სახელიც ნაწარმოებია სტვენს ზმნისგან -ირ სუფიქსის საშუალებით და რომ იგი საერთოა სამივე ქართველური ენისათვის, და რომ ამ ფუძისაგან ნაწარმოებია საკრავების — ნესტვ-ს, ყვიროსტივისა და გუდასტივის სახელწოდებები.

თუ კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით ქართული ენის დიალექტებს. ვნახავთ, რომ გურულში გვხვდება ფშვიტინი (სტვენა), აჭარულში — შუშუკი — წისქვილის ნაწილი, ლურნის ვიწრო მილი, საიდანაც ბორბალს ეცემა წყალი (შ. ნიჟარ.); შუშუტი (ქიზიყ., თუშ., მესხ.) — მილი, გულღრუ ჯოხი, ძვალი, მასრა და მისთ. (ს. მენთემ.); მილი (ი. ბექურ. 137); წისქვილის წყლის შევიწროებული ბოლო წყლის შესამჭიდროებლად (ი. მაისურ.); შუშუტა (მოიულ.) — საღვებლის საცხობი ხისა, უფრო კი დიდგულასი, სიგრძივ ზერელი აქვს (ჰაერის) სამოძრაოდ (ს. მაკალ., დიალექტ., 569; ლ. კაიშ.); შუშუტუკი (თიან. ფშ.) — ცხვირის ზერელის დასაწყისი, ნესტო (ლ. ლეონ.); ცხვირის ნახვრეტი, ნესტო (ა. ჭინჭარ.); შუშუტნი (ხევსურ.) — პირუტყვის ცხვირის ქინტონი, ნესტოები (ა. ჭინჭარ., 239).

აქვე უნდა მოვიყვანოთ ილუსტრაცია ი. ყიფშიძის ლექსიკონიდან: მიშვიტია (რ. შტვენა, სტვენა) [ყიფშიძე, 1914].

როგორც ვნახეთ, ძველ და საშუალო ქართულში ლექსემა „ნესტო“ პოლისემიური ერთეულია. რაც შეეხება თანამედროვე ქართულს, ან მდგომარეობა შეცვლილია. ამ სიტყვით აღინიშნება მხოლოდ „ცხვირის ვარეთა ორ ზერელთაგანი ერთი“, თუმცა გაბატონებული მდგომარეობა მას მთლად არ მოუპოვებია, რადგან მის პარალელურად გვხვდება შესიტყვება „ცხვირის ღრუ“.

მოცემული ლექსემის მონოსემიურად ქცევას რამდენიმე არაენობრივი მიზეზი აქვს.

1) ნესტუ — რამაც საკრავი გა(ნ)ვერტილნი არიან, ნესტვად ითქვიან (საბა).

მნიშვნელობის გადმოსაცემად დღეს იხმარება სასულე და ჩასაბერი საკრავები. ე. ი. სტვენის აღმნიშვნელი სიტყვის ადგილი დაიჭირა სულის ჩაბერვის აღმნიშვნელმა სიტყვამ.

2) თვითონ საყვირი — ნესტუ დღეს აღარ გამოიყენება და მისი (არა მარტო მისი) ადგილი სხვა საკრავებმა დაიჭირეს.

3) ფუტკრის ფიჭის ნესტვი-ს მნიშვნელობით დღეს იხმარება ტერმინი უჯრა, უჯრედი, ე. ი. მოხდა ცნების გადაზრება ზოგადიდან (ხვრელი) კონკრეტულისაკენ (უჯრა).

4) სისხლის არტერიების აღსანიშნავადაც მედიცინაში სხვა ტერმინები შემოვიდა (ძარღვი, ვენა, არტერია და ა. შ.).

მაშასადამე, პოლისემიურ ლექსემას „დაეკარგა“ აღსანიშნი ობიექტები რამდენიმე მიზეზის გამო. ეს მიზეზები ძირითადად არაენობრივია.

მსგავსი მაგალითების დაძებნა შეიძლება როგორც ქართულ, ასევე სხვა ენებშიც

თავის დროზე, 1913 წ. ა. მეიემ წიგნში, რომელიც მიეძღვნა ბერძნული სალიტერატურო ენის ისტორიას, ყურადღება მიაქცია ფაქტებს, რომელთა შესახებაც მანამდე წერდნენ პირველყოფილი კულტურების მკვლევარნი. მისი აზრით, ჰომეროსის ეპოქაში ბერძნულ სიტყვებს უფრო ღიად ჰქონდათ შენახული თავისი შინაგანი ფორმა, ვიდრე შემდგომ პერიოდში. ამის ნიშანზე წარმოიშვა „ძლიერი სიტყვებისა“ (mots-forces) და „სიტყვა-ნიშნების“ (mots-signes) თეორია [მეიე, 1965, გვ. 119-132].

მეიე ასეთი მაგალითებით ახდენდა თავისი თეზისის ილუსტრირებას: ბერძნული *n̄sis* ძველად აღნიშნავდა „ძალას, რომელიც იწვევდა რაიმე ნივთისა თუ არსების ზრდას“. გვიან კი ეს სიტყვა აღნიშნავდა „ბუნებას“. ჰომეროსის ენაში *n̄pos* — ძილის გამომწვევი ძალაა და ძილია. შემდგომში ამ სიტყვამ დაკარგა ძალის აღნიშვნა. ასეთი სიტყვები თითქოს კარგავდნენ თავის შინაგან ფორმას, რაც დამახასიათებელი იყო მათთვის ენის ფუნქციონირების შორეულ ეპოქაში და თანდათან იქცეოდნენ „წაშლილ“ ნიშნებად, საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელად.

ამ მოსაზრებას იმეორებდა არაერთი გამოჩენილი მეცნიერი და მათ შორის ლ. ლევი-ბრიულიც [ლევი-ბრიული, 1930, გვ. XVI-XVIII]. თვითონ ფაქტი სიტყვის შინაგანი ფორმის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვანაირად აღქმისა, მოწმობს არა მარტო სიტყვების მოძრაობის, არამედ ადამიანის აზროვნების განვითარებაზეც. ჩვენთვის ეს საკითხი იმდენადაა საინტერესო, რამდენად აისახება და გამოიხატება იგი სიტყვებში მათი სემანტიკის ისტორიული ჩამოყალიბებისას.

ამ პრობლემას აქვს არა მარტო დიაქრონიული, არამედ სინქრონიული

მნიშვნელობაც. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ლექსება ბერას მნიშვნელობა ძველსა და ახალ ქართულში.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ბერას ორი მნიშვნელობაა მოყვანილი:

1. მოზღუდულში დატოვებული ვიწრო გასავალი (ჩვეულებრივ ცხვრის სამწყვდევად და საწველად). ბევრთა და ცოტას მწველენი სწორედ გავლიან ბერასა (დ. გურამ.) **0 ბერაში წველა ბაკში და მწყვდეული ცხვრის თითო-თითოდ გატარება ბერაში და რიგ-რიგობით მოწველა (შდრ. დარეულად წველა).** 2. ძვ., მრავალთაგან ზე აღმართული და გადაჯვარდინებული იარაღი (ხმალი, შუბი...), რომლის ქვეშაც გაატარებდნენ ხოლმე დამარცხებულ, ტყვედ ჩაგდებულ მტერს. **0 ბერაში გატარება გადატ. ეისიმე დამარცხება, ან დაშინება და შერცხვენა (შდრ. ალაიაში გატარება).** ყველა ჩვენს მჭამელ მძარცველსა ბერაში გაატარებენ (ბაჩ.)

ორივე მნიშვნელობის ერთ სიტყვაში გაერთიანება განპირობებულია აღსანიშნი რეალიის მსგავსებით. ამ რეალიას უფრო ზუსტად გამოხატავს საბას განმარტება: „ბერა შუა გასავლელი ZAB. ბერა ეწოდების, ორთა მჯარესა შეჭკრვენ და საშუალ კართა გასავალთა უზმნენ მეწველთა ცხოვართათვის, გინა მსგავსად მისსა რასამესთვის გასატარებლად Cab“. განსხვავება ის არის, რომ პირველ შემთხვევაში ბერა წარმოადგენს მოზღუდულს „ფიჩხის ან ქვის მრგვალი ღობით შემოვლებულს“, (ლონტი, 1984) ე. ი. ორმხრივ ღობეს ან ყორეს, ხოლო მეორე შემთხვევაში ესაა „ორი მწკრივი პირისპირ დამდგარ. ადამიანთა. **0 ალაიაში გატარება, გაძვრენა** ძვ. დასჯის სახეობა იყო: დასასჯელს ატარებდნენ ჯარისკაცთა ორ მწკრივს შორის. მწკრივში მდგომი ყველა დაარტყამდა დასასჯელს (წიებლას, ჯოხს...) გადატ. ადამიანის საჯაროდ შერცხვენა“ (ქეგლ), ე. ი. ესაა ადამიანთა საგანგებოდ მოწყობილი რიგი გარკვეული ქმედების შესასრულებლად.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქეგლ-ში მითითებულია „ბერაში წველაზე“. ამის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „ბერა წარმოადგენს ორს ერთმანეთის გასწვრივ აგებულს ყორეს, ორს მხარეზედ გახსნილს, იმდენი სიგრძე-სიგანისას, რომ ორას-სამასი ცხვარი დაეტიოს. ამ ყორეებს შუა განივრად გახსნილ მხრიდან მივიწროვებულ მხარისაკენ. ამ სივიწროებში ჩაუსხდებიან მწველავები. ცხვარს თითოობით იჭერენ და სწველავენ“ (მასალები, 1986, გვ. 117). „ცხვარს ბაკში შეჭკრიან. მწველავები ბაკის კარებთან დასხდებიან, დაიჭერენ ერთ ცხვარს, ჯერ ერთი მოსწველის, მემრე მეორე, მესამე... ბოლოს მეცხრე. სულ ყველას ხელში უნდა გაიაროს ცხვარმა, მემრე გაუშვებენ და წავა. ახლა მეორეს დაიჭერენ, ამავე წესით მოსწველიან [მასალები, 1986, გვ. 35].

ბერა გვხვდება ქართულურში, გულამაყრულში, მთიულურში, ქიზიყურში, ზემო აჭარულში, მოხეურში, მესხურში და ოკრიბულში. უმრავლეს

იემთხვევაში იგი ცხვრის საწველი მოზღუდულის აღმნიშვნელია, თუმცა უხვდება სხვა მნიშვნელობაც: ა) თივის დასამაგრებელი ხე (ვ. სომხიშვილი), ბ) ვაშლის ჯიშია ერთგვარი (შ. ნიჟარაძე), გ) წებვის (ქაჭის) საწნები მანქანის) ნაწილი (მ. ალავიძე)

ბერა² (ბერასი) ბავშვთა ზოგიერთ თამაშობაში — მონიშნული, ამორჩეული ადგილი (ქვა, ხე, შენიბის კედელი...), რომელსაც ბურთს მოარტყამენ, სადაც თამაშობის დროს თვალს ხუჭავენ და ა. შ. ბავშვებს ბერად მუხის ხე აერჩიათ (ქეგლ). ამ მნიშვნელობით ქართულში დედო || დედა-ც ვხვდებით.

თუ ზემოთ მოყვანილ ორ განმარტებას შევუდარებთ მესამეს — **ბერათითი**, **ბერაძს თითი** (ხევს., მოხ., ფშ., მთიულ.), **ცერი** (ა. შანიძე; ო. ქაჩია; ლ. კაიშაური) 1. პირველი, ყველაზე მსხვილი თითი ადამიანის ხელისა და ფეხისა. 2. მოჭრილი შტოს მსხვილი (მონაჭერი) მხარე (ალ. ლლონტი, 1984) და გავარკვევთ მის მიმართებას ლექსემასთან **ბერი**: 1. ბებერი, მოხუცებული, დიდი ხნის (ადამიანი)... || საერთოდ, დიდი ხნისა, ბებერი (რამ)... 0 ხევის ბერი კუთხ. (მთ.) ხევის უფროსი, მოთავე, წინამძღოლი (როგორც საერო, ისე რელიგიურ-საკულტო საქმეებში). 2. ეკლ. საეკლესიო ძმობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული (ქეგლ), ძნელი არ იქნება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ბერი შეიძლება იყოს ასაკოვანი ადამიანი; მოთავე, წინამძღოლი, უფროსი (თანამდებობით); ე. ი. აქ პიროვნების ფუნქციურ უპირატესობას განსაზღვრავს არა მარტო ასაკი, არამედ მისი პიროვნული თვისებები, უნარი და უფლება გარკვეული დანიშნულების აღსრულებაში (აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ისტორიულ პერიოდში (კერძოდ, თბილისში ამირას ბატონობის დროს) თბილისის მართვაში მონაწილეობდნენ ბერიკაცები). აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ **ბერათითი** გააზრებულია როგორც მთავარი, დიდი, მსხვილი (თითებს შორის უფროსი). (ცერისა და უფროსის (მეგრ. უნჩაში) მიმართების შესახებ იხ. მაჭავარიანი, 1997). ასევე ნათელი ხდება **ბერ- || ბერა-ს** მნიშვნელობა კომპოზიტებში: **ბერკეტი** 1. საყრდენ წერტილზე მოძრავად დაყენებული ქელაკი, რომელიც მცირე ძალის მეშვეობით დიდ ძალას აწონანსწორებს და შესაძლებელს ხდის ცოტა ძალით მძიმე ტვირთი ამირას (სინონ. აზარმაცი, ოწინარი)... 2. დიდი კეტი (ქეგლ); **ბერფუყი ფუყი** და დაბერებული, გამოფიტული (მცენარე); **ბერაჩუჩუა** (ზ. იმერ.) სოკოა ერთგვარი (ბ. წერეთ.); **ბერკავი** (ქსნის ხეობ.) მორკალული ხე, რომელიც მარხილის ბოლოზე წნელით არის დამაგრებული (ვ. სომხიშ.); **კაკიბერა** (ლეჩხ.) სამზარეულო სახლში შუაცეცხლის პირდაპირ ზევით გადებული დირე, რომელზედაც საქვაზე ჰკიდია. ... ოთხკუთხედად შეკრული გათლილი ხეების ნაგებობა. მასზე ჩრდილში-კვამლში ახმობდნენ დამარბილებულ ღორის ხორცს. იქვე დამაგრებდნენ საქვაბესაც (მ. ალავე, 1951).

ამ ფუძეებში დადასტურებული ბერ- II ბერა დიდი ზომის აღმნიშვნელი ლექსებმა უნდა იყოს. მაგალითად, ბერკავი ასე დაიშლება ბერ-ძელი-კავი- ბოლოში მოკაყული, მოკაუქებელი რკინა (ჯოხი); კაკიბერა ← კაკვის ბერა, კაკვის ძელი... ყველა შემთხვევაში ბერ- II ბერა მიუთითებს საგნის სიდიდეზე (ან მის ძირითად ფუნქციაზე). ე. ი. ბერ- II ბერა მსაზღვრელია, რომელიც ამაგრებს მარხილზე დაწყობილ ტვირთს; კაკი-ბერა — მთავარ ძელი, რომელზეც დამაგრებულია საქვაბური.

აღ. ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონში ბერა მახვილის სინონიმია: „მახვილი, ხმალი, გორდა (მოკლე უვადო ხმალი), გორდანხალი, ლეკურა (უვადო ხმალი, გინა ლეკეთისა“ — საბა), ფრანგული, დათვიფერული აფთი („მახვილი ბრტყელი და ტანგრძელი“ — საბა), საბარკალი (მოკლე ხმალი, ცხენზე დასაკრავი), დაშნა (მოკლე სწორი ხმალი), გველისპირა-ლი, ჩელთი (ფართო მახვილი), ბერა (ბერაში გატარება), ვაზრი. ვარიონი (ცულის მსგავსი, ტყავის საფხეკი ხმალი), კალდიმი; მოძვ. ხრმალი, ვარდენი“.

თუ გავიზიარებთ ავტორის ვარაუდს, რომ ბერა მახვილის ერთ-ერთი სახეა, მაშინ მართლაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერაში გატარება ნიშნავს მახვილებში გატარებას; მაგრამ ერთ წინააღმდეგობას მაინც წავაწყდებით კერძოდ, გვექნებოდა გამოთქმა ბერებში გატარება და არა ბერაში გატარება, რადგან ამ რიტუალისას საქმე გვაქვს გადაჯვარედინებულ მახვილთა ერთობლიობასთან. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საისტორიო მწერლობა არ იცნობს მახვილის ასეთ სახელწოდებას. ამდენად ბერა მახვილის მნიშვნელობით, ჩვენი აზრით, შეცდომითაა სინონიმთა ლექსიკონში მოყვანილი.

სიტყვის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში სხვა მიმართულებით უნდა იყოს განვითარებული. ბერა აქ უნდა მიემართებოდეს ბერა თითს, ოღონდ წინ წამოვიდა არა ფუნქცია (უფროსი, მთავარი), ან სიდიდე საგნისა, არამედ მისი გარეგნული ფორმა. ბერა, ჩვენი აზრით, უნდა აღნიშნავდეს არც ადგილს, რომელსაც ქმნის ცერი ხელის სხვა თითებთან. ზე აღმართული და გადაჯვარედინებული მახვილები ან შუბები, ისევე როგორც ცერი ხელის სხვა თითებთან მიმართებაში, ქმნიან სამკუთხა შემოზღუდულ სივრცეს. სწორედ ასეთ შემოზღუდულ სივრცეში გატარებას უნდა ვარაუდობდეს ბერაში გატარება. თუ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას და გავითვალისწინებთ იმას, რომ ბერაში გატარება დაკავშირებული იყო გარკვეულ სასაქლოთან, მაშინ ამ რიტუალთან ძნელი დასაკავშირებელი არ იქნება ბერაში წველა (მოზღუდულში წველა), როცა ერთ ცხვარს ცხრა ათი კაცი წველის მორიგეობით (კაკიტაძე, 2002, გვ. 201-205).

ცნობილი ფსიქოლოგი ფ. პოლანი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ კლასიციზმის ეპოქის (XVII ს.) ფრანგი მწერლებისათვის სიტყვებთან დამოკიდებულება გამოიხატება პრინციპით — „სიტყვა — პირველ ყოვლი-

სა ნიშანია“, მაშინ, როცა ფრანგი რომანტიკოსებისათვის „სიტყვა მკითხველსა და მსმენელზე ზემოქმედების საშუალებაა“ [პოლანი, 1929, გვ. 17]. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიეცა და ლევი-ბრიულთან შედარებით სულ სხვა სფეროს ვეხებით, შეხების წერტილები მაინც არის. კერძოდ: ენასთან ადამიანების დამოკიდებულება იცვლება არამარტო მათი აზროვნების განვითარებასთან კავშირში ჩვენთვის შორეულ ეპოქებში, არამედ დღესაც, ენის სხვადასხვა ფუნქციებთან კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ პირველ შემთხვევაში საქმე ეხებოდა საყოველთაო ენას, ხოლო მეორე შემთხვევაში შეგნებულად გადამუშავებულ სალიტერატურო ენას.

ისმის კითხვა, თუ რა კავშირშია სიტყვების განვითარების საკითხი და სიტყვებში ლოგიკური და ფსიქოლოგიური ურთიერთგავლენის საკითხი?

როგორც ცნობილია, ჯონ ლოკს მიეწერება ასეთი თეზა: „გონებაში არაფერია ისეთი, რაც უპირველესად არ ყოფილა გრძნობაში“. ეს თეზა გაცხოველებით განიხილებოდა სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობაში. წარმოიშობა საკითხი: რა გავლენას ახდენენ ლოგიკური და გრძნობითი საწყისები სიტყვებზე, მათ მნიშვნელობასა და გამოყენებაზე? ამ მხრივ საინტერესოა ლ. რეზნიკოვის პოზიცია: „სიტყვების მნიშვნელობაში ექსპრესიული მომენტის არსებობა დაიყვანება მისთვის ემოციური შეფერილობის მიცემაზე. მაგრამ ემოციური შეფერილობის ჩართვა არ ნიშნავს მნიშვნელობაში უშუალოდ განცდების გადატანას... წარმოთქმული ან მოსმენილი სიტყვები სიუვარული, სინაზე, ბოროტება და ა. შ. შეიძლება უშუალოდ არ განვიცადოთ, მაგრამ ეს განცდები არის რეპროდუქციები, რომლებიც ჩართულია სიტყვის მნიშვნელობაში“ [რეზნიკოვი, 1958, გვ. 76-77]. ამასთანავე, რაც უფრო ზოგადია ცნება..., მით მეტ მნიშვნელობას იძენს სიტყვის გრძნობითი ფორმა [რეზნიკოვი, 1958, გვ. 18-19].

უნდა ითქვას ისიც, რომ ლექსიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ლოგიკურისა და გრძნობითის შეფარდება სიტყვაში, არის რა მუდმივი შეფარდება (მუდმივი სიდიდე). ეპოქებისდა მიხედვით იცვლის ფორმასა და ტაპებს. რამდენადაც შეუმჩნეველია ეს ურთიერთგავლენა გარედან, მით უფრო დამახასიათებელია პოლისემიური სიტყვების შინაგანი მნიშვნელობების „განაწილებისას“.

ბენვენისტი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ადამიანის ენა იმდენად ღრმად და ორგანულადაა დაკავშირებული თავად ადამიანის პიროვნული თვისებების გამოხატავსთან, რომ თუ მას ჩამოვაცილოთ ამ კავშირს, საერთოდ ვერ შეძლებს ფუნქციონირებას“ [ბენვენისტი, 1966, გვ. 261]. ასეთივე მოსაზრებები აქვთ გამოთქმული სხვა დარგების სპეციალისტებსაც. მაგალითად, ცნობილი ფიზიკოსი ლუი დე ბროილი მიუთითებდა, რომ თითქმის ყველა აღმოჩენა ფიზიკაში არის შედეგი აბსტრაქტული ლოგიკისა და მეცნიერების გრძნობითი ინტუიციისა [ბროილი, 1967, გვ. 47]. იმდენად, რამდენადაც „ადამიანის პიროვნული თვისებების“ განვი-

თარება ითვლება ცივილიზაციის ისტორიული განვითარების პრობლემა. ამდენად სიტყვაში ლოგიკური და გრძნობითი საწყისების უწყვეტი განვითარების პრინციპი არის ენის ლექსიკის სრულყოფისა და განვითარების პრობლემა ცივილიზაციის სრულყოფის ფონზე.

ზემოთ მოყვანილი დებულება მნიშვნელოვანია სიტყვის თეორიისათვის, რამდენადაც იგი ხშირად ხდებოდა დავის საგანი. ისეთი ცნობილი მეცნიერიც კი, როგორც ა. პოტებნია, თვლიდა, რომ რაც უფრო გადახრილია სიტყვის მნიშვნელობა, მით ნაკლებ მნიშვნელობას იძენს მის ფორმირებაში მისივე გრძნობითი ელემენტები, რომლებიც დამახასიათებელი იყო მისთვის განვითარების წინა საფეხურზე [პოტებნია, 1926, გვ. 126]. ეს მოსაზრება იმის შედეგია, რომ პოტებნია უარყოფდა სიტყვის პოლისემიას და თვლიდა, რომ ყოველი ახალი მნიშვნელობა ეს არის ახალი სიტყვის ჩამოყალიბების პროცესი. ამ დებულებით პოტებნია უარყოფდა არა მარტო ცალკეული სიტყვების მნიშვნელობათა ისტორიულ განვითარებას, არამედ ენის განვითარებას საერთოდ.

ამავე დროს პოტებნია თავის ნაშრომებში არ მისდევდა ამ დებულებას და ფაქტობრივი მასალის ღრმა ანალიზის საფუძველზე გვიჩვენა ცნებით და გრძნობით მნიშვნელობათა დიალექტიკა სხვადასხვა ენათა ლექსიკის ჩამოყალიბების პროცესში.

ასეთი „გრძნობითი“ მნიშვნელობები სიტყვისა ცოცხლობს არა მხოლოდ ერთ ასპექტში, წარმოიქმნება არა „ინდივიდუალურ მეში“, არამედ ცოცხლობს საერთო — სახალხო ენაში და გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში.

ასე შეიძლება გამოიყოს ერთმანეთისაგან სიტყვის „გრძნობითი შეფერილობის“ ორი ძირითადი ტიპი: ზოგადენობრივი შეფერილობა, რომელსაც აქვს უმთავრესი მნიშვნელობა სიტყვის მოძრავი პოლისემიისათვის და ინდივიდუალური შეფერილობა, რომელიც არაენობრივია და ცოცხლობს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე კონტექსტში. რასაკვირველია, აღნიშნული დაყოფა ყოველთვის არაა თვალსაჩინო. მაგრამ თვითონ პრობლემის სირთულე ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას სიტყვის პოლისემიის გააზრებისას, სიტყვის უწყვეტი მოძრაობის გაგებისას.

თანამედროვე ენაში ერთნაირად საყურადღებოა სიტყვა გულის სხვადასხვა მნიშვნელობა: 1) 1. ღრუკუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვების შედეგად ამოძრავებს სისხლს სისხლის მილებში. 2. ადამიანის სხეულის ის ნაწილი, რომლის არეშიცაა მოთავსებული ეს ორგანო, — მკერდი. 2. საერთოდ რისამე (საგნის, სხეულის, ორგანიზმის, სისტემის...) ყველაზე შიგნითა, შინაგანი ნაწილი. ნაყოფის ნაწილი. ცენტრთან ყველაზე ახლო მყოფი ადგილი, რისამე ყველაზე ღრმა ან ცენტრალური ნაწილი. ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი ადგილი. 3. ცენტრი, წყარო, საწყისი სულიერი და გონებრივი ცხოვრებისა. ემოციები

და გრძნობები, აქტივობის განცდები, ყურადღება, შემეცნების პროცესები, პიროვნების ფსიქოლოგიური თვისებები; 4. გულის-პირი, საგულე (ტანსაცმლისა); 5. ფანდურის ან ჩონგურის მუცელზე მიკრული თხელი ფეცარი; 6. სათამაშო ქაღალდში (ბანქოში) ერთი ოთხ სახეობათაგანი. ამ სიტყვის მეორე, მესამე და ა. შ. მნიშვნელობები (გრძნობითი წარმოდგენლობისა) არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პირველი (საგნობრივი მნიშვნელობა). ისტორიული ლინგვისტიკისა და ისტორიული სემასოლოგიის წინაშე დგას ამოცანა, რომელსაც აქვს ზოგადთეორიული და პრაქტიკული ასპექტები: როგორ ფორმირდება ასეთი ურთიერთობა და რა სახითაა წარმოდგენილი ის ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე.

ენათა ისტორიული განვითარების პროცესში ყალიბდება ისეთი საშუალებები, რომლებსაც შეუძლიათ გადმოცენ არა მარტო ლოგიკა და ლოგიკური კატეგორიები, არამედ ადამიანის მრავალმხრივი გრძნობები და ემოციები.

ლექსიკის განვითარების შესწავლისას არ შეიძლება გამოირიცხოს ერთი ენის მეორეზე ზეგავლენა. მოვიყვანოთ ასეთ მაგალითი: ფრანკული ლექსიკონების მიხედვით შესიტყვება *chemin de fer* „რკინისგზა“ თარიღდება 1823 წ. გასაგებია რომ ამ საუკუნის ბოლოს ამ შესიტყვების „მოყენების სიხშირე იზრდება. ცნების შესიტყვებით გადმოცემისას ენას ვარკვეული სიძნელე უჩნდება. მან იწყო გამოსავლის ძიება. იტალიურს ასეთი სიძნელე არ ჰქონია. XIX ს-ის მეორე ნახევარში ამ ენაში უკვე იყო *ferrovia* (რკინის გზა). მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული *chemin de fer* წარმოიშვა იტალიურ *ferrovia*-ზე ადრე, მაგრამ ეს უკანასკნელი შეიქმნა ფრანგული *ferroviaire*-ს გაჩენის მიზეზი. ერთ ეტაპზე ერთი ენა დაეხმარა მეორეს, სხვა ეტაპზე მეორე ეხმარება პირველს და ამიტომ ხდება ენობრივი სიძნელეების არიდება.

მოჰყავს რა მსგავსი მაგალითები, მკვლევარი აფიქსირებს სესხების ფაქტს, მაგრამ არ აცეთებს რაიმე ზოგად დასკვნებს [პოპე, 1971, გვ. 445], არ გამოყოფს იმ ზოგად ტენდენციებს, რომლებიც უწყობს ან უშლის ხელს ენის სრულყოფას, არ მიუთითებს, თუ როგორც გამოდის ენა ამა თუ იმ რთული სიტუაციიდან.

აქვე დაისმის კითხვა: თუ სიტყვათა განვითარებასთან საკითხი მეტნაკლებად გასაგებია, რა ხდება ენის სისტემაში. იცვლება მხოლოდ სიტყვა, ხოლო სისტემა უცვლელია?

ლექსიკას, როგორც ცნობილია, არა აქვს ისეთი მკაცრი კორელაციური კატეგორიები, როგორც ფონეტიკას ან გრამატიკას. ამიტომ „ცალკეული ელემენტების როლი ლექსიკაში უფრო არსებითია, ვიდრე ფონეტიკაში ან გრამატიკაში. ამასთანავე „ცალკეული ელემენტები“ ანუ სიტყვები ლექსიკაში არ რჩება ერთეულებად და ისინი ჩაითრევენ ხოლმე სხვა სიტყვებსაც, რომლებსაც ამ უკანასკნელთან აქვთ ურთიერთობა. ამიტომ

ცალკეული სიტყვების განვითარება რომელიმე ენაში, რომელიმე ეპოქაში, მოწმობს მთელი ლექსიკური ფონდის განვითარებას. **ზოგადი და კონკრეტული ლექსიკასა და სემასიოლოგიაში მჭიდროდაა დაკავშირებული.**

ლექსიკის განვითარება და სრულყოფა თითოეულ ისტორიულ ეპოქაში მის შესაძლებლობებსა და ადამიანთა მზარდ მისწრაფებას შორის წინააღმდეგობაშია. ასეთი წინააღმდეგობა გამოხატავს ენის განვითარების შინაგან პროცესს და ორგანულადაა დაკავშირებული აზროვნებასთან. ლექსიკის სრულყოფა არ დაიყვანება მის რიცხოვნებასთან. მაგრამ მნიშვნელოვანია მისი თვისობრივი ცვლილებები. მნიშვნელოვანია ის ფონიკ. რომელზეც ხდება ეს ცვლილებები. ეროვნული ენის ჩამოყალიბების პროცესში ლექსიკის სრულყოფა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ადრინდელ ეპოქაში. ეს კი მიუთითებს ენის განვითარების შინაგანი და გარეგანი პირობების ურთიერთობაზე სხვადასხვა ეპოქებში.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ლექსიკის დიფერენციალურ შესაძლებლობები ენის სრულყოფის პროცესში უნდა გავიგოთ ძალიან ფართოდ. ის შეიძლება შეეხოს არა მარტო სემანტიკას, არამედ სიტყვაწარმოებას. შეხამების საშუალებას, მათ სტილურ შეფერილობას და ა. შ.

თავი მეორე

სიტყვის მნიშვნელობა და კულტურა

§ 1. სიტყვის მნიშვნელობა

ლინგვისტურ ლიტერატურაში სიტყვის მნიშვნელობის გაგების საკითხში სამი მიმართულება გამოიკვეთა. მნიშვნელობა გაგებულია როგორც დამოკიდებულება, როგორც ფუნქცია კონტექსტში ან სიტუაციაში და როგორც სახე, ანარეკლი რაიმესი ობიექტურ სინამდვილეში. ამ მიმართულებათაგან პირველი მომდინარეობს ნიშნის სოსიურისეული განსაზღვრებისაგან, რომლის მიხედვითაც მნიშვნელობაში იგულისხმება კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, ასოციაცია ცნებათა და სიტყვის აკუსტიკურ მხარეს შორის; სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში ობიექტური სინამდვილის ასახვა მთლიანად უგულებელყოფილია. „ნიშანი, — წერს პ. გირო, — არის სტიმული, ასოცირებული სხვა სტიმულით. სიგნიფიკაცია — ეს ფსიქიკური პროცესია, ყველაფერი ხდება „შემეცნებაში“ [ულმანი, 1951, გვ. 70].

ეს თვალსაზრისი ახლოს დგას მნიშვნელობის, როგორც ერთი ნიშნის მეორესთან დამოკიდებულების განსაზღვრასთან. ასე რომ, მნიშვნელობა უთანაბრდება ღირებულებას.

აქედან შორს აღარ არის სიტყვის მნიშვნელობის კონტექსტისა და სიტუაციის საშუალებით განმარტებამდე. „სიტყვის მნიშვნელობა, — წერს ფ. ვიტგენშტეინი — ეს არის გამოყენება“ [ვიტგენშტეინი, 1953, გვ. 20]. „მნიშვნელობა ყოველთვის შეიძლება განისაზღვროს როგორც გარემოცვა“ — თვლის ე. ნაიდა [ნაიდა, 1949]. ასეთი ოპერაციონალისტური მიდგომა მნიშვნელობისადმი გამომდინარეობს მნიშვნელობაზე, როგორც ენის სისტემის ნიშნად ერთეულზე წარმოდგენიდან. „ოპერაციულ მეთოდს აუცილებლად მივყავართ სტრუქტურალურ შეხედულებამდე ენაზე, როგორც გარკვეულ ერთობაზე, გელშტატზე, რომელშიც ყველა ელემენტი დამოუკიდებელია და მნიშვნელობას იძენს საერთო სისტემიდან [ულმანი, 1956, გვ. 19]. ოპერაციონალისტურ განსაზღვრებას უახლოვდება მნიშვნელობის რამდენიმე ბიპევიორისტული განსაზღვრებაც. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პ. ოსგუდის, გ. სოუსის და პ. ტანენბაუმის წიგნი „მნიშვნელობის განზომილება“ [ოსგუდი, 1957]. ამ წიგნში წარმოდგენილი მიდგომა უახლოვდება ლ. ბლუმფილდის მოსაზრებას, რომელიც თვლიდა, რომ მნიშვნელობა შედგება სიტუაციისგან, რომელშიც მოლაპარაკე წარმოთქვამს ამა თუ იმ ლინგვისტურ ერთეულს, და რეაქციისაგან, რომელსაც ეს ერთეული იწვევს მსმენელში [ბლუმფილდი, 1933, გვ. 139]. „გაზომვის“ მეთოდისას მიჰყავს მსმენელის რეაქცია ცალკე, კონტექსტისა და სიტუაციის

გარეშე, აღებული სიტყვის რეაქციაზე. ამ ტიპის რიგ ნაშრომებში განასხვავებენ situational meaning (სიტუაციური მნიშვნელობა) და behavioural meaning (ქცევის მნიშვნელობა)-ს.

მნიშვნელობის შინაარსი, როგორც ლინგვისტური ერთეულისა, დამოკიდებულია გამოსაცდელის შეხედულებებსა და გემოვნებაზე და დაიყვანება მის იდეოლოგიაზე. ფ. ნეზბიტი თვლის, რომ სიტყვის მნიშვნელობა არაა დამოკიდებული რეალობაზე და მთლიანად დამოკიდებულია ამ სიტყვის გამოყენებული ადამიანის შეხედულებებზე, მის იდეოლოგიაზე [ნეზბიტი, 1956].

ეს დასკვნა, რომელიც ექსპერიმენტს ეყრდნობა, არაა დაზღვეული სუბიექტივიზმისაგან. მეთოდის მიხედვით კეთდება მნიშვნელობის შემდეგი სქემა: ძირითადი მნიშვნელობა, კონტექსტური მნიშვნელობა ← სემანტიკა; სტილისტიკა → ექსპრესიული ნიშანი, სოციალური ნიშანი.

საპირისპირო მოსაზრებებია მოცემული ა. სმირნიცკის სტატიაში „სიტყვის მნიშვნელობა“. აქ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა განსაზღვრულია როგორც ფსიქიკური წარმონაქმნი, რომელიც სინამდვილეს ასახავს. მაგრამ მიუთითებს, რომ სიტყვა შეესაბამება არარსებულსაც, რომელიც ადამიანის წარმოდგენებშია მოცემული; არც ბგერადობა, არც დასახელებული საგანი არაა მნიშვნელობის ნაწილი [სმირნიცკი, 1955, გვ. 79-90]. ვ. ა. ზვიეგინცევი წიგნში „სემასიოლოგია“ გამოყოფს მნიშვნელობის სამ სახეს: 1. საგნობრივი (შეესაბამება დასახელებულ საგანსა და მოვლენას); 2. ლოგიკური (ცნება); 3. ფუნქციონალური, რომელიც განისაზღვრება სიტყვის მდგომარეობით ენის სისტემაში. სიტყვას ახასიათებს მნიშვნელობის სამივე სახე, — მიუთითებს ავტორი. მისთვის ემოციურ-სტილისტური შეფერილობა არაა მნიშვნელობის მახასიათებელი. ზოგი მკვლევარი ზახს უსვამს მნიშვნელობის კავშირს ცნებასთან და ამტკიცებს მათ იგივეობას. „სიტყვის მნიშვნელობა — წერს ლ. კოვტუნი, — ესაა ცნების რეალიზაცია ენობრივი სისტემის გარკვეული საშუალებებით... ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ სიტყვის მნიშვნელობისა და ცნების ადეკვატურობაში“ [კოვტუნი, 1955, გვ. 77].

ვ. ბოგუსლავსკი მიუთითებს, რომ „სიტყვით მნიშვნელობაში ცნების გარდა შედის ემოციური, სტილისტური, და ესთეტიკური შეფერილობებიც“ [ბოგუსლავსკი, 1957, გვ. 248].

ნ. ამოსოვა სტატიაში „სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის შესახებ“ ამბობს, რომ სიტყვა ორი კონგრედიენტისაგან შედგება — ბგერითი ფორმისა და აზრობრივი შინაარსისაგან, რომლებიც დაუშლელი ერთობაა. სიტყვა, ისე როგორც ყოველი ენობრივი ერთეული, ორმხრივია, დიქოტომიურია. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა მის მიერ განისაზღვრება, როგორც სიტყვის შესაბამისობა მოვლენის გარკვეულ

აზრებასთან. ამასთან, იზოლირებულად აღებული სიტყვა მიემართება არა უშუალოდ საგანს, არამედ ცნებას საგნის შესახებ. ეს მიმართება იზოლირებულ სიტყვაში პოტენციურად არსებობს და რეალიზდება მხოლოდ მის საკომუნიკაციო აქტში გამოყენებისას. ცალკე აღებული სიტყვა მეტყველების პროცესში იძენს აგრეთვე ნომინაციურ ფუნქციასაც განსაზღვრავენ რა სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას ცნებითი და საგნობრივი მიმართებები, ამით მისი შინაარსი არ ამოიწურება. მნიშვნელობაში შედის აგრეთვე სიტყვის ლექსიკური მოდალობა. ეს უკანასკნელი გულისხმობს სიტყვის ემოციურ და სტილისტურ შეფერილობას. ავტორის მიერ ემოციური შეფერილობა განიხილება, როგორც მოლაპარაკის დამოკიდებულება ცნებასა და საგანთან: ხოლო სტილისტური შეფერილობა — როგორც მოლაპარაკის დამოკიდებულება სამეტყველო სიტუაციასთან, რომელშიც ხორციელდება კომუნიკაციის აქტი [ამოსოვა, 1957].

სხვა სტატიაში ნ. ამოსოვა განიხილავს ცნებებს „კონტექსტი“ და „სამეტყველო სიტუაცია“. კონტექსტი განისაზღვრება როგორც „სიტყვის გამოყენების უშუალო ენობრივი პირობა, როგორც სამეტყველო მთლიანობა, რომელიც განაპირობებს სიტყვის განსაზღვრულ ლექსიკურ მნიშვნელობას და კომპონენტად შედის ამ სამეტყველო მთლიანობაში“ [ამოსოვა, 1958]. კონტექსტში ნ. ამოსოვა განიხილავს ტექსტის ნაწილს, რომელშიც მოცემული სიტყვა შედის. სამეტყველო სიტუაცია გაიგება როგორც გარკვეული მეტყველების, სიტყვის მეტყველებაში გამოყენების ექსტრალინგვისტური პირობა.

გ. კლიჩკოვის აზრით, სიტყვის მნიშვნელობა ფსიქიკური წარმონაქმნია, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში საგნის, მოვლენის განზოგადებულ ასახვას ემყარება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა განიხილება, როგორც ცნების იდენტური. ამასთანავე, მიუთითებს ავტორი, ამ სიახლოვემ არ უნდა დაგვაბნოს, — სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, ლინგვისტური კატეგორიაა, რომელიც დაკავშირებულია სიტყვის გრამატიკულ დახასიათებასთან და განპირობებულია მისი ფუნქციონირებით მოცემული ენის ლექსიკურ სისტემაში, სემანტიკური და ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიებით, სინტაქსური კონსტრუქციებით, რომელშიც იგი გამოიყენება. ცნება, როგორც აზრი საგანზე, რომელსაც აქვს ზოგადი განსხვავებული ნიშნები, არაა დაკავშირებული ამ წმინდა ლინგვისტურ მახასიათებლებთან [კლიჩკოვი, 1961, გვ. 105].

ენის ერთეულებიდან, პირველ ყოვლისა, სიტყვა წარმოადგენს ბგერადობისა და მნიშვნელობის ერთობას და ამ თავისი მეორე მხარით ასახავს სინამდვილეს ისე, როგორც ყოველი ფსიქიკური წარმონაქმნი არის აახვა, ასლი, ანაბეჭდი, სურათი ობიექტური სინამდვილისა. ამასთან

ნავე, მიუთითებს კლიჩკოვი, მნიშვნელობა არის არა უბრალო ფსიქიკური წარმონაქმნი, არამედ საზოგადოებრივი რაობა და ენის სისტემაზე და მოკიდებული კონკრეტულად, რომელი ასახვა სინამდვილისა, ცნობიერებაში ასახული მისი რომელი ნაწილი იქცევა მოცემული სიტყვი შინაგან მხარედ.

სინონიმებს, რომლებსაც ლოგიკურად ერთი და იგივე აზრი აქვს და დაკავშირებული არიან ერთსა და იმავე ცნებასთან, ხშირად აქვს სხვადასხვა შეხამება, სხვადასხვა „ვალენტობა“ და, შესაბამისად, სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობა. მნიშვნელობის განსაზღვრისას მკვლევარნი სხვადასხვანაირად უკავშირებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა:

1. დასახელებული საგანი
2. დამკვიდრებული ცნება
3. ენის სისტემის მდგომარეობა და სიტყვათა შეხამება (ფუნქციონალური მნიშვნელობა)
4. ემოციურ-სტილისტური შეფერილობა [კლიჩკოვი, 1961. გვ. 106].

ტერმინ მნიშვნელობის პარალელურად კლიჩკოვი იყენებს ტერმინს „სიტყვის სემანტიკური ვარიანტი“. რომელშიც იგი გულისხმობს ენაში დამკვიდრებული სიტყვის შინაგანი შინაარსის ნებისმიერ მოდიფიკაციას. იქნება ეს საკუთრივ მნიშვნელობა, მნიშვნელობის „ელფერი“ ან სიტყვის გამოყენება, ასევე ტერმინი არსი, რომელშიც მოიაზრება სიტყვის რეალური შინაარსი კონტექსტში, ცნება, რომელიც დაკავშირებულია სიტყვასთან მისი გამოყენების მოცემულ შემთხვევაში.

ზემოთ მოყვანილი ფაქტორებიდან სიტყვის შინაგან მხარეში, მის აზრობრივ სტრუქტურაში ერთ-ერთი შეიძლება იყოს მთავარი ფაქტორი სიტყვით საჩუქარი შეიძლება გამოიხატოს ფხვსაქმელები, გემი, წიგნი და ა. შ., მაგრამ მისი მნიშვნელობა არ შეიცვლება. პირდაპირი მიმართება საგანთან აქ არა გვაქვს. სიტყვის მნიშვნელობა იმდენად ასახავს სინამდვილეს, რამდენადაც ენა მთლიანად და, შესაბამისად, ყველა ენობრივი ერთეული დამყარებულია სინამდვილის ასახვაზე. მნიშვნელობის ძირითად ფაქტორად გამოდის გაგება საგნისა, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა ვინმეს. წინა პლანზე ლოგიკური ფაქტორი გამოდის არა მარტო ისეთ სიტყვებში, როგორიცაა კენტავრი და ფერია, არამედ აბსტრაქტული მნიშვნელობის მქონე სიტყვებში.

სხვა შემთხვევებში ლექსიკურ მნიშვნელობებში წინა პლანზე გამოდის საგნობრივი ფაქტორი, ხოლო ლოგიკური სახე იჩრდილება. ამის მაგალითად კლიჩკოვს მოჰყავს ჩხიკვი. საზოგადოების ცნობიერებაში არაა დამკვიდრებული საკმარი ნიშნები ჩხიკვისა, მიუთითებს ავტორი, რომ იგი არ აგვერიოს სხვა გარეულ ფრინველში. ჩვეულებრივი საუბრის დროს ცნება ჩხიკვი არ გვხვდება. ამავე დროს სიტყვა ჩხიკვი აერთიანებ.

ცნებას „ერთი სახე ჩიტებისა“ ან „გარეული ფრინველების ერთი სახეობა“. აქ ძირითად როლს თამაშობს საგნობრივი ფაქტორი, ანუ ფაქტი, რომ ასეთი სახე ფრინველებისა არსებობს ბუნებაში. ვითარება იცვლება, როცა სიტყვა ჩხიკვი გამოიყენება როგორც ორნიტოლოგიური ტერმინი და მკვიდრდება მეცნიერული ცნება. ამ შემთხვევაში ზოგადი გაგება ცვლის კერძოს. სიტყვას აქვს აშკარად გამოკვეთილი ნომინაციური ფუნქცია.

ხშირია შემთხვევები, როცა სიტყვაში წინ წამოიწევეს მნიშვნელობის ფუნქციონალური ფაქტორი მაშინ, როცა საგნობრივი მნიშვნელობა იქნეს აბსტრაქტულ ხასიათს ან იკარგება სიტყვის სხვადასხვა გამოყენების დროს. თითოეულ კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ გარეგნულად იერთებს ახალ მნიშვნელობას (მაგალითად ცნება ყლაპვა იერთებს მიღების მნიშვნელობას, როცა ლაპარაკია წამლის მიღებაზე). გვაქვს შემთხვევები, როცა სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში წინ წამოიწევეს ექსპრესიულ-სტილისტური, ემოციური მნიშვნელობა, ხოლო საგნობრივი, ლოგიკური და ფუნქციონალური მნიშვნელობები იბინდება. ეს ყველაზე ხშირად ხდება ტაბუირებულ სიტყვებში.

ადამიანს უყალიბდება უამრავი ცნება, მაშინ, როცა ენობრივი ლექსიკა განსაზღვრულია. „ცნებების საფუძველზე, რომლებიც ენის სისტემაში ცალკეული სიტყვებით გამოიხატება, მუდმივად ყალიბდება ახალი ცნებები, რაც მიიღწევა აზროვნებაში ერთსიტყვიანი ცნებების შეხამებით, სოლო მეტყველებაში სიტყვების ერთმანეთთან შეწყობით“

ასე რომ, ცნებაზე, რომელიც წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის საფუძველს, იდება ცნება, რომელიც წარმოიქმნება მოცემული სიტყვის სხვა სიტყვასთან შეთანხმების საფუძველზე. „ხელმძღვანელობს რა კონტექსტით, მოლაპარაკე მექანიკურად უმატებს ან აკლებს სიტყვის ზოგად მნიშვნელობას სემანტიკურ ელემენტებს, რომლებიც კონტექსტის შემადგენელი ნაწილებია და არა მოცემული მნიშვნელობისა“ [კურილოვიჩი, 1955. გვ. 75].

სავსებით შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე ცნება, გამოხატული ერთი სიტყვით და არა სიტყვაშეხამებით, სიტყვასთან მხოლოდ გარეგნულად აღმოჩნდება დაკავშირებული და არ შედის მის შინაარსობრივ სტრუქტურაში. ასე მაგალითად, ინგლისური ზედსართავის lurid-ის შინაარსობრივ სტრუქტურაში შედის ცნება „შავი ფერის, ბნელით მოცული“, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ეს სიტყვა დაკავშირებულია ცნებებთან „სასიკვდილოდ ფერმიხდილი“ (lurid face), „მეწამული“ (lurid sky), „შავი“ (lurid night).

ზემოთქმულიდან გამოდინარეობს, რომ სტილისტურად შეზღუდული სემანტიკური ვარიანტი სიტყვისა სინამდვილეს ასახავს არა უშუალოდ, არამედ სხვა ლექსიკური ერთეულების საშუალებით და ცნებები, რომ-

ლებიც საფუძვლად უძევს ამ ვარიანტს, გარეგნულად ერწმის მოცემულ ბგერით გარსს და არ შედის სიტყვის სტრუქტურაში. ამიტომ მოცემული სემანტიკური ვარიანტი შეზღუდულია, ენაში მისი არსებობა არასრულფასოვანია. სემანტიკური ვარიანტების ასეთი ურთიერთობა გამოხატულია რუსულ სიტყვებში (ანატ. — ძარღვი და ძენწი), (ფრინველი და ჭორი), ინგლისურში baggage (ბარგი და უვარგისი ქალი), muff (ტექნ. ქურო და უვიცი ადამიანი), brick (აგური და ყოჩაღი), ფრანგულში veine (ძარღვი და განწყობა), clou (ლურსმანი და ლომბარდი), paquet (ყულფი და ცუდად ჩაცმული კაცი), mouche (ბუზი და ჯაშუში) და ა. შ.

ყველა მოყვანილ მაგალითში ერთ-ერთი სემანტიკური ვარიანტი სტილისტურად და ფრაზეოლოგიურად შეზღუდულია და სიტყვასთან ცნების შესაბამისობა გარეგნულია და ეს შესაბამისობა თავს იჩენს გარკვეულ კონტექსტში და არ არის სიტყვის შინაგანი სტრუქტურის, მნიშვნელობის მახასიათებელი. ასეთ შემთხვევაში ცნება გამოდის არა როგორც მნიშვნელობა, არამედ სიტყვის აზრი.

ამავე დროს ცნება „სიტყვის აზრი“ გარკვეულ პირობებში შეიძლება იქცეს მის მნიშვნელობად, უფრო სწორად, ერთ-ერთ მნიშვნელობად თუ სიტყვის სემანტიკური ვარიანტის შექმნაში წამყვან როლს ასრულებს მნიშვნელობის ცვლის საგნობრივ-ლოგიკური ფაქტორი, ლოგიკური კავშირი ცნებებს შორის აადვილებს სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში იმ ცნების შესვლას, რომელიც მხოლოდ გარეგნულად არის სიტყვასთან დაკავშირებული, მხოლოდ განსაზღვრულ სიტყვათშეხამებაში. ამ ცნების შეღწევა სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში განსაზღვრავს შესაბამისი სემანტიკური ვარიანტის გადაქცევას სიტყვის მნიშვნელობად. მაგალითად, ქუდის ძირითადი მნიშვნელობა ცნობილია. მაგრამ იმ ადამიანების მეტყველებაში, რომლებიც საგაზეთო საქმესთან არიან დაკავშირებული, ეს სიტყვა იძენს სხვა მნიშვნელობას „რამდენიმე სტატიის საერთო სათაური“. აქ მნიშვნელობის გადატანა მოხდა მდებარეობის მიხედვით. ეს სემანტიკური ვარიანტი თავდაპირველად მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენებოდა და ცნება „რამდენიმე სტატიის საერთო სათაური“ არ შედიოდა სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში. ამ ვარიანტებს შორის კავშირმა განაპირობა ახალი ცნების შესვლა სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში და ახალი მნიშვნელობის წარმოქმნა.

მეტყველების იმ ნაწილებში, სადაც მნიშვნელობის ლოგიკური ფაქტორი უკანა პლანზე დგას, საქმე სხვაგვარადაა. როცა არა გვაქვს ლოგიკური კავშირი სიტყვის სემანტიკურ ვარიანტებს შორის, ცნებები ნაკლებად აღწევენ სიტყვის აზრობრივ სტრუქტურებში. ისინი მხოლოდ ფუნქციონალურად არიან სიტყვასთან დაკავშირებული, ხოლო თვითონ სიტყვის მნიშვნელობა ხდება უფრო და უფრო აბსტრაქტული და უფრო და უფრო იზრდილება სიტყვების სხვადასხვა გამოყენებისას.

თუ გავიაზრებთ მოსაზრებას რომ ერთი სიტყვა მხოლოდ ერთ ცნებასთანაა დაკავშირებული, მაშინ როგორ აიხსნება რომელიმე N სიტყვის სემანტიკური ვარიანტების არსებობა? ამტკიცებენ (ვ. ზვიგენცევი), რომ სიტყვა დაიშალა ომონიმებად, მაგრამ როდის დაიშალა, რა რად დაიშალა, ამას ჩვენ ძნელად თუ გავიგებთ, რადგან თითოეული წყვილი ბუნებელი სემანტიკური ვარიანტისა სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში მტკიცე სემანტიკური კავშირითაა გაერთიანებული. უფრო სწორი იქნება აღვნიშნოთ, რომ სიტყვა, მიუხედავად მასში რამდენიმე ცნების დამკვიდრებისა, არ დაშლილა. ლექსიკური მნიშვნელობის ფუნქციონალური ფაქტორი აქ დაიჩრდილა სიტყვის სემანტიკური ვარიანტების საგნობრივ-ლოგიკური კავშირით. აბსტრაქტული მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ყველა სემანტიკური ვარიანტისთვის ყოფილიყო საერთო, არ წარმოქმნილა; სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ ცვდება სხვადასხვა გამოყენებისას. პირიქით, წარმოიქმნება ახალი ლექსიკური მნიშვნელობები „სიტყვის საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობა შეიძლება იყოს ერთგვარი, ერთიანი, მაგრამ წარმოადგენდეს შინაგანად დაკავშირებულ სხვადასხვაგვარ მიმართულებას, სინამდვილის სხვადასხვა ერთეულების სისტემას“ — აღნიშნავს ვ. ვინოგრადოვი [ვინოგრადოვი, 1953, გვ. 10].

როცა ცნება შედის სიტყვის სტრუქტურაში, ქმნის ახალ მნიშვნელობას და მჭიდროდ უკავშირდება მის ბგერით გარსს, მაგრამ სრული იგივეობა ცნებასა და მნიშვნელობას შორის არა გვაქვს. მნიშვნელობა ყოველთვის ატარებს ლინგვისტურ მახასიათებლებს, რომლებიც დაკავშირებულია სიტყვის მეტყველებაში ფუნქციონირებასთან, მის ლექსიკურ ვალენტობასთან, სხვადასხვა მეტყველების ნაწილის კუთვნილებასთან და ა. შ. ამის გარდა, სიტყვის მნიშვნელობა, რომლითაც აისახება ობიექტური სინამდვილე ჩვენს შემეცნებაში, ხშირად მოიცავს არა მარტო ცნებას, არამედ სახეებს, წარმოდგენებს; ანუ ჩვენს შემეცნებას გრძნობის ორგანოების საშუალებით უწყვეტად მიეწოდება ობიექტური სინამდვილის სურათები, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ ბგერადობასთან. ეს თავის მხრივ განსაზღვრავს სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობას. მაგ. ძველი ინგლისური scip და თანამედროვე ship-ს აქვს განსხვავებული მნიშვნელობები, რადგანაც შეიცვალა ჩვენი წარმოდგენები გემებზე. ერთდროულად იცვლება შესაბამისი ცნებები, რომლებიც სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებშიც თავისუფლდებიან საგნის ასახვის ცალკეული სახეებისგან. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში, როცა საგნობრივ-ლოგიკური ფაქტორები აღემატება ფუნქციონალურს, მნიშვნელობა თავისი არსით უფრო მდიდარია ცნებაზე და მოიცავს სახეებსაც (წარმოდგენებსაც). მნიშვნელობაში მოიაზრება არა მარტო საგნების განმასხვავებელი ნიშნები, არამედ ყველა მახასიათებელი ნიშანი, რომელიც აღიქმება გრძნობის ორგანოების მიერ.

როგორც ცნობილია, იასამნისფერი (ლილისფერი) არის საყოველთაოდ აღიარებული ფერი იასამნისთვის (არსებობს თეთრი და წითელი იასამანიც), მაგრამ ფსიქიკურ წარმოდგენებში, რომლებიც დაკავშირებული არ არის ამ სიტყვის ბგერით კომპლექსთან, გაიაზრება ეს ნიშანიც. რომელიც, პირდაპირ გამომდინარეობს ნაწარმოები ზედსართავის სემანტიკიდან.

არაზოგად და არაგანმასხვავებელ ნიშანთა სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში დამკვიდრება არ ეწინააღმდეგება სიტყვის მახასტრავირებელ ხასიათს. სიტყვის უნარი არაა თავიდანვე მოცემული და სტატისტიკური. აზრი საგანზე შეუძლებელია ენობრივი გარსის გარეშე. ამიტომ აზრის განზოგადების პროცესი შერწყმულია ენობრივ ფორმასთან, სიტყვასთან. რაც თავის მხრივ შეუძლებელია, თუ სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში არ ხდება განზოგადების ხარისხით გამორჩეული ცნებების ურთიერთზემოქმედება წარმოდგენებთან დაკავშირებულ ცნებებზე. აბსტრაქციის პროცესი შეუძლებელია სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში არა ზოგადი და არაგანმასხვავებელი ნიშნების დაუმკვიდრებლად. ისევე როგორც ცნებებს შინაარსი, რომელიც მკვიდრო დიალექტიკურ კავშირშია სიტყვასთან. არ შეიძლება შეივსოს ახალი ნიშნებით, რომლებიც არსებითია აღსანიშნისაგანისათვის.

სემანტიკური ანალიზის ძირითადი სიძნელე ის არის, რომ ენობრივ სინამდვილე იძლევა უამრავ გარდამავალ შემთხვევას, სადაც მნიშვნელობის საგნობრივ-ლოგიკური და ფუნქციონალური მხარეები რთულ ურთიერთდამოკიდებულებაშია ერთმანეთთან, სადაც ძნელია გამოიყოს სემანტიკური პროცესის ძირითადი ფაქტორი.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ:

1. სიტყვისა და ცნების შეფარდება, ყოველთვის არაა ერთგვარი. სიტყვების სხვადასხვა ლექსიკურ-გრამატიკულ კლასებში ის შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

2. არსებობს სიტყვისა და ცნების კავშირის ორი ძირითადი სახე. პირველი გულისხმობს ცნების, როგორც მისი შინაგანი მხარის სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში შესვლას, ბგერით გარსში გარკვეული ცნებების დამატებას; მეორე ტიპის დროს ცნება მხოლოდ მოჩვენებითად. გარეგანულად უერთდება სიტყვას განსაზღვრულ სამეტყველო კონტექსტში.

3. პირველი შემთხვევა გვაქვს, როცა სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში ძლიერია საგნობრივ-ლოგიკური ფაქტორი, მეორე კი — როცა ძლიერია მნიშვნელობის ფუნქციონალური ფაქტორი.

4. სიტყვისა და ცნების კავშირის ორ ძირითად ტიპს შეესაბამება პოლისემიის ორი სახე: ერთი მხრივ, სიტყვას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობა; მეორე მხრივ, სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთი მნიშვნელობა, რომელიც აერთიანებს სიტყვის სხვადასხვა სემანტიკურ ვარიანტს, რომლებიც არ წარმოადგენენ მნიშვნელობას.

ლექსიკოლოგის წინაშე მუდმივად დგას ერთი და იგივე საკითხი — როგორ შევიშალოთ ობიექტური კრიტერიუმები ლექსიკური მნიშვნელობის უფრო ზუსტი და სრული აღწერისათვის? სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ენის განვითარების ცალკეულ კონკრეტულ პერიოდში არის სემანტიკური კომპონენტების — სემების განსაზღვრული წესით ორგანიზებული კომპლექსი. ამ ცნების გამოსახატავად ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინი: „სემა“, „ფიგურა“, „შინაარსობრივი პლანის ფიგურა“, „სემანტიკური მამრავლი“, „სემანტიკური შემადგენელი“, „სემანტიკური განმასხვავებელი“, „ცნების ელემენტარული ნაწილაკი“, „სემანტიკური პრიმიტივი“, „სემანტიკური ნიშანი“ და სხვა.

სემანტიკურ კომპონენტში გულისხმობენ ლექსიკური მნიშვნელობის მინიმალურ სემანტიკურ ერთეულს, რომელიც ასახავს საგნის (მოვლენის ან ცნების) ამა თუ იმ კონკრეტულ ნიშანს, რომელსაც შეესაბამება მოცემული ლინგვისტური მნიშვნელობა.

ლექსიკური მნიშვნელობის თითოეული სემა დეტერმინებულია ამა თუ იმ საგნის, მოვლენისა და ცნების კონკრეტული ნიშნით. ზოგიერთ ნაშრომში მითითებულია, რომ ლექსიკური მნიშვნელობის დაყოფა სემებად უსაზღვროდ შეიძლება, მისი ზღვარი დამოკიდებულია სიტყვით აღნიშნულ დენოტატის შესახებ ადამიანის ცოდნის ზღვარზე, მაგრამ პრაქტიკული მიზნების გადაწყვეტისას ის შემოზღუდულია დასახული ამოცანით [პოპოვა, 1984, გვ. 38]. ამ მოსაზრებას საეჭვოა დაეთანხმო, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად ლექსიკური მნიშვნელობის სემებად დაყოფა არ შეიძლება იყოს უსაზღვრო, ისევე, როგორც შეუძლებელია განუსაზღვრელი იყოს საგანთა ის ნიშნები, რომლებიც შეეფარდებიან ლექსიკურ მნიშვნელობას. სწორედ ლექსიკური მნიშვნელობის „მომკვებლობა“ განსაზღვრავს სემების საბოლოო შემადგენლობას. რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას სემების სემანტიკურ სტატუსზეც. ასახავს რა დენოტატის ცალკეულ ნიშანს, რომელიც ობიექტურად ახასიათებს მნიშვნელობას, ცალკეულ სემას არა აქვს დამოუკიდებელი სემანტიკური სტატუსი. მიუხედავად ამისა, სემა მაინც არის სემანტიკური აღწერის სრულყოფილი კომპონენტი, რაც განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ვლინდება, როცა იგი ხდება ამა თუ იმ ლექსიკური სიმრავლის ინვარიანტად ან წარმოადგენს მისი წევრების დიფერენციალურ ნიშანს. ლექსიკური მნიშვნელობა კი ხასიათდება დამოუკიდებელი სემანტიკური სტატუსით, რაც წარმოადგენს კიდევ მის ონტოლოგიურ არსს. სწორედ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, სიტყვის ფორმასთან ერთად, ქმნის ისეთ უნიკალურ ენობრივ ერთეულს, როგორიცაა სიტყვა. ლექსიკური მნიშვნელობის სემებად პრეპარაცია წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც აუცილებელია სემანტიკური ანალიზის გარკვეული სახისათვის.

ლექსიკური მნიშვნელობა სემების კომპლექსია, რომელსაც აქვს რო-

გორც მარტივი, ასევე შედარებით რთული სემანტიკური აგებულება ეს კი განპირობებულია ენობრივი ნიშნის დეტონატთან სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით. რიგ სიტყვებში დენოტატი დაკავშირებულია კონკრეტულ საგანთა წარმოდგენასთან. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები უფრო რელიეფური და გამოკვეთილია. სხვა სიტყვებისათვის დამახასიათებელია უფრო ზოგადი ცნებების ობიექტივაცია, რომლებშიც აისახება რეალური სინამდვილის უფრო რთული მოვლენები. სწორედ ასეთ განზოგადებულ ცნებებში ძვეს ლექსიკური მნიშვნელობის სიგნიფიკაციის სფეროს არა ერთი რომელიმე, არამედ განმსაზღვრელ ნიშანთა განვითარების შესაძლებლობები. ეს კი ართულებს სიტყვის სემანტიკურ აგებულებას, მასში დამატებითი აზრობრივი ელემენტების გამოვლენას.

სმოლინა განიხილავს ქონების, საკუთრების აღმნიშვნელ სიტყვებს XI-XVII საუკუნეების რუსულ ენაში და მიუთითებს, რომ ქონების ცნება ამ პერიოდის ენაში იყო საკმაოდ რთული და მოიცავდა არა ერთ, არამედ რამდენიმე სხვადასხვა ნიშანს. ცნების სირთულეს განაპირობებდა სიტყვათა სემანტიკური შედგენილობა, მათი მრავალსემიანობა. ქონების აღმნიშვნელ სიტყვათა მნიშვნელობაში, მიუთითებს იგი, გამოიყოფა მეტნაკლებად ზოგადი სემები. ძირითადი სემანტიკური ვარიანტი, რომელიც აერთიანებს მთელ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს, არის განმსაზღვრებელი სემა: „მატერიალური ფასეულობების ერთობა, როგორც საგანთა ფლობა, საკუთრება, ქონება ზოგადად“. უფრო კონკრეტული სემა აღნიშნავს საკუთრების განსაზღვრულ სახეს (მაგ. მოძრავი საკუთრება). კონკრეტისა ციის შემდეგი საფეხურია — სემები, რომლებიც აღნიშნავენ კონკრეტულ მიმოქცევაში გამოსაყენებულ საგნებს, ნივთებს. მათი განსაზღვრა, — მიუთითებს ავტორი, — განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სემანტიკის ისტორიული შესწავლისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სემათა კონფიგურაციის შესწავლა — მდგრად და არამდგრად სემათა გამოვლენა, მათი გადანაწილების შესწავლა. ყველა ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია როგორც ცალკეული სიტყვის (როცა აუცილებელია აზრობრივი განვითარების ეტაპების დადგენა), ასევე სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების ისტორიული შესწავლისთვის (როცა სემანტიკური კომპონენტების გამოვლენა სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებში გვეხმარება განვსაზღვროთ მათ შორის არსებული ცნებითი კავშირების სხვადასხვა ტიპები და თვალყური მივადევნოთ ამ კავშირების ცვლილების დინამიკას ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე). არსებობს სემების გამოყოფის რამდენიმე მეთოდი: 1) ექსპერიმენტის, 2) კომპონენტური ანალიზის [სილივერსტოვი, 1975], 3) ლექსიკონთა დეფინიციის საშუალებით [უფიმცევა, 1984], 4) დისტრიბუციული ანალიზის მეთოდი [მიხნევიჩი, 1968]. უეჭველია, მიუთითებს სმოლინა, რომ

...ტორიკოს-სემასიოლოგისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული ლექსიკონების მონაცემები, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვიტონ როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადთეორიული ლექსიკურ-სემასიოლოგიური პრობლემები. ამასთანავე, როცა გამოიყოფა მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტები და დასადგენია მათი სემანტიკური ევოლუცია, არაა საკმარისი ამ ლექსიკონებზე დაყრდნობა, რადგანაც ისინი არ მოიცავენ სიტყვის გამოყენების ყველა შემთხვევას.

სემანტიკური კომპონენტების განსაზღვრის ერთ-ერთ ობიექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს სინტაგმატური და პარადიგმატული კავშირების შესწავლა როგორც ვ. ვინოგრადოვი მიუთითებდა „სიტყვის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო მისი ურთიერთობით ცნებასთან, რომელიც ამ სიტყვის მეშვეობით გამოიხატება, ის დამოკიდებულია... მისი გამოყენების კონტექსტებში, სხვა სიტყვებთან მისი ლექსიკური კავშირებით, რაც დაფუძნებულია მოცემული ენის სიტყვათა შეხამების კანონებზე [ვინოგრადოვი, 1977, გვ. 165].

აქვე მოვიყვანთ ლ. იელმსლევის მოსაზრებას: „მნიშვნელობა, რომელიც აქვს თითოეულ მინიმალურ ერთეულს, ძირის ჩათვლით, უნდა გავიგოთ, როგორც კონტექსტუალური [იელმსლევი, 1960, გვ. 264-390]. აბსოლუტურ იზოლაციაში არც ერთ ნიშანს არა აქვს რაიმენაირი მნიშვნელობა; სებისმიერი ნიშნური მნიშვნელობა წარმოიშობა კონტექსტში, რომელშიც ჩვენ ვგულისხმობთ სიტუაციურ ან ექსპლიციტურ კონტექსტს“.

მნიშვნელობის საკითხის განხილვისას საყურადღებოა ის საკითხები, რომლებიც სტ. ულმანის შრომებშია განხილული. მნიშვნელობის ანარეკლები ზოგჯერ იმდენად ბუნდოვანი და მაცდურია, — მიუთითებს იგი, რომ მათი ზუსტად ჩამოთვლა შეუძლებელია. ხშირად არ არსებობს საზღვარი ანარეკლებსა და მნიშვნელობას ან ერთი და იმავე სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობას შორის. ამავე დროს, თითოეული ენობრივი სისტემისათვის დამახასიათებელია პოლისემიის განსხვავებული ფორმები და ტიპები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მთელი ენობრივი სისტემის შინაგან სტრუქტურასთან. მაგ.: ფრანგულის მსგავს ენებში პოლისემია გასაგები მიზეზების გამო ფართოდ უნდა გავრცელებულიყო. ერთი მხრივ, ფრანგულ ენაში პოლისემიის მიზეზად ითვლება მისწრაფება არამოტივირებული სიტყვებისაკენ და რთული და ნაწარმოები სიტყვების სიმკირე; იმის ნაცვლად, რომ შექმნას ახალი სიტყვები, ფრანგული იყენებს ენაში არსებულ სიტყვებს და ანიჭებს მათ ახალ მნიშვნელობებს.

ასე რომ, თითოეულ ენაში იქმნება თავისებური, განსაკუთრებული, ზუსტი წონასწორობა სხვადასხვა მეთოდებს შორის, რომლებითაც სარგებლობს ენა. რათა შეავსოს გარღვევები (თავისუფალი ადგილები) ლექსიკაში. შემდეგ, პოლისემიის სხვა ძლიერ სტიმულად ფრანგულში ითვლება მისი აბსტრაქტული ხასიათი: იმ შემთხვევაში, როცა გერმა-

ნული თითოეული დამატებითი მნიშვნელობისათვის იყენებს განსაკუთრებულ სიტყვას, ფრანგული კმაყოფილება ზოგადი მნიშვნელობის სიტყვით, რომელიც კონტექსტს ანიჭებს შესაფერისი მნიშვნელობის ანიჭების საშუალებას.

კონფლიქტი ერთი სიტყვის შეუთავსებელ მნიშვნელობებს შორის ყოველთვის და ყველგან არსებობს. ამასთანავე, ზოგიერთ ენაში მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდი დგას ორაზროვნების საშიშროების წინაშე... ისტორიულ და გეოგრაფიულ მონაცემებზე დაკვირვება გვიჩვენებს, თუ როგორი იყო ეს კონფლიქტები [ულმანი, 1962, გვ. 17-44].

ს. ულმანის შრომების ღირებულებაზე ხაზგასმითაა მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც ნათქვამია, რომ „ერთადერთი ცდა შეიქმნას სემანტიკის ჩამოყალიბებული სტრუქტურალისტური თეორია“ ეკუთვნის ს. ულმანს. მისი შრომები იმსახურებენ ყურადღებას იმიტინგს, რომ 1) სემანტიკის საკითხები მათში განხილულია ზოგადლინგვისტურ პრობლემატიკის ფონზე; 2) მათში განზოგადებულია XIX-XX საუკუნეების სემანტიკური სკოლების გამოცდილება 3) ახლებურადაა დაყენებული რამდენიმე ძირითადი საკითხი სემანტიკისა, 4) არის ცდა გადაილახოს „სემანტიკის კრიზისი“, და 5) სხვადასხვა ენის სემანტიკური სისტემის კვლევისას გამოყენებულია ზოგადი პრინციპები.

სხვა სტრუქტურალისტების მსგავსად, ს. ულმანი უარყოფს ლინგვისტიკის ტრადიციულ დაყოფას ფონეტიკად, მორფოლოგიად, სინტაქსად და სემანტიკად. ლინგვისტიკის დაყოფის ძირითად ასპექტებად წარმოდგენილია ენობრივი ნიშნების ანალიზი, მათი ფუნქციებიდან გამომდინარე. მათი შინაგანი სტრუქტურები და მათი დამოკიდებულება დროსა და სივრცეში ძირითად ნიშნებად, ანუ ენობრივ ერთეულებად ს. ულმანს მიაჩნია ფონემები, სიტყვები და სინტაგმები. ფონემის ფუნქციას წარმოადგენს მნიშვნელობის განსხვავება, მიუხედავად იმისა, რომ მათ მნიშვნელობები არ აქვთ. სიტყვები აღნიშნავენ საგნებს, ხოლო სინტაგმები გამოხატავენ მათ შორის დამოკიდებულებებს. ეს ერთეულები შეისწავლება ფონოლოგიაში, ლექსიკოლოგიასა და სინტაქსში.

ამ სამხრე დაყოფას ეფუძნება ორმხრივი დაყოფა, რომელიც არ მოიცავს ფონოლოგიას, რადგანაც ფონემებს არ აქვთ მნიშვნელობა. ულმანი განასხვავებს ენობრივი ნიშნის ორ მხარეს: გარეგანს (აღმნიშვნელს), და სემანტიკურს (აღსანიშნს). ლექსიკოლოგია შესაბამისად იყოფა ლექსიკურ მორფოლოგიად (აქ შედის სიტყვაწარმოება) და ლექსიკურ სემანტიკად. ხოლო სინტაქსი — სინტაქსურ მორფოლოგიად (ურთიერთობის ფორმალური ხერხების ანალიზი) და სინტაქსურ სემანტიკად (მათი ფუნქციების ანალიზი).

ენობრივი ნიშნების განხილვა დროსა და სივრცეში იძლევა ახალ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც თითოეული ლინგვისტური დისციპლი-

ნა იყოფა ორ ნაწილად და ჯამში გვაძლევს ათს. ამ ათიდან ულმანი განიხილავს ორს: სინქრონულ და დიაქრონიულ ლექსიკურ სემანტიკას.

ლექსიკური სემანტიკის ცენტრალურ ცნებად ითვლება მნიშვნელობის ცნება, რომლის ანალიზი მიმდინარეობს ოგდენ-რიჩარდსის სამკუთხედის მიხედვით, რომელიც სამ ელემენტს შეიცავს: სიმბოლო (სიტყვის ბგერითი კომპლექსი), აზრი საგანზე და თვითონ საგანი. სიტყვის ბგერით მხარეს ულმანი უწოდებს სახელს, აზრს საგნებზე (ცნებას) — არსს. ფ. სოსიურის მსგავსად. ულმანი უარს ამბობს საგნისა და აზრის ურთიერთობის ანალიზზე, როგორც ლოგიკის საგანზე. მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც „ურთიერთდამოკიდებულება სახელისა და აზრისა, რომელიც აძლევს მათ საშუალებას ერთმანეთში გამოიწვიონ წარმოდგენები“. ამ ფუნქციონალური მნიშვნელობის განსაზღვრიდან გამოდის სინქრონიული და დიაქრონიული სემანტიკის ყველა კატეგორია.

რიგ შემთხვევებში მნიშვნელობა არის ერთი სახელის დამოკიდებულება ერთ ცნებასთან. ასეთი დამოკიდებულება წარმოადგენს მარტივ მნიშვნელობას. უფრო რთულ სიტუაციაში ერთი ცნება შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე სახელთან, ან პირიქით, — ერთი სახელი შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე ცნებასთან. ასეთ თანაშეფარდებას ეწოდება რთული მნიშვნელობა.

მარტივი მნიშვნელობის მახასიათებლებია: 1) სახელთა შეფარდებითი მოტივირებულობა; 2) ფარდობითი ბუნდოვანება ცნებისა, რაც აიხსნება აბსტრაგირების პროცესების თავისებურებებით და თვით საგნების მოხაზულობის ბუნდოვანებით, 3) ცნებისა და სახელის უნარით ჰქონდეთ განსაზღვრული ემოციური მახასიათებლები.

ს. ულმანი მკვეთრად განაცალკევებს სახელთა პირობითობას, როგორც აბსოლუტურ თვისებას და მათ მოტივირებულობას, როგორც შეფარდებით თვისებას. გამოყოფილია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სემანტიკური მოტივაციები. ფონეტიკური მოტივაცია მჭიდროდაა დაკავშირებული მარტივი მნიშვნელობის ემოციურ ელემენტებთან. ამ ემოციურობის შინაგან საფუძველს წარმოადგენს სახელების ემოციონალური მახასიათებლები და ცნება. აქ ულმანს მოჰყავს სიტყვები — თავისუფლება, სამართალი, ტირანია, რომლებიც, მისი აზრით, ასრულებენ ექსპრესიულ ფუნქციას. ემოციურობის გარეგნულ წყაროდ მიჩნეულია არქაიზმები, ნაისუნები სიტყვები, ტექნიკური და სხვა ტერმინები და ა. შ.

მარტივი მნიშვნელობის ეს თვისებები ახასიათებს ასევე რთულ მნიშვნელობასაც, რომლის დამატებით მახასიათებელს წარმოადგენს სინონიმია (ერთი სიტყვა — რამდენიმე ცნება), პოლისემია, (ერთი სახელი — რამდენიმე ცნება). ამ კატეგორიების ანალიზისას ულმანი აყენებს რამდენიმე ახალ და საინტერესო იდეას.

ავითარებს რა შ. ბალის მოსაზრებას სინონიმური რიგის, როგორც

ასოციაციური ჯგუფის შესახებ, ულმანი განიხილავს რამდენიმე დიაქრონიულ ტენდენციას, კერძოდ, სინონიმების კონტამინაციის ფორმალურ პროცესს, სინონიმების სემანტიკური ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესებს. ასიმილაციის ძირითად შემთხვევებს წარმოადგენს სინონიმური ანალოგია, რომლის მიხედვითაც მოცემული სინონიმური რიგის სატყეები იძენენ ახალ მნიშვნელობას, თუ ეს მნიშვნელობა მიიღო ამ რიგის რომელიმე სიტყვამ. დისიმილაცია ვლინდება სინონიმების კონკურენციასა და დიფერენციაციის ცნობილ პროცესში. ს. ულმანი ამ პროცესს თვლის სინონიმური ჯგუფების სიმტკიცის მაჩვენებლად, რომ სინონიმი მართლაც ასოცირდება შემეცნებაში.

დიაქრონიული სემანტიკის კატეგორიებზე მსჯელობისას ს. ულმანი გამოდის იქიდან, რომ სინქრონიასა და დიაქრონიას შორის არსებობს განუწყვეტელი კავშირი.


დიაქრონიული სემანტიკის ორ მთავარ პრობლემას წარმოადგენს სემანტიკური ცვლილებები და სემანტიკური კანონი. ს. ულმანი წერს: „თუ მნიშვნელობა წარმოადგენს სახელისა და ცნების ურთიერთკავშირს, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ სემანტიკური ცვლილება ხდება იმ შემთხვევაში, როცა ცნება იძენს ახალ სახელს, ხოლო სახელი — ახალ ცნებას“. სემანტიკური ცვლილება მიმდინარეობს ლინგვისტური კონსერვატიზმის ან სემანტიკური ინოვაციის შემთხვევაში. მნიშვნელობის ცვლისას, რომელიც გამოწვეულია ინოვაციით, შესაძლებელია ორი მთავარი მოვლენა: სახელისა და ცნების გადატანა. ამასთან ყურადღება ექცევა იმას, მნიშვნელობის გადატანა ხდება მსგავსების ასოციაციის საფუძველზე თუ ასოციაციების აღრევის შედეგად. მნიშვნელობის ცვლილების ამ უნივერსალური ტიპების გარდა ს. ულმანი წარმოგვიდგენს მოსაზრებებს სემანტიკური ცვლილება არსის შესახებაც.

აპრესიანის აზრით, ს. ულმანის მიზანი მიღწეულია. მან შეძლო ეჩვენებინა სემანტიკური ველის სტრუქტურალისტური თეორიისა და მნიშვნელობის ცნების შეთავსება. უფრო დაწერილებითი ანალიზისას ჩანს, რომ კრიზისის გადალახვა, ისევე როგორც ამ კრიზისის არსებობა, ილუზორულია. პირველ რიგში, აღნიშნავს ავტორი, სინთეზი მიღწეულია „ფუნქციონალური მნიშვნელობის“ ცნების გაგებაზე, საფუძველზე, რომელიც ტრადიციულ სემანტიკასთან კავშირში არ შეიძლება იყოს. ს. ულმანმა შეძლო ეჩვენებინა მხოლოდ ის, რომ მისი სისტემა მიესადაგება სემანტიკური ველის თეორიას. მეორე, ეს თეორია წარმოადგენს ცნებებისა და ცნებითი ღირებულების სისტემის კვლევის მეთოდს, და არა სემანტიკური მოვლენების ანალიზის მეთოდს. სტრუქტურალიზმთან და სემანტიკასთან მას მხოლოდ ირიბი კავშირი აქვს. ფაქტია, რომ ენის სემანტიკური მხარე ნაკლებ სისტემურია, ვიდრე მორფოლოგია ან ფონოლოგია. ფონოლოგიური და მორფოლოგიური ერთეულების ღირებულებას აქვს წმინდა-

კრამატიკული ხასიათი, რადგანაც ისინი განისაზღვრება ერთი რიგის დაპირისპირებულ ერთეულად. ბრუნვის კატეგორია მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ არსებობს ამ ნიშნით დაპირისპირებული ორი ფორმა მაინც. ასეთი ოპოზიცია სემანტიკაში არა გვაქვს. კერძოდ, სიტყვა მაგიდის ენაში არსებობა განპირობებულია არა იმით, რომ ენაში არის სიტყვები სკამი ან კარადა. არამედ გარეგნული მიზეზით, ე. ი. სინამდვილეში მისი არსებობით, ანუ არსებულის აღნიშვნის აუცილებლობით.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ენის სემანტიკური ასპექტი წარმოადგენს ერთეულთა ქაოსურ გროვას, რომელიც არ წესრიგდება არავითარი სისტემით. სემანტიკას ახასიათებს ნაწილობრივი სისტემურობა, რომელიც ვლინდება იმ კატეგორიებში, რომელთა არსებობა ლოგიკურად არ არის წინასწარ განსაზღვრული. „ლოგიკური“ ენა ითვალისწინებს, რომ თითოეული ცნება გადმოიცემოდეს მხოლოდ ერთი ბგერითი კომპლექსით და თითოეული ბგერათა კომპლექსი გადმოიცემდეს მხოლოდ ერთ ცნებას. აქედან გამომდინარე, სისტემურობა სემანტიკას ახასიათებს იმდენად, რამდენადაც გვაქვს სინონიმის, ომონიმისა და პოლისემიის კატეგორიები. ამავე დროს, სემანტიკის სისტემურობა ვლინდება სიტყვარის გოამატიკულ სისტემასთან კავშირში. ეს საკითხი კი ულმანთან საერთოდ არ განიხილება [აპრესიანი, 1959, გვ. 139-145].

ჩვენ ამოვივარათ იმ დებულებიდან, რომ სიტყვას ნიშნის განსაკუთრებული თვისებები გააჩნია და ამიტომ, როგორც ნებისმიერი ნიშანი, ხასიათდება აღსანიშნ საგანთან და ამ საგნის ცნებასთან კავშირით. ჩვეულებრივ, დამოკიდებულება სიტყვის ფორმას, საგანსა და ცნებას შორის გამოიხატება ოგდენ-რიჩარდსის სამკუთხედით:



სამეული წარმოადგენს ერთიან მთელს და შეადგენს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ხერხემალს. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის აუცილებელი „საგანი“ კონკრეტულ ნივთს აღნიშნავდეს. ის შეიძლება იყოს როგორც ერთეული რეალობა (მზე, აფრიკა, მტკვარი...), ასევე არარსებული საგნები (დევი, ალი, კუდიანი, ჯადოქარი), რომლებიც კონკრეტული რეალების გარკვეულ ელემენტთა შენამებით წარმოიქმნება და შესაძლებელია მათი სემანტიზაცია სურათით; არარეალური მოქმედებები და ნიშნები (გათვალვა, გამჭვირვალე...) და რეალები, რომლებიც წარმოიქმნება ნიშანთა, ხასიათთა, კონკრეტული საგნების თვისებათა გადატანით (სიკეთე, ფილოსოფოსობა, აბსტრაქტული და ა. შ.) ასევე კავშირები, შეთანხმებები და რეალების რაოდენობა (და, -თან, -კენ, ათი და ა. შ.) და ა. შ. „საგნის“

ნაცვლად ხშირად გამოიყენება ტერმინი „დენოტატი“, ხოლო „ცნების“ პარალელურად გვხვდება ტერმინი „სიგნიფიკატი“.

სიტყვის მნიშვნელობის დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია დამოკიდებულება ადამიანთან, ამ სიტყვის მომხმარებელთან და ურთიერთობა სიტყვებს შორის როგორც ენის ლექსიკურ სისტემაში, ასევე კონკრეტულ წინადადებაში.

ლექსიკური მნიშვნელობა წარმოადგენს მთლიან კომპლექსურ მოვლენას, რომლის საფუძველია ადამიანის წარმოსახვაში რეალიებისა და სინამდვილის თვისებების განზოგადებული წარმოდგენა. ამასთანავე, ყოველი მოვლენის (გამოვლენის) შესწავლისას მიზანშეწონილად გვეჩვენება ცალ-ცალკე გამოიყოს და გაანალიზდეს მისი თითოეული შემადგენელი ნაწილი.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სხვადასხვა ასპექტი ვლინდება სიტყვის გარეგნული გარსის (ფორმის) იმ გამოვლინებებთან კავშირში, რომლებიც მას სხვადასხვაგვარად უკავშირდებიან. კავშირი აქვთ სიტყვის ფორმის სხვა, მასთან დაკავშირებულ მოცემულობებთან კავშირში გამოიყოფა ლექსიკური მნიშვნელობის შემდეგი ასპექტები:

1. საგნობრივი, ანუ დენოტატიური ასპექტი ვლინდება სიტყვის აღსანიშნ საგანთან კავშირში. რეალიების დახასიათება ცალკეული სიტყვის განმარტებისას ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ენის განმარტებისა ლექსიკონში. მაგ., მაგიდა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ხის, მარმარილოს და მისთ. დგამი სხვადასხვა დანიშნულებისა; აქვს ნაირ-ნაირი ფორმის ფართო ზედაპირი და ჩვეულებრივ რამდენიმე ფეხი“. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში ლინგვისტიკის ერთ-ერთი მიმართულების („სიტყვა და საგნები“) ძირითად მიზანს შეადგენდა მატერიალური კულტურის ნივთების აღწერა.

2. ცნებითი ანუ სიგნიფიკატორული ასპექტი სიტყვის მნიშვნელობისა განისაზღვრება სიტყვისა და აზრობრივი შინაარსის (ცნების, სურათის, წარმოდგენის) ურთიერთშეთანხმებით. სემანტიკის ამ ასპექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი წარმოდგენები ამა თუ იმ რეალიაზე იცვლება ამ რეალიების უფრო ღრმად შეცნობის ან ადამიანთა ცხოვრებაში მათი როლის გადააზრებასთან დაკავშირებით. ცნების შეცვლა იწვევს მნიშვნელობის შეცვლას და, აქედან გამომდინარე, სიტყვის ახალ განმარტებას. სიტყვის მნიშვნელობის პრაგმატული ასპექტი ხასიათდება სიტყვის ფორმის ადამიანთან მიმართებაში. საქმე ისაა, რომ თითოეული მოლაპარაკე მის ნათქვამ სიტყვაში დებს იმ მნიშვნელობას, რომელიც არა ყოველთვის და არა მთლიანად ემთხვევა საერთოდ აღირებულ (ლექსიკონში მოტანილ) მნიშვნელობას. პრაგმატული მნიშვნელობა დამოკიდებულია მოლაპარაკის მსოფლმხედველობაზე, ასაკზე, განათლებაზე, პროფესიასა და სხვა თავისებურებებზე. ამიტომ, გაუგე-

ბრობა მოსაუბრეებს შორის სშირად გამოწვეულია სწორედ პრაგმატული ფაქტორებით. პრაგმატული მნიშვნელობის საშუალებით სიტყვაში შემოდის დამატებითი სემანტიკური ინფორმაცია, რომელიც იწვევს სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის ასიმეტრიულ ურთიერთობას. ეს მაშინ, როცა დენოტაციური და სიგნიფიკატორული მნიშვნელობები ხელს უწყობენ სიტყვის ფორმისა და შინაარსის სიმეტრიულ შეხამებას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ენის საშუალებით გარე სამყაროს ობიექტურ შემეცნებას.

სიტყვაში გამოიყოფა აგრეთვე მისი მნიშვნელობის საკუთრივ ლინგვისტური ასპექტი, რომელიც ყალიბდება სიტყვების ენთიმანეთთან ურთიერთობაში და განისაზღვრება იმ ადგილით, რომელიც სიტყვას უჭირავს ენის სისტემაში. სიტყვის ლინგვისტური ასპექტი გამოყოფიანდ დე სოსიურმა და მას ღირებულების ფაქტორი უწოდა.

„სიტყვის მნიშვნელობად რომ საგნობრივ მიმართებას მივიჩნევთ, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სიტყვა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფში არსებობს. დამოკიდებულება სიტყვასა და საგანს შორის დამყარებულია გარკვეულ ენობრივ კოლექტივში, ამ ენობრივი კოლექტივის მიერ.

ამიტომ მიმართება ერთსა და იმავე საგანთან სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში ხმარებული სიტყვებისა, ე. ი. სხვადასხვა ენის სიტყვებისა, მარტო ფონეტიკური გარსით კი არ განსხვავდება, არამედ თითოეულ ენაში ამა თუ იმ სიტყვას თან ახლავს ის ცოდნა, რომელშიც უკუფენილია ადამიანთა გარკვეული კოლექტივის დამოკიდებულება სათანადო მოვლენასთან თუ საგანთან“ [ფოჩხუა, 1974, გვ. 28].

სიტყვის მნიშვნელობის დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია მისი მიმართება ადამიანთან, მოუბართან, რომელიც იყენებს მოცემულ სიტყვას. აგრეთვე, სიტყვათა ურთიერთმიმართება ენის ლექსიკურ სისტემასა და კონკრეტულ წინადადებაში ჩვეულებრივი მეტყველების დროს.

ლექსიკური მნიშვნელობა კომპლექსურია რომელსაც საფუძვლად უღევს სინამდვილის თვისებებისა და რეალიების ადამიანის ცნობიერებაში განზოგადებულად წარმოსახვის პროცესი. ამასთანავე, ყოველი მოვლენის შესასწავლად აუცილებელია მისი შემადგენელი ნაწილების გამოყოფა და განხილვა. ლექსიკური მნიშვნელობის ცალკეული ასპექტები ვლინდება სიტყვის ენობრივი გარსის იმ ფაქტებთან მიმართებაში, რომლებსაც მასთან სხვადასხვაგვარი კავშირი აქვთ. ამ კავშირის საფუძველზე გამოიყოფა ლექსიკური მნიშვნელობის შემდეგი ასპექტები: დენოტატიური, სიგნიფიკატორული და პრაგმატული. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ ენობრივ ასპექტს, რომელიც ყალიბდება სიტყვის სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში და განსაზღვრავს სიტყვის ადგილს ენობრივ სისტემაში.

პრაგმატული ასპექტისაგან განსხვავებით, დენოტაციური და სიგნიფი-

კაციური მნიშვნელობები ხელს უწყობს ფორმისა და შინაარსის სიმეტრიულ თანაშეფარდებას, რითაც უზრუნველყოფენ ენის საშუალებით გარესამყაროს ობიექტურ შეცნობას. სიტყვის მნიშვნელობა ენობრივი კატეგორიაა. სიტყვა მეტყველებაში თავისი ვარიანტებით (სიტყვაფორმები) გვხვდება, რომლებიც იქნენ, ერთი მხრივ, ვიწრო და კონკრეტულ, ხოლო მეორე მხრივ, უფრო ღრმა და თავისებურ მნიშვნელობას, ვიდრე სატყვა მთლიანად. იმის გამო, რომ მეტყველება ინდივიდუალურია, მისი მნიშვნელობის მქონე ერთეულებს აქვს „განსაკუთრებული სუბიექტურობა“, რაც გამოიხატება მის „შეძენილ მიკროძოვებულობაში“ (ლენონტიევი, 1977, გვ. 148).

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ფრინველის ნაშიერის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვის კონცენტრაცია ერთ მნიშვნელობაში.

გარეული ფრინველის ნაშიერის აღსანიშნავად ქართულში რამდენამე სიტყვა გვხვდება: მართვე, ბარტყი, ბლარტი, ღლაპი, ბარარსხლები, სინსილა, ყელისტა, ლიღველა, ტიღვი, ტიღველა... [ფოჩხუა, 1987, გვ. 261].

აქედან ძირითადია მართვე და ბარტყი.

ძველ ქართულში დადასტურებულია მხოლოდ მართვე, ოღონდ, მისი მნიშვნელობა აქ უფრო ფართო და ძველი ქართული ენის ლექსიკონში ასეა განმარტებული: ნაშობი, შვილი, ბარტყი, „ყრმა“, „პბო“: „მართუენი მათნი (ვარისა და დატვისა) აღრეულად იქცეოდინან“ ოო, — „თანად იყვნენ ყრმანი მათნი“ პხ., ეს. 11,7; „განპზარდენ მართუენი მათნი თვნიერ შიშისა“ მ, — „გამიზარდენ თუ ჭბონი მათნი გარე შიშისა“ პხ., იობ 39,3; „ქათამმან (მფარველმან DE) შეიკრიბნის მართუენი“ მთ. 23,37; „შეჭამედ იგი მართუეთა ორბისათა“ ო, იგ. სოლ. 30,17; „მართუეთა მათ დაჰკრტნინან ძუელნი ფრთენი“ ფიზ. XI, 12; „და-თუ-უტევენეს კუერცხნი თხსნი უნდილად, მართუეთა ვერ გამოისხამს“ მ. ცხ. 197v.

ძველ ქართულში გვხვდება -აკა ბოლოსართიანი ფორმა: „ქათმისა მართუეაკად გაუზარდის შესაწირავად წმიდასა თვედორეს“ Q — 240¹ 159 [აბულაძე, 1975, გვ. 217].

როგორც ვხედავთ, მართვე აქ ზოგადად ნაშიერის აღმნიშვნელი სიტყვაა. იგი მიემართება როგორც ფრინველის, ასევე ცხოველთა და ზღვის ბინადართა ნაშიერსაც:

ვეშაბთაგანნი უმრავლესნი მშობელ არიან, და ღელფინნი და ფუკინნი, რომელთათჳს იტყვან, ვითარმედ ჩრულ იყვნედ მართუენი მათნი, და მიზეზისა რადსაგანმე შეშინდნენ, კუალად საშოთვე შეიწყნარებენ და უშიშ იქმან (ექ. ღდ. 82, 24).

არა ატფობენ უმრავლესთა თევზთაგანნი, ვითარ ქათამნი, და არცა დაიდგმენ ბუდესა, და არცა ზრდიან მართუეთა მათთა შრომით (იქვე, 83, 7).

ქართული მართუეს კანონზომიერ შესატყვისად ივარაუდება მეგრ.

მოთა და ჰანური მოთა / მოთალ (არნ. ჩიქობავა, შედ. ლექსიკონი, გვ. 30) მეგრულში მოთა აღნიშნავს „შვილიშვილს“ (ი. ყიფი.), ხოლო ჰანურში — „შვილიშვილსა და „ცხოველის ნაშიერს“ საერთოდ (ნ. მარი). იმავე ჰანურში მოთა ფრინველის ნაშიერს — ბარტყსაც გულისხმობს. მაგ. უილორიში მოთას ლაკოტი ვუწუშელთ „ძალის ნაშიერს ლეკვს ვეძახით“; ჰემუქ გამოიონამს გუგულიში მოთალით „ის გამოჩეკს გუგულის ბარტყსაც“...

ძირეულ მასალად ფუძეში მართვე გამოყოფილია -თ/-თვ. ქართული რ განვითარებულადაა მიჩნეული, ხოლო ძირეული ვ მეგრულ-ჰანურში აღდგენილია გურულ კილოში დაცული ნამოთფარას საფუძველზე. ქ. ლომთათიძის აზრით, მართვეს -თ / -თვ- ძირი შესატყვისის პოულობს აფხაზურ ადიღურ ენებში სისინ-შიშინა ს,- / ს,-ის სახით, რასაც დასახელებულ ენებში „პატარას“, „ნაშიერის“ მნიშვნელობა აქვს (აფხ. აჰიფს „ხბო“; აძეს „თიკანი“) [ლომთათიძე, 1961, გვ. 267-268].

-თ-ა გამოყოფილია ძირეულ მასალად რიგ იბერიულ-კავკასიურ ენებში (მაგ. რუთ. მტფლ, არჩ. მოთოლ „თიკანი“, უდ. თულ „ნაშიერი“, ქართ. თელი, მეგრ. მოთა, ჰან. მოთა / მოთალ, სვან., ფფთ (ბ. ქ.), ფფთრ (ბ. ხ.) „ჩიხვის შვილი“...) და სავარაუდოა, რომ ამ ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული ნაშიერის ზოგადი მნიშვნელობა [ჭეიჩანაშვილი, 1958, გვ. 348].

მართვე მთიულურსა და აჭარულში ფუტკრის შვილზეც ითქმის.

მაშასადამე, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემთა გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მართვე ფუძეს ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა და საერთოდ ნამატს, ნაშიერს აღნიშნავდა [ჭეიჩანაშვილი, 1974, გვ. 15-17].

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ეს ლექსემა მხოლოდ ფრინველთა ნაშიერს აღნიშნავს: „ზოგად ყოველთა ფრინველთა (+ შვილთა) მართვი ეწოდება, მწერით ვიდრე ირაოთ და ორბამდე“.

ასევეა განმარტებული ეს სიტყვა ქეგლ-ში: ფრინველთა და მწერთა ნაშიერი. არწივის მართვე. — ბუს მართვე წიოდა ხილნარში (ქ. გამს.). ხალხი ირევა ერთმანეთში, როგორც ფუტკრის მართვე (ვაჟა).

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართვეს მნიშვნელობა კიდევ უფრო დავიწროებულია და იგი მხოლოდ გარეული ფრინველების ნაშიერის, უფრო ხშირად არწივის ბარტყის აღმნიშვნელია.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მართვეს სინონიმად ბარტყი გვხვდება. ბარტყი — სირთ მართვე“; „ზოგად ყოველთა ფრინველთა ბარტყთა მართვი ეწოდებიან“... მართვეს-ს ბუდეში კი დაკონკრეტებულია, რომ ბარტყი ჰქვია „სირთა და მერცხალთა და ჩიტთასა“ მართვეთ.

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, ბარტყი ფრინველთა ნაშიერის ზოგადი სახელია (ბლარტი, მართვე მფრინველთა).

ქეგლ-შიც ბარტყი განმარტებულია, როგორც „ჩიტების (და, საერთოდ გარეული ფრინველის) მართვე“.

აქვე მოყვანილია ბარტყის სხვა მნიშვნელობებიც: 2. ტანისამოსის გადანაყერში ჩაყენებული პატარა ნაჭერი განისა და ირიბის მისაცემად (სინონ. აზლუდი, ხიშტაკი). პერანგის ბარტყი. 3. ხის ძირის ამონაყარი ან გამონაზარდი მთავარი შტოს გვერდზე. ხეს ბარტყები მოაშორა. 4. „მოკლე ლარძაყინი, გადასაკიდებელი, რომელიც სახლის სათავემდე არ უწევს“ (ვ. ბერ.). კოჭის ბარტყი.

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში ვკითხულობთ, რომ ქართულ, იმერულ და ლეჩხუმურ კილოებში ამ სიტყვით აღინიშნება: 1. ახალნაყარი ფუტკარი (შდრ. გურ., მთიულ. — მართვე — ფუტკარის ნაყარი; იმართვებს ფუტკარი — იყრის; მართვეს გამოუშვებს ფუტკარი; მართვეს გამოსვლა — ნაყარი ფუტკარის გამრავლება; სკამ გამოშვება — ფუტკარმა იყარა (გ. შარაშ); 2. მოჭრილი ხის ძირზე ამოყრილი ყლორტი. ნაბარტყი. 3. ხის ან სიმინდის ძირში უსარგებლო ამონაზარდი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). 4. მოკლე ლარძაყინი, გადასაკიდებელი, რომელიც სახლის სათავემდე არ უწევს (ვ. ბერ.); ჩასაყერებელი, ჩასამატებელი (მ. ჩიქ.).

როგორც ვხედავთ, მართვეს ძირითადი მნიშვნელობა — ფრინველთა და მწერთა ნაშიერი — ემთხვევა ბარტყის ძირითად მნიშვნელობას — ჩიტების (და, საერთოდ, გარეული ფრინველის) მართვე. ამას გარდა ბარტყს კიდევ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ძირითადი ნიშანი, რომლის მიხედვითაც რამდენიმე მნიშვნელობა თავმოყრილია ერთ ლექსემაში, არის აღსანიშნი ობიექტის ზომა, კერძოდ, სიპატარავე (ტანისამოსის პატარა ნაჭერი, ხის ან სიმინდის ამონაყარი, მოკლე ლარძაყინი...). თითოეული ეს ობიექტი მიემართება სხვა საგანს, გაცილებით დიდს (ტანსაცმელი, ხე, სიმინდი, ლარძაყინი (გადასაკიდებელი ძელი ფინის დასაჭედად (ი. ჭყონ.); სახლის სახურავის რამდენიმე ძელი, რომელთა თავი კედლებს ეყრდნობა, ხოლო ბოლოთი ერთმანეთს არიან შეერთებულნი (დიალექტ. 678; გ. ჩიქ.).

დიალექტებში დადასტურებულია ბარტყის კიდევ ერთი მნიშვნელობა — ვაზის ყლორტზე ამოსული ზედმეტი ყლორტი, მორჩი. ამ შინაარსით ქართულ დიალექტებში გვხვდება: ბლარტი, ბლაცი, ნაბარტყი, ბიჭა, ნაბიჭვარი, ბუში, ბოცვერი, ბასარსხლები, ბახარსხლები...

ბლარტი — მართვე, ბარტყი, შვილი გარეული ფრინველისა და მწერისა, ბავშვი (ქეთსკ); 2. მცენარის ძირის ამონაყარი (ა. მარტ., გ. იმნ.).

ბუში || ბუშალიე — „ბოზობით შექმნილი, ნაბიჭვარი“ (საბა). „ძვ. ქორწინების გარეშე ნაყოლი შვილი (სინ. ნაბიჭვარი) (ქეგლ). ნაყარი. ამონაზარდი, ვაზის ფურცლის ძირში ამოსული ზედმეტი ყლორტი (დიალექტ. 675).

ბოში (ლენხ. რაქ.) ბავშვი (ქეგლ.)

ბიჭა-ბიჭა — (ზ. იმერ., გურ.) 1. ვაზის მუხლის ძირში ამოსული ზედმეტი ფოთლები (ბ. წერეთ.); 2. ვაზის მთავარ ლერწმზე ამოსული ზედმეტი ყლორტები, მორჩები (ი. ქაეთ.); 3. სიმინდის უვარგისი ღეროები დედა ღეროს გვერდს ამოსული (ვ. ბერ., ზ. ქუმბურ. 281) შდრ. ბიჭი (ხევსურ.) ნაბიჭვარი, ბუში (ა. შან).

ბლაშტი-ი (აქარ.) ბავშვი, ბალღი, ღლაპი (შ. ნიყარ.)

ბლაცი-ი (ქიზიყ.) ბალღი, ბავშვი. ნ. ბლარტი (ს. მენთ).

ბოცვერი „ბაჭია (შინაური კურდღლისა) შდრ. ბაცაცა“ ქეგლ. || ბოცვერი || ბოცორი, ბოცქორი — ახალამონაყარი შტოები.

ბასარსხალ-ი (გურ.) ბარტყი, მართვე ჩიტისა, წვრილი ბავშვები; ბასარსხლები ბარტყები ჩიტისა. იტყვიან აგრეთვე ბავშვებზეც. „იმ ქალს ბასარსხლები დეესია“ (ი. ჭყონ.; ალ. ღლონტი). შდრ. ქეგლ. მხოლოდ მრავლობითში; კუთხ. (ქვ. იმერ. გურ.) ჩიტის ბარტყები || გადატ. პატარა ბაღლები. ეს სიტყვა გვხვდება გველის წიწილების აღსანიშნავადაც (ჯ. კ)

ბახარსლები მრ. კუთხ. (იმერ.) წვრილი ბავშვები — ბახარსხლები (თაგვის შვილები).

ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვები, თავის მხრივ, მიემართება სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ ლექსემას მორჩი (მორჩისა) 1. ძვ. ნორჩი, ახალმოზარდი (საბა). ვით ახალ მორჩი ვაზირა ხელს მიყვეს საფურჩნელადა (დ. გურამ.). 2. ანატ. რომელიმე ორგანოს წამონაზარდი, განშტოება. „ნეირონი ... შედგება... ნერვული მორჩებისაგან და ნერვული დაბოლოებისაგან“ (ქეგლ);

როგორც ვხედავთ, ვაზის, ხის, სიმინდის ამონაყარის აღმნიშვნელი სიტყვები — ბლარტი, ბლაცი, ბიჭა-ბიჭა, ნაბიჭვარი, ბუში, ბოცვერი, ბასარსხლები, ბახარსლები დაკავშირებულია აღსანიშნი ობიექტის აღთქმასთან, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ სუბიექტისათვის, რომელიც უვლის ვაზს, ხე-მცენარეს, სიმინდს, შესაბამისი მცენარის ამონაყარები წარმოადგენს ზედმეტი შრომის ობიექტს, რომლებიც აზიანებენ მცენარეს, ართმევენ მას საკვებს, რაც ხელს უშლის ამ მცენარეებს ნაყოფის მოსხმასა და დამწიფებაში. აქედან გამომდინარე, ადამიანში, ანუ ამ მცენარეთა მომხმარებელში ისინი შესაბამის რეაქციას იწვევენ, რაც ვლინდება მათ სახელდებაში. ეს კარგად ჩანს ამ სიტყვების მიმართებაში მათ ძირითად მნიშვნელობებთან: ბუში — უკანონო შვილი (შდრ. ნაბიჭვარი, ბიჭა-ბიჭა); ბლარტი, ბლაშტი, ბლაცი — ბავშვი, ბასარსხლები — გველის შვილები; ბახარსხლები — თაგვის შვილები; ბოცვერი — კურდღლის შვილი, ბაცაცა (|| ქურდი)...

ამ სხვადასხვა ძირითადი მნიშვნელობების მქონე სიტყვათა კონცენ-ტრაცია ერთი რეალობის აღსანიშნავად განპირობებულია ენის „განსაკუ-

თრებული სუბიექტურობით“. კერძოდ, იმით, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რომელ მნიშვნელობას ირჩევს მოუბარი. წინა პლანზე გამოიღოს საგნისაღმი შეფასებითი დამოკიდებულება.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მოცემული ობიექტისაღმი უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველ ლექსემათა შორის არ გვხვდება მართვე, რომელიც ძირითადად დიდი ფრინველების — არწივის, ორბის... ნაწიერის აღსანიშნავად იხმარება.

სიტყვის მნიშვნელობის ცვლა დამოკიდებული უნდა იყოს დენოტატიური და სიგნიფიკატიური მნიშვნელობების ცვლაზე. მაგრამ მისი ცვლის შინაგანი მიზეზების ახსნა ძნელად მისაღწევია. ჩვენი აზრით, სიტყვის მნიშვნელობის ისტორიული ცვლილებების ახსნაში გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია სიტყვის სივრცეში ცვლილებაზე თვალის გაღვებებს.

ენათმეცნიერების ზოგიერთ მიმდინარეობაში ამ ასპექტში იგულისხმება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა საერთოდ [პრ. ლინგ. წიგნ. 1967, გვ. 38].

ლექსიკური მნიშვნელობის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს სიტყვის ფორმასა და მის შინაარსს შორის კავშირის ხასიათი. სიტყვათა დიდი უმრავლესობა წარმოიქმნება სიტყვაწარმოების, ანუ ენაში არსებული აფიქსების საშუალებით, თავის მხრივ, სიტყვებს, რომლებიდანაც სხვა სიტყვები იწარმოება, შეუძლიათ შეინარჩუნონ თავის ფორმაში კავშირი აღსანიშნ რეალიასთან ზმბაძვის, ან სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით, რომელიც ახასიათებს აღსანიშნ საგანს და დაფიქსირებულია ამ სახელში. ახალ სიტყვებში ეს ნიშანი გადადის. ეს ძირითადად მოტივირებული სიტყვებია.

მრავალ სიტყვაში არ ჩანს მოტივაცია, ე. ი. ამ სიტყვებს არა აქვთ მოტივირებული მნიშვნელობა. იმ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა მოტივირებულია, გააჩნიათ შინაგანი ფორმა. არამოტივირებული შინაარსის მქონე სიტყვებს კი შინაგანი ფორმა არა აქვთ. თუმცა, ბევრ ჰათგანს შინაგანი ფორმა შეიძლება აღუდგეს ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე.

სიტყვის მნიშვნელობა ენობრივი კატეგორიაა. მეტყველებაში სიტყვა გამოდის თავისი ვარიანტების სახით (სიტყვაფორმები, შესიტყვებანი), რომლებსაც ამ დროს აქვთ, ერთი მხრივ, ვიწრო და კონკრეტული და, მეორე მხრივ, უფრო ღრმა და თავისებური შინაარსი (ვიდრე სიტყვას საერთოდ) სხვა სიტყვებთან ურთიერთობისა და ურთიერთობის სიტუაციიდან გამომდინარე. იმის გამო, რომ მეტყველება ყოველთვის ინდივიდუალურია, მის ნიშნად ერთეულებს აქვთ „განსაკუთრებული სუბიექტურობა“, რომელიც გამოიხატება მათ მიერ შექმნილ მიკერძოებულობაში. სიტყვის მნიშვნელობის ამ ინდივიდუალურ მხარეს სპე-

კიალურ ლიტერატურაში „პირადული აზრი ეწოდება“ [ლეონტიევი, 1977, გვ. 148].

თუ სიტყვის ზოგადი ლექსიკური მნიშვნელობა, როგორც ენობრივი ერთეული, გამოდის როგორც ინვარიანტი სხვადასხვა კონტექსტურ, სიტუაციურ და გადატანით მნიშვნელობებთან მიმართებით, მაშინ სამეტყველო ერთეულების მნიშვნელობები მათი გამოყენებისას ითვლება ამ ზოგადი მნიშვნელობის ინვარიანტებად [სუპრუნი, 1976, გვ. 118]. მეტყველებისას აქტუალიზებულ მნიშვნელობას შეიძლება აზრი ვუწოდოთ. „სიტყვის მნიშვნელობა არის პოტენცია, რომელიც მეტყველებაში რეალიზდება აზრის სახით“ [ვიგოდსკი, 1956, გვ. 370].

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ლინგვისტი ერთნაირად არ იყენებს ტერმინს აზრი, მაგ., ი. რეზინის, ტ. ლომბევისა და სხვების მოსაზრებით, „აზრი“ წარმოადგენს საგნის სახელდების საშუალებას. მაგალითად, დენოტატი ბიძია შეიძლება გადმოიცეს შესიტყვებებით — დედის ძმა, მამის ძმა, დედის (მამიდის) ქმარი. ყველა შემთხვევაში საუბარია ერთ დენოტატზე, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი, ანუ ობიექტი გადმოცემულია სხვადასხვა „აზრებით“ [ლომბევი, 1976, გვ. 262; რეზინი, 1977, გვ. 36]. სხვა შინაარსს დებს სიტყვაში „აზრი“ ვ. ზვეგინცევი, რომელიც თვლის, რომ „აზრი“ არაენობრივი კატეგორიაა, რომლის საშუალებითაც მეტყველების აქტში შიგაენობრივი მოვლენა-მნიშვნელობა რეალიზდება [ზვეგინცევი, 1973, გვ. 176].

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „აზრი“, მნიშვნელობის — ენობრივი კატეგორიისაგან განსხვავებით მეტყველების კატეგორიაა. ერთობა „აზრებისა“, რომლებიც რეალიზდებიან სიტყვაში მეტყველების დროს, ქმნის ამ სიტყვის მნიშვნელობას. მნიშვნელობა უფრო ზოგადი და აბსტრაქტული ცნებაა, ვიდრე აზრი, რამდენადაც იგი რეალიზდება ამ აზრების მეშვეობით. მნიშვნელობა მდიდრდება „აზრებით“, „აზრი“ შემოფარგლულია მნიშვნელობით. მნიშვნელობისა და „აზრის“ დიალექტიკური კავშირის მეშვეობით სიტყვას აქვს სემანტიკური სტაბილურობა და, ამავე დროს, იგი ინარჩუნებს პოტენციურ შესაძლებლობას პრაქტიკულად უსაზღვროდ შეიძინოს ახალი „აზრები“ ცვლად სიტუაციებში, რაც სიტყვას ანიჭებს უნივერსალობას, როგორც ურთიერთობის, ასევე აზრის გადმოცემის მიხედვით [სუპრუნი, 1983, გვ. 186].

ლექსიკური მნიშვნელობის დახასიათება გულისხმობს არა, ცალკეული სიტყვის შინაარსობრივი პლანის აღწერას, არამედ სხვა სიტყვებთან მისი ურთიერთობების დადგენას. სიტყვათა შორის ურთიერთობათა გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ამ სიტყვათა ადგილი ენის ლექსიკურ სისტემაში. თავის მხრივ, ლექსიკურ სისტემაში სიტყვის ადგილის განსაზღვრა ლინგვისტური თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს, რო-

გორც სიტყვის მნიშვნელობისათვის დამახასიათებელი არსებითი მომენტის გამოვლენა.

ისეთი ღრმა ცნების, როგორც სისტემაა, მკაცრი და თანამიმდევრული განსაზღვრა, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია ამ ცნებასთან დაკავშირებული რეალიების სრულ აღწერასთან. ლექსიკის ამომწურავი აღწერის უქონლობა გვაიძულებს ტერმინი „სისტემა“ პირობითად გამოვიყენოთ. რადგან სისტემა განისაზღვრება, როგორც ურთიერთგანპირობებულ და გარკვეულად მოწესრიგებულ ელემენტთა ერთობლიობა, ხოლო სტრუქტურა — როგორც სისტემაში შემაჯავალ ელემენტთა მყარ ურთიერთობათა ერთობლიობა ან ელემენტთა სისტემაში მოწესრიგების საშუალება [მელნიჩუკი, 1970, გვ. 19-32], ლექსიკასთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ სისტემა — ესაა მოცემული ენის სიტყვებს პლუს ამ სიტყვათა შორის ურთიერთობა, ხოლო სტრუქტურა — სიტყვათა შორის დამოკიდებულებების ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, ლექსიკური სისტემის სტრუქტურა არის სისტემის ნაწილი, მისი შინაგანი ორგანიზაცია.

ლექსიკის სისტემური ორგანიზაციის არსი ვლინდება სიტყვებს შორის არსებულ მრავალფეროვან სემანტიკურ კავშირებში. ამასთანავე, სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია სემანტიკურად ერთსა და იმავე რეალიასთან, მას სხვადასხვანაირად წარმოადგენენ.

სიტყვათა სემანტიკური ურთიერთობების ყველაზე უნივერსალური სახეებია პარადიგმატული და სინტაგმატური. პარადიგმატული ურთიერთობა მყარდება ერთსა და იმავე ნაწილს შორის, რომელთაც აქვთ რამდენადმე საერთო მნიშვნელობა. ეს სიტყვები წარმოქმნიან ერთეულთა ერთობლიობას, რომლებსაც შეუძლიათ ჩაენაცვლონ ერთმანეთს მოცემული გამონათქვამის ერთსა და იმავე პოზიციაში. სინტაგმატური ურთიერთობების საფუძველზე ერთეულები შეეხამებიან ერთმანეთს გარკვეული გამონათქვამის ასაგებად. პარადიგმატული ურთიერთობები ემსახურება სიტყვების სემანტიკურ კლასებად დაჯგუფებას, ე. ი. ერთი და იმავე სემანტიკური ფუნქციის ერთეულების გამოვლენას, ხოლო სინტაგმატური კავშირები უზრუნველყოფს პარადიგმატული ჯგუფების კომუნიკაციისას გამოყენებას. ურთიერთობების ამ ორი სახის მიხედვით გამოიყოფა მნიშვნელობის პარადიგმატული და სინტაგმატური ასპექტები.

მნიშვნელობის პარადიგმატული ასპექტი განისაზღვრება სიტყვათა ან ჯგუფის საერთო მნიშვნელობით, რომელთანაც მოცემულ სიტყვას აქვს შინაარსობრივი (სემანტიკური) კავშირები. მაგ. სიტყვა მიწა შეიძლება ჩაერთოს ნებისმიერ მოცემულ ლექსიკურ ჯგუფში: 1. ნიადაგი, გრუნტი, ფენა, პლასტი... 2. სახნავი, ახო, მინდორი... 3. თიხა, ქვიშა... 4. ქვეყანა, მამული, სახელმწიფო... 5. ხმელეთი, ნაპირი, კუნძული... იქიდან გამომდინარე, რომელ ლექსიკურ ჯგუფში ჩაერთავთ მიწას, განისაზღვრება ამ სიტყვის პარადიგმატული მნიშვნელობა.

მნიშვნელობის სინტაგმატური ასპექტი განპირობებულია სიტყვის შესაძლებლობით შეეთანხმოს სხვა სიტყვას წინადადებაში. აზრიან გამონათქვამში (წინადადებაში) სიტყვები ერთმანეთს უკავშირდება უპირველეს ყოვლისა თავისი მნიშვნელობებით. ასე, რომ, ყოველ ახალ გამონათქვამში სიტყვა გამოვლინდება სხვადასხვა სემანტიკური თავისებურებებით. ასე, მაგალითად, მიწის ირგვლივ ტრიალებს, ხედავს მიწას გემიდან, ამ მიწაზე დაბადება, სახნავი მიწა, მიწის სინჯის აღება, მიწის ტანსაცმლიდან წაშორება, მიწის გლეხებისთვის მიცემა... წინადადებებში მიწა რეალ-იზდება სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობით.

იმ პარადიგმატული ჯგუფების გარდა, რომლებიც იქმნება სხვადასხვა გრამატიკულ მახასიათებლის საფუძველზე, გამოიყოფა ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც სემანტიკური მახასიათებლებითაა დაკავშირებული, როგორცაა თემატური ერთობა (სემანტიკური ველი), სინონიმია, ანტონიმია, ჰიპონიმია და სხვ.

არნ. ჩიქობავა წერს: „რაკი ენა წარმოადგენს სისტემას, რომლის ყველა ელემენტი მთლიანობას ქმნის, ცალკეული ფაქტის ღირებულება მომდინარეობს ერთდროულად სხვა ფაქტების არსებობისაგან“...

ფრანგ. mouton, რუს. баран („ვერძი“) ერთი და იმავე მნიშვნელობისაა თითქმის, მაგრამ ფრანგ. mouton „ცხვრის ხორცსაც“ ნიშნავს, რუსულს კი საამისოდ აქვსო.

ამგვარად, სიტყვებს mouton და სხვადასხვა ღირებულება (valeur) აქვს სათანადო ენობრივ სისტემაში: „შედის რა სისტემის შედგენილობაში, სიტყვას აქვს არა მხოლოდ მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე — და უმთავრესად — ღირებულება და ეს კი სულ სხვა საქმეა“ [ჩიქობავა, 1983, გვ. 229-230].

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ „ღირებულება ფაქტია; ამის თვალსაჩინოდ ჩვენება სოსიურის დამსახურებაა. ... ღირებულება ვერ დაუპირისპირდება მნიშვნელობას, როგორც „სრულიად სხვა რამე“ („tout autre chose“). ღირებულება ეს იგივე მნიშვნელობაა, ოღონდ დეტერმინირებული ენობრივ სისტემაში. ეს დეტერმინაცია სისტემის სათანადო ფაქტებთან ურთიერთობის შედეგია. ეს ურთიერთობა ვერ გააქარწყლებს მნიშვნელობას; აღსანიშნისადმი მიმართება რჩება, როგორც ძირითადი მომენტი. ფრანგული (ანდა რუსული) მრავლობითი რიცხვი არ უდრის სანსკრიტისას (ან ძვ. ბერძნული-სას), მათ ღირებულებას ვერ გავათანაბრებთ; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ფრანგული მრავლობითი მრავლობითია და სანსკრიტის მრავლობითიც!... და ამას... აღსანიშნისადმი მიმართება, მნიშვნელობა განსაზღვრავს და არა ღირებულება.

ღირებულება მნიშვნელობის მოდიფიკაციაა ენობრივი სისტემის წილ-ში, პროდუქტია ენობრივი აპრეფეციისა. ღირებულება მოგვაგონებს საკონტექსტო მნიშვნელობას, ოღონდ ეს კონტექსტი ფრაზა კი არაა,

არამედ ენის მთელი სისტემა. ღირებულების ძალა მნიშვნელობას კი არ უარყოფს, არამედ მას ემყარება, როგორც საფუძველს...

არნ. ჩიქობავა წერს: „ყოველ ენობრივ ნიშანს (ვთქვათ სიტყვას) აქვს მნიშვნელობა — მარტო აღებულს ანდა სხვასთან ერთად ხმარებულს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იქნება ნიშანი. ამაშია მოცემული ნიშნის ობიექტური, ინტელექტუალური ფუნქცია. კომუნიკაციის თვალსაზრისით ეს მხარე დგას პირველ რიგში: მსმენელს, უწინარეს ყოვლისა, ის აინტერესებს, რა უთხრა მას მოსაუბრემ.“

ბევრია ისეთი სიტყვა, რომლის ფუნქცია ამ ობიექტური მომენტით ამოიწურება: კედელი... ქვა... ხე... მელანი... ჩვეულებრივ არავითარ გრძნობებს არ იწვევს. სხვაგვარია ვითარება სიტყვათა წყებაში: ამხანაგი... მგობარი... ძმა... მართალი... თავდადებული... შეუპოვარი... გმირი... პატრიოტი... მგელი... ვირი... მხეცი... გველი... მტერი... ჩარჩი... ქურდი... ბაცაცა... ვერაგი... იეზუიტი... მოლაღატე...

ორივე წყება მეტ-ნაკლებად იწვევს გრძნობას; ეს გრძნობა ერთ შემთხვევაში — ზოგადად რომ ვთქვათ, დადებითია (პატივისცემისა და მოწიწების გრძნობა), მეორე შემთხვევაში — არა, გრძნობა უარყოფითია (ვერაგი... იეზუიტი... გაიძვერა... მოლაღატე... — სიძულვილსა და ზიზღს იწვევს).

... სიტყვას (ნიშანს) ახლავს ის გრძნობითი იერი, რომელსაც იწვევს საგანი (აღსანიშნი)... გრძნობა, რომელსაც სიტყვა იწვევს, სუბიექტური დანართია ობიექტური მომენტისა, რომელსაც მნიშვნელობა წარმოადგენს, დანართი და არა შემადგენელი ნაწილი. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ დანართმა შეიძლება დაჩრდილოს ობიექტური მხარე, და მაშინ სიტყვას მხოლოდ გრძნობის გამოხატვა ეკისრება, მითითების უნარი დაკარგული აქვს, აღსანიშნთან მიმართება გამჭკარალია. (ჩიქობავა, 1983, გვ. 215-216).

§ 2. ლექსიკა და კულტურა

ენის სწორი ანალიზი შეიძლება მისი ყველა ურთიერთმიმართების აუცილებელი გათვალისწინებით. თუმცა, ყველა არ იზიარებს უორფის მოსაზრებებს, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ენა ქმნის „აზროვნების არხებს“, ისე როგორც კულტურული მოდელები ქმნიან ქცევის ზოგად წესებს.

ენისა და კულტურის მჭიდრო კავშირის მაჩვენებელია ორი პოსესიური სისტემა ახალქალაქელონურში. ისინი შეიძლება დახასიათდეს, როგორც „ახალი“ და „მორეული“ პოსესიური კავშირი. პირველ ჯგუფს განეკუთვნება არსებითები მნიშვნელობით „დედა“, „ღვიძლი“ და „შთამოქაყლობა“, მეორე ჯგუფს — „მამა“, „გული“ და „პირადი ცხოვრება“. ეს:

ერთი შენედეით ნებისმიერი, თავისუფალი ხასიათი განსხვავებისა შეიქმნება გავიგოთ, თუ ვიცით, რომ ახალქალკედონურში სამყარო მრავალი თაობის განმავლობაში იყო მატრიარქატული, რომ „ღვიძლი“ ითვლებოდა პიროვნების სიმბოლოდ), (ღვიძლი ითვლებოდა მსხვერპლშეწირვის რიტუალში მსხვერპლის სიმბოლოდ, მაგრამ ძველი კულტურული ჩვევების სწრაფმა ნგრევამ ამ გრამატიკულ დიქტომიას დაუპარგა აზრი და აქცია კიდევ ერთ „ლინგვისტურ ძეგლად“. სხვა სიტყვებით, კავშირი ფორმალურ ენობრივ სტრუქტურასა და კულტურულ ქცევებს შორის ირღვევა, მაგრამ წარმოიშობა ახალი წარმონაქმნები, კულტურული განვითარების ამსახველი ფაქტები.

თუ გრამატიკული კატეგორიებიდან (რომლებიც ამ კავშირს უფრო ნაკლებად გამოხატავენ) გადავალთ ლექსიკაზე, რომელიც გადმოცემს კულტურის დინამიკას და ნათლად ასახავს მის ხასიათს, კულტურულ კონტექსტში ასეთი ენობრივი ერთეულების ახსნა აუცილებელი ხდება. ეს ნიშნავს, რომ ერთეულის მნიშვნელობა უნდა აღიწეროს ყოველ კონტექსტში, სადაც ის გამოიყენება. ჩვენ მნიშვნელობას სპეციალურად არ ვუწოდებთ „იმ ზოგადს, რაც გვხვდება ყველა სიტუაციაში, რომელშიც ტერმინი გამოიყენება“. თუ, მაგალითად, გავანალიზებთ სიტყვა „charge“-ს გამოყენებას რიგ კონტექსტში, ვნახავთ, რომ „ზოგადი მნიშვნელობა“ („ზოგადი მახასიათებელი“) გვექნება უმნიშვნელო. ის წარმოგვიდგენს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ზოგადი მნიშვნელობისა, რომელიც „charge“-ს „დატენა“ (თოფისა) აქვს სხვადასხვა კონტექსტში: ხელს აძლევს (აწყობს), თოფის დატენა, „ბატარეის დატენა, ფანქრის გულის (გრაფიტის) ჩადება; ფულის აღება, საზოგადო ბრალმდებელი... ერთადერთი საშუალება, განისაზღვროს charge-ს მნიშვნელობა არის ის, რომ აღიწეროს (წინადადებებში) მისი დისტრიბუცია.

ამასთანავე, როცა ვლაპარაკობთ სიტყვის დისტრიბუციაზე, უნდა გავარჩიოთ: 1) სპეციფიკური ლინგვისტური კონტექსტი, რომელიც აძლევს ფორმას ლინგვისტურ მნიშვნელობას. 2) პრაქტიკული (არალინგვისტური) კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რაც უფრო ფართოდ ვაიგება სიტყვის მნიშვნელობის ქვეშ. რა თქმა უნდა, „ფუნქციონალურ სიტყვებს“ (ფრიზის ტერმინოლოგიის მიხედვით) აქვთ ძირითადად ლინგვისტური მნიშვნელობა [ნაიდა, 1962, გვ. 52].

კულტურულმა დისტრიბუციამ უნდა გაითვალისწინოს არა მარტო ობიექტური სინამდვილე, არამედ ამ სინამდვილის განვითარება და შესაბამისი სიმბოლოები. პატრიოტის გრძნობები „Old Glory“-ის (სასაუბრო მეტყველებაში სახელმწიფო დროშა — სიტყვასიტყვით „ძველი დიდება“) სრულიად გაუგებარია სუდანელი ნუერუსათვის, რომელმაც არ იცის, რა არის დროშა და არ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა. მაგრამ როცა ის ცეკვავს საყვარელ ხართან და გაპყვირის მის სახელს, განიცდის ისეთს-

ავე მდღევარებას, როგორსაც ემოციურად დატვირთული წამოძახილების დროს.

ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ კულტურული მოვლენა, სიტყვაში გასიმბოლოებული, აძლევს მას მიმათითებელ მნიშვნელობას, მაშინ როცა ემოციური რეაქცია, კულტურაში ფორმირებული, ითვლება თანამიმდევრი მნიშვნელობის საფუძვლად. რამდენადაც არა გვაქვს მეტყველება მეტყველის გარეშე და არ არსებობს მეტყველი სუბიექტური შეფასებების გარეშე (აბსოლუტური ობიექტურობა — ეს ილუზიაა, რადგანაც ჩვენ იმავდროულად ვართ მეტყველნი და მისი მკვლევარნი), თითოეულ სიტყვას აქვს რამდენიმე თანამგზავრი მნიშვნელობა. თვითონ მოჩვენებითი ცენტრალურობა მნიშვნელობისა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც თანამგზავრი მნიშვნელობა იმის გამო, რომ მას არა აქვს ემოციური შეფერვალობა.

კორექცია ენასა და კულტურას შორის ნათელია, როცა საქმე გვაქვს ცალკეულ სიტყვებთან, რომლებიც ასახავენ უჩვეული კულტურული ობიექტებს, მოღვაწეობას ან ურთიერთობას. მაგალითად, სუდანელი შილუკები დაპარაკობენ მიტევებაზე, პატიებაზე, როგორც „ადამიანის წინ მიწაზე დაფურთხებაზე“, ე. ი. აღწერენ ფორმალურად განხორციელებულ პატიების აქტს. სუდანელი უდევები იყენებენ ფრაზას: „გაფარჩხული თითების ისევ შეერთება“ (კულტურული რიტუალის აღწერა) კონტექსტში, სადაც ჩვენ გამოვიყენებდით ტერმინს „შერიგება“. ზოგიერთი მთავარი კორელაცია ენასა და კულტურას შორის მოიცავს ლექსიკის მთელ სისტემას. ასეთი კორელაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ტექნიკის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია კულტურასთან. უფრო მომცველია, ვიდრე ის ნაწილი, რომელიც უფრო ნაკლებად ასახავს მის მახასიათებელ ნიშნებს. სხვა სიტყვებით, ლექსიკური შემადგენლობის მოცულობა, მისი კავშირი კულტურასთან პირდაპირპროპორციულია კულტურის ამ სფეროს განვითარების ხარისხისა.

2. სუბკულტურებს აქვს პროპორციულად უფრო მომცველი ლექსიკა მათი განსხვავებების არეალში. პროპორციულად უფრო დიდი ლექსიკა კულტურის ფოკუსის არეალში ითვლება, თუ შეიძლება ითქვას, ტრიუიზმად, თუმცა ამას ხშირად არ ექცევა ყურადღება. ნილოსელი ნუერებისათვის ჯოგი წარმოადგენს ცენტრალურ ფაქტს, რომელზეც ორიენტირებულია კულტურის ყველა სფერო და რომელთან მიმართებით იღებს მნიშვნელობას ყველა ქცევა. ამის შესაბამისად, შეიძლება დაიძებნოს მრავალი ასეული სიტყვა, რომლებიც აღწერენ სხვადასხვა ფერს (იგულისხმება ტონების ანარეკლიც), ზომას, ფორმას, ჯიშს, ქცევასა და ღირებულებას ჯოგისა. ინგლისურში არ მოიპოვება მესაქონლეობაზე მიახლოებით მაინც სპეციალიზებული ლექსიკა. მეორე მხრივ, ნუერების

ლექსიკა ძალზე მწირია მექანიკურ მოწყობილობებთან, საერთოდ ტექნიკასთან მიმართებაში, როცა ინგლისურში რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა. პანაპენებს აქვთ ძალიან მდიდარი ლექსიკა ტკბილ კარტოფილთან დაკავშირებით, როცა ჩვენს ლექსიკაში ასეთი რამ თითქმის არ მოიპოვება.

აღსანიშნავია, რომ კულტურებს შეიძლება ჰქონდეთ საერთო ნიშნები, მაგრამ მათი გამოვლენა და აღწერა სხვადასხვანაირად ხდება. ეს განსაკუთრებით შეეხება ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. მაგალითად, საფრანგეთის სულანში ნაღველს გამოხატავენ იმით, რომ ლაპარაკობენ „ავადმყოფ ღვიძლზე“. ბომბარები, რომლებიც მათგან დასავლეთით ცხოვრობენ, მიუთითებენ, რომ ნაღველი, დარდი — ესაა „შავი თვალი“. მორები (ახალი გვინეა) ნაღველზე საუბრისას მიუთითებენ „სუსტ გულზე“, მაშინ როცა სულანელი უღუკებისათვის ესაა „მძიმე მუცელი“ და სხვ. [ნაიდა, 1962, გვ. 71].

ენისა და კულტურის ურთიერთობის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს მესხურ ლექს-სიმღერაში დადასტურებული ლექსემა „მამლის“ ეტიმოლოგიის ცდა. „მამლი მუხასა“ ერთ-ერთი უძველესი ქართული სიმღერაა. განიხილავს რა შ. მშველიძის მიერ ჩაწერილ ტექსტს კრებულიდან „ქართული ხალხური სიმღერა“ (რედაქტორ-შემდგენელი გრ. ჩხიკვაძე, თბ. 1960). ს. ჟღენტი მიუთითებს: „ქართული ხალხური სიმღერის ენაში ყურადღებას იქცევს ისეთი ფონეტიკური ცვალებადობა, როგორიცაა ლაბიალურ ხმოვანთა დელაბიალიზაცია. ეს მოვლენა მუსიკისმცოდნეების მიერ ბევრ ენაშია შენიშნული და იგი სასიმღერო წარმოთქმის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს. ამ ტიპის ხმოვნის სახეცვლილება დასტურდება მესხურ სიმღერაში „მუმლი მუხასა“. ამ სიმღერაში სიტყვა „მუმლი“ წარმოდგენილია „მამლი“ სახითაც:

„მუხა წონწილა, შენ, ბიჭო,

მამლი მუხასაო.

მუხისა ნაღვომსა, შენ, ბიჭო,

მუმლი მუხასაო,

წყალი ღვებოდა, შენ, ბიჭო

მამლი მუხასაო.

შიგ რომ თევზი მოცურავდა,

მუმლი მუხასაო,

იმასაც დაჭერა უნდა,

მამლი მუხასაო.

რითა და რითა, შენ, ბიჭო,

მუმლი მუხასაო,

მოსეს ბადითა, შენ, ბიჭო,

მამლი მუხასაო...“ და ა.შ.

ამ მესხურ საფერხულო სიმღერაში 11 — ჯერ გვხვდება „მუმლი“ და 11 — ჯერ „მამლი“ (ჟღენტი, 1965, გვ., 208-210). ს. ჟღენტის ეს მოსაზრება საგულისხმოა, მაგრამ ექვს ბადებს ის, რომ ერთ ტექსტში გვხვდება ორივე ვარიანტი — „მამლი“ და „მუმლი“ და, თუ ერთი მეორისაგან ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული, მაშინ რატომ არ გატარდა ეს მოვლენა ბოლომდე? საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ვ. შალვაძის შიგერ ჩაწერილ ტექსტში მხოლოდ „მამლი“ ფორმა გვხვდება (შალვაძე, 1987, გვ. 187).

ამ ლექს-სიმღერას არაერთი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული საკითხი უკავშირდება. მას აქვს კახური და აჭარული ვარიანტები. „მუმლი მუხასა“ ჩართული აქვს აკაკი წერეთელის პოემაში „პატარა კახი“ (ნოღაიდელი, 1967, გვ. 25; მამალაძე, 1969, გვ. 87). აჭარასა და კახეთში ეს ტექსტები შრომის სიმღერად იყო გამოყენებული (კოტეტიშვილი, 1934, გვ. 389). კახურ ვარიანტში ლაპარაკია მუმლზე, რომელიც მუხას ეხვევა და, ამ მხრივ, დიდ მსგავსებას ავლენს ქართულ ხალხურ პატრიოტულ ლექსთან „მუმლი მუხასა“. „მუმლი მუხასა“-ს შინაარსი წარმოადგენს ხეთა თაყვანისცემის ნაშთს, „რომელიც ენათესავენა ანალოგიურ საკულტო წესებს, იგი უკავშირდება ღრუბელთა ბატონს და აჩენს იმ რეალიებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ნაყოფიერების ჰიმნი სამეურნეო ხასიათის მაგიურ წესთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა. ლექსში შემონახულია არა მხოლოდ მცენარეთა კულტის ძველი სახე, როცა ხე სალოცავს წარმოადგენდა, არამედ იგი ხალხის მფარველადაც იყო მიჩნეული“.

მ. ჩიქოვანის მითითებით, „მუმლი მუხასაო“ ზოგადქართული საზაფხულო საწესჩვეულებო სიმღერაა, რომელიც თავდაპირველად მცენარეული ღვთაების (მუხის) გარდაცვალება — აღდგომის საღიღებელი უნდა ყოფილიყო. იგი შემდგომში პატრიოტულ სიმღერად იქცა: — მუხა — საქართველოს სიმბოლოდ, მუმლი — მის მტრად“ (ჩიქოვანი, 1948, გვ. 351). დროთა განმავლობაში სიმღერამ დაკარგა რიტუალური ხასიათი და იქცა პატრიოტულ ჰიმნად.

კახურ, მესხურ და აჭარულ ტექსტებს შორის გარკვეული შინაარსობრივი სხვაობაა (კერძოდ, მესხურსა და აჭარულში არაა ლაპარაკი იმაზე, რომ მუხას მუმლი ეხვეოდა). ამასთანავე, მათ მუხის კულტის კვალი აკავშირებთ. „ხე, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კოსმოლოგიური სიმბოლო, მრავალფეროვნად და განსხვავებულად ვლინდება სხვადასხვა და, ასევე, ერთსა და იმავე კულტურაში. ცნობილია მაგალითები, რომლის მიხედვით კოსმოსური ხე ვლინდება როგორც სამყაროს სახე || სამყარო (imago mundi). სამყაროს ღერძი (axis mundi), რომელსაც ზეცა ეკრძნობა და რომელიც აერთიანებს სამ კოსმიურ ზონას — ზეცას, მიწას, ქვესკნელს; იგი იმავე დროს დედამიწისა და ზეცის დამაკავშირებელია; სხვა ვარიანტები ხაზს უსვამენ“.

სამყაროს პერიოდული რეგენერაციის ფუნქციას და კოსმოსური ხის სამყაროს ცენტრის როლს, ან მის შემოქმედებით პოტენციას“ (აბაკელია, 1987, გვ. 237).

ხის (კულტის, „ბოძის“, „დედაბოძის“) ადგილი და მნიშვნელობა ქაროველთა უძველეს კოსმოგონიურ შეზღუდულებებში მონოგრაფიულადაა შესწავლილი (აბაკელია, 1987, გვ. 238).

მესხური ტექსტის მისამღერში მამლის შეწირვის ჩვეულებაა არეკლილი. ეს ჩვეულება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დასტურდება. ეძებნება მას ანალოგიები სხვადასხვა ხალხთა საკულტო წესებთან, რომლებშიც მკაფიოდ გამოიხატება „კონსეკრირებული ხე და მასზე შეწირული ფრინველი (კერძოდ, მამალი), ხოლო, როგორც ცნობილია, ხე და ფრინველი კოსმოლოგიური სიმბოლოებია“ (აბაკელია, 1987, გვ. 243).

ქართულ ყოფაში მამალი, ისევე როგორც მნათობი, ავი სულებისაგან დასნის საშუალებად იყო მიჩნეული. მისი მსხვერპლად შეწირვისა და მასთან დაკავშირებული რიტუალები კარგადაა აღწერილი ქართულ და უცხოურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, რომლის განხილვას აქ ვერ შევუდგებით. დაეასახელოთ მხოლოდ რამდენიმე: „საანგელოზო“ — შობას შესასრულებელი რიტუალი, „სულის გადაბრძანების“ რიტუალი, „ნერჩის გამოლოცვის“ რიტუალი და, განსაკუთრებით, „ჟინიში ორთას“ მიმართ შესრულებული რიტუალი, რომელიც ტარდება „ტყეში და მიმართულია კონკრეტული მიზნისაკენ მუხის თავიდან ასაცილებლად და საქონლის გადასარჩენად“ (აბაკელია, 1987, გვ. 243).

მუხისათვის მამლის შეწირვის რიტუალია აღწერილი კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“. ყვავილბატონებთან არსაკიძის მიერ მუხისათვის წითელი მამლის შეწირვას, ასევე სისხლის პკურებას, საკრალური დანიშნულება აქვს. აქ თავს იჩენს მუხაზე, როგორც ტოტემზე, უძველესი წარმოდგენები. მუხის კულტთან დაკავშირებული საკითხები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლადაა მიმოხილული¹.

სავარაუდოა, რომ მესხური საფერხულო სიმღერის მისამღერში წარმართული მსხვერპლშეწირვის, კერძოდ, მუხისათვის მამლის შეწირვის კვალია შემონახული. ამასთან, თვალნათლივ ჩანს, რომ ზეარაკად მამლის შეწირვის ჩვეულება უძველესი რელიგიური კულტისა და რიტუალის გამოხატულებაა. იგი ანალოგიებს სხვადასხვა ხალხთა წეს-ჩვეულებებთან და

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ.1, თბ. 1979, გვ. 133-135; ვ. ბარდაველიძე, ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს სახ.მუზეუმის მოამბე, III, 1927; მიხ. ჩიქოვანი, დემეტრეს წმინდა მუხა, წიგნში: ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ. 1971, გვ. 44-51; ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 380-389; გ. ახვლედიანი, ცხოვრების ხის სიმბოლური სახეები ქართულ ფოლკლორსა და ძველ მწერლობაში, ჟურნ. „რელიგია“ 1995, IV, 10-11-12, გვ. 112-120.

მითოლოგიურ წარმოდგენებთან პოულობს და ცალკეულ ქვეყანაში თავისებური სახით ვლინდება“.

თუ მისამღერში მამლი მუხასა მართლაც მამალი იგულისხმება, მაშინ გასარკვევია, თუ რატომაა ეს ლექსემა წარმოდგენილი შეკუმშული ფორმით — მამლი. აქ შეიძლება ორი დაშვება:

1. მამალი ყველა ხეს (ჩვენს შემთხვევაში — მუხას) არ შეეწირებოდა. მსხვერპლშეწირვისა და მასთან დაკავშირებული რიტუალის შესასრულებლად ამორჩეული იყო კონკრეტული ხე. სავარაუდოა, რომ ამ ხეს სამამლე ხე — მამლის მუხა ეწოდებოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მამლი სწორედ მსაზღვრელის რედუქციისა და შემდეგ მისი გამარტივების გზითაა მიღებული. ე.ი. მამლის მუხა → მამლის მუხა → მამლი მუხა.

2. დასაშვებად მიგვაჩნია მამლი-ს სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან — მიღება. უნდა ვიფიქროთ, რომ მას შემდეგ, რაც სიმღერამ დაკარგა რიტუალური დანიშნულება, ე.ი. მამლის მუხისათვის შეწირვა უკვე აღარ ხდებოდა, მისამღერის შინაარსი შემსრულებლისათვის უკვე გაუგებარი გახდა და თვითონ სიმღერა რიტუალურიდან ჩვეულებრივ საფერხულო სიმღერად იქცა. მისამღერის შინაარსის გაბუნდოვნებამ მიგვიყვანა ფორმაცვალებამდე — მამალი → მამლი. ამ გადასვლისათვის ხელი უნდა შეეწყო ქართული (კახური) სიმღერის მუშლი მუხასა-ს ტექსტსაც. ე.ი. სავარაუდოა, რომ მამლი ფორმა შექმნილია მუშლი-ს ანალოგიით. ნიშანდობლივია, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. ჟღენტის მიერ მითითებულ ტექსტში მამლი ფორმა იმდენჯერ გვხვდება, რამდენჯერაც მუშლი [კაკიტაძე, 1997].

თავი მესამე სიტვის მნიშვნელობის ცვლის საკითხები ქართულში

ლექსიკისათვის სისტემური ორგანიზაციის სიმრავლე და სხვადასხვაგვარობაა დამახასიათებელი. ამავე დროს, ლექსიკა ღია და გამჭვირვალე სისტემაა, რომელსაც თავისი მოქნილობის მეშვეობით შეუძლია გადაეწყოს სხვა ქვესისტემაზე. ლექსიკური სემანტიკა უფრო უშუალოდ ასახავს არაენობრივ რეალობას, ვიდრე გრამატიკული, რაც ხელს უწყობს ლექსიკურ ცვლილებებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლექსიკური (არაგრამატიკული) მნიშვნელობების ფაქულტატიურობის გამო ლექსიკა ხასიათდება შინაარსობრივი და გამოხატვის მხარეთა ფართო ვარიანტულობით. ეს კი განაპირობებს ცვლილებისათვის მუდმივ შინაგან მზადყოფნას. აქედან გამომდინარე, სემანტიკის ხასიათითა და სისტემური ორგანიზაციის თავისებურებით ლექსიკა ის ენობრივი ფენომენია, რომელიც მუდმივად უნდა იცვლებოდეს და იცვლება კიდევც.

ისტორიული პროცესი ლექსიკაში გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და კერძობითი ცვლილებების სიმრავლით. ამავე დროს, ცალკეული ცვლილებების სიჭრელეშიც შეიძლება გამოიყოს ლექსიკის განვითარების ზოგადი, მაგისტრალური მიმართულებები. მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა რანგის ლექსიკური სისტემების — ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების, მიკროსისტემების, ქვესისტემების და, საბოლოოდ, ენის მთლიანი ლექსიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. სწორედ ეს პროცესი ქმნის კერძო, კონკრეტული ენის სიტყვარის თავისებურებებს, რაც, ძირითადად, სიტყვარის ორგანიზაციის თავისებურებაში მდგომარეობს. ლექსიკური სისტემის ისტორია განისაზღვრება იმით, ამა თუ როგორ ნაწვევდება არაენობრივი საშუალო ცალკეულ წარმოდგენებად: როგორ ხდება სახელდება, როგორ ერწყმება ერთ მნიშვნელობაში სხვადასხვა წარმოდგენები, გარესაშუალოს სხვადასხვა „უჯრედები“; როგორ ჩანს მოვლენათა შორის კავშირები. ლექსიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი არ წარმოადგენს აღმნიშვნელთა უბრალო თავმოყრას, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც მოძრაობა რომელიმე, ვთქვათ, წარმოდგენების დიფერენციაციის ან კონკრეტიზაციის მიმართულებით. ლექსიკაში ისტორიული პროცესების სირთულე და რეალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ძვრები ხდება სხვადასხვა მიმართულებით. ამასთანავე, ეს ძვრები არ არის მკაცრად თანმიმდევრული და ერთდროული.

ენის განვითარების პროცესში სიტყვათა უმრავლესობის მნიშვნელობა უცვლელი რჩება და ისინი ერთი ფუნქციით ემსახურებიან ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ინტერესებს. ამასთანავე, კანონზომიერი პროცესია სიტყვათა მნიშვნელობის შეცვლა, რამდენადაც

ამას ხმარებულობის პრაქტიკა განაპირობებს [დლონტი, 1983, გვ. 74]. ჩვენ განვიხილავთ ქართული ლექსიკის ისეთ ერთეულებს, რომლებშიც ბგერითი შედგენილობა უცვლელი დარჩა ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მაგრამ მნიშვნელობა რადიკალურად ან რამდენადმე შეიცვალა.

საანალიზოდ ძირითადად წარმოდგენილია სახელური ფუძეები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ცვლილების თვალსაზრისით გაცილებით უფრო კონსერვატიულია და, ამდენად, უფრო ნათლად წარმოადგენენ იმ სემანტიკურ გადასვლებს, რომლებიც ქართულ ენაში ხდება. ნაწარმოებ სახელთა განხილვისას ზოგჯერ ნაზმნარ ფორმებსაც ვეხებით.

§1. მარტივი ფუძის სახით წარმოდგენილ სიტყვათა მნიშვნელობის ცვლილება

ამბარი. ქეგლი: ამბარის (ამბარისა) [სპარ. ანბარ] ორი მნიშვნელობა მოყვანილი: „1. იგივეა, რაც ბელელი. ქურდმა დაჩხრიკა სულმთლად სახლ-კარი, ხულა, მარანი, ჭერი, ამბარი (რ. ერისთ.) 2. ყუთის მსგავსი დიდი (რამდენიმე ათეული ფუთის) ტევადობის სათავსი — ხორბლყულის ან ფქვილის შესანახად (ქართლ-კახეთში). მარცვლეულის ამბარი. — ფქვილის ამბარი. — ორი გამოცხობა რომ კიდევ იყოს ამბარში, მეტი აღარ იქნება (ა. ერ.-ხოშტ.) შდრ. აკო.“

„აკო (აკოსი) კუთხ. (ფშ.) ფქვილის ჩასაყრელი (ი. ჭყ.) შდრ. ამბარი?.“

ილია აბულაძის ლექსიკონში ამბარი ასეა განმარტებული: „საქმელი, საქამადი: „ამბარსა განუყოფდეს ჳელმწიფეთა“ იბ. რომ.-კურთხ. ისაკ და იაკ. 114, 2.“

დ. ჩუბინაშვილი: „ამბარი (სპარ.) ს. საფქვილე ზანდუკი ან სახლი პურის შესანახავი, ბელელი“.

სკ: ამბარი (ქართლ.) წისქვილში დადგმული სამინდე ქურჭელი, გატხრული სამად, ხორბლისათვის, ჭერისა და სიმინდისათვის (შ. ძიძ., ანგარიში). თურქ. ambar.“

ივ. ჭავჭავიძე, მსჯელობს რა მარცვლეულის დაუნჯების წესებსა და შესანახ მოწყობილობებზე, მიუთითებს, რომ ორმოებს გარდა ხორბლყულისა და ქრთილეულს საქართველოში განსაკუთრებულ შენობებში „საუნჯე“-ში, „ბელელში“ ინახავდნენ (ჭავჭავიძე, 1986, გვ. 107).

„ბელელი“ 2 ნიშტთა 32₂₈-ში მოგვეპოვება. ბერძნულსა და სომხურ თარგმანებში (32₂₈) ამის შესატყვისი სიტყვა არ მოიპოვება., მაგრამ ლათინურ თარგმანს კი, მართლაც, აქ apotheca აქვს, რომელიც საწყობს, მარცვლეულის საწყობსა ჰნიშნავს. ეს ტერმინი ლათინური კი არა, ბერძნულითგან შეთვისებულია. დაბადების ამ ადგილის ებრაულ დედანსაც აქ

3. წისკვილში დადგმული სამინდევო ქურჭელი (შ. ძიძ.)

4. საკმელი, საკამადი (ი. აბულ.)

მნიშვნელობათა ცვლა სახეზეა. მისი დანიშნულება ნათელია — იგი არის შენობა ან ქურჭელი, საკუჭნაოს, საწყობის ფუნქციით. საყურადღებოა მისი მნიშვნელობა, როგორც საკმლის აღმნიშვნელისა. ცხადია, რომ იგი სწორედ საკმლის (ხორბლის, ფქვილის) შესანახი ქურჭელია და, აქედან გამომდინარე, მნიშვნელობის გადაწევა არ არის გამორიცხული.

თანამედროვე ქართულში მისი გამოყენების არე შეზღუდულია. საქმე ის არის, რომ ბელის, ამბარის ადგილი დაიკავა ელევატორმა [ლათ. elevo-დან მალა ვწევ]. (ხორბლის შესანახი დიდი შენობა, ბელედა, რომელსაც აქვს საეციალური მექანიკური მოწყობილობა მარცვლის გასანიაველად, გასახმობად, დასახარისხებლად და სხვ.). მას დარჩა მხოლოდ საშუალო ზომის საფქვილე ყუთის აღნიშვნის ფუნქცია. ე. ი. სახელით ერთი კლასიდან (სამეურნეო შენობები) იგი სხვა (სამეურნეო სათავსოთა) კლასში გადავიდა [კაკიტაძე, 2002, გვ. 68-70].

მეტოქე. მეტოქე ქველ-ის მიხედვით არის ის, „ვინც ან რაც უპირისპირდება მეორეს თავისი ინტერესებით, — მოქიშპე, მოცილე, მოწინააღმდეგე... || მტერი.

საბასთან მოყვანილია მეტოქი ფორმა და ასეა განმარტებული: „სამყოფი მონაცვ(ა)ლე ZAB. მონაცვლე სამყოფი CD.

დ. ჩუბინაშვილი განმარტავს „(ბერძნ.) დროებით სადგომი ეპისკოპოზთა სხვას ეპარხიაში; ამ ლექსისაგან სწარმოებს სახელი რომელითაც ეკკლესიათა: მეტეხი; მდაბ. წინააღმდეგი; მოცილე;“

ილ. აბულაძის ლექსიკონში მეტოქე განმარტებულია როგორც „მონასტრის კუთვნილი დაქვემდებარებული ეკლესია მამულით: „ეკლარნი ზედაისზედა გავიდოდინ მეტოქთა“ ი.-ე. 44,6.

ივ. ჭავჭავაძის მიუთითებს, რომ „დიდ სავანეებს ჰქონდათ ხოლმე „მეტოქი“, ზოგსა რამდენიმეც, „მეტოქნი“. გ. მთაწმინდელს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ ათონის ქართველთა მონასტრის სათანადო მოხელეები „ზედაის-ზედა გავიდოდინ მეტოქთა“ და „მუნემყოფთა“ შესაფერის დარიგებას აძლევდნენ ხოლმე. ამავე სავანის №145 ალაპი ერთი მათგანის სახელსაც იხსენიებს „ნიკოლ წმიდა მეტოქი“. პავლე მამასახლისის შესახებაც ნათქვამია: მონასტრის „გარეგნით აღაშენა ბილბილის მეტოქი სრულებით“ და ამას გარდა „თესალონიკს მეტოქს ნათლისმცემლის საენიკონი სახელი“, დასასრულ „მეტოქი როდივილის“ სავაჟინოთ ვიდრე სამზარეულოდმდე“-ო.

...მეტოქი ბერძნულითგან შეთვისებულია, სადაც ახალშენს ნიშნავს. ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, რომ მეტოქის დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენდა, რომ იგი მონასტრის „გარეთ“ მდებ-

ბარეობდა, ხშირად ძალზე მოშორებითაც, როგორც მაგ. თესალონიკში. შემდეგ გ. მთაწმინდელს ნათქვამი აქვს, რომ მონასტრის სათანადო მოხელეები სავანის მეტოქეებში დროგამოშვებით მიდიოდნენ ხოლმე და „მოჰნახვილიან ხილნართა“. ამ ცნობითგან ჩანს, რომ მეტოქეებში ხილნარები და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგის უძრავი ქონება ჰქონიათ. ამასთანავე იქაც არაერთი ისეთივე სამეურნეო დაწესებულება იყო, რომელიც თვით მონასტერში არსებობდა, როგორც მაგ. სავაჟინო, სამზარეულო და სხვა. დასასრულ მეტოქეებში, რასაკვირველია ეკლესიაც იყო. ამგვარად ირკვევა, რომ მეტოქე მონასტრის ერთნაირი ახალშენი და განყოფილება იყო, რომელიც მთავარ, დედა-მონასტრისათვის საჭირო სამეურნეო, ან სხვა რაიმე მიზნებს, მაგ. მიმოსვლისას, ვითარცა გზაზე მდებარე სადგომი და სასტუმრო, ემსახურებოდა“ (ჯავახიშვილი, 1984, გვ. 39).

როგორც ვხედავთ, მეტოქე არა მარტო ემსახურებოდა ძირითად მონასტერს, არამედ ზოგჯერ მის ფუნქციასაც ასრულებდა (მღვდელმთავრის სადგომი, სამეურნეო ფუნქციები). სწორედ ფუნქციების გათანაბრების შედეგი უნდა იყოს მეტოქე || მეტოქე ლექსემის (ახალშენი) მნიშვნელობის გადააზრება (მოქიშპე...). მას შემდეგ, რაც ახალშენებმა (ანუ ძირითადი მონასტრების პარალელურმა მონასტრებმა) ეს ფუნქცია დაკარგეს, სიტყვამ საეკლესიო ტერმინოლოგიიდან ხალხურ მეტყველებაში ვადინაცვლა იმ სუბიექტების აღსანიშნავად, რომლებიც ერთ ობიექტზე (ერთ ფუნქციაზე) აცხადებენ პრეტენზიას [განსხვავებული მოსაზრება იხილეთ — სალია, 2002, გვ. 246].

აზატე. ილია აბულაძის ლექსიკონში „აზატი“ არ გვხვდება, იგი არ არის მოყვანილი არც დ. და ნ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ქეგლში კვითხულობთ:

აზად-ი (აზადისა) იხ. აზატი

აზატი-ი (აზატისა), აზად-ი (აზადისა) (ამჟამად მართებულია აზატი) [სპარ. აზად „თავისუფალი“] ისტ. თავისუფალი; კერძოდ, განთავისუფლებული ყმა. 0 აზადი, აზატი საქონელი არამომგე, არამეწველი საქონელი. ამ დროს მათ წვერობზედა მეცხვარე აზადს აბრუნებს (ბაჩ.).

აზატობა (აზატობისა) ისტ. აზატის მდგომარეობა, — თავისუფლება. აკი აზატობა და სამოსახლო მიწებიც უწყალობა დადიანმაო! (პ. ჩხიკვ.)

სკ: აზად-ი! (ქიზიყ., მთიულ., ფშ.) ბერწი საქონელი (ს. მენტეშ.); მშრალი, არამეწველი ცხვარი, ცხვრის ფარა (ი. ქეშიკ.); ბერწად დარჩენილი ცხვარი (ლ. ლეონ.)

აზად-ი² (ხევსურ.) უღელში შეუბმელი მოზვერი (ა. შან.; ლ. ლეონ.). ენციკლოპედია „საქართველოს“ I ტომში მოყვანილია ამ სიტყვის მრ. რიცხვის ფორმა აზატები და შემდეგი სტატია: (სპარს. აზად — თავისუფალი). პრივილეგირებული წოდების, მხედართა დაბალი ფენა სასანიანთა

ირანში, საშუალო და წვრილი მიწათმფლობელები, თავისუფლები იყვნენ გადასახადებისაგან და ომის დროს ცხენოსან ლაშქარში სამსახური ევალებოდნენ. სომხეთში ფართო მნიშვნელობით მთელ ფეოდალურ კლასს ეწოდებოდა (VIII ს-მდე), შემდეგ კი წერილ მემამულეებს, რომლებიც სიუზერენის სამხ. სამსახურში იყვნენ.

სიტყვა აზატი საქართველოში შემოვიდა „თავისუფალის“ მნიშვნელობით (დადასტურებულია XII ს. ძეგლებში). აზატი იზმარებოდა აგრეთვე უფრო გვიან შემოსული თარხნის სინონიმად. XVI-XVII სს. დოკუმენტებში. ჩვეულებრივ მსახურის შესატყვისი იყო (იგულისხმებოდა მებეგრე გლეხის „თავი ბეგარისაგან“ განთავისუფლება და მსახურად დადგენა). ზოგჯერ ყმობისაგან მთლიანად განთავისუფლებულსაც ეწოდებოდა“ [საქართველო, ტ. I, თბ. 1997, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სასწავლო მთავარი სამეცნიერო რედაქცია. გვ. 69].

ილ. აბულაძე განიხილავს აზატს, როგორც ფალაურიდან შემოსულ სიტყვას [აბულაძე, 1975, გვ. 012-019]

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში აზატობას სპეციალური შრომები მიეძღვნა, რომელთა განხილვას ჩვენ არ შევუდგებით.

როგორც ვხედავთ, საშუალ ქართულში შემოსული ეს სიტყვა რამდენიმე მნიშვნელობას ითავსებს:

1. ზოგადად თავისუფალი, თავისუფლება.

2. გარკვეული მოვალეობებიდან (ბეგარიდან) განთავისუფლებული ყმა. რომელიც მსახურთა (შინა-მოსამსახურეთა) ფენაში გადავიდა, ე. ი. მან სოციალური თავისუფლება კი ვერ მოიპოვა, არამედ ერთი მოვალეობის (ბეგარის გადახდა) ნაცვლად დაეკისრა მეორე (მოსამსახურეობა)

3. ყმობისაგან განთავისუფლებული გლეხი.

4. აზადი, აზატი — არამომგე, არამეწველი საქონელი.

უნდა აღინიშნოს, რომ აზადი არამეწველი საქონლის გარდა (რომელიც გულისხმობს როგორც ძროხას, ასევე მამრ. სქესის პირუტყვს) აღნიშნავს მოზვერსაც, რომელიც გაუხედნავია, უღელში ჭერ არ შეუბამთ და ამდენად თავისუფალია (სკ. ხევსურული: ა. შან., ლ. ლეონ.).

მაშასადამე, ზოგადად თავისუფალის, თავისუფლების აღმნიშვნელი სიტყვა თანდათან კონკრეტდება და აღნიშნავს როგორც ადამიანთა, ასევე პირუტყვთა გარკვეულ ჯგუფსაც.

დღეისათვის პირველი ჯგუფის (ადამიანთა) აღნიშვნა ამ სიტყვის ფუნქცია აღარ არის და იგი მხოლოდ ცხოველთა კლასს მიემართება.

ბაღლი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ბაღლის სამი მნიშვნელობაა მოყვანილი: 1. იგივეა, რაც ბავშვი... 2. შვილი... 3. გადატ. ბაღლის თვისებისა, ბაღლის ქცევისა...

მიუხედავად იმისა, თუ რას აღნიშნავს ეს სიტყვა (1. ადამიანი კრმო-

ბამდე; 2. ადამიანის შვილი; თუ 3. გარკვეული თვისების ქონება), მისი მნიშვნელობისთვის მთავარი ნიშანია ასაკით მცირე არსების და ასეთი ასაკის არსებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისების გადმოცემა.

ძველ ქართულში ეს სიტყვა არ გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანთან იგი დაკავშირებულია არა ადამიანის აღნიშვნასთან, არამედ ცხოველთან. ბალლი, განმარტავს ავტორი, არის „(ოთხფ.) მკლე საკლავი ZAB.

(ოთხფ.) მკლე ცხოვარი Cხq. კლე ცხოვარი CaDE. ხოლო ცხოვარის განმარტებისას იგი უფრო აკონკრეტებს ამ მნიშვნელობას — მკლე და ცუდი ცხოვარი, „რომელ არს ჟოჟარაკი“.

ასევე განმარტავს ამ სიტყვას დ. ჩუბინაშვილიც: „მკლე საკლავი, тошнй рогатий скотъ.

ორსავე განმარტებაში ძირითადი ყურადღება გადატანილია იმაზე, რომ ეს საკლავი (ცხვარი) არის მკლე, ცუდი ცხვარი, სულხან-საბას ეს განმარტება მოყვანილი აქვს ცხვრის ბუდეში, სადაც მოცემული აქვს ცხვრის სახელთა კლასიფიკაცია ასაკისა და სქესის მიხედვით. ბაღისათვის არა აქვს მნიშვნელობა, რა სქესის და რა ასაკისაა იგი. მთავარია, რომ იგი არის მკლე, ე. ი. ტანად პატარა და გამხდარი.

მაშასადამე, ბაღის ძირითადი ნიშანი არის პატარა არსების (ბავშვის ან ცხვრის) აღნიშვნა. ხოლო დიფერენციაცია ადამიანის შვილი — ქვარის თანამედროვე ქართულში აღარ გვაქვს. ბალლი ლექსემა მხოლოდ ადამიანს მიემართება.

ნიჭი. ძველ ქართულში ნიჭი ძირითადად საჩუქარს, საბოძვარს, შესაწირავს, ძღვენს, ტალანტს აღნიშნავს: „თუნიერ ნიჭთა თქუენთა“ *px.*, — „თუნიერ დასადებელთა თქუენთა“ *G*, ლევიტ. 23,38; „იციოთ ნიჭისა კეთილისაჲ მიცემად“ მთ. 7,11; „ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ შენ ფასითა მოპოვნებად“ საქ. მოც. 8,20; „ნიჭსა კეთილსა მოგანიჭებ თქუენ“ *px.*; იგ. სოლ. 4,2; „ნიჭი უფლისა მიერ არს დედაკაცი მშუდი“ *O*, ზირ. 26,17; „კობან, რომელ არს ნიჭ“ მრ. 7,11; „ვინმე რბინ ასპარეზსა და არა მიიღის ნიჭი ძველისაჲ“ ფლპ. მოც. 8,5; „ნიჭისა მომცემელ ჩუენი ღმერთი არს“ მსკ. 38,4; „მოეცემიან კაცთა ნიჭნი იგი ზეგარდამონი, რომელსამე სიტყუად... და რომელსამე კურნებაჲ“ მ. სწ. 310,7; „განყოფილ ხარ პირუტყუთაგან... არა ნიჭითა სიტყურობისაჲთა“ *H-2251, 280v.* (ილ. აბულაძე).

„მაგრამ მრუქებელის მდგომარეობისდა მიხედვით საჩუქარსაც და ჩუქებასაც თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა. მაგ. სოციალურსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მალა მდგომისაგან მასზე უფრო დაბლა მდგომისათვის ჩუქებას „წყალობა“ და „შეწყალება“, ან „ბოძება“ ეწოდებოდა. ხოლო ასეთ საჩუქარს „ნაწყალობევი“, ან „ნაბოძვარი“ ერქვა“ [კავახიშვილი, 1984, გვ. 313-314].

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის განმარტება, რომელიც დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშია დაცული: მაღლი, ძალი ზეგარდმო მინიჭებულ კაცადმი, ტალანტი“. ეს განმარტება ხაზს უსვამს, რომ ეს „მაღლი, ძალი ტალანტი“ უფლის ნაბოძებია, ზეგარდმო ნაჩუქარია.

ახალ ქართულში სიტყვის მნიშვნელობა უკვე დაცლილია საჩუქრის, საბოძვარის შინაარსისაგან — ნიჭი დღევანდელი გაგებით არის, ბუნებრივი უნარი შემოქმედებითი კულტურის ამა თუ იმ დარგში, ტალანტი“ (ქეგლ). თუმცა ზმნურ ფორმებში (ანიჭებს, მიანიჭებს --) მნიშვნელობა შენარჩუნებულია. „ნიჭი“ თანამედროვე ქართულში გულისხმობს იმას, თუ ვის საკუთრებას ან დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს იგი, ოღონდ მისი წარმომავლობა გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში ენისთვის იგი აღარაა საინტერესო. სწორედ ეს გახდა სიტყვის მნიშვნელობის შეცვლის მიზეზი.

გერში. სულხან-საბა ორბელიანთან გერში განმარტებულია როგორც „ნაკოდთა მცირე სისხლი ZA“. იქვე მოცემულია მისი სხვაგვარი განმარტებაც: მცირე ჭრილობა, გინა ნაჭერი CD. მცირე ჭრილობა E“.

ეს სიტყვა განმარტებულია ილ. აბულაძის ლექსიკონშიც: გერში-ნაკვალევი, ნასახი (ჭრილობისა, სენისა...). განიკურნა იგი... ვიდრემდის არარაა გერში საღმობისაჲ იყო მის თანა ყოლადვე“ ლიმ. 70,7; „სარჩუმუნო იქმნა გერში კაცისა მის ყურწარკუეთილისაჲ“ Ath.-11,84v; გერშის-დადება დაშავება (ასოსი): „უკუეთუ ვინმე დასდვას გერში მოყუასსა თჳსსა“ G. ლევიტ. 24,19“. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით გერშის აღება ნიშნავს დაჭრას, ჭრილობის მიყენებას.

ივ. ჭავჭავაძის თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ „ქართულ სამართალში „გერში“ და „ნახშირი“-ც გასამართლების დროს მხედველობაში იყო მიღებული. ორივე სიტყვა, როგორც პრ. ნ. მარჩმა დაამტკიცა, იმ დროითგან უნდა იყოს შერჩენილი, როცა ქართველები ჭერ კიდევ მონადირეობას მისდევდნენ: „გერში“ თავდაპირველად ნადირის ჭრილობასა და სისხლს ერქვა. ამ მნიშვნელობაზე დამყარებული და იმ დროის ცნების გამოშხატველი ტერმინია ეხლანდელი „დაგეშა“-ც. შემდეგ, ქართულ სამართალში „გერშად“ ადამიანის მსუბუქი და არადუმაშავებადი ჭრილობა და მისი საზღაური იწოდებოდა. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“-ში, მაგალითად, სწერია: „გერშის საქმე ასრე იქმმნას: ვისაც პირსა ზედა გერში აჩნდეს, ანუ ცხვირი მოეყველნესო... თუ გერში სად საჩინოდ იყოს ასრე, რომ არ დაშავდებოდეს და დაჩნდეს“-ო..

გერშის ძველი მნიშვნელობა შენარჩუნებულია გამოთქმაში გერშის ჭმევა, რაც გულისხმობს სანადირო ძაღლისათვის გარეული ცხოველის სისხლის (სისხლიანი ხორცის ნაჭრის) გასინჯვას.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში გერში და მისი გამარტივებული ფორმა გეში ქეგლ-ის მიხედვით არის „1. დაკარგულის ან რაიმე საძიებლის მისაკვლევე ნიშანი. — კვალი. ქურდობისა და ავაზაკობის საქმეში თვალად წვრილმანი რამ გეში და კვალი ხშირად უფრო აცხადებს საქმის ვითარებას,... ვიდრე სხვა რამ (ილია). 2. ალღო, ჩვევა, გაწაფულობა, გამოცდილება. არც არა დაუნახავს, არც არა გაუგონია, მაგრამ ჭარისკაცის ნაცადმა გეშმა მაინც იქით მიახედა (კ. ლორთქიფ.)“. აქედან ზმნა გეშავს („და'გეშა, „და'უგეშავს) გრძმ. (ფრინველს, ძალს) გეშით კვალის მიგნებას ასწავლის, წვრთნის. მიმინოს გეშავს. — ძალს გეშავდა (ქეგლ). [შღრ. ლერნერი 1991]

ბორიო. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მოყვანილია ლექსემა ბორეასი და განმარტებულია როგორც ქარი „(+ ერთი ZA), ჩრდილოთ გამო ZAB. ქარია ერთი“

ხოლო ბორარისა, როგორც ჩრდილოეთი ZAB.

დ. ჩუბინაშვილთანაც ასეთივე განმარტება გვაქვს: ბორეა, ბორეასი, ბორიო, ჩრდილოეთის ცივი ქარი.

ქეგლში მითითებულია, რომ ეს სიტყვა ბერძნულია [boreas], ცივი ძლიერი ქარი ჩრდილოეთისა. დაღმუით თავზე ბორიო, აგლეყს თმა-წვერს და ქოჩორსა (ვაჟა). ფხიან ბორიოს ნისლი გაეფანტა და ნახევრად მოწმენდილი ცის კიდე ჩამავალი მზისაგან წითელ შუშასავით ბრჭყვი-ალებდა (რ. გვეტ.). ნარგისათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს იანვარია (რუსთაველი).

გურულ დიალექტში, სადაც ეს სიტყვა ორგვარი დაბოლოებით ო/ა გვხვდება, უკვე ნელ ქარს, სიოს აღნიშნავს. „ერთი კაი ბორია ახლა ათას ქისა მარჩილად ღირს!“ (უიარ.). „მეზობლებიდან თუ მეიტანა ბორიამ [თოფის წაშლის სუნი]“ (ე. ნინოშვი.). ◊ ქარ-ბორიას ველაპარაკები! ძვ. ეთნ. ქვისკენ პირი მიქნია (ითქმოდა, როცა ახსენებდნენ რაიმე უბედურებას, — სიკდილს, ფათერაკს: ვისაც ესაუბრებოდნენ, იმას აშორდეს ეს ყველაფერი).

ქარბორია იგივეა, რაც ბორიო.

საგულისხმოა, რომ ბორიო-ს მნიშვნელობა ქართული ენის კილოებში დაუკავშირდა საბერველის აღნიშვნას: ქიზიყურში იგი ჰქვია ოქრომქედლის ხელსაწყოს: გრძელ მილს, რომლითაც ქრაქის ცეცხლს უბერავენ და ოქროს ან ვერცხლს ახურებენ (ს. მენტ.).

საბერველი ძველ ქართულშივე გვხვდება: „მუცელი ჩემი ვითარცა... საბერველი მჭედლისაჲ, რაჲ განსთქდებინ“ O, იობ. 32, 19; „მოავლდა საბერველი ცეცხლისაგან“ I, იერემ. 6, 29.

საბასთან გვაქვს ასეთი განმარტება: ქარის შესაბერავი ZA.

დ. ჩუბინაშვილთან: ცეცხლის გასაღვივებელი გუდა.

ქეგლ: საბერველი (საბერველისა) 1. ჰაერის დასაბერი მოწყობილობა დაკეცილი ტყავის გვერდებით, იხმარება უმთავრესად ცეცხლის გასაღვივებლად. 2. რისამე (მაგ., ფხენილის) შესაფრქვევი პატარა ხელსაწყო.

ბორიო ისეთივე ფუნქციის ხელსაწყოა, როგორც საბერველი. განსხვავება იმაშია, თუ რა ფორმისა და რა მასალისაგან დამზადებულ საგანზეა საუბარი. ბორიო გრძელი მილია, საბერველი კი ტყავისა და ხისგან დამზადებული მოწყობილობაა. ბორიოს პირით უბერავენ, ხოლო საბერველი სპეციალური ხელკეტით იკუმშება და ფართოდება. საბერველი იხმარება ლითონის (რკინის, ბრინჯაოს, სპილენძის...) დასამუშავებლად, ხოლო ბორიო განსაკუთრებით ძვირფასი ლითონების დასამუშავებლად. იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი მცირე ზომის ნივთიერების დასამზადებლად გამოიყენება, ბორიოც მცირე ზომისაა. მაშასადამე, საბერველის ფუნქციის მქონე ხელსაწომ სახელი ქარისაგან აიღო; ქარი — ის, რაც უბერავს; ბორიო — ის, რითაც უბერავენ

ასაბია. ძველი ქართული ენის ლექსიკონში ასაბია განმარტებულია, როგორც მეშველი, შემწე: „უკუეთუ ვისმე იპოვის ასაბიამ და ერთიმეორისა მეშუელ... და ფიცხლად წუართის“ ი.ე. 36,17.

საბასთან განმარტება უფრო დაკონკრეტებულია: „მტერზედ მიმყოლი, შემწე Z. „მტერზედ მიმყოლი ABC.“

დ. ჩუბინაშვილი: „(არაბ.) ყურცემული, მოყვარული მტერზედ სამტროდ და მოყვარესთან სამოყვროდ, თანამოსაგრე, თან მოლაშქრე, თანაზიარი, თან მონაწილე: союзник, соощник, товарищ; ქილ. 325, აღბ. 15. გიორგი მეფ. სამ. 40, რუსულ. 1; полицейский чиновник, დავრ. 16“

ქეგლ: 1. ძვ., „მტერზედ მიმყოლი, შემწე“ (საბა); თანამდგომი, ამხანაგი. 2. მიცვალებულის გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლის (ნათესავ-მოკეთეთა) მხლებლები... 3. კუთხ. (ლენჩ.) გათხოვილი ქალის სამშობლო.

ეს სიტყვა სვანურშიც გვხვდება: ასაბია ბზ., ასაბია^ა ლშზ., ასაბიან ლნტ. — ჭირისუფალი, ასაბია. ასაბია სგა ხასგურ ლგდგარა კუბს (ლშზ. 36) — ჭირისუფალი უზის მიცვალებულის კუბოს. ალეს ქა ხოჭრიდახ ასაბიანს (ლნტ. 5) — ამას შეუთვლიდნენ ჭირისუფალს“ („სვანური ლექსიკონი“).

მაშასადამე „ასაბია“ სხვადასხვა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც მეშველი, შემწე, მოყვასი, თანამდგომი, ამხანაგი, მიცვალებულის ჭირისუფლის მხლებლები, ამაღლა, გათხოვილი ქალის ნათესავები და ჭირისუფალი.

თანამედროვე ქართულში ასაბიას აღარ აქვს მეშველის, შემწეს მნიშვნელობა. ის ძირითადად გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლის მხლებლებს აღნიშნავს. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში არაა და-

კარგული შემწეს, მეშველის შინაარსი. ასაბია, რომელიც გასვენებაზე პირველ ღირსიუფალს ახლავს, თანაუგრძნობს მას, მასთან ერთად დასტირებას მიცვალებულს. ასაბიაში ჩვეულებრივ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცნობილი იყვნენ ტირილით — მოთქმით, შეცხადებით. სოფლებში იყვნენ პროფესიონალი მოტირლები, ზარის მოთქმელები. ამ პროცესს, ასე ვთქვათ, რიტუალური ფუნქცია ჰქონდა და ღირსიუფალს თუ კარგი ასაბია (ე. ი. კარგი მოტირლები) ახლდა თან, ეს სანაქებოდ ითვლებოდა. მოტირლების ინსტიტუტი (ასაბია) განსაკუთრებით იყო ფუნქციონირებული დასავლეთ საქართველოში. როდესაც საუბარია ასაბიაზე და მოტირლებზე, აქ უმთავრესად იგულისხმება მოტირლების ის ამაღლება, რომელიც ოჯახიდან გათხოვილ ქალს ახლავს თან. ამიტომ გასაგებია ქველ-ის ის განმარტება, რომელიც ლეჩხუმური ლექსიკონიდან არის მოტანილი — „გათხოვილი ქალის სამშობლო“, ანუ გათხოვილი ქალის ღირსიუფლები.

ეს რომ უფრო გასაგები გახდეს, მოვიტანთ ღირსიუფლის განმარტებასაც: 1. მიცვალებულის პატრონი. 2. მზრუნველი, მოამაგე, პატრონი (ქველ).

ე. ი. როცა გათხოვილი ქალი ამბობს, რომ „ჩემს ასაბიას ვიყავი“-ო, აქ იგულისხმება არა ადგილი, არამედ იმ ადამიანებთან ყოფნა, რომლებიც მისი ღირსიუფლები, პატრონები და მზრუნველები არიან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამჟამად, რატომ აღნიშნავს სიგნურში ასაბია ღირსიუფალს (ამჟამად | მნიშვნელობით).

ძველ ქართულში „ყოველგვარ მონაწილეობასა და დახმარებას „თანადგომა“ შევლა და „ასაბიობა“ ეწოდებოდა, ხოლო თვით მოქმედების განხორციელების მონაწილეს „მეშველი“ და ასაბია ერქვა. პირველი თუ მეორე ღირსიუფალი ტერმინია, მეორე უცხო სიტყვაა და არაბული ... „ასაბიუნ“-ისაგან არის წარმომდგარი. არაბულიდან ეს სიტყვა თანამოგვარის დამცველსა და ბრძოლის მონაწილესა ჰნიშნავდა. მაშასადამე, მნიშვნელობით ოდნავ ქართულ მეშველს უახლოვდებოდა“ (ჭავჭავაძის, 1984, გვ. 208).

მაშასადამე, სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალა. თანამებრძოლიდან ღირსიუფლამდე. საერთო ნიშანი, რაც ამ მნიშვნელობებს აერთიანებთ, ესაა თანამშრომლობა. ამდენად, შეიცვალა ცნება, ხოლო ობიექტი იგივე დარჩა.

ანძა. ძველი ქართული ენის ლექსიკონში ანძა დადასტურებული არ არის. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს ანძა (+27,5 ეზეკ. ZAA) — ძველი ამართული ZABC. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით: ანძა — საყენავისა, ნაქუსი, ხალა, მარგილი, მანა: мачта, колы, ანძაზედ აგება ან ანძა, сажать на колы.

ქველ: ანძა 1. გემზე ამართული მაღალი ძელი იალქნის დასამაგრებლად. 2. მაღალი ბოძი, რომელზედაც გაჭიმულია სხვადასხვა დანიშ-

ნულეების მავთულები. 3. ძვ., წვერწამახვილი ძელი დასასჯელის ზედ ასაცმელად.

ყველა მნიშვნელობა, რომელიც ლექსიკონებშია მოტანილი, მიუთითებს, რომ ანძა არის (ხის ან სხვა მასალისაგან დამზადებული) ძელი. რომელიც აღმართულია. მნიშვნელობათა სხვაობას იწვევს არა მასალა და ფორმა საგნისა, არამედ ის ფუნქცია, რომელსაც იგი ასრულებს.

მოხეურ დიალექტში დადასტურებული ანძალი ისევეა განმარტებული. როგორც საბასთან „ანძა — ამართული ძელი“ (ა. ყაზბ., შ. ძიძ., 558).

საყურადღებოა გურულში დადასტურებული ფორმა ანძისფეხი. „მსხვილი და გამძლე ხე, საყრდენი, რომელზედაც დგას ოდა სახლის სახურავი (ა. ლ.)“. საყურადღებოა, რადგან სახლის სახურავის ეს ბურჯი არის არა ანძა, არამედ ანძისფეხი. შეიძლება ის თავისი სიგრძით (თუკი სიმაღლით) აღემატებოდეს სხვა ძელებს, რომელთაც ანძა ჰქვია, მაგრამ იგი მაინც არ არის ანძა, არამედ ანძისფეხია. საქმე ისა, რომ ეს „ანძისფეხი“ არის საყრდენი (ესე იგი, მისი ბოლო არ არის თავისუფალი), მაშინ, როცა ანძის ბოლო (წვერი) სხვა საგანს თუ ნივთს არ უნდა ეყრდნობოდეს.

გადავამოწმოთ ის სახელები, რომლებიც ანძის სინონიმებად არის მოტანილი ლექსიკონებში.

1. ძელი.

ა) ძელი — „ხე მოკვეთილი“ (საბა).

ბ) ძელი „ხე“ შეშა, „ნავი“, ტივი, დირე, ჯოხი, ჯვარი (ი. აბულ.)

გ) ძელი „მოკვეთილი ხე; бревно, დაბად. 40-19; საქმ. 5-30; 1 კორ. 3-12; ძელი ჭეშმარიტი, крестья животворящий, ძელზე ჩამოკიდება повесить на виселице: 1 ქართლ. 399; ძელ-ქვა, ს. მკენ. клапера (дерево)...“ (დ ჩუბინ.)

დ) ძელი 1. ძვ. იგივეა, რაც ხე. 2. დაუმორავი ხე შეშად. 3. იგივეა. რაც მორი. 4. კუთხ. (კურ.) სქელ ფიცრად გათლილი ან დახერხილი მორი. 5. მსხვილი ლარტყა ხისა (აგრეთვე ლითონისა ან სხვა მასალისა). 6. სპორ. კარის ჩარჩოს ხარიხა. 0 ძელზე გასმა. 0 ძელზე დაჭიდებს. 0 ირიბანული ძელი. 0 ძელის კვრა. (ჭეგლ)

მაშასადამე, ყველა ძირითადი მნიშვნელობა ძელისა დაკავშირებულია მორთან, მაგრამ ძელის მნიშვნელობა ანძის მნიშვნელობასთან მიახლოებულია მაშინ, თუ ეს ძელი ამართულია, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი, რომ მისმა მნიშვნელობამ გადაფაროს ანძის მნიშვნელობა.

2. ა) მანა. პალო, სარი (ი. აბულაძე).

ბ) მანა „თითისტარი“ DE

მანა პალო, გინა მომცრო მარგილი D“ (საბა).

გ) „მანა მომცრო მარგილი ან პალო“ (დ. ჩუბინ.)

დ) მანა (ოკრიბ., ქვ. იმერ., ქიზ., ინგილ.) სარჭობი საზოგადოდ.

პატარა სარი (მ. ალავე. ზ. კუმბურ.); სარი, მარგილი, იხმარება ძეგვით
შეღობვისათვის; ხელ-მარგილი (დილაქტ., შ. ჯან.)

ე) მანა (მანისა) ძვ. ბოლოწათლილი მომცრო მარგილი, — სარი;
პალო. ძველად მანა სწორედ სარის აღმნიშვნელი ყოფილა (ივ. ჯავეახ.) ||
კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ქალი (ურმის, მარხილისა და მისთ.) (ქეგლ).

როგორც ვხედავთ, მანა არის მიწაში ჩარჭობილი პატარა სარი (ან
თითისტარი საქსოვი), რომელსაც ანძასთან სწორედ ეს ნიშანი (მიწაში
ჩარჭობა) აერთიანებს [კაკიტაძე, 1997, გვ. 104-110].

3. ა) მარგილი თავწათლილი სარი; ხმარობენ ძეძვის ღობის გასაკეთე-
ბლად — წაუთლევი ბოლოთი მიწაში ჩასმულს ზემოდან ჩამოაცვამენ
ძეძვის კონებს. || ჭიგო, სარი. (ქეგლ)

ბ) „მარგილი ხე წვერ-წათლილი დასარჭობი ZA“ (საბა)

ღ) მარგილი-ი (ფშ., ქართლ.) სარი, მესარი.

ე) „მარგილი მანა, პალო“ (დ. ჩუბ.).

მაშასადამე, მარგილი მანას სინონიმია, მაგრამ არც ის არის ანძა.

4. ზალი ძველ ქართულში გვხვდება ნიჩბის მნიშვნელობით: ხალებითა
გრძელეებითა აჭენებდეს (ნავსა)“ Sin-11,357v.

სულხან-საბასთან „გრძელი წვრილი ჯოხი ZAB.

გ(რ)ძელი წვრილი ლატანი(ვით).

(+ხე CaqD) CD“.

დ. ჩუბინაშვილთან — „ზალა, ხალხა გრძელი ლატანი ხეთაგან ხილის
ჩამოსარეგვი“, ხოლო „ზალე ანძა, ნაქუსი ხომალდისა, МАУТА“.

ქართულ დიალექტებში „ზალა (გურ.) ჭოლოკი, თხილის, წიფლის ან
რცხილის ხის გრძელი ჯოხი, რომელსაც კაკლის საბერტყავად ხმარობენ (ა.
ლლ.)“.

რაჭულსა და ლეჩხუმურში გვხვდება რედუპლიცირებული ფუძე „ზალ-
ხინი ტოტებიანი ხარდანი ან ხე, რომელზედაც ვაზი აღის (მ. ალავე., 1);
დიდი ჭოგრი, ზალა, ხალხა, ხოლი (ვ. ბერ.).

ამდენად, ზემოთ მოყვანილი განმარტებების მიხედვით, არც ერთი
სახელი არ შეიძლება ანძის იდენტური მნიშვნელობის იყოს. ზოგი იმით
მიაგავს ანძას, რომ საყრდენი აქვს, ზოგი პირიქით, საყრდენი არ აქვს,
მაგრამ ფორმით ჰგავს მას.

მაშასადამე, ანძა არის გარკვეული საგანი, „სხივის“ ფორმისა, რომე-
ლიც თავისი საყრდენის მიმართ პერპენდიკულარულად არის აღმართული
და მისი ბოლო (ანუ ზე აღმართული წვერი) არაფერს არ ეყრდნობა, ე.
ი. საყრდენად არ გამოიყენება.

ქეგლ-ში დიდასტურებული ძველი მნიშვნელობა ანძისა — „წვერწამა-
ხვილი ძელი დასასჯელის ზედ ასაცმელად“ — თანამედროვე ქართულში
აღარ შეიძლება შეგვხვდეს, გარდა ფიგურალური გამოთქმებისა. სამა-
გიეროდ, ანძა დღევანდელ ენაში, როგორც ამართული ძელი, ისევე გემის

სააფრე ძელის აღსანიშნავად თუ გვხვდება. სხვა შემთხვევაში იგი ძელს უკვე აღარ აღნიშნავს. როგორც ქეგლ-ის ერთტომეულშია მითითებული, ანჰა არის „ბოძის სახის ნაგებობა სხვადასხვა დანიშნულებისა“. მართლაც, დღევანდელი მნიშვნელობით, ანჰა არის უკვე არა „ძელი აღმართული“, არამედ ნაგებობა, საკმაოდ რთული კონსტრუქცია, რომელსაც ანჰასთან აახლოვებს ის, რომ მას აქვს საყრდენი, აქვს გარკვეული სიმაღლე და თვითონ არ არის რაიმეს საყრდენი.

აგარაკი. სიტყვის მნიშვნელობის ცვლის ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია — აგარაკი (აგარაკისა) — ზაფხულობით საცხოვრებელი ადგილი ქალაქს გარეთ. აგარაკზე, ფიჭვ-ნაძენარში, მახსოვს ბევრნი ვსეირნობდით (ი. გრიშ.). სახლი ასეთ ადგილას. აგარაკი აიშენა.

აგარა (აგარისა) — ძე., სადგური (=სამყოფელი) საზაფხულო (საბა). || დასახლებულ ადგილთა სახელწოდება ბევრგან საქართველოში. აგარის შაქრის ქარხანა (ქეგლ).

ღ. ჩუბინაშვილი: აგარა, აგარაკი (ლათინ.) — ს. ყანური ან სახნავი მიწა, მინდორი; მათ. 13-24; ლუკ. 12-7; რობ. ზღ. 57; დაბა, საბ. ლ.; საზაფხულო სადგური, მამ. სომხ. 242; поле, похотная земля; лугъ, село; загородный домъ, дача.

ი. აბულაძე: აგარაკ-ი, აგარა — „ქვეყანა და საქმარი“, „დაბა“, სოფელი, ყანა, „ველი“: „რადთა მივიდენ გარემოსა აგარაკებსა“ C, — რადთა წარვიდენ გარემო დაბნებსა“ DE, მრ. 6,36; „ქეჟს წელ დასთესო აგარაკი“ შენი“ O, ლევიტ. 25,3; „რომელი მოვიდოდა აგარაკით“ G, — „მომავალი ველით“ DE, ლ. 23,26; „აგარათ მონასტრისათა — ვითა სისიკონი არს და კარავანი...“ ი.-ე. 44,29;

აგარაკიდანაა ნაწარმოები ძველ ქართულში შეაგარაკე გლეხის მნიშვნელობით: „შეაგარაკე ვინმე მათ ადგილიდან გამოვიდა ჟამსა მკისასა მომკად თვისასა ყანისა“ Ath.-11,242r.

ძველ ქართულშივე აგარაკი პოლისემიური სიტყვაა. იგი აღნიშნავს როგორც „ქვეყანა და საქმარს“, ანუ დასამუშავებელ ადგილს, მიწას, ასევე ველს, მინდორს და დაბას, სოფელს, ანუ დასახლებულ ადგილს. იმავე მნიშვნელობით იხმარება იგი საშუალ ქართულში, ოღონდ აქ მას ემატება ახალი მნიშვნელობაც — საზაფხულო სადგური. საზაფხულო და საზამთრო საცხოვრებელი ადგილების მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული სინამდვილისათვის.

მეტორამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში აგარაკი უკვე თანდათან კარგავს „ქვეყანა და საქმარს“ მნიშვნელობას და, ძირითადად „საზაფხულო სადგურის“ აღმნიშვნელია. საინტერესოა, რომ ს. მენთეშაშვილს დადასტურებული აქვს აგარას ასეთი მნიშვნელობა: „მთა ადგილი“. საქართველოში, ჩვეულებრივ, გავრცელებული იყო ე. წ. „მემთეურობა“. გვიან საზაფხულზე ოჯახის ორი თაობა, უფროსი და უმცროსი, ე. ი. ნაკლებად

შრომისუნარიანი, მერქულ საქონელთან ერთად მიეშურებოდა მთის სა-
ძოვრებისაკენ, სადაც რჩებოდა შემოდგომამდე. ოჯახში იყო ე. წ. საშუა-
ლო თაობა, ანუ შრომისუნარიანი წევრები. სწორედ შემთევრობასთან
არის დაკავშირებული „მთა ადგილისათვის“ აგარაკის წოდება. ასევე, ქა-
ლაქის მოსახლეობა ზაფხულობით მიემართებოდა სოფლისაკენ. ამდენად,
აგარაკი აღნიშნავს საზაფხულო საცხოვრებელ (დასასვენებელ) ადგილს
(შესაბამისად დასასვენებელი სახლი-აგარაკი).

აგარაკი ნასესხები სიტყვაა ქართულში. იგი უნდა მომდინარეობდეს
ბერძნულ-ლათინურიდან (შდრ. ბერძნ. αγρος — მიწა). საბასთან იგი
განმარტებულია, როგორც „მცირე ველი B. უტყეო ადგილი C.“ ასპა-
რეზი, მეედანი; ტრამალი“. ტრამალი „საბას მიხედვით, არის „გრძელი
და ვრცელი ნაყოფიერი მიწა B. უტყეო ადგილი C.“ ხოლო მიწა B. უტყეო
ადგილი, რომელსა თურქნი მეიდანს უწოდებენ“.

ქველ-ის მიხედვით, მიწა B. უტყეო პოლისემიური სიტყვაა: 1. სწორი და
ბალახიანი ადგილი. მიწა B. უტყეო თვალთ, ტყე-სუტყეო (ანდაზა). სოფელს
გასცილდნენ, გამოჩნდა უშველებელი მიწა B. უტყეო (გ. ლეონ). 2. მიწის
ნაკვეთი, რომელიც ხვან-თესვისთვისაა განკუთვნილი, — სახნავ-სათესი
ადგილი.

ე. ი. მიწა B. უტყეო არის გარკვეული მახასიათებლების მქონე ადგილი, რო-
ელიც შეიძლება იყოს სამეურნეო დანიშნულებისა, შეიძლება — არა.

დაბა ი. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით არის „აგარაკი“, სოფელი,
ყანა: „უთხრეს ქალაქსა და დაბნებს (აგარაკებსა C)“ DE, მრ. 5,14; „მო-
ვლიდა... ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა“ მთ. 9,35; „თავადი დადიოდა
ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად“ ლ. 8,1; „მოზღუდეს დაბნები მათი“
O, ივდი, 4,4; „მო-რად — ვიღოდეს დაბასა“ მრ. 16,12; იხ. დაბნები, მდა-
ბიო, მდაბიონი, მდაბიური, მდაბური. შდრ. უდაბნო.

დაბა უფრო ფართო მნიშვნელობითაც გვხვდება ძველ ქართულში.
კერძოდ, იგი აღნიშნავს არა მარტო სოფელს, არამედ მხარესაც: „დად-
გინა მეფემან დაბნებისა მთავარნი ყოველსა სოფელსა“ ეს. 2,3; „წარ-
ვიდეთ... დაბნებსა და ქალაქებსა“ DE, — „მივიდეთ... დაბა-ქალაქთა“ C,
მრ. 1,38.

მდაბიო, მდაბიონი ი. აბულაძის ლექსიკონში განმარტებულია, რო-
გორც „გლეხი“, ერისკაცი: „იგინი მდაბიონი არიან, შვილნი უგუნურთა
და უპოვართანი“ ანდ.-ანატ. 218,1; „დედანი მდაბიოთაგანნი და აზნაურ-
თაგანნიცა ჰყოფდეს მასვე სახესა“ ანდ.-ანატ. 224,7; „ყოველთა ვამცნებ...
მოქალაქეთა და მდაბიოთა“ A-92,368.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს მდაბურს, მდაბიურს-ს „სოფლელი, გლეხი“:
„ესე ყოველი მიჰმადლა მდაბურთა“ მრთ. A, ანტ. დ. 20r; „მდაბიურნი
იყენეს და უსწავლელნი“ მ. ცხ. 91r; „რომლისათჳს მდაბიურნი იგი ზრი-
დეს თავთა მათთა“ მ. ცხ. 420r.

ასევე სამდაბიო საგლეხო: „შეიმოსეს... სამოსელი სამდაბიომ“ H: 341,565.

დაბიდანვე ნაწარმოები „უდაბნო გაუშენებული (დაუსახლებელი ა.გ. გილი, „ოკერი“, „უშკვიდრო“ (ი. აბულაძე). ოკერი ძველ ქართულში ნიშნავს „უდაბნოს“, „უშენს“, აზხრებულს, ნანგრევს, ცარიელს, „კორდს“, მოუხნავს, ყამირს (ი. აბულ.).

მეუდაბნოე არის „განდეგილი, ბერი“ ანუ, ადამიანი, ბერი, რომელიც უდაბნოში (დაუსახლებელ ადგილში) ცხოვრობს.

უძველეს ხანაში, სოფლის მერმინდელი და თანამედროვე მნიშვნელობის შესატყვისად, ტერმინი „დაბაჲ“ იხმარებოდა... ამ სიტყვას თავდაპირველ დამუშავებული მიწისა და ნახნავის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და სვანურში „დაბ“ ეხლაც ხნულსა ნიშნავს“. იაკობ ზუცესს ნათქვამი აქვს: „მოვიდა მონაჲ იგი დაბასა, რომელსა სახელი ჰქვან ცურტაჲი“.

„მოვიწიე დაბასა მას, რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ“. ევსტათე მცხეთელის მარტვილობაშიც გვხვდება ეს ტერმინი და აქვე ნათქვამია: „ჩვენი მდაბიური არს“-ო. ე. ი. ჩვენი სოფლელი არისო. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ „დაბაჲ“ ბერძნული ტექსტის *ἀγριος*-სა და სომხურის *այրայის*-ს უდრის (მარკოზ., 5₁₄). ეს გარემოება იმის დამამტკიცებელია, რომ ამ სიტყვას თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა ჯერ კიდევ V ს. ქართულ-შენარჩუნებული ჰქონდა [ჯავახიშვილი, 1982, გვ. 131]. შდრ. დაბა — დიდი სოფელი ქალაქის ტიპისა ძვ. მუშების დასახლებული ადგილი, მუშათა ახალშენი სამრეწველო ცენტრების ან დიდი ფაბრიკის მახლობლად (ქეგლ) [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 162-163].

მდაბიო, როგორც აღინიშნა, სოფლის მცხოვრებს, მიწის მუშას აღნიშნავს, თუმცა, ზოგჯერ ეს სიტყვა ერისკაცის, ანუ არასასულიერო პირის აღსანიშნავად იხმარება.

დაბა-დანაა ნაწარმოები მდაბალი — „დამდაბლებული“, „დაგლახაკებული“, დავრდომილი, შეჭირვებული, მცირე, მშვიდი, არაამაყი (ილ. აბულ.). ეს სიტყვა, რომელიც გლეხურის, სოფლურის სინონიმია, კარგად აღნიშნავს მდაბიოს (გლეხის, სოფლელის) სოციალურ მდგომარეობას. (თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში მოყვანილი მდაბალი უკვე სხვა ღირებულების აღმნიშვნელია (მაღალი, უხვი, მდაბალი...)).

მდაბიო ძვ. სოციალური უთანასწორობის გამო არაპრივილეგირებულია, დაბალი (ხალხი, წოდება); გლეხკაცობა; უგვარო (ადამიანი).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე გაგებით, დაბა აღარ უდრის სოფელს, არამედ იგი სოფელსა და ქალაქს შორის გარდამავალი ტიპის დასახლებაა, ხოლო მდაბიო, უკვე აღარ მიემართება გლეხკაცობას (სოფელს), არამედ სხვადასხვა ნიშნით გამორჩეულ დაბალ საზოგადოებას. პიროვნებას ან ამ საზოგადოების ან პიროვნების ეპითეტია.

აგარაკის განმარტებაში ილია აბულაძეს დამოწმებული აქვს ლექსემა

სოფელი: „სამთავრო“, „საკარანო“, „მამული“, „ავანი“, „დაბა“, „სოფელი“, „ქვეყანა“. ამ სიტყვასა და მის მნიშვნელობებს ჩვენ ცალკე შევხებით, თუმცა ზემოთ მოყვანილი განმარტება გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს აგარაკის მნიშვნელობაზე, კერძოდ, „სოფელი“ და „დაბა“ მიუთითებს მის ერთ-ერთ მნიშვნელობაზე — დასახელებული ადგილი, დასახელებული პუნქტი, მხარე, ქვეყანა.

უძველეს ქართულ მწერლობაში „სოფელი“ ქვეყანას ნიშნავდა. იაკობ ბუცესის V ს. თხზულებაში, მაგ., ნათქვამია: „შუშანიკის სანახავად „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“-ო (წამებად შუშანიკისი, ს. გიორგაძის გამ., 20₃₃₋₃₅). ევსტათე მცხეთელის VI ს. მარტიელობაშიც სპარსეთის მარზაპანი ევსტათეს ეკითხება: „რომლისა სოფლისა ხარ, ანუ რომლისა ქალაქის“ ამის საპასუხოდ „წმინდამან ევსტათი ჰრქუა მას: „მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ, [ვევისა] არშაკეთისა, ქალაქისა განძაკისა ვიყავ“. მეორე დაკითხვის დროსაც ევსტათეს მოსამართლესთვის ასე უპასუხნია: „მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისა, ვევისა არშაკეთისა, ქალაქისა განძაკისა“-ო. ამ წინადადებიდან ჩანს, რომ პირველი პასუხის გამონათქვამის „სოფლის სპარსეთისა“ უდრის „ქუეყანითა სპარსეთისა“-ს, ე. ი. „სოფელი“ ქვეყანას ნიშნავდა და არა დაბას, როგორც შემდეგში და ამჟამადაც არის მიღებული. ასეთივე მნიშვნელობა გვაქვს იაკობ ბუცესის ნაწარმოების ზემოთ მოყვანილ ამონაწერშიც, და „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“ ნიშნავს ქართლის აზნაურებსა და უაზნოებს.

ამ ტერმინის სწორედ ასეთი მნიშვნელობა საღმრთო წერილის ძველი ქართული თარგმანითაც მტკიცდება. მაგ. ბ შკულის 3^{4.5.13} და 14 ნათქვამია: „სამეოცი ქალაქი დავიპყარი სოფლებითა მათითა“ და „დაიპყრო ყოველი იგი სოფლები არგობისა“. ბერძნულად შესატყვისად ნახმარია ΠΑΡΙΧΑΡΑ და ΠΑΡΙΧΑΡΑΥ, სომხურად ԿԱՏԱԹ, რაც მართლაც სანახებსა და ქვეყანას ნიშნავს.

ტერმინს „სოფელი“ ქვეყნის აღმნიშვნელობა თვით VIII ს. დამლევამდე აქვს შენარჩუნებული და იოანე საბანისძესაც ნათქვამი აქვს: „ვდღესასწაულობდეთ ვსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელ ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხ ჩუენდა ქრისტემან მოგვანიქა“-ო (წამებად ჰაბომისი) ან კიდევ: „ქრისტმს მიერიოთა სიყუარულითა შემიყუარე მე ვიდრე იყავ-და სოფლისა ამას შინა ჩუენსა-ო“ (იქვე). როდესაც იოანე საბანისძე მოგვითხრობს, რომ ბაზარეთში „მრავალი არს ქალაქები და სოფლები ქუეყანათა მას ჩრდილისასა“ (იქვე), რომ ჰაბო ტფილელი „სამისა წლისა ჟამსა იქცეოდა ქალაქსა მას შინა (ტფილისში) და გარემოდს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტიანედ“, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ ავტორს სოფლად დაბები კი არა, არამედ სანახები, თემები, ქვეყანა უნდა ჰქონდეს ნაგულისხმები.

IX-X ს-იდან მოყოლებული „სოფელი“ უკვე წინანდებურად ქვეყანასა და სანახებს აღარ აღნიშნავს, არამედ დაბას“ [ჯავახიშვილი, 1982, 130-131].

ამ პერიოდიდან იწყება სწორედ დაბის გამოდევნა და მის ნაცვლად სოფლის ხმარება [შდრ. ჩიქობავა. 1942, გვ. 140-142].

აგარაკის მნიშვნელობა უკავშირდება ყანასაც. ყანა ძველ ქართულ ტექსტებში არის „აგარაკი“, „ველი“, „ყანობირი“: „სთესო ყანა შენი“ *px.* — „დასთესო აგარაკი შენი“ *G.* ლევიტ. 25,3; „ყანა და თესლი არა ყოფილ არს ჩუენდა“ *I*, იერემ. 35,9; „ყანა და ვენაკი ჩუენი და სახლი ჩუენი დაუსხნეთ წინდალ“ *O*, ნეემ. 5,3; „პირუტყვ შეუშვა ყანად“ *მ. ცხ. 79v*; „შეუგდოს ყანათა თესთა“ *მ. ცხ. 93r*; „მსგავს არს... საუნჯესა. დაფარულსა ყანასა შინა“ *მთ., 13,44*; „მანგალი არა მიახო ყანასა ზედა მოყურისა შენისასა“ *G, II შჯ. 23,24*; „წარვიდე ყანებალ“ *G* — „განვიდე ველად“ *M*, რუთ. 2,2; „იხილეთ ყანები“ *DE*, — „იხილეთ ყანობები იგი“ *C. ი. 4,35*; „ყანანი ... დაჯკაფენ“ *A-92,305*.

ყანიდანაა ნაწარმოები საყანე და საყანური.

„საყანე“: „ქვეყანამ არს რომელიმე... სავენავე და რომელიმე საყანე“ *მ. სწ. 310,5*.

„საყანურ“-ი „გარემო-სათესავი“: „მისცეს... საყანური (გარემო-სათესავი *G*) გარემოდს მისა“ *M*, ისუ ნ. 21,11.

ქეგლ-ში ყანა ასეა განმარტებული: (ყანისა) 1. თავთავიანი კულტურის (ხორბლის, ქერის და მისთ.) ნათესი. 2. კუთხ. (იმერ. გურ.) სიმინდის ნათესი. 3. კუთხ. (იმერ. გურ.) სახნავ. სათესი მიწა. 4. ძვ. მიწა, დედამიწა, ქვეყანა (მნიშვ. 4).

აგარაკს მიემართება ყანის ის მნიშვნელობა, რომელიც აღნიშნავს მიწას, დედამიწას, ქვეყანას.

არნ. ჩიქობავა მართებულად მიუთითებს, რომ ყანის სემანტიკური ცვლილება „ყანა“, „მიწა“ (ქუე-ყანა = მიწა): თავ-ყანის-ცემა — „თავის ცემა მიწაზე“. შემდეგ — „მარცვლეულით დათესილი მიწა“ (ახალ ქართულში: მხოლოდ „პურეულით დათესილი მიწა“). იდენტურია დაბას მნიშვნელობის ცვლილებისა [ჩიქობავა, 1942, გვ. 27].

ბოლო სიტყვა, რომელიც აგარაკის განმარტებაშია მოტანილი, არის ველი. ველს ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „ყანა“, „აგარაკი“, „ველობა“, მინდორი (ი. აბულ.). როდესაც იგი აგარაკის სინონიმად გვხვდება, აღნიშნავს მიწას, მინდორს: „მომავალი ველით (აგარაკით) *CDE*. *მრ. 15,21*; „სახლნი ველისანი, რომელთა არა იყოს ზღუდე“ *G*, — „სახლნი, რომელნი იყვნეს აგარაკსა, რომელთა არა აქუს ზღუდე გარემო“ *px.*, ლევიტ. 25,31. ე. ი. ეს დასახლებაა, რომელიც ქალაქს არ წარმოადგენს (უზღუდობის გამო).

სწორედ ასე აქვს განმარტებული იგი საბას: მინდორი დიდი *ZAB*

მინდორი CDE. შდრ. ქეგლ (დიდ ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე-იკულებრივ ბალახიანი, — დიდი მინდორი).

აგარაკის (აგარის) მნიშვნელობები და მათი მიმართება სხვა სიტყვებთან გვიჩვენებს, რომ იგი ზოგადად მიწის აღმნიშვნელი ტერმინია ძველ ქართულში. სხვადასხვა მთარგმნელთან მას აქვს დაბის, სოფლის, მხარის, ქვეყნის, ყანის, მინდვრის, ველის მნიშვნელობა. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებიდან აგარაკის გამოყენების არეალი ვიწროვდება და მას რჩება საზაფხულო საცხოვრებელი ადგილისა და საცხოვრებელი შენობის აღნიშვნის ფუნქცია.

ავჟანდილა. უამრავი ლექსიკური ერთეული მოეპოვება ძველ ქართულს ნსნის, შველა-დანხარების აღსანიშნავად:

შეწვენა, ავჟანდა, თანა-დგომა, თანა-დადგომა, კეთილის-საქმე, კეთილის-ქმნა, კეთილის-ყოფა, კეთილ-მოქმედება, კეთილობა, ღმობიერ-ქმნა, ღვინეობა, მადლი, მოწყალება, სახეტკბილობა, ქველის-მეტყველება, ქველის-მოქმედება, ქველის-საქმე, ქველობა, წყალობა, წყალობას-ყოფა, შუელა, შეწვენა, ცხოვნება, ხელის-ა(ღ)პყრობა, ჳსნა“ [სილაგაძე, 1981, გვ. 61].

ქეგლ: ავჟანდ-ი, ავჟანდა (ავჟანდისა) უნაგირის ნაწილი, ფეხის შესადგმელი, — უზანგი (ლიტერატურულად უპირატესია უზანგი) ავჟანდას ფეხი გაუდღო, უნაგირს გადააფრინდა (ბაჩ.). ვინც ეს ფიცი გატეხოს..., წყალში შესულს ავჟანდამც გაუწყდების!“ (ა. ყაზბეგ.). ძველი ქართული „ვენახ“-ისაგან წარმომდგარია — „ბინეხი“, „ავჟანდისაგან — „აბჟანდი“ (ივ. ჯავახ.).

აბჟანდი (აბჟანდისა) იგივეა, რაც ავჟანდა, — უზანგი (ლიტერატურულად უპირატესია უზანგი). აბჟანდის დაჭერა. — ველზე გამოჩნდა... ნაბდიანი ცხენოსანი... აბჟანდაზე ცერებით შედგებოდა და მიმოიხედავდა (ნ. ლორთქ.). [ვირზე] პამპულა, აბჟანდიც დაუგრძელეს (აკაკი).

დ. ჩუბინაშვილი: ავჟანდა „უნაგირის უზანგი, СТРЕМЯ, ან პაიქთა და შალვართა ფეხ-ქვეშ გამოსაკრავი ზორტი, ШТРИНКА, დარეჯ. 87 (რუსულდ. 323, 916; ბაქრ. 168).

ს. კ.: აბჟანდი, ავჟანდი (მესხ.) პაჟანიკი, შარვლის ან ქვედა საცვლის ტოტზე ამოკერებული ზონარი ფეხის ტერფებზე ამოსადებად (ი. მაი-სურ.)

საბა: პაჟანაგი საკოჭური (+პაიჭისა z) ZABDE საკოჭური პაიჭისა.

ს. კ.: პაჟანიკ-ი¹ (ზ. იმერ.) ნ. პაჟინი.

პაჟანიკ-ი² (ლეჩხ.) 1. საკოჭური, საწვივე; 2. ხის ლაგამი, რომელსაც ხბოს უკეთებენ, რომ ძროხა არ მოწოვოს (მ. ჩიქ.).

პაჟინ-ი (ზ. იმერ) პაიჭი, პაჟიჭი, საწვივე. ნ. პაჟანიკი² (ბ. წერეთ.)

ქეგლ: პაჟანაგი (პაჟანაკისა) „საკოჭური პაიჭისა“ (საბა), — ფეხის გულზე ამოსადები ზონარი პაიჭის დასამაგრებლად. პაჟანაგი საცვეთს

ქვემოთ აქვს ფეხის გასაყრელად („შინამრეწვ.“) || ასეთივე ზონარი მა-
მაკაცის ქვედა საცვლისა.

პაჭანაკიანი-ი (პაჭანაკიანისა) პაჭანაკის მქონე. აღათია ჩემს პაჭ-
ანაკიან ნიფხავს იცვამდა (ლ. ქიაჩ.).

პაჭანიკი (პაჭანიკისა) იხ. პაჭანაკი. პაჭანიკი — ფეხის გულზე ამო-
სადები თასმა, რომ საცვეთი ზევით არ წასულიყო („შინამრეწვ.“).

ავეანდის სინონიმი ქართულში უზანგი: (უზანგისა) უნაგირის ნაწილ-
ფეხის შესადგმელი რკინის რკალი, ავეანდა.

უზანგი (სპარს.) უნაგირის ავეანდა, стремя. დ. ჩუბინ.

როგორც ვხედავთ, უნაგირის ნაწილის, კერძოდ, ფეხის სადგმელი რკა-
ლის რკალის აღსანიშნავად ქართულში ორი ლექსემა გამოიყენება.

1. აბუანდი||ავეანდი; 2. უზანგი||უზანგო.

გარდა ამისა, აბუანდი||ავეანდი ლექსემა აღნიშნავს იმასაც, რასაც
პაჭანიკი ჰქვია, მაგრამ პაჭანიკი (პაჭანიკი, პაჭანიკი, პაჭინი, პაჭანაკი,
თავის მხრივ მხოლოდ ერთი მნიშვნელობის მატარებელია (შარვლის აბ-
ქვედა საცვლის ტოტზე ამოკერებული ზონარი ფეხის ტერფებზე ამო-
სადებად). კონკრეტულად, ლექსემა პაჭანიკი არ შეიძლება ვიხმაროთ
უზანგის მნიშვნელობით, მაშინ, როცა, ავეანდი და უზანგი თავისუფლად
ენაცვლებიან ერთმანეთს და, უფრო მეტიც, უზანგმა თითქმის განდევნა
ავეანდი ენიდან. ავეანდის (უზანგის) და პაჭანიკის ერთი მნიშვნელობით
გამოყენება ადვილი ასახსნელია, რადგან ორივე მიემართება ადამიანის
ტერფს, ორივე ამოდებულია ფეხის ტერფზე და გარეგნულად თითქოს
ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ ერთის დანიშნულებათა
დაეხმაროს ადამიანს უნაგირზე (შესაბამისად ცხენზე) შექრომისას და
შემდეგ დაიმაგროს (გააწონასწოროს) სხეული და მეორისა — დაიჭიროს
შარვლის (ქვედა საცვლის) ტოტები, რათა მათ არ აიწიონ ტერფიდან
ზევით და არ გააშიშვლონ ფეხი. ე. ი. ფორმალურად ისინი ემსგავსებიან
ერთმანეთს და ფუნქციურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც არი-
იმის საფუძველი, რომ ისინი თავისუფლად ვერ ენაცვლებიან ერთმანეთს
(ანუ სინონიმი ცალმხრივია).

საყურადღებოა ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“
მოყვანილი ლექსემის განმარტება: ავეანდა შეწვენა, დახმარება.

ავეანდა ექმნა დასტურდება აგიოგრაფიულ ნაწარმოებში „წამებად
წმიდათა მოწამეთად ანდრიანისი და ცოლისა მისისა ანატოლისი და მათ
თანა მოწამეთად, რომელნი ნიკომიდია ქალაქსა იწამნეს“: „ხოლო ნეტარი
იგი ანატოლე ავეანდა ექმნა წმიდასა ანდრიანეს, აღუდგა პელი ნიკაფსა
მისსა და აგრე მიჰყვანდა“. ეს ნაწარმოები, ქართულის გარდა მოიპოვება
ბერძნულადაც და სომხურადაც; ფრაგმენტები სირიულ ენაზეც არსე-
ბულა [კეკელიძე, 1957, გვ. 118, 158].

განიხილავს რა სომხურ-ქართული რედაქციების ურთიერთმიმართე-

ბებს, ი. აბულაძე აღნიშნავს: „თითქმის ყველგან, სადაც ტექსტებში, რომლებიც საერთოდ ძლიერ ახლოს დგანან ურთიერთთან, სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვები გვხვდება, ორივეგან უმთავრესად საერთო სიტყვაა (მარტივი თუ წარმოებული) ნახმარი; მცირეა შემთხვევები, რომ საერთო ხმარების სიტყვის მაგიერ სხვა ბადალი სიტყვები იყოს მოყვანილი...

ი. აბულაძე აღნიშნავს: „ეს ვითარება, რომ სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვათაგან 27 შემთხვევაში თითქმის ყოველთვის ტექსტობრივ ორივეგან ერთნაირი ბგერითი შედგენილობის სიტყვების შეხვედრა გვაქვს და მხოლოდ 7 შემთხვევაშია ასეთი მიმართება დარღვეული, ე. ი. საერთო ხმარების სიტყვას მეორეგან შესაბამისად არა ბგერობრივ ერთნაირი, არამედ სხვა სინონიმური სიტყვა მოეპოვება, გვგონია, აგრეთვე ჩვენი მარტივობის წიგნების გარკვეულ მიმართებაზე მიუთითებდეს: ერთი ქეორისაგან უნდა იყოს თარგმნილი [აბულაძე, 1975, გვ. 180]. აქ დგას პრობლემა ამ სიტყვათა წარმომავლობის შესახებ. სომხურია ისინი, ქართული თუ საერთოდ მესამე ენის საშუალებით მოხვდა ორივე ენაში.

ი. აბულაძე მიუთითებს, რომ „სომხურ-ქართული საერთო ხმარების სიტყვებიდან (ასეთი კი განსახილველ ტექსტში 27-ია — კ. კ.) უმრავლესობა ირანულიდან, კერძოდ ფალაურიდან მომდინარეა. ამათგან, ზოგი შეიძლება უშუალოდ, სომხურის გარეშე ესესხა ქართულს სხვადასხვა დროს, ზოგი კიდევ სომხურის მეშვეობით. უკანასკნელი რიგის სიტყვებს შორის, თუ ქართული მარტივობის წიგნი სომხურის თარგმანია, წილი, შესაძლოა, მწიგნობრული გზით ჩვენი ტექსტის (იგულისხმება „მარტვლობაჲ ანდრიანისი და ანატოლისი“ — კ. კ.) მიხედვით იყოს შემოსული ქართულ ენაში. ესენი კი, უპირატესად, მეტად იშვიათი საერთო ხმარების სიტყვებს შორის არის დასაძებნი. ასეთი კი გვგონია: ავეანდა...

„ავეანდა ექმნა“ და მისი სომხური ბადალი წყაროდ ფალაურს გვიჩვენებს სახელად ნაწილში, ხოლო ქართულს ბოლო მოკვეცილი აქვს. „Ավանդակ“ — „ავეანდა“ [აბულაძე, 1975, გვ. 182].

ქართულში დადასტურებული აღწერითი ფორმა „ავეანდა ქმნა“, როგორც უკვე იყო აღნიშნული, შეწვენა, დახმარებას აღნიშნავს. ავეანდის ფუნქციაც სწორედ ეს არის, დაეხმაროს ადამიანს ცხენზე შექდომასა და წონასწორობის დაცვაში. ავეანდი დამხმარეა.

ავეანდი თუმცა გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში (დარეჯანიანი, რუსუდანიანი...), მაგრამ მისი გამოყენების სიხშირე დაბალია, რამაც გამოიწვია მისი ხმარების შევიწროვება და „უზანგის“ გაბატონება.

ჩვენი ვარაუდით, ავეანდის თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ შეწვენის აღნიშნვაა. თუ ის ფალაურშიც მართლაც ამ მნიშვნელობით იხმარება და არა უზანგის აღსანიშნავად, მაშინ აშკარაა, რომ ავეანდი

ნიშნავს დამხმარეს, შემწეს სწორედ ადამიანის ცხენზე შეჯდომაში. ასეთი გადააზრება და მისი ტერმინად ქცევა საესებით ბუნებრივია.

აზავერი. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით აზავერი არის კარი საკიდარი ZAB. საკიდარი კარი C.

ვააზავერე (+ვეფხის-ტყ.) აზავერები ვასაქმე ZAB.

დ. ჩუბინ: აზავერი, სამუშაო ხარი, Выходный волю, ვეფხ. 460

ი. აბულაძე: აზავერ-ი (აზავერისა) ხარი: „მოართუმიდეს მათ აქლემები-ბითა და ჯორებითა და ვირებითა და აზავერებითა საზრდელსა“ M. I ნმტ. 12,40.

ქეგლ: აზავერ-ი (აზავერისა) [Poephagus grunniens] ძვ., „ხარი საკიდარი“ (საბა), — ხარი, რომელსაც ტვირთს გადაჰქიდებენ ხოლმე. ურდოებს მოსდევდნენ თან... დატვირთული... აზავერები (ვ. ბარ.).

ხარი, წერილობითი წყაროების მოწმობით, აღინიშნულ შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ ყოფილა გამოყენებული საოჯახო მეურნეობაში შორ გზაზე ბარგის გადასაზიდად, აგრეთვე მშენებლობაში. არსებობს არაერთი ზეპირი გადმოცემა, რომლებიც უკავშირდება სხვადასხვა ეკლესია-მონასტრის მშენებლობას და ხარის განსაკუთრებულ როლს ამ მშენებლობაში (მაგ. ინდუსა და საფარის მშენებლობა და სხვ.) აზავერ-ი მოხსენიებულია X ს. 56-60 წწ. ოშკის წარწერაში (ამ წარწერის მიხედვით აზავერში მხოლოდ ხარი არ უნდა იგულისხმებოდეს) და „ვეფხისტყაოსანშიც“. ზოგიერთი ხალხი (აღ. აზიის, ჩრდ. აფრიკის და სხვ.) დღესაც იყენებს ხარს ტვირთის საკიდრად და შესაჯდომად. სასაპალნე ხარს კებს ადგამენ. შესაჯდომ ხარს აღვირი ნესტოებზე აქვს დამაგრებული.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აზავერი (საკიდარი ხარი) არაპროდუქტიული სიტყვაა, რადგან მას აღსანიშნი ობიექტი აღარ აქვს. ხარი, როგორც გამწევი ძალა, დღეისათვის მხოლოდ უღელში შესაბმელად გამოიყენება. ამ დანიშნულებით, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში, ძროხასაც იყენებდნენ. თვითონ ლექსემა არ გამჭარალა. ოღონდ ის დღეს არა არსებითი, არამედ ზედსართავი სახელია და მისი აღნიშნვის საგანია ფიზიკურად ძლიერი, ახოვანი ადამიანი: „აზავერი ვაყვაცი (ლეჩხ.) — დიდი, ძლიერი ადამიანი. აზავერის შეკვეცილი ფორმა დადასტურებული რაქულში:

აზავა (აზავასი) — ძლიერ დიდი. აზავა ქალი იყო ბებიაჩემი, მალალი და სრული. აზავა კაცები იყვნენ ჩემი მამა-ბიძანი, დევებივით ვაშაკანი. აზავა ხარები ყავდენ ბაბუაჩემს [ლიალექტ., 1989, გვ. 57].

გუამი || გვამი ილ. აბულაძის ლექსიკონში ასეა განმარტებული: „კორცი“, „სხეული“, „ტანი“, „სული“, „ბუდე“, „ქარქაში“, მუცელი; ორგანიზმი: „გამოითხოვა გუამი იესუდის“ DE, — „მოჰსთხოვნა ჯორცნ-

იესუმსი C, მთ. 27,58; „დაიბანოს წყლითა ყოველი გუამი მისი (სხეული მისი G)“ *px.*, *ლევტ.* 16,4; „დაიბანოს ტანი (გუამი *px.*) მისი წყლითა“ *G*, *რიცხ.* 19,7; — „რკინასა განვლო სულმან მისმან“ *უ.*, *ფს.* 104,18; „გული ჩემი შეძრწუნდა გუამსა ჩემსა“ *უ.*, *ფს.* 108,22; „იქმნა გუამი ესე ტაძარ და საყოფელ სულისა“ *გრ.* *ნოს.-კაც.* *ავებ.* 212,2; „გამოვიტაკო ხელის-საპყრობელი ჩემი გუამისაგან (ბუდისაგან *px.*) მისისა“ *O*, *ეზექ.* 21,8; „რამთა არა ყოველსა გუამსა კრებულისასა განეზავოს მაკუდინებელი იგი სენი მისი“ *ი.-ე.* 26,12.

თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მაგალითად, ოთხთავში, გვამი ყოველთვის სხეულის აღმნიშვნელი სიტყვაა: ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა. *მ* 5,29, აღიღეს გუამი იესუმსი, *ი.* 20,12; უკუეთუ გუამი შენი ყოველი ნათელი არს, *ლ.* 11,36...

ასევე სხეულს (*ხორცს*) აღნიშნავს ნაწარმოები *სიტყვებიც*: **გუამიერი** ხორციელი: „რომელიმე არს მათგანი (არსთაგანი) გონიერი და რომელიმე გუამიერი“ *გრ.* *ნოს.-კაც.* *ავებ.* 55,28. **გუამოვანი** სხეულიანი: უმცირეს (არს) გუამითა დიდთა მათ შორის გუამოვანთა“ *გრ.* *ნოსკაც.* *ავებ.* 152,29.

საბასთან მითითებულია, რომ „გუამი (გვამი DE) (+1,21 ტობ. ZAa) ესე არს მარტივად მყოფი განთვისებული თვისგან თავით თვისით შემტკიცებით მდგომარე და განყოფილი მისთანათა მათგან რიცხვთა ZA.“

იქვე მოყვანილია მეორე განმარტებაც: „გუამი პირი ესე იგი არს ხატი“ *E*. პირი არს რომელი თვისთა მოქმედებათა და თვისებათა მიერ ცხადს და თანამეტოქეთა თვის[გან] განყოფითა გამოსაზღვრებულთა საცნაურებასა მომცემდეს ჩუენ. ხოლო გვამი განუკვეთელი და პირი მასვე ვრთსა დანიშნავს, არამედ პირუტყვთა ზედა არა ითქმის, არამედ სიტყვიერთა ზედა.

ეს განმარტება პირისა მიემართება პიროვნების განმარტებას: გარკვეულ თვისებათა მქონე ცალკეული ადამიანი, ადამიანის „მე“, — ინდივიდი.

დავით ჩუბინაშვილი გვამს ასე განმარტავს: *ს.* ტანი, სხეული; პირი. *т ло, лице, особа*; წარიღეს გვამი მისი და დაჰვლეს, *взяли т ло его и похоронили*, *მატ.* 14-22; დიდი გვამი, *вельможа*.

აქვე მოყვანილია გვამისაგან ნაწარმოები ფორმები: **გვამობა** ვჰგვამობ *ზ.* *მ.* ვაპიროვნებ, *олицетворять* ქილ. 203.

გვამოვანი, ზედ. ტანოვანი; პიროვანი, *т лесный, личный*, ან ჩინებული *вельможный*.

გვამოვანი ზედ. პიროვანი, მისივე არსებისაგანი და განთვისებული, *ეზექ.* 47-11, **გვამოვნება** *ს.* თვისება, ბუნებითი საკუთრება პირისა ან გვამისა, *личность*.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბასა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების

მიხედვით, გვამი არა მარტო სხეულის (ხორცის, მუცლის, ტანის) აღმნიშვნელი სიტყვაა, არამედ იგი პიროვნების, ანუ ისეთი არსების აღმნიშვნელია, რომელიც განსხვავდება გარეშეთაგან. ე. ი. მან უკვე სხვა დატვირთვა მიიღო. უფრო მეტიც, გვამოვანი შეიძლება სხვებზე აღმატებულიც იყოს. დროთა განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში ლიტერატურაში, გვაქვს დაეკისრა საპატივცემულო პიროვნების აღნიშვნა: მნიშვნელოვანი გვამი, აღმატებული გვამი, საპატივცემულო გვამი. უფრო ხშირად იგი აღნიშნავდა მნიშვნელოვანი თანამდებობის ან წარმომავლობის ადამიანებს: რა სიხარული დულს... ახლა ჩემს გულში, რომ გხედავთ ამდენ ბრწყინვალე გვამს“.

მას შემდეგ, რაც წინ წამოიწია ლექსემა პირი, პიროვნება, რაც დაკავშირებულია მე-ს, როგორც პიროვნების, მნიშვნელობის გაზრდასთან, გვამმა შედარებით ირონიული დატვირთვა მიიღო, ხოლო შემდეგ მთლიანად სხეულის, უფრო სწორედ, მიცვალებულის სხეულის აღმნიშვნელად იქცა. ე. ი. მნიშვნელობის განვითარება ამ სიტყვისა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ სხეული (ცოცხალი ორგანიზმი) → პიროვნება → სხეული (შკვდარი); რაც გამოწვეულია იმით, რომ გვამი¹ აღნიშნავდა ცოცხალ ორგანიზმს, გვამი² — ცოცხალ ორგანიზმს (სხეულს) + სულიერება (ადამიანის დამახასიათებელი ის თავისებურებანი, რომელიც გამოარჩევდა მას სხვა ადამიანისაგან); გვამი³ კი — სხეულს (სულის გარეშე), ანუ მიცვალებულს.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მომენტიც. თუ ქართულ სალიტერატურო ენაში გვამი მიემართება ძირითადად ადამიანს, დიალექტებში იგი უსულო საგნებთანაც გვხვდება. შდრ. ზ. იმერ. თიხის ჭურჭლის მუცელი, გამოზბერილი შუატანი (ბ. წერეთ.). შესაბამისად გამოგვამვა ნიშნავს თიხის ჭურჭლისთვის მუცლის გამოზერვას, მუცლის გაკეთებას. ამ მნიშვნელობით (მუცელი) და არა მარტო გვამი უახლოვდება გვიმის მნიშვნელობებს. 1. „ჭურღმულის თორნე წყალთათვის“ (საბა); 2. საკვამლე მილის ის ნაწილი, რომელიც სახურავის ზევეითაა. || ჭის თავზე დადგმული თიხის, ფიცრის ან წნელისაგან გაკეთებული ცილინდრული დანადგამი, — გვირგვინი (მნიშვნ. 5), ჭის თავი. (ქველ)

შდრ. (რაჭ. ლეჩხ.) ღრუდო (ვ. ბერ.); წისქვილის ნაწილი, წყლის საგროვებელი ერთიანი მსხვილი ღრუ ხე, კოდი, რომელსაც გამოწვავენ ფშტვილს გაუკეთებენ და ბორბალს წყალს მიაწვდიან (მ. ჩიქ.; მ. ალავე. 1) [იხ. ჯორბენაძე, 1997, გვ. 51].

ახლ. ახო სიტყვის ეტიმოლოგია არნ. ჩიქობავას ეკუთვნის (არნ. ჩიქობავა, 1987, გვ. 7-12). მოჰყავს რა ახოს განმარტება „საყანედ გაკაფული ტყე, ნატყევაო“.

ავტორი იმოწმებს ა. ჭინჭარაულს: „სამამულე, საყანე ადგილი ხევ-

სურეთში ცოტაა და ამიტომ ტყის დაწვა-გაჩეხით აკეთებდნენ ხოლმე მამულს (ე. ი. სახნავ-სათეს მიწას — ა. ჩ.), ასეთ მამულს ახო ეწოდება. შატილში არის გეოგრაფიული სახელი ხახუაის ახო“.

ქ. ძოწენიძეს ახო სიტყვის სამი მნიშვნელობა აქვს დადასტურებული ზემო-იმერულში:

1. „საყანედ გაკაფული ტყე — სოფლის განაპირას გლეხი გაჩეხავდა ტყეს, ბუჩქნარს, დაწვავდა ძირებს და ამ ადგილს ახოს უწოდებდა, ასეთ ადგილზე თესავდა (ვახანი, ზვარე — სოფლები ორჯონიკიძის რაიონში)“.

2. „საყანედ გაკაფული ტყე ერთი წლის განმავლობაში — ტყეს კრიან საყანედ; ერთ წელიწადს ამ ადგილს ახოს უწოდებენ (სოფ. ხიდირა, ორჯონიკიძის რ.)“.

3. „ხამი მიწა, ყამირი — ხამ მიწას ახო ქვია“ (სოფ. გეზრული, ჭიათურის რ.)“.

ამ სამი მნიშვნელობიდან მეორე („... ერთი წლის განმავლობაში“) ძირითადი მნიშვნელობის დავიწროებას წარმოგვიდგენს, მესამეში კი ძირითადი მნიშვნელობა დავიწყებული ჩანს (შეიძლება სიტყვის ასეთი გაგება ინდივიდუალური იყოს).

„ახო“-ს ხმარება ეფრემ მცირეს ერთ წერილში დამოწმებული აქვს ივ. ჯავახიშვილს.

ახო-ს ამოსავალი მნიშვნელობაა ტყე; ფუძის აგებულება ქართულისათვის ჩვეულებრივი არაა; შესატყვისები ზანურსა და სვანურში არა ჩანს. ამიტომ ყურადღებას იქცევს ის ენები, რომელთაც ხანგრძლივი კონტაქტი ჰქონდათ ქართულთან და „ტყის“ აღსანიშნავად ისეთ ფუძეს ხმარობენ, რომელიც ამოსავლად ახო-ს ვარაუდობს, სახელდობრ, ხუნძურ-ანდიური წრის ენები:

ხუნძ., ბაგვალ. როხ „ტყე“ კარატ. როხო

ბოთლ. რუხ'უ

ანდ. რეშუ

დიდ. აჟო

ამავე ხ' ძირისად ითვლება სპეციალურ ლიტერატურაში „ხის“ აღმნიშვნელი სიტყვა, რომელსაც ბოლოკიდურად ა მოუდის, თავკიდურად კვლავ რ (ჰამალალურში ვ), ხოლო ძირეული ხ'-ს ენაცვლება ერთი მხრივ, ჰ, მეორე მხრივ შ და ჟ: ჰამალ. (თოკიტ.) ხოხ', კარატ., ბაგვალ. როშა, ტინდ, როშა, ბოთლ., რუშა, ანდ. რეშა, ჰამალ. ვოჰა, დიდოურ ოჟო.

ეს დიდოურის ჟ (აჟო), ცხადია, შ-ს მჟღერი ვარიანტია: ჟ←შ←ხ', ესე იგი, ყველაზე ახალია ძირისეული თანხმოვნის მიხედვით, მაგრამ ძირეული ხმოვანი ა (აჟო) ძველი ჩანს: ეს სწორედ ის ა- უნდა იყოს, რომელიც სხვა ენებში იცვლება და ქართულში შემოგვრჩა (ახო).

როგორც ვხედავთ, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა „ტყე“ შეიცვალა. ახლ თანამედროვე ქართულში აღნიშნავს საყანე ადგილს, რომელიც ტყის გაკაფვის შედეგად გამოთავისუფლდა. როგორც ჩანს, კავშირი მნიშვნელობასთან „ტყე“ სიტყვას ჯერ არ დაუკარგავს.

ტყე. ტყე და მასთან ერთად ხე, შეშა ძველსა და ახალ ქართულში ჩვეულებრივი გამოყენების სიტყვებია, თუმცა, რასაკვირველია, გავრცელებისა და მნიშვნელობის მხრივ მათ შორის საკმაო განსხვავებაც არის.

ამ სამი სიტყვიდან ქართველურ ენებში კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი მოეპოვება შემას: ქართ. შეშა (← სე-შა || ს-ი-შა, გურ. და ინგილ. შიშა), მეგრ. დი-შქ-ა, ლაზ. დი-შქ-ა || დი-შქ-ა „შეშა“, „ხე“ (მერქანი), სვანური ზე-ქ „შეშა“.

რაც შეეხება ხეს, მას ასეთი შესატყვისობები არა აქვს...

ხე გვხვდება ბიბლიის წიგნთა თარგმანებში და ძველი სალიტერატურო ქართულის ძეგლებში. დადგენილია, რომ მისი ხმარება ამ ლიტერატურის შექმნის ეპოქას (V ს.) ბევრად უნდა უსწრებდეს და წარმოადგენს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა საზიარო ფუძეს: ჩაჩხ. ხიენ(ბ), ხანნაშ(დ) „მოჭრილი ხე“ (ძელი), ინგუშ. ხი, ქისტ. ჯუ „ხე“, ბაცბ. ხენ(ბ), ხენი(დ) „ხე, ხეები“. ეგვიპტე ფუძე მეორდება დალესტნის ენებში. ხუნძ. რო-ხ. „ტყე“, ლაკ. მუ-რ-ხ „ხე“, უდ. ხოდ „ხე“, ადიღ. ჯვხ „ხე“.

ხე იმდენად ძველი საზიარო ფუძეა, რომ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, ქართულშიც უნდა გვქონდეს წარმოებული ფუძეები: ხორა („შეშის ზინი“: საბა), ხერგი („ძელნი მდინარეთ მონატანი“: საბა).

როგორც ძველი ქართულის ტექსტები ადასტურებს, ხე სიტყვის მნიშვნელობით თავდაპირველად იხმარებოდა შეშა, რომლის გამოყენება შემდეგში თანდათანობით დაიწროებულა:

საჯივნი შეშისანი დაჰმუსრენ: წინასწამეტყვ. იერემიასი, 28,13; დაჰრეს შეშა საეტლონი. მეფ. 6, 14;

ჰკოცდის შეშისა მშვილდითა: როსტ. 3109;

ზნაკუას შეეკმენ სასაწნახლომ ქვითკირისაჲ ა და შიგან უკრძნის საწნები ბ და შეშის საწნებელი ა: ნიკორწმინდის სიგელი XII ს. ქრონიკ. II, 46.

ამგვარად, შეშა=ხეს და ეს არაა შემთხვევითი: იგი უძველესი ფაქტია, ხე სიტყვის ქართულში დამკვიდრების წინაპროინდელი. შეშა resp. ხე სიტყვათა ერთიანობა ცნობილია სხვა ენებიდანაც, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს. ტყე-ს ... მცენარეთა კრებულის (ტყე — „მრავალხენი“; საბა) მნიშვნელობა ... მარტო ქართულში აქვს, სვანურში ტყის მნიშვნელობით არის ცხეკ, ზანურში ეს ძირი ცალკეც არის და ნაწარმოებ ფორმებშიც:

მეგრ. ტყა „ტყე“, „ბალახი“; ლაზ. მ-ტყ-ურ-ი || მ-ტყ-უ-ი, მ-ტყ-ორ-ი ||

მ-ტკ-ო-ი „ველური, ტყური“, მეგრ. ტყ-არ-ი „ტყური“; ლაზ. დიმ-ტკ-ორ-უ, მეგრ. გე-ტყ-არ-უ „გაველურება“.

ტყე დღევანდელი მნიშვნელობითაც გამოიყენება ძველ ქართულში (ტყესა მას ხანძთისასა შთამოჰყრიდეს ძელსა: ხანძთ. ნა 1-2) და ხე-შეშა სიტყვასაც ენაცვლება. ბიბლიის წიგნთა ძველ ქართულ თარგმანებში მას ჩირგვის, ჭავისა და ეკალ-ბარდების მნიშვნელობაც აქვს (მაგალითად: ესაია, 9,18.110,117) და ხისაც:

და საკურთხეველნი დაარღვნა და ტყენი და კერპნი დააწვლილნა ნამუსრევსა შინა: II ნეშტთაჲ 34,7; არცა აგზნებდენ ტყეთა: ეზეკიელი, 36,10.

ტყე ხის მნიშვნელობით ცოცხალია ქართული ენის მოხეურ კილოშიც: ტყის ჯადი (ე. ი. ხის ხიდი, საპირისპიროა ქვითყირის ხიდი და ბოგირი), ტყის საჭრე, ტყის წნელი („პირუტყვის საპირეს ვუკეთებდითყე. ტყის წნელით გავაკეთთ გირგოლი, ის ამავაკრითყე ტურშიგა: ქართული დი-ალექტოლოგია, 1, 1961, გვ. 28).

ეს ძველი მნიშვნელობა შემონახულია სვანურში: ტყენ „კეტი“ და მე-გრულში, სადაც კომპოზიტში გამოიყენება როგორც ჭა: ჭაშკვიტა „ღვედ-კეცი“ (ხე-ხრჩობისა), ჭარგვალი, ქჩეჯა II ქშენჯა „ალვის ხე“ („თეთრი ხე“), ისე ტყე: ტყაუზა „შავი ხე“ (ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი). ამავე რიგისაა ხე-ტყე, რომელშიც ფაქტობრივ გვაქვს რედუქციაცია, გამოყენებული მრავლობითის შინაარსით. ყურადღებას იქცევს აგრეთვე კომპოზიტი ხე-ხილი.

ტყე resp. ხე სიტყვათა მნიშვნელობას შეიცავს ანდ. ლ-უ-დი „ხე, ტყე“, ხუნდ. როხ „ტყე“ და ტინდ. რუმ. „ხე“. სემანტიკური გადაწევის შედეგია აფხ. აწლა „ტყე“, რომელსაც ს. ჯანაშია პ. ჭარაიასთან ერთად უკავშირებდა ქართ. ძელ, ზან. ჯა(ლ) ფუძეებს.

შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულში ტყე არ იხმარება ძალიან ხშირად, რადგან სხვადასხვა ადგილისა (მაღალი მთის, დაბლობის, წყლის პირის, ჭაობის და ა. შ.) თუ სინშირისა და გვარობის ტყე გადმოიკეცმოდა როგორც ერთგვაროვან მცენარეთა კრებულის სპეციფიკური წარმოებით (კოპიტი: კოპიტნარი, ვერხვი: ვერხვნარი... წაბლი: საწაბლე, თელა: თელიანი, თელავი, თელეთი...), ასევე სხვა სიტყვებით (სერტყე, მალნარი, მეგრ. ჯალონი და სხვა) [ქავთარაძე, 1973, გვ. 197-205].

ამგვარად, ხე და ტყე სიტყვების ერთმანეთის ნაცვლად გამოყენების ფაქტები ექვს არ იწვევს.

რიურაჟი. რიურაჟი ძველსა და ახალ ქართულში საყოველთაოდ ცნობილი და გავრცელებული სიტყვაა. ძველი ქართულის რომელიღაც დი-ალექტში ამ ფუძეს ჰქონია ლაბიალურთანხმოვნისანი ვარიანტიც, რომელიც ვლინდება როგორც სახელის, ისე ზმნის ფორმაში: რიურაჟუ

(C, ი 20,1; DE, მრკ 1.35), შე-ოდენ-რიყუნდებოდა (DE, იოან. 6,17). მსგავსი ვარიანტი აქვს დაფიქსირებული სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შერიყუება.

ახალ ქართულში ხმოვანშეცვლილი რაყრაყ ფორმაც გვხვდება: ირა-ყრაყა, ქარი ჩადგა (აჯაკი); შეყხაროდი იმ რაყრაყ დილას (ილია). რი-ყრაყი ჩვეულებრივ „ბინდს“ ნიშნავს და, ჩანს, მასთან ქმნიდა სონონიმურ პარალელს („რიყრაყ+ბინდი“), რისგანაც ფშაურ დიალექტში მეტათეზისისა და კონტამინაციის ერთიანი პროცესის შედეგად წარმოქმნილა ეიყრიბანდი: ეიყრიბანდა, ცისკარი სულს ჰლევს, თანდათან ქრებოდა (ვაჟა).

ამგვარად, ამოსავალი ფუძეა რიყ||რიყჴ. იგი დასტურდება ზმნის ფორმებში შე-რიყუ-ება (შდრ. საბასთან ბინდ-ბანდი), ეგვევ ფუძე გადასულია მეგრულში — მუ-რუჴ || მუ-რიჴ; რედუპლიცირებული ფორმაა რიყურაჴუ || რიყრაჴ. ახალ ქართულში შემოგვრჩა ორი სახეობა რი-ყრაყი და რაყრაყი, რომელთაგან უფრო გავრცელებული და მიღებულია პირველი. ანალოგიური წარმოება გვაქვს კომპოზიტებში კისკასი, ჭივჭავი (||ჭივჭივი || ჭავჭავი), ღიმღამი (უღიმღამო), ბინდმანდი...

რიყრაყი resp. რაყრაყი ძველი სახელია, მისგან ნაწარმოები ირიყ-რაყებს-ირიყრაყა შედარებით ახალი ზმნური ფუძეა, იმავე ისტორიისა, როგორისაც ი-მუშავეებს ტიპის ზმნებია, ოღონდ პირნაკლი. აქედანვეა ზმნისწინით ნაწარმოები, ძირითადად, იმავე მნიშვნელობის, სახელი გარი-ყრაყი („განთიადი“).

ახალ ქართულში ამ ფუძის მნიშვნელობა დაეიწროებულა, იგი მარტო „ადრე დილას“, „განთიადს აღნიშნავს; ძველ ქართულში მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა — ნიშნავდა „მწუხრს“, „შემწუხრებას“, „მოსალამოებას“ და აგრეთვე „ცისკარს“, „განთიადის დასაწყისს“. თუმცა ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად რედუპლიცირებული ფუძე გამოიყენებოდა. ორივე ეს მნიშვნელობა აქვს მითითებული საბას:

1. შერიყუება — ბინდის პირი, ბინდბანდი (შდრ. ბინდ-ბანდი. შერიყ-ყავება, შერიყვება), მცირედლა მოღამება (შდრ. ღამე ბუდის განმარტებაში); ღამე ეწოდების მწუხრიდამ ვიდრე განთენებ(ღ)მდე; ხოლო მწუხრ — დასლვასა მზისასა და შერიყვება — მცირედლა მოღამებასა... ZA.

2. რიყრაყი — ბინდ-ბანდი, აღმოჩენა ნათლებისა, [მისი] რაიმე ნაწილი... (შდრ. გაცისკრება ბუდის განმარტებაში)

საბა: გაცისკრება არს უწინარესი განთიადისა, ხოლო განთიადი არს მოწვევნა ნათლებისა, რამე ნაწილთა, ხოლო ალიონი, რა ღამე და ღლე გაირჩეოდეს, ამათ ყოველთა დილა ვიდრე მზის მოსვლა(ღ)მდე და ვიდრე მზის ა(ღ)მოსლვა(ღ)მდე წითელთა ღრუბელთა დაფიონა ეწოდებისა. ZAa

...ხოლო რიყრაყი — აღმოჩენა ნათლებისა, რაიმე ნაწილი... B

მაშასადამე, უძველეს რიყუ (რაყუ) ფუძეს ჰქონია აისისა და დაიხის მნიშვნელობა, იგი გამოხატავდა დღე-ღამის გაყრას ისე, როგორც ბინდი, რომელიც იმავე საბას ესმის „ღამის მიწვენად, გინა დილის განთიადობად“ (შდრ. ღამე ბუდის განმარტებაში). ამასვე ადასტურებს ძველი ქართული ტექსტების (ოთხთავის) სხვადასხვა რედაქციები:

შე-ოღენ-რიყუნდებოდა და არღა მოსრული იყო მათა იესუ: DE, იოან. 6,17; შდრ. და აჰა დაბნელდა და ვიდრე არღა მოწვენულ იყო მათა იესუ: C, იქვე;

რიყ¹ უ¹ ფუძესთან ფონეტიკურ და სემანტიკურ შესატყვისობას გვიჩვენებს სვანური რგ-ჰი (ჰამე რგჰი — დილის რიყრაყი; ნაბზენ რგჰი — საღამოს რიყრაყი), ლი-რ-ჰე („ციცკარი“) და ხუნძური რო-ჰ-ონე („გათენება“), რო-ჰ-ელ („დილა“). ამავე ფუძის ფონეტიკურ შესატყვისად მიიჩნდა მ. ხუბუას მეგრული ონკუა || ომჯუა (← *ო-ჯუა — „საღამო“).

ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით ნათელი არაა ამ ფუძის კავშირი რუჭვა სიტყვასთან.

რიყრაყ ფუძეს, სიძველის მიუხედავად, ისეთი შედგენილობა აქვს, რომ საეჭვოა იგი შემოსული არ იყოს.

რიყ¹ უ¹ ძირის ზემოთ დადგენილი მნიშვნელობები გვაფიქრებინებს: ხომ არ გამოხატავდა იგი დილა-საღამოს ხანის ისეთ მდგომარეობას, როცა მზის სხივები წითლად ღებავს ცას და ღრუბლებს („წითს ცაა...“), მაშასადამე, ხომ არ იყო ეს ფუძე ფერის (კერძოდ, წითლის) აღმნიშვნელი [ქეთარაძე, 1959, გვ. 385-389].

რიყრაყთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ჩიქოვანის მოსაზრება: „ძველი ქართული ენისა და ქართველური ენების მასალების გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლურჯი სახელის ძირი რიყრაყიდან მომდინარეობს. სვანურ გრჟი — ლურჯი და ძველი ქართულის 1) რიყ-რაყუ 2) შერიყუება, 3) შერიყუნება, აღნიშნავს — დილა მსთუად, მეორე — საღამოს დღესა და ღამის გაყრის დროს, ბინდს.

„მივალს განთიად რიყრაყუ ოღენ“. ი. 20,1; აღდგეს რიყურაყუს ოღენ განთიად“, 0, IV, მფ. 7,5. „განთიად რიყურაყუს ოღენ ნიად აღდგა“ DE მსთუად განთიად აღდგა მრ. 1, 35.

შერიყუება — შერიყუნება — დაბნელება მოსალამოვება.

„შე-ოღენ რიყუნებოდა, და ახლა მოსრულ იყო მათა იესუ“ DE

„აჰა დაბნელდა და ვიდრე არღა მოწვენულიყო მათა იესუ“ ი. 6617.

მიეცით დიდებაჲ უფალსა, ღმერთსა ჩუენსა, ვიდრე შერიყებადმდე“ 0. იერემ, 13,16. „ვიდრე დღისა შერიყებადმდე და აჩრდილთა შეძრვად“ 0, ქება 4,6.

ამ სიტყვებში სწორედ აჩრდილთა შეძრვაა ნავარაუდევი დილისა და საღამოს ფერების გაყრასას. შდრ. საბა-ორბელიანი შერიყუება (466 ქება) ბინდის პირი.

საინტერესოდაა ახსნილი ეს სიტყვა ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ენის ლექსიკონში“. „რიყრაყი, რიყურაყი — დილის სინათლის გამოჩენა ბინდ ბინდად“ (მარკ. 1.35) утро: заря утренная — გარიყრაყი იგივე, ხოლო... საღამოს ბინდი შერიყრაყი“ (გვ. 335). იგი განმარტავს დილის ჟამსა. — მცირედ დილას ნათლის გამოჩენას ეწოდება რიყრაყი, გარიყრაყი და გაცისკრება, (შდრ. სვან. გრჟ). შემდგომას მისსა უმეტესსა განათებასა — განთიადი დილაბინდი და ტრედისფრად გათენება. და დღე ღამე გაირჩიოს, ვიდრემდე მზის ამოსვლამდე ნათელსა — ალიონი, ხოლო დილის მზის ამოსვლის წინ ელვარებისა ღრუბელთა შორის ფერადად ალიონა (გვ. 205). შდრ. აგრეთვე ნათელი სინათლის სახელი სვანურად რგჰა „აგებულება“ გრჟ. დავაკვირდეთ ივ. ჭავჭავაძის მოსაზრებებს [ჩიქოვანი, 1992, გვ. 84].

როგორც ვნახეთ, სხვადასხვა ავტორთან რიყრაყ ფუძე სხვადასხვა ფერის (წითელი, ლურჯი) აღმნიშვნელ სიტყვებთანაა დაკავშირებული. ჩვენთვის ახლა არაა მთავარი, რომელი მოსაზრებაა სწორი. მთავარია, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვის მნიშვნელობა იქცა ბინდბუნდის (დღე-ღამის გასაყარის) აღმნიშვნელად.

კასრი. ლექსემა კასრის ეტიმოლოგია ეკუთვნის მ. ჩუბუას [ჩუბუა, 1991, გვ. 87-91].

ძველი ქართული ენის მონაცემების, სულხან-საბა ორბელიანისა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებზე დაყრდნობით ავტორი გამოყოფს ლექსემის სამ მნიშვნელობას ძველი ქართულიდან დღემდე: „ციხე-კოშკი“, „სახლი (მცირედი)“, „ჭურჭელი (საწყაო)“.

„მეგრულში ძველი ქართულის ვითარებაა შემორჩენილი; ყორში იქ ყორში უდრის ციხე-კოშკს (შდრ. ყიფშიძესთან „ნაყრა“, „ჯამოხ“) (ყიფშიძე, 1914). ყორში-ი: ბუაქ ელველგნი, მუში მუმაშორო ეშეელგ ყორშიში დუდიშა დო თიცალი ქიმიოკგეინგ, ნამუდა მურიციხეფცგ ქგდუქანცალუუ, „მზე რომ ჩავიდა, მამამისივით კოშკის თავზე ავიდა და ისეთი დაიკვილა, რომ ვარსკვლავები შეარხია (ყიფშ., 60^ყ)“...

სვანურში შესატყვისი ფუძე მხოლოდ ბალსზემოურს შემორჩენია. სვანურის ვითარება იმეორებს კასრის საბასეულ გაგებას: ყოშ „მცირე სახლი, მთაში საგანგებოდ აგებული (ქოხი)“.

კასრის, როგორც ჭურჭლის (საწყაო), გაგება უცნობა სხვა ქართველური ენებისათვის.

თითქოს ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ კასრ-ფუძის ეტიმონი „ციხე-კოშკის“, „სახლისა“ უნდა ყოფილიყო.

ავტორი შემდეგ განიხილავს ქართ. კასრ-, სვანური ყოშ- და ზან. ყორშ- ფუძეების შესატყვისობის პრობლემებს და შესაბამისი საილუსტრაციო მასალის მოყვანის საფუძველზე ამტკიცებს ამას.

ზემოთქმულიდან კარგად ჩანს სემანტიკური ცვლილების ლოგიკური გზა: ციხე-კოშკი → სახლი → ხისაგან დამზადებული მოზრდილი ქურჭელი.

ძველი ქართული ფერვ- ფუძე გ. როგავამ სვანურ ბანკ-ს „ნაბიჯი“ დაუკავშირა. მანვე სიტყვათა ამ რიგში შემოიტანა სვანური მარხალ „ფეხი“, სადაც ანლაუტის მ ბ-სგან მომდინარედ მიიჩნია [როგავა, 1946, გვ. 10]. ამით ქართული ფ-ს (ფერვ-) საკითხიც გადაწყდა; იგულისხმებოდა მისი დაყრუება (ბ→ფ) ანლაუტში (შდრ. ძვ. ქართული საბრკე „მახე“, „ხაფანგი“, „საცთური“).

ძველ სალიტერატურო ქართულში ფერვ-ი სიტყვა „ტერფის“ მნიშვნელობით იხმარებოდა: „იყენენ იგი თქუენდა... პატნეზ ფერვთა თქუენთა“ M, — თქუენდ იყენენ... სამშქულებ ტერფთა შორის თქუენდა“ G, ისუ ნ. 23, 13 (ილ. აბულ.).

ქართულში ტერფი ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. ადამიანის ან ცხოველის ფეხის ძირი. 2. ადამიანის ფეხის ნაწილი კოჭის ქვემოთ — ქეგლ.

ვ. თოფურიამ ზანურისთვის თეორიულად ივარაუდა ბახ ძირის არსებობა და მიუთითა მეგრულ გვარზე ლა-ბახ-უ-ა, სადაც ლა-უ კონფიქსად მიიჩნია; ავტორი აგრეთვე მიუთითებდა რაჭულ-იმერულ ლა-ბახ-ო-ზე. „ალაგე“, რომელშიც გამოყოფილი ბახ- ზანიზმად კვალიფიციკირდებოდა.

გ. როგავას სამართლიანად მიაჩნია ვ. თოფურიას ვარაუდი. მეგრულში, მართალია, ფონეტიკურად ცვლილი სახით, მაგრამ მაინც დასტურდება ტერფის — ადამიანის ფეხის ნაწილი კოჭის ქვემოთ — მნიშვნელობით ბეხ-უ ლექსემა, საიდანაც გვაქვს ნასახელარი ზმნა პახ-ვ-ალ-ი — შდრ. ქართ. ფერხული. ბეხ-უ და პახ-ვ- ალომორფებს შორის ხმოვნის ნაწილში იგივე მიმართება უნდა გვქონდეს, რაც ჰვეთ-ი „წვეთი“ და ჰვათ- (ჰვათუნს „წვეთავს“) სიტყვებშია, ე. ი. ბეხ-უ ← პახ-უ (ხმოვნის აბლაუტით). ამოსავალი ხმოვანი ა, ქართული ე-ს შესატყვისი, ზმნურ ფუძეში ჩანს დაცული...

სვანურის ბანკ- და ზანურის (resp. მეგრულის) ბეხუ ← პახუ ფუძეებში რ დაკარგულია ისევე, როგორც ქართული კვარცხლ- ლექსემის შესატყვისის სემანტიკებში — ზან. კურხ- (← *კურჩხ-), სვან. კიშხ- (← *კირჩხ-), თუმცა სვანური ენის უშგულურ თქმაში ბანკ ფორმასაც ადასტურებენ [კლიმოვი, 1964, გვ. 50; გამყარელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 129].

ამგვარად, ზანურისთვის ვ. თოფურიას მიერ ნავარაუდები *ბახ- ფუძე მეგრულში რეალურად დასტურდება ბეხ- / პახ- ალომორფთა სახით. მართალია, ზანური ბეხ-/პახ- ფორმალურად ცვლილია, მაგრამ ამოსავალი სემანტიკა „ტერფისა“, განსხვავებით ახალი ქართულისა და სვანურისაგან, მას დაუცავს [ჩუხუა, 1989, გვ. 106-114].

ამ ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, სახეზეა ფერჯ სიტყვის მნიშვნელობის ცვლა.

თივა საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია როგორც „მოთბული ხმელი ბალახი“, იგივე მნიშვნელობა აქვს თივას თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში (ქეგლ).

თივა ძველ ქართულში მწვანე ბალახის მნიშვნელობითაც გვხვდება — „ქუეყანამ მან გამოილის ნაყო პირველად თივად, მერმე თავი, მაშინდა სრული იფქლი თავსა მას შინა“ (ოთხ., მრ-ი 4, 28), „უბრძანა. მათ დასხდომამ მწვანვილისა ზედა თივისასა (ოთხ., მრ., 6, 39)“.

ქართ. თივა და ზან. თიფ-ი სახელის ქართ. თიბავს ზმნურ ფუძესთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული.

ვ. თოფურია ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „მოთბული ბალახი მეგრულ-ჭანურში თიფი გახლავთ, რომლის ეკვივალენტი ქართულში თიბი უნდა ყოფილიყო და არა თივა (ვ. თოფ.)“.

ამავე სიტყვის ვარიანტების მსგავსება და სხვაობა განხილული აქვს არნ. ჩიქობავას: იგი წერს: „როგორც თიბავს ზმნა ამქლავნებს, ქართულში უნდა ყოფილიყდ თიბ-ი; ამ ბ-ს ქართულში შენაცვლებია ვ, ჭანურსა და მეგრულში კი ბ ფშვინვიერი ფ-თი შეცვლილა“ [ჩიქობავა, 1939, გვ. 133].

გ. როგავას აზრით, ქართ. თიბ/თიბავს ზმნურ ფუძისა და თიბვა მასდარული ფორმის კონტამინაციით არის მიღებული თივა.. თივა აქაც მეორეულ მოვლენად არის აღიარებული.

განხილული სიტყვის თიბ-, თიფ და თივა- ვარიანტთა შორის ამოსავალია თივ-ა, ქართული ენისათვის დამახასიათებელი სახეობა, ე. ი. თიბ მეორეულია. იგი მიღებულია თივ-ა-საგან. ვ-ს ბ ზშულში გადასვლა დამახასიათებელია ზანურისათვის მხოლოდ ძველ ნასესხებ სიტყვებში. ეფიქრობთ, ქართ. თივა შეუთვისებია ზანურს თიბა-ს სახით (ქართ. თივა → ზან. თიბა) [როგავა, 1989, გვ. 57].

ამ მოსაზრების დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს მაგალითები: ვენახი→ბინენხი, ტყავი→*ტყაბი→ტყები, კრავი→კირიბი, ლაეიწი→ლაბერწი...

ამგვარად, ქართ. თივა ზანურს შეუთვისებია თიბა-ს სახით, შემდეგ კი მომხდარა ამ სიტყვის უკუსუსხება ზანურიდან ქართულის დასავლურ კილოებში — ასეთია გურული თიბა, რომელიც ამ სახით არის გავრცელებული ქართულის სხვა კილოებშიც. ზანურის თიბა ვარიანტიდან ქართულში ნაწარმოებია ზმნა თიბავს. თვით ზანურში თიბა გვხვდება თიფ-ის სახით. იგი სახულურ ფუძეში შეცვლილია პროგრესული ასიმილაციით — თიბ → თიფ (მეგრულ ხალხურ პოეზიაში შეგვხვდრია ოთიფურე

სათიბის მნიშვნელობით: მეგრ. ო-თიფ-ურ-ე, ქართ. სა-თიბ-ი).

ქართული თივა უცვლელი სახით არის შესული მეგრულში და შედარებით იშვიათად გამოიყენება. თივის მნიშვნელობით მეგრულში გვაქვს ნაცალა, ზედმიწ.: „ნაცელავი“, „ნაცელარი“.

მაშასადამე, ქართული თივა სახელის ვ და თიბავს ზმნის ბ პარალელური ვარიანტებია, თიბავს ზმნა ნაწარმოებია ქართ. თივა სიტყვისაგან, რომელიც ზანურში იქცა თიბა ვარიანტად, ხოლო შემდეგ ქართულმა უკუსესებების შედეგად აწარმოა თიბავს ზმნა [როგავა, 1989, გვ. 58].

გ. როგავა მიუთითებს, რომ ქართულში თიბავს ზმნის ჩამოყალიბებამდე უნდა ყოფილიყო ცელ-სახელისაგან ნაწარმოები ზმნა ცელავს, ხოლო ზანურში — ცელ-სახელის ზანური შესატყვისი *ჩალ-ისაგან ზმნა ჩალუფს — „ცელავს“, შდრ. ჰან. ჩალუფს „თიბავს“, „ცელავს“, მეგრულში ქართ. ცელავს და ზან. ჩალუფს ზმნის კონტამინაციით წარმოქმნილია ცალუნს „ცელავს“.

მაშასადამე, მიუთითებს გ. როგავა, უნდა ვივარაუდოთ, რომ თივა ძველ ქართულში აღნიშნავდა ბალახს (მწვანე ბალახს).

ჰიპი. ჰიპი — „უპე, მუცლის შუა ჩუბუტო“ (საბა). ამ სიტყვას საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ა. არაბულმა, რომელიც მიუთითებს, რომ იგი პირველად „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება, ხოლო ზანურში რამდენიმე ვარიანტით გვხვდება: ჰან. ჰიპა; მეგრ. ჰიპე, ჩუბა (581,1).

უფრო არსებითი ის არის, რომ ი. ყიფშიძე ჰიპის მნიშვნელობით მეგრულში ადასტურებს ჰაპან ლექსემას: „ჰაპანი მ (აჩხ. აჰაპან) ყუროკ, ცრ. ჰიპე“. აფხაზურის ამავე მნიშვნელობაზე მიუთითებს პ. ჰარაიაც.

ჰიპი-/ჰაპან- ლექსემების იდენტური მნიშვნელობის დადასტურება იმის საბუთია, რომ ძირს გახმოვანების ცვლა ახასიათებდა, ჰიპი-/ჰაპან- ალომორფების სახით წარმოდგებოდა:

ქართულში ძირის ორივე ვარიანტს გარკვეული სემანტიკური გადაწვევა განუცდია. ეს განსაკუთრებით ჰაპანის შესახებ ითქმის. ქართულში ეს ძირი უსუფიქსოდაც გვხვდება: ჰაპი „ბანდულთა და წალათ შესაკრავი თასმა ან წვრილი თოკი. „ჰაპს დავიგრეხდით ქალამნის შემოსაკონად“ (ქეგლ). ჰანურში ჰაპი სემანტიკურ გადახრას გვიჩვენებს — „ფესვი“.

-ან სუფიქსით გართულებული იგივე ძირი უძველესი ძეგლებიდანვე დასტურდება: ჰაპანი — საბელი: „და სუეტანი კრეტსაბმელისა ბჰისა ეზოისანი... და მანანი და ჰაპანნი მათნი... აღიხილენით“ G, რიცხ. 4,32; შუდკეცი იგი ჰაპან, ვითარცა თმაე ერთი, განხეთქა და თავი თვისი გამოათავისუფლა კრულებისაგან“ sin. — 97,48r (აბულ.); საურმე თოკი (საბა); თასმებისაგან დაგრეხილი თოკი, ღვედი ურმის სადებთა ტვირთთა გადასაჰარებელი (ნ. ჩუბ.); თასმის ჯამბარა ყვერის მოსაბმელად (სტ. მენტეშ.); 1. ბაგირი, ჩვეულებრივ, დაწნული თასმისა (ზოგჯერ მსხვილი

თოკი); 2. სახლის სახურავზე გადავლებული დაწნული ჩალა. || ღობის თავზე ან კალთის პირზე წვნით გადავლებული წნელი, — შიბი; 3. იგივეა. რაც გალა (ქეგლ).

მონეტურში ჭოპან- ფორმა დასტურდება: „წირწენას გამოუბომდითვე ღვედის საბელსა, გინა დაწნული ჭოპანი იყო, თავი გაუყარიანკე...“ (ლიალ. 27).

ჭაპ-/ ჭაპან- სიტყვათა მნიშვნელობიდან აშკარად ჩანს, რომ აღნიშნული ძირი ერთი სემანტიკური ბუდის შიგნით რამდენიმე ნიუანსობრივ მნიშვნელობას იძენს: თასმა, ზონარი, ღვედი, ბაწარი; დაწნული (და დაგრეხილი) წვრილი თუ მსხვილი თოკი, ბაგირი, ყველანაირი ნაწნავი. საგულისხმოა ისიც, რომ უმეტესად სწორედ ტყავის მასალა ფუნქციონირებს.

ანალოგიური მნიშვნელობები (თუმცა უფრო შეზღუდულად) უდასტურდება • გახმოვანების ძირსაც: ჭიპჭე (ხეეს.) — კარის დასაკეტავ თასმა, ღვედი; გადაჭიპჭვა — კარის გადაკეტვა. წიპწიპა — ზონარისაჩეხიანი (საბა).

მნიშვნელობებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ჭიპ-/ჭაპ ხმოვან-მონაცვლე ძირის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო „თასმის ღვედის“ აღნიშვნა (ეს სემანტიკა ორივე ვარიანტს დღესაც შენარჩუნებული აქვს). ამავე დროს, მას შეეძლო გადმოეცა (საფიქრებელია, მეტაფორული, მსგავსებითი პრინციპით) ჭიპლარის მნიშვნელობაც. გამორიცხული არ არის პირუტყუ ვითარებაც („ჭიპლარი“ — „ღვედი“), ოღონდ მას იმთავითვე არ უნდა ჰქონოდა სემანტიკა — „მუცლის შუა ჩუბუტო“ (საბა), „მუცლის შუა პატარა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც რჩება ჭიპლარის მოჭრის შემდეგ“ (ქეგლ). იგი არ უნდა ყოფილიყო სინონიმი სიტყვისა უბე, რომელიც ამ მნიშვნელობით ჭიპზე ბევრად ადრე, უძველეს ძეგლებში დასტურდება: დაასხა უბესა წყალი იგი იორდანისაჲ და დასწერა ჭუარი“ (ლიმონ. 120,3); „ხატი მათი ზღუს-ქალთაჲ ვიდრე უბედმღჲ კაცისაჲ არს (ფიზ. 16617)... სიტყვა დასტურდება ზანურშიც: მეგრ. ოპპა, ჭან. უპპა, ოპპა.

ჭიპ-/ჭაპ- ძირთან დაკავშირებული თავისთავად საინტერესო სემანტიკური გადახრები სვანური ენის ფაქტების ასახსნელად შეიძლება გამოდგეს. საფიქრებელია, სვანურის შესაბამისმა ლექსემამ (შდიხჷ) გაიარა მნიშვნელობის ცვლის ანალოგიური პროცესი, ან — უკუპროცესი (როგორც აღინიშნა, დასაშვებია, სემანტიკური გადასვლა ორმხრივ განვითარდეს: „ჭიპი“ — „თასმა, ბაწარი“). სხვათა შორის, ამ ფონზე შდიხჷ — ერთეულისათვის სვანურში დამოწმებული ორი მნიშვნელობა ერთი სემანტიკის ნაყარად გვესახება: 1. „ჭიპი“; 2. ლხმ. „ჩალის ან ფოთლიანი ტოტების ზვინი ხეზე“. შდრ. ჭაპანი — საბძლის თავზე გადავლებული ქალის თმსავით დაწნული ჩალა... ამგვარად: „ჭაპანი“ — ზვინის გამ-

მაგრებელი, შემკრავი, შემდეგ კი — იმავე ზვინის სახელი — ასე გვესახება სვანურის ვითარება. ესეც დამატებით უნდა მიუთითებდეს, რომ ქართულ-სვანურს შორის სემანტიკური ანალოგია შემთხვევითი არ არის [არაბული, 1985, გვ. 98-106].

აბეზარი. ი. აბულაძის ლექსიკონში **აბეზრობა** განმარტებულია, როგორც განშორება, განდგომა: „აწ... რომელსა ვსტიროდი... აბეზრობასა შენსა... ანუ განყენებასა შენსა მამისაგან სახიერისა“ მ. სწ. 120, 22.

საბა: **აბეზარი** გამდგარი ZA
გამდგარი გინა მწყრალი C.
ნ. სააბეზრო

სააბეზრო აბეზართა ადგილი ZAB

დ. ჩუბინ.: ს. ზ. თავის შემაწყენელი, შემაბეზრებელი; ან გაბეზრებული, მოწყენილი, შეწუხებული... აბეზარს მოყვანა; აბეზარ ვიქმნები; ვისრ. 132, 191; აბეზარს მოვალ, აბეზარ მექმენ, ვისრ. 135; აბეზარობა ვეფხ. 176.

სკ: **აბეზრად წასვლა** (თუშ.) გათხოვილი ქალის მშობლებთან წასვლა საჩივლელად უხასიათო ქმრის შესახებ (პ. ხუბ.)

ქეგლ: **აბეზარ-ი** (აბეზრისა) მომაბეზრებელი, შემაწუხებელი, გულის გამაწვრილებელი, მოთმინებიდან გამომყვანი... **o აბეზარს მოჰყავს** თავს აბეზრებს, აწუხებს; მოთმინებას აკარგვინებს... **o აბეზარს მოდის წუხედება**, მოთმინება ეკარგება... **o აბეზარს მოსული** გაბეზრებული, შეწუხებული, მოთმინებადაკარგული.

აბეზარა (აბეზარასი) იგივეა, რაც აბეზარი.

აბეზარმოსული-ი (აბეზარმოსულისა) მიმღ. საშ. ნამ. იგივეა, რაც აბეზარს მოსული.

აბეზარობ-ს (იყენ. გააბეზარდა, გააბეზრებულა) გრდუფ. სტატ. აბეზარივით იქცევა... || **განზე მიიწევს.**

აბეზრებ-ს (‘მო’აბეზრა, ‘მო’უბეზრებია) გრდმ. (ჩვეულებრივ იხმარება თავ-სახელთან ერთად). **o თავს აბეზრებს** გულს უწვრილებს, გულს უწყალებს, აწუხებს, მოთმინებიდან გამომყავს.

აბეზარი ქართულში ირანული წარმომავლობისადაა მიჩნეული, შდრ. სპ. ბენზარ „თავმოძლებული, მომაბეზრებელი“ [ანდრონიკაშვილი, 1990, II, გვ. 30-31].

ამავე ნაშრომში მ. ანდრონიკაშვილი წერს.

აბეზარი — „უღონო, უძლური, გულაცრუებული, თავმობეზრებული“

„ვის ბადაში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს, იგი სადმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს“ (ვ.ტყ. 177,4)

„რად გამწირე და აბეზარ იქმნე ჩემგან? (ვისრამ. 48.1)

„ვიდრე სულნი მედგნეს, გული იყოს ჩემი გული, სხუათა

საყვარულისაგან კიდევანი და აბეზარი ვარ“ (ვისრ. 183, 38)

„რასაც შენ უბნობ, შენი გული მაგისაგან აბეზარია“ (ვისრამ. 259,1)

„რამდენნი გმირნი ჭაბუკნი და ქველნი კაცნი თავისისა სამყოფთაგან აბეზარ ქმნილან (რუსულ. 184, 4).

„... ხელმწიფეო, ვერ იცან ძე თქვენი სასურველი, რომლისათვის იავარ იქმნა ყოველი სახელმწიფო შენი და აბეზარ ტანტ-გვირგვინი? (რუსულ. 235, 29).

„ვარ სულისა აბეზარი, გვიმან მაღლა დაუძახა“ (შაჰმ. II, 4232,4).

ახ. სპარსული ბიზარ „მოძულე“ („თავმოძულეებული“) „ვინც გაურბის რასმე, ბიზარ უშუდან „გაურბოდე რასმე“. 2. „დაღლილი, გაწამებული“, ბიზარ ქარდან „თავის მობეზრება“. იუსტ. აბულაძე ამ სიტყვის შესახებ აღნიშნავს: „სპარსული აბიზარ, აბეზარ ან ბიზარ — „მონაწყენი, მონაძლები, ან გულაცრუებული“ — აქედან ბეზრება, მობეზრებული. ბეზარ საკუთრივ ნიშნავს უღონოს, უძლურს, ხალისდაკარგულს — ბნ/ზე და ზარ.

საშ. სპარსული ფორმა ამ სიტყვისა არის აფეჩარ/აფე — უარყოფითი ნაწილაკი „უ“ + ჩარ „შეძლება, საშუალება, ჩარა“ (ახ. სპ. ზარ). რას ნიშნავს მეორე ელემენტი ზარ აღნიშნულ ახ. სპარსულ სიტყვებში, ამაზე ი. აბულაძე არაფერს ამბობს. შდრ. ავ. ჩარა, ახ. სპ. ჩარ.

ჩვეულებრივ ძვ. ირ. ჩ — ხმოვანთა შორის მდგომარეობაში საშუაალ და ახალ სპარსულში იძლევა ზ-ს (ცარ — ზარ კომპოზიტში აფეჩარ, აბეზარ, მაგრამ სიტყვის თავში შენარჩუნებულია ჩ. საშ. ჩარ, ახ. სპ. ჩარ). მაშასადამე, ამოსავალი მნიშვნელობა სიტყვისა აბეზარი არის „უძლური, უღონო, საშუალებას მოკლებული“. [ანდრონიკაშვილი, 1990, გვ. 56-57].

მაშასადამე, „გამსესხებელ“ ენაში აბეზარი ზედსართავი სახელია და ნიშნავს უძლურს, უღონოს, საშუალებას მოკლებულს.

ქართულში ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: განდგომა, განშორება; განმდგარი; მომაბეზრებელი, შემაწუხებელი, გულის გამაწვრილებელი, მოთმინებიდან გამოყვანი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციის (აბეზარ ქმნიდა, აბეზარად წასვლა, აბეზარ იქმენ) მოშლის შემდეგ აბეზარმა დაკარგა კონსტრუქციის (მასდარული კონსტრუქციის) სახელური წევრის ფუნქცია და შესაბამისი სემანტიკა (განდგომა, განშორება, წასვლა). ასევე, აღარ გვხვდება იგი ღარიბის, უძლურის აღსანიშნავად, თუმცა უძლურის სემანტიკა აბეზარში (უფრო სწორედ, გაბეზრებულში, მობეზრებულში) მაინც ჩანს.

ბაზმა || ბაზმაკი. ილ. აბულაძე: ბაზმაკი „სანთელი“, სასანთლე: „დაბურონ... ბაზმაკი მისნი და მარწუხნი მისნი და მისაყოფელნი მისნი“ G. — „შებურონ სანთელნი მისნი და მორაჟღუნენი მისნი და განსაკოცი

ჰისი“ *px.*, რიცხ. 4,9; „გლოვამ ბაზმაკი არს აღნთებული... მეყსეულად დაივების იგი კუეთებისაგან ქართაძსა“ მ. ცხ. 104რ.

საბაზმაკე: „სასანთლე“: „დაბურონ საბაზმაკე მნათობი“ *G*, — „შებურონ სასანთლე იგი, რომელი ნათობნ“ *px.*, რიცხ. 4,8; „გარდაქცია ბაზმაკი იგი და შემუსრა საბაზმაკ“ მ. ცხ. 359რ.

საბა: ბაზმა სანათი

ბაზმაკი (+25,10 იერემ ZAA) სანათივე ZAC

სანათივე [არა კეთილი] B

სანათი ბაზმა და ცეცხლი ZAB

სანთებელი.

დ. ჩუბინ.: ბაზმა, ბაზმაკი (სომხ.) ლამპარი, სანათი ან კანდელი, *лампада*, იერემ. 25-10; ზაქარ. 4-2, დასტულ. 154; ვეფხ. 1512, ბაზმის ზეთი, *ламповое масло*.

ქეგლ: ბაზმა (ბაზმისა) ძვ. 1. ზეთის პატარა სანათი, ლამპარი (ხატის წინ ასანთებად). შუა ცეცხლმა და მარჯვენა კუთხეში, თაროსთან, ანთებულმა ბაზმამ გაანათა შიგნიდან სახლი (მელან.) ტარიელს პირსციმციმი ათქს (=ადგას), უნათლესი ბაზმისა (რუსთაველი). 2. ძვ. ეთნ. ყვავილით, ქენტრუშით, წითელათი დაავადებისას ე. წ. „ბატონების“ საამებლად ანთებული ნიგოზი.

სკ: ბაზმა (გურ.) ნიგეზისა და თხის (ან ღორის) ქონის შეზავებით გაკეთებული ლამპარი, რომელსაც ანთებენ ბატონების ან სხვა რომელიმე ინფექციური დაავადების გამომწვევე სულთა პატივსაცემად.

ქართულ დიალექტებში გვხვდება ასეთი ზმნური ფორმა აბაზმებული, რაც ნიშნავს გარკვეული სურნელის (ჩვეულებრივ, არასასიამოვნოს) დაყენებას.

როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში ბაზმის მნიშვნელობა ნათელია: სანათი, სანთელი ან სასანთლე. მის სინონიმად დასახელებულია ლექსიკონებში ჭრაქი (სპარს.) ს. ბაზმაკი, სანათი; *посаха*. (დ. ჩუბინ.)

ქეგლ: ↔ ჭრაქი (ჭრაქისა) [ფალ. ჩირაგ] უშუშო გასანათებელი მოწყობილობა, რომელიც შედგება ნავთის (ქონის...) ჩასასხმელი ჭურჭლისა და პატრუქისაგან.

ჭრაქს ქართულში მეორე მნიშვნელობაც აქვს: ვაზის (და ზოგი სხვა კულტურული მცენარის) დაავადება, გამოწვეული პარაზიტული სოკოვებით; ახმობს ფოთოლს და ხშირად მოსავალს ღუბავს. ხეს რომ ჭრაქი აჰკრავს, უმალ წვეროში შემოეპარება სიყვითლე (აკაკი). ვაზის ფოთოლი ჭრაქს დაეცხავებინა (ბ. ჩხ.).

ჭრაქის ამ ორ მნიშვნელობათა მიმართებას სხვაგან შევეხებით.

როგორც ვხედავთ, ჭრაქი და ბაზმაკი ერთმანეთის სინონიმებია; ორივე მსგავს ჭურჭელს წარმოადგენს და ერთი და იგივე ფუნქცია (სანათი) აქვს. თუმცა საბასა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში ბაზმა და ბაზ-

მაკი იგივეობის ნიშნითაა აღნიშნული, ქეგლ-ში მხოლოდ ერთი ფორმა მოყვანილი. ჩვენი აზრით, ბაზმა მაინც იმ ნათელის (სანთლის) აღმნიშვნელი ლექსემა უნდა იყოს, რომელიც ჭურჭელთან, ბაზმაკთან არ დაკავშირებული.

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბაზმაკი და ჭრაქი სინონიმებია, მაგრამ, ამავე დროს, ორივეს თითო დამატებითი მნიშვნელობა აქვს, რომლის მიხედვითაც ისინი უკვე რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა თითოეული დამატებითი მნიშვნელობა დიდად არ შორდება მათ ძირითად მნიშვნელობებს. ჭრაქის II მნიშვნელობა (ვაზის... დაავადება) დაკავშირებულია მომეტებულ სინათლესა (იგულისხმება მზის სინათლე) და მცხუნვარებასთან, რაც ხელს უწყობს ვაზის ფოთლების ჭკნობას. აქედან გამომდინარე დაჭრაქვა.

ბაზმა||ბაზმაკმა განვითარების ასეთი გზა გაიარა. სანთელი, სასანთლე, სასინათლე ჭურჭელი → გარკვეული რიტუალური ქცევა (ბაზმა უკვე აღარ ნიშნავს ჭურჭელს, არამედ ნიშნავს გარკვეული წესით შერჩეული ნივთიერებების ანთებას გარკვეული მიზნით). სინათლის აღნიშვნის მნიშვნელობა ამ სიტყვამ კვლავ შეინარჩუნა, ოღონდ არა უშუალოდ განათების მიზნით.

ბანაკი. ქეგლში: ბანაკი (ბანაკისა) 1. მინდვრად (ცისქვეშ) გამართული დროებით სადგომი ჭარისა, მოგზაურობაში მყოფ პირთა და სხვ. სამხედრო ბანაკი — ექსპედიციის ბანაკი. 0 საკონცენტრაციო ბანაკი, ადგილი, სადაც იზოლაციაში იმყოფებიან სამხედრო ტყვეები. მძევლები, პოლიტიკური დამნაშავეები... 0 ბანაკს დასცემს დაბინადება. 0 ბანაკი აიყრება ბანაკი აიშლება და გაემგზავრება. 0 ბანაკად დგას სადმე დროებით დაბინავებულია (ჭარი...). 2. სადგომი, შტაბი. 3. გადატ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაჭრუფება, რომლის წევრებსაც ერთნაირი შეხედულება, ინტერესები და მოქმედება ახასიათებს.

ბანაკდება (იყენ. იბანაკა, უბანაკნია ანდა: დაბანაკდა, დაბანაკებულია) გარდუფ. სტატ. ბანაკად დგება.

ბანაკობა (ბანაკობისა) ბანაკად დგომა.

როგორც ვხედავთ, მეორე მნიშვნელობაში უკვე აღარ ფიგურირებს „ცისქვეშ გამართული დროებითი სადგომი“, სამაგიეროდ, შემოვიდა ახალი ელემენტი შტაბი (სამხ. ჭარის მართვის ორგანო. || გადატ. ხელმძღვანელი, მმართველი ორგანო, საერთოდ). მესამე მნიშვნელობაში ბანაკს უკვე დაკარგული აქვს „სადგომის“ მნიშვნელობა, სამაგიეროდ, იგი აღნიშნავს იდეური შეხედულებით გაერთიანებულ ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს.

როგორც ვხედავთ, მნიშვნელობათა ცვლა სახეზეა.

ძველ ქართულში ბანაკის მნიშვნელობა არ იყო ერთგვაროვანი.

ილ. აბულაძე: ბანაკი „ერი“, მხედრობა, რაზმი; გუნდი, ჯგუფი: „გან-
თუ-ეწყოს ჩემ ზედა ბანაკი“ Z, — „გან-თუ-ეწყოს ჩემ ზედა ერი“ C, ფს.
26,3; „შენი არსა ესე ყოველი ბანაკები, რომელ შემემთხვა?“ დაბ. 33,8;
„ბანაკი იგი უცხოთესლთა დაბანაკებულ იყო ღელესა მას გმირთასა“ I
ნშტ. 11.15; „აღიძრა ყოველი კრებული... ბანაკად-ბანაკად თითოეული“
გამოსლ. 17, 1; „ბანაკი ანგელოზთა უფლისა და გარემოადგეს მოშიშთა
მისთა“ ფს. 33,8; („განყო) ცხოვარი და ზროხად ორად ბანაკად“ დაბ.
32,7.

დაბანაკებული დაბანაკებული: „და დამბანაკებელნი პირველნი აღ-
მოსავლით კერძო“ G — „და რომელთა დაიბანაკონ პირველად აღმოსავ-
ლით“ M, რიცხ. 2,3.

დაბანაკება დადგომა, განლაგება: „დაიბანაკა უდაბნოსა მას“ დაბ.
12,9; „დაებანაკა იორსა ზედა“ ქ. ცხ. 50,10.

დაბანაკებული „დავანებული“, დადგომილი: „იხილა ბანაკი ღმრთი-
სა დაბანაკებული“ დაბ. 32,1. „დაბანაკებულ იყვნეს ღელესა მას შინა“
M, — „დავანებულნი ღელესა შინა“ G, მსჯ. 7,12.

საბანაკე, საბანაკო „ბანაკი“, სადგომი: „მიიწია საბანაკესა თქსსა“ O,
II მფ. 17,24; „ეწოდა სახელი ადგილისა და მის საბანაკოდ დანისი“ (ბანაკი
დანისი G) M. მსჯ. 18,12.

საბა: ბანაკი მრავალი კრებული დედაწულით მიმავალი, გინა მდგარა
ZAB. კრებული Cab. კრებულივით Cq.

დაბანაკება ბანაკთ დავანება ZA

მრავლის კრებულით და დედაწულით დადგომა B.

დაბანაკებული დავანებული

ნაბანაკევი ბანაკთ ნადგომი ადგილი ZA

ბანაკთ ნადგილევი B.

საბანაკე ბანაკთ ადგილი ZAB

ღ. ჩუბ.: „გუნდი, სპა, ლაშქარი, ან ლაშქართ სადგური, ბინა, ურდო;
полкъ, стань, ფსალ.: 26-3; 77-28; საქმ. 21-34; ებრ. 13-11“.

მ. ანდრონ. I: ბანაკი — „ლაშქრის სადგომი“

„სადა იგი არს სადგური და საბანაკემ ძეთა მავოგისთა და, რომელ
არიან ხაზარნი...“ (აბო, 64₃)

„არა ხარ უცხო ბანაკსა მას წმიდათა ანგელოზთასა“ (გრ. ხანძთ.
31_გ)

„რამეთუ მივალ დღეს ბანაკსა უცხოსა და ღმრთისა საყდართა
საშინელთა“ (გრ. ხანძთ. 31_გ)

„სძლიო თრდატ და ხელად შეიპყრა და აოტეს ბანაკი გუთთა“
(ლ.მრ. 43₁₄)

„ბანაკი ანგელოზთა უფლისათა გარემოადგეს მოშიშთა მისთა და
იქსნეს იგინი (ფს. 37₇)

ამ სიტყვას მ. ანდრონიკაშვილი პართიულ წარმოშობისად მიიჩნევს. [ანდრონიკაშვილი: 1966, გვ. 165]

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ბანაკს ორი მნიშვნელობა აქვს. 1. გუნდი, ჯგუფი, ლაშქარი, ერი და 2. ბანაკის ადგილი.

აქედან თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ადამიანთა გარკვეული ერთობის აღნიშვნა. ამაზე მიუთითებს, რომ „საღგომის“ აღსანიშნავად გვხვდება ნაწარმოები სიტყვები: საბანაკო||საბანაკე და ნაბანაკევი. ამ მოსაზრების დასადასტურებლად გამოდგება ერთი ფაქტიც. კერძოდ, „ძველი ქართული სამწერლობო ძეგლების მიხედვით სინონიმთა სტილისტურ-ექსპრესიული მიზნით გამოყენების ერთ-ერთ გავრცელებულ სერბს წარმოადგენს კონტექსტში მათი ერთმანეთის გვერდით ხმარება:

სადა იგი არს სადგური და საბანკჲ ძეთა მაგოვისათაჲ“ (წამ. ჰაბ. ისტ. ქრ. 164_ა) [სილაგაძე, 1981, გვ. 100].

§ 2. ნაწარმოები სახელების მნიშვნელობათა ცვლილებანი

ანაბარი / ამანათი. საბა: ანაბარი მიბარებულსავეთ ZA; მიბარებულსავეთ BC; იანაბრა ანაბ(ა)რად ინდო ZAB; მანაბრა ანაბარად მომცა ZAB.

დ. ჩუბინ: ანაბარი ამანათი, მიბარებული ნივთი. სამ. სომხ. 201; ქილ. 205, 330; სამ. გ. 208; ალბ. 83; დედამიწის ანაბრად; на произволю сырой земли.

ქეგლი: ანაბარ-ი (ანაბრისა) 1. სხვასთან-მიბარებული რამ. ანაბარი მგელმაც იცის (ანდაზა). 2. ახ. შემნახველ სალაროში შეტანილი ფული. შემნახველი სალარო ანაბარზე იხდის. 3. პროცენტი წლიურად. — მომგებიანი ანაბარი.

აქედან შეანაბრე (შეანაბრისა) ფინ. ანაბრის (მნიშვ. 2) პატრონი, ანაბრის შემტანი.

საყურადღებოა, რომ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ანაბრის განსამარტავად მოყვანილია სიტყვა ამანათი. ხოლო ამანათს იგი ასე განმარტავს:

„ანაბარი, ნივთი მიბარებული ან გაგზავნილი ვისთანმე“.

ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონშიც“ ანაბრის სინონიმებია: ამანათი (ამანათი მგელმაც იცისო), შენატანი, შესატანი.

ქეგლში ამანათ-ის ორი მნიშვნელობაა მოტანილი:

„[არაბ. ამანათ] 1. შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც სადმე იგზავნება (ჩვეულებრივ ფოსტით)... 2. ძვ. მძევალი. 3. მიბარებული, მინდობილი რამ.“

განვიხილოთ პირველი სიტყვა — ანაბარი.

ანაბარი აშკარად ქართული წარმომავლობის ფორმაა, ნაწმნარი საბ-

ელი (სახელზმნა); ე. წ. წინავითარების აღმნიშვნელი ფორმა, რომელიც ნაწარმოებია აბარებს ზმნისაგან. აბარებს ასეა განმარტებული ქეგლში: (აბარა, უბარებია) გრდმ. საზიარო აწმყო ზმნური ერთეულისათვის: დააბარებს, მიაბარებს, ჩააბარებს, გააბარებს. 1. [მაშო] მოკითხვას მიაბარებდა შენთან... (შ. არაგვ.) კიდევ აბარებს: „თავს გაუფრხილდი, ნასვამა ბრიყვად არ დაიძინო!“ (ვაჟა). იხ. დააბარებს. 2. მგზავრი ბარგს აბარებს შემნახველ კამერაში. — სკოლაში... აბარებენ ბავშვებს (შ. არაგვ.) მამა-დავითს ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს (აკაკი). იხ. მიაბარებს. 3. კოლმეურნეობები სახელმწიფოს დიდძალ მარცვლეულს აბარებენ. — გაბარებ ამ ჩემს ცოლ-შვილსაც, შენ გმორჩილებდეს ყველაო (ვაჟა). სტუდენტები სახელმწიფო გამოცდებს აბარებენ. იხ. ჩააბარებს. 4. ძველი თავადები გლეხის ოჯახში აბარებდნენ შვილებს გასაზრდელად. იხ. გააბარებს.

ანაბრის შინაარსის უფრო თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად მოვიყვანთ კიდევ ერთ სახელზმნურ ფორმას: აბარება (აბარებისა) შესანახავად, სამეთვალყურეოდ, მოსავლელად მიცემა, — მიბარება. [ანიკო] ხბოების აბარებაზე ხან ვის ეხვეწა, — ხან ვისა (ბაჩ.) (ქეგლ.)

როგორც ვხედავთ, აბარება — შესანახავად, სამეთვალყურეოდ, მოსავლელად მიცემა — ცოცხალი ფორმაა ენაში. სწორედ აბარებს, აბარება უნდა ედოს საფუძვლად ა-ნა-ბარ-ი ლექსემას. ანაბარი — რაც მიაბარეს, ჩააბარეს, გააბარეს. მსგავსი წარმოება ქართულისათვის ბუნებრივია. რაც შეეხება ა- პრეფიქსს, მისი მნიშვნელობა აქ, განსხვავებით მსგავსი წარმოების სიტყვების (ანაცერი, ანახეთქი, ანაგლები, ანაბეჭდი) ა-საგან, დასაზუსტებელია, თუმცა აბარება ფორმის არსებობა გვაპარაუდებინებს, რომ მისი ფუნქციაც ისტორიულად იგივე უნდა იყოს.

ანაბარის სემანტიკის დასაზუსტებლად საყურადღებოა ზმნისართ ანაბარას¹ განმარტება: მარტოოდენ ერთი ვისიმე ან რისამე მოიმედდ (ყოფნა), მხოლოდ ერთი ვისიმე შემყურედ, ვისიმე ხელში (ყოფნა). შდრ. ამარა. ბედის ანაბარა. — სანდროს ოჯახი პატარა ძმის ანაბარა დარჩა (ი. გედევ.). ქეთოს მამა მოუკვდა და დარჩა ღვინაგვლის ანაბარა (ეკ გაბ.). 0 ღვთის ანაბარას². ძვ. უპატრონოდ, მიუხედავად. ბიჭი გუთნეულის გაუშვებდა ღვთის ანაბარას (ს. მგალობ.) (ქეგლ.).

ყველა მოყვანილ განმარტებაში ანაბარა ნიშნავს მიბარებულს, ჩაბარებულს; რომ ვინც ჩაიბარა, მან უნდა უპატრონოს მას, რაც ჩააბარეს ან ჩაიბარა. ბედის ანაბარა. აღამიანი, ვინც თავი ბედს ჩააბარა, ან იძულებულია ბედს მიენდოს. ფრაზა — ღვთის ანაბარა, როგორც ვნახეთ, განმარტებულია როგორც „ძვ. უპატრონოდ, მიუხედავად“. ჩვენი აზრით, მითითება „ძველი“ აქ ზედმეტია, რადგან ეს გამოთქმა ჩვეულებრივი აინტაგმაა თანამედროვე ქართულში და მისი ამოსავალი მნიშვნელობა სწორედ ღმერთს მიბარებული, ღმერთისთვის ჩაბარებული, ღვთის ნან-

დობია. უარყოფითი მნიშვნელობა ამ გამოთქმას გვიან უნდა მიეღო.

საყურადღებოა ანაბარა¹ და ამარა-ს მიმართება ამარა ლექსემასთან. მხოლოდ და მხოლოდ ერთი რისაზე მქონე. სოფლელი გლეხის შვილი ვარ, შკადითა გამოზრდილია, უქულო, ჩოხის ამარა, ქალამნებგაცვეთილია (ი. დავით.). [წყლიდან] ამოხდა, ქვაზე ჩამოვდა, მარტოკა შარვლის ამარა (ვაჟა). მარტოდ-მარტოდ მოდიოდა ხანჯლის ამარა (ვ. ბარნ.).

ჩვენი აზრით, ამარა-ს კიდევ ერთი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს. ის უნდა აღნიშნავდეს ვინმეს (რაიმეს) იმედად ყოფნას, ვინმეზე (ან რაიმეზე მინდობას, მიბარებას). ანაბარას საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითებში ამ სიტყვას თავისუფლად შეიძლება ჩავანაცვლოდ სიტყვა იმედად, იმედიოთ. სწორედ იმედი ლექსემა გამოყენებული ანაბარის განმარტებისას (რაც არ გვხვდება ამარას განმარტებაში). შდრ. ძმის ანაბარა || ძმის იმედად; დედინაცვლის ანაბარა || დედინაცვლის იმედად (ამ სიტყვას უარყოფითი დამოკიდებულების ელფერი შეიძლება გადაჰკრავდეს (უიმედოდ), რასაც „დედინაცვლისადმი“ საერთოდ დამკვიდრებული მიმართება განაპირობებს); ბედის ანაბარა || ბედის იმედად; ღვთის ანაბარა || ღვთის იმედად (და არა უპატრონოდ). ასევე შეიძლება ჩავანაცვლო ანაბარა ამარას განმარტებაში მოყვანილი ილუსტრაციაში — ხანჯლის ამარა || ხანჯლის იმედად (ხანჯალს მინდობილი). შდრ. მეგობრის ამარა || მეგობრის ანაბარა. ასეთი სემანტიკით ურთიერთჩანაცვლება შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ ეს ზმნისარტები სულიერ (ან მათთან გატოლებულ საგნებს) მიემართება. ხანჯლის ანაბარა, ხანჯლის ამარა.

სიტყვის მნიშვნელობის განვითარება შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ანაბარი ნაზმნარი სახელია (აბარებს ზმნური ფორმიდან მიღებული), წინა ვითარების აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც მიემართება იმ საგნებს, რომლებიც ვინმეს ან რამეს ჩააბარეს შესანახად, მოსავლელად, საპატრონოდ, განვითარების გარკვეულ ეტაპზე მისი მნიშვნელობა დაკონკრეტდა და დღეს უკავშირდება მხოლოდ საფინანსო-საბანკო დაწესებულებაში თანხის მიბარებას, აქედან შეანაბრე — ადამიანი, ვინც ფული შემნახველ სალაროში, ბანკში მიაბარა.

რაც შეეხება ამანათს.

ამანათის ქართულ დიალექტებში დადასტურებული მნიშვნელობები გარკვეულად უკავშირდება ქველ-ში დამოწმებულ მნიშვნელობებს:

1. (მოხ., ფშ., მთიულ., გულდამაყრ.) ხიზანი, შემოფარებული, უმიწაწყლო (ო. ქაჯ., ი. ქეშიკ., ე. ვირს.)

2. (ქართლ.) მიბარებული რამ.

3. სტუმარი (შ. ძიძ. ანგარიში). არაბ., თურქ. emanet.

მეორე მნიშვნელობა „მიბარებული რამ“ ზუსტად შეესაბამება ანაბარის პირველ მნიშვნელობას „სხვასთან მიბარებული რამ“ (ქველ) ისე, რო-

გორც ქეგლ-ში მოტანილი ამანათის მე-3 მნიშვნელობა — „მიბარებული, მინდობილი“ ანაბრის (ამანათის 1 მნიშვ.) სემანტიკას — მძევალი.

ქეგლ: მძევალი (მძველისა) 1. ძვ. პირობის სიმტკიცისათვის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო წინდად მიცემული-დატოვებული ადამიანი. [ასპ-აგურის] შვილი სპარსეთის მეფეს მძევლად ჰყავდა წაყვანილი (ივ. ჭავჭ.). „ჩემს შვილებს გამოგიგზავნი მძევლად“ (ნ. ლორთქ.) 2. საბუღალროში ჩადებული (ან ჩატოვებული) კვერცხი კვერცხის-მღებელი დედლის მოსაბი-რებლად.

ამ უკანასკნელი მნიშვნელობით მძევალი დიალექტებში მ-ს გარეშე გვხვდება (შდრ. სკ. ძვეალი). „დედლის მობირება“ ნიშნავს, რომ დედალს საბუღალროში ჩატოვებული კვერცხით ილუზიას უქმნიან, რომ მის დადებულ კვერცხს არავინ ეხება.

მძველის პირველი მნიშვნელობა დასტურდება ი. აბულაძის, საბასა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში.

მძევალ ლექსემის სემანტიკა გულისხმობს ნდობის, მინდობის ელემენტს. მაგრამ „წინდად მიცემული კაცი“, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანის „წინდად მიცემა“, „მძველობა“ ნებაყოფლობითი ინსტიტუტია. ის უფრო ხშირად გულისხმობს ძალდატანებას. ამაზე მიუთითებს ძველ ქართულშივე დადასტურებული ზმნური ფორმა მომძველება, რომელიც ი. აბულაძის მიერ ასეა განმარტებული: „დაგირავება, დატყვევება: „სიყუარულითა ამით საწმიდისაჲთა მოიმძველებდა ყოველთა წინაწარმეტყუელთა“ მრთ. S. ი. ოქრ.-გურიტ. 228,36; „მოიმძველა წყალობაჲ ღმრთისაჲ მის ზედა“ მ. სწ. 110,18; „მოიმძველნეს გულნი კაცთაგანი“ ბალ. 73, 22“.

აქედან ნათელია ამანათის დიალექტებში დადასტურებული პირველი და მესამე მნიშვნელობის ურთიერთმიმართება.

1. ხიზანი, შემოფარებული, უმიწაწყლო — მძევალი — წინდად მიცემული კაცი, რომელიც მძველობის მდგომარეობაში ყოფნისას არის როგორც ხიზანი, შემოფარებული, უმიწაწყლო, ასევე ტყვეც (ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე).

2. სტუმარი 1. ვისიმე სანახავად, მოსაკითხავად მოსული ან საგანგებოდ მოწვეული, დაპატივებული პირი. 2. გადატ. სადმე დროებით, შემთხვევით მყოფი; უცხო, გარეშე.

სტუმრისა და ხიზნის მნიშვნელობები გარკვეულად ახლოს დგას მძველისა და, შესაბამისად, ამანათის მნიშვნელობებთან.

ცხადია, რომ ამანათი (მძევალიც) პოლისემიური სიტყვაა. მისი აღნიშვნის თავდაპირველი ობიექტი უნდა ყოფილიყო სწორედ ადამიანი, რომელიც გადაადგილების შემდეგ ნებით თუ უნებლიეთ მინდობილი იყო სხვა ადამიანებზე.

გადაგზავნილი ნივთის აღნიშვნა ამანათს დაეკისრა მისი მნიშვნელობის დაეწროების ნიადაგზე.

ძველ ქართულში შენახვის აღსანიშნავად სხვა ტერმინებიც იხმარებოდა. კერძოდ, განიხილავს რა წინადადებას გ მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ — „წარვლინა ერი იგი ხანძთას, მაშინ თვთ წარვიდა ქორთას, რამეთუ მუნ ნამარხვევი მისი იყო, რადთაცა წარილი“-ო, ნ. მარი აღნიშნავს, რომ ნამარხვევი ორნაირად შეიძლება გავიგოთ: ან „რაიმე შესანახად დატოვებული ჰქონდა“, ან „მიცვალებული ჰყავდა“-ო. [მარი, 1911, გვ. LXVI].

ივ. ჯავახიშვილი ადარებს რა ამ ტერმინს ლათინურ, ბერძნულ და სომხურ დაბადების წიგნებთან, ასკენის, რომ ნამარხვევი შენახულს ნიშნავს [ჯავახიშვილი, 1984, გვ. 334]. ასევეა ეს სიტყვა განმარტებული ილ. აბულაძის ლექსიკონში — განძი, საცავი, შესანახავი, მიზარებული, ქონება.

ძველ ქართულშივე გვაქვს ტერმინი — ვედრი.

ვედრი-ი ანდერძი, აღთქმა, მიზარებული: „ვედრი იგი დაიმარხე“ | ტომ. 6,20 (ილ. აბულ.).

ივ. ჯავახიშვილს ვედრი შენავედრი-ს შეკვეცილ ფორმად მიაჩნია. მისი აზრით, „ქართული „ვედრი“ ანუ „შენავედრი“ ზედმიწევნით უდრის რომაული სამართლის depositum-ს, ფრანგულს le dépôt-ს, გერმანულის die Verwahrung-ს.

აღსანიშნავია, რომ მე-XII სს. ძეგლებში „ვედრი“ და „შენავედრი“ ჯერ არა ჩანს, მაგრამ ბეჟა-აღბულას სამართალში, რომლის საკუთრად აღბუღას დროს შედგენილ კანონებში ამ ცნების გამოსახატავად უკვე არაბული ტერმინი „ამანათი“ იხმარება, მაინც თვით მოქმედების აღსანიშნავად ძველებურად „შევედრება“ ზმნაა დატოვებული... ამგვარად ირკვევა რომ „შენავედრი“, ანუ „ვედრი“ ძველი ტერმინია, რომელიც, საღმრთო წერილის ქართულად თარგმნის დროს განმტკიცებულ-შეკვეცილი ყოფილა. მე-XIII ს-მდე ეს ტერმინი იხმარებოდა, როდესაც მის მაგიერ ნასესხები ტერმინი „ამანათი“ შემოსულა. მაშასადამე, „ამანათი“ ტერმინის შეთვისება ამავე დროს თვით ცნების შეთვისებასაც არ ნიშნავდა, რომლისათვისაც ქართულს, როგორც დავრწმუნდით, საუკუნეთა განმავლობაში საკუთარი ტერმინი მოეპოვებოდა“ [ჯავახიშვილი, 1984, გვ. 335].

შდრ. ვედრი-ი „მწირი“, უცხო, გადმოხვეწილი: „უფალმან დაიცვნის ვედრნი“ Ը, „უფალმან დაიცვნის მწირნი“ Զ, ფს. 145,9; ვედრსა და ობოლსა და ქურიცსა ნუ ჰმძლავრობთ“ I, იერემ. 22,3 (ი. აბულ.).

სიტყუაჲ. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში სიტყუა განმარტებულია როგორც „თქმული, მცნება, საუბარი, ანგარიში, ამბავი, ბრძანება: „ერთი ასოთაგანი, გინა თუ სიტყუაჲ ერთი უჰმარ

არს წიგნი იგი“ Sin. — 97,46r; „შეიწყნარა სიტყუანი ცხორებისანი მოცემად ჩუენდა“ საქ. მოც. 7,38; „დაწერა მოსე ყოველნი ესე სიტყუანი უფლისანი“ ო. გამოსლ. 24,4; „აღმოთქუნ გულმან ჩემმან სიტყუად კეთილი“ ფს. 44,2; „ზე უვის ძმ, სიტყუად იგი ჰეშმარიტებისად“ თე 551; „სიტყუადცა შენი გამოგაჩინებს შენ“ მთ. 26,73; „განეფინა სიტყუად ესე“ ლ. 7,17; „მიუგეს მათ სიტყუად“ G, რიცხ. 13,27; „განითქუა სიტყუად ესე ჰურიათა შორის“ მთ. 28,15.

განიხილავს რა ქართულ საისტორიო-სამწერლო ტერმინოლოგიას, იე. ჭავჭავაძის ადნიშნავს, რომ „ძველ ქართულში მას (სიტყუად-ს — კ. კ.) უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მას შემდგომში, დროთა განმავლობაში მიენიჭა. „სიტყუად“ ეწოდებოდა ლაპარაკს, თხრობას, გამოთქმულ აზრს, საუბარს. ხოლო იმას, რასაც ჩვენ ახლა სიტყვას ვუწოდებთ, მაშინ „ლექსი“ ეწოდებოდა, „ლექსი სიტყუად“ (ბ. ზარზმელი). წა ნინოზე შატბერდისეულ ცხოვრებაში ნათქვამია, „იწყო სიტყუად (ე. ი. ლაპარაკი) წმიდამან ნინო და იგინი წერდეს“-ო. ბ. ზარზმელი თავის თხზულებაში ამბობს: „იწყებს სიტყუად (ე. ი. მოთხრობა) დასაბამსა ცხორებისა“ სერაპიონისაო. იოანე საბანის ძეც აბო ტფილელის დღესასწაულზე ეკლესიაში მყოფ მლოცველებს ასე სთხოვდა, გულდასმით მოისმინეთ ჩემი ნალაპარაკევი, „რათა არა ცუდად დაგშურეთ — მე სიტყვთა (ე. ი. ლაპარაკით), ხოლო თქუენ სმენითა“-ო.

ამისდა გვარად „საზღვარი სიტყუად“ — მოთხრობის საზღვარს, „სიტყუათა სარბიელი“ — მოთხრობის ასპარეზს, „გზა სიტყულისა“ მოთხრობის გზას ან მიმართულებას ნიშნავდა. როდესაც ბასილი ზარზმელი ამბობს: „სხუად იცვალეების ლექსი სიტყუსა“, ამით უნდოდა ეთქვა, რომ ჩემი მოთხრობის სიტყვა ახლა შეიცვლება და სხვა საგანს შეეხებაო. ასევე როდესაც თამარ მეფის ისტორიკოსი აცხადებს, რა წამს თამარის დიდებულ საქმეთა აღწერამდე მოვიწიე, მაშინვე „უკმისა და უგინებისა მსგავსი ვიპოები უმეცრებითა ლექსთა მეტყუელებად“-ო, ეს ნიშნავს, რომ ჩემს თავს ისე ვგრძნობ, თითქოს უმეცრებით მხოლოდ სიტყვებს ვამბობდეთ“.

მაგრამ ეფრემ მცირის თხზულებათაგან ჩანს, რომ ტერმინს — „სიტყუად“ XI ს. უკვე ის მნიშვნელობაც მინიჭებული ჰქონია, როგორც ადრე იგი თანამედროვე საუბარსა და მწერლობაში ჩვეულებრივ იხმარება. მაგ. ეფრემ მცირე საწინასწარმეტყველო წიგნთა თარგმანს იწონებს და აქვებს, იქ „სიტყუად სიტყუა ნაცვალ შედარებულია ბერძნულისა“-ო ამ შემთხვევაში „სიტყუად“ იმნაირადვე უნდა გავიგოთ, როგორც ახლა გვესმის: იმდენად ზედმიწევნით არის ნათარგმნი, რომ დედნის თვითოეული ბერძნული სიტყვა არის ქართულად გარდმოცემული“ [ჭავჭავაძისეული, 1977, გვ. 34].

მკრეხ(ვ)ელი. უძველეს ქართულ ტექსტებში კრეხ- ფუძე დამოუკიდებლად არ მოგვეპოვება, თუმცა გვხვდება ზმნისწინიანი და ნაწარმოები ფორმები: განკრეხვა ძარცვა, მიტაცება, პარვა: „პოვნა ავაზაკნი, რომელნი განკრეხვიდეს სენაკსა მისსა“ მ. ცხ. 376 v; „მე ვარ, რომელმან განკრეხეს სენაკი შენი“ მ. ცხ. 66 v. „მსგავს ხარ შენ დაბასა განშენებულისა წინა კერძოდ, ხოლო უკუნაძეა ავაზაკთაგან განკრეხულსა“ მ. ცხ. 208 r.

მკრეხ(ვ)ელი-ი მპარავი, მძარცველი: „სამდღელოდ ქურქელი ეკლესიადთ გამოიპარა... გავედ, ეკლესიათა მკრეხველი!“ მ. ცხ. 177 r; „შკულნი ეკლესიათა მკრეხელთათჳს სიკუდილისა განაწესებენ“ მ. ცხ. 178 r.

სულხან-საბა ორბელიანი აკონკრეტებს: თუმცა კრეხა — ძარცვაა, მაგრამ მკრეხელი (მკრეხელი B) ეკლესიის საჭმართ მძარცველი ZA.

ეკლესიათ სახმართ წამპარველი B. მკრეხელი ეწოდების ეკლესიათა საჭმართა წარმპარველსა, გინა საფლავთა მდებარისა მკვდართა გა(ნ)-მძარცველისა (მჭურველისა Cb, გამძარცველთა D) CD.“

დ. ჩუბინაშვილიც აქცენტს ეკლესიის ქონების მძარცველზე აკეთებს: „მძარცველი ან ეკლესიის სახმართ მტაცებელი ან მპარავი“.

ქართული სამართლის წყაროებში ცალკე მუხლია შეტანილი მკრეხველობისთვის: „ეკლესია მკრეხველთათვის ესე განგიწესებია“-ო და შემდეგ მკრეხველობის ორნაირი შემთხვევა დასაბუღებული, — ეკლესიის გატეხა და ხატის გაძარცვა ერთის მხრით, მეორეს მხრით, ეკლესიითგან რაიმე ნივთის („საქონლის“) მოპარვა — და ორივესთვის ცალ-ცალკე სასჯელი დანიშნული“ [ჩავახიშვილი, 1982, გვ. 63-64].

ქეგლ-ში მკრეხელ-ის ორი მნიშვნელობაა მოყვანილი: ძვ. 1. საეკლესიო ნივთების მძარცველი; 2. სარწმუნოების შეურაცხყოფელი, — მწვალებელი. მცხეთაში მწვალებელნი და მკრეხელნი მომრავლდნენო (ქ. გამსახ.) შდრ. მკრეხელობა ძვ. სარწმუნოების შეურაცხყოფა, — მწვალებლობა. „ღმერთი არ გაგიწყრეს, გირშელ, არაგისთან წამოგცდეს, თორემ აჰას მკრეხელობად ჩამომართმევს კათალიკოსი“ (ქ. გამს.) ეკლესიის მამები... დიდ მკრეხელობად თვლიდნენ ღვთის გამოხატვას მშვენიერი ადამიანის სახით (გ. ქიქ.); მკრეხელურ-ი მკრეხელის დამახასიათებელი, — მწვალებლური.

როგორც ვხედავთ, მკრეხელი, მკრეხელობა ძირითადად საეკლესიო თემატიკასთანაა დაკავშირებული და მწვალებლობას მიემართება. მწვალებელი — ძვ. ეკლ. მწვალებლობის მიმდევარი, — ერეტიკოსი; მწვალებლობა ძვ. ეკლ. გაბატონებულ რელიგიურ დოგმათა საწინააღმდეგო მოქმედება.

მკრეხელი სინონიმთა ლექსიკონში მოყვანილია ისეთ სიტყვათა შორის, როგორიცაა: ავაზაკი, აბრაკი, ყაჩალი, ყაჩაღად გავარდნილი, ყაჩაღად გაჭრილი, ამკლები, მრბეველი, ამაწიოკებელი, ამომგდებელი, ამოხრებელი, ნაყაჩაღარი, თელი, მეკობრე, მეკობარი, ფირალი, კაცისმკვლელი, სულის

მტერი, მოძალადე, მძარცვავე-მტაცებელი, მოძალე, დამრბვეი, მოთარეშე, ძვირის მოქმედი, ბოროტმოქმედი, ბოროტმზრახველი, თავზე ხელაღებული, საციმბირე, სათოკე, თოკიდან გაქცეული; ხოლო მკრეხელობის სინონიმად მწვალეობა და დასახელებული.

რადგან მკრეხელის ძველი მნიშვნელობა საეკლესიო ქონების ქურდობაა, ჩვენი აზრით, მისი პირდაპირ მწვალეობასთან გაიგივება არ იქნებოდა სწორი. ქურდობა საეკლესიო მორალის მიხედვით არის ცოდვა — დანაშაულის ჩადენა ღვთის წინაშე; აქედან გამომდინარე — ცოდვილი — ვისაც ცოდვა აქვს, ვინც შესცოდა, ცოდვის ჩამდენი, — ცოდვიანი (ქველ).

თუ ამ გზას გავითვალისწინებთ, მკრეხელი (ქურდი) → ცოდვილი, მაშინ გასაგებია თუ რად შეიცვალა ამ სიტყვამ მნიშვნელობა და როგორ იქცა იგი მწვალეობის სინონიმად. ამ პროცესს ხელი შეუწყო ენაში ზმნის კრეხავს საერთოდ იშვიათად გამოყენებამ და შემდეგ გამოსვლამ სამეტყველო ურთიერთობიდან.

მრემლი || მრევლი. მრევლი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც: „მოსახლეობა, რომელსაც საეკლესიო მომსახურებას უწევს ერთი განსაზღვრული ეკლესია, — სამწყსო. მღვდელი მოვიდა მრევლითურთ (ვაჟა). ამ ეკლესიის მრევლს ბევრი გადმოცემა შეენახა (ე. ნინოშ.).

ილ. აბულაძის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებული არ არის.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „მრევლი მოურნე სულიერი მოურნე B. მრემლი, ესე არს მასწავლებელი, გინა მოურნე C.

სამრევლო საბას მიხედვით არის სამწყსო.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ „მრემლ-ის „მწყემსად“ გაგება ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უმართებულო ჩანს: „მრემლი“, ახ. ქართ. მრევლ-ი, „სამწყსოს“ ნიშნავს და არა მწყემსს“ (როგორც მღვდელი, ისეთი — მრევლი!“).

მრემლ-ი და მრევლ-ი რომ ერთი და იგივეა, უკვე საბას აქვს აღნიშნული: მისთვის ამოსავალია ვ-იანი ვარიანტი — მრევლ-ი: განმარტებას ამ სიტყვასთან იძლევა, მრემლ-თან კი მიუთითებს „იგივეაო“ (იხ. საბას ლექსიკონში: მრევლი, მრემლი).

... საბასთვის მრევლ-ი || მრემლ-ი „სამწყსოს“ კი არ ნიშნავს, არამედ „მწყემსს“.

ნ. მარს აქვს ნაჩვენები, რომ მრევლ-ი ← მრემლ- (ვ←მ). მასვე აქვს მითითება, რომ მ-რემლ-ი ნაწარმოებია მ-პრეფიქსითა და -ლ სუფიქსით რემა-საგან „ჴოგი“ (სპარ. იხ. Тек. и разыск. VII, შესავალი LXVIII).

საბასთან რემა ახსნილია, როგორც „უმწყსი ცხენი“ (იხ. ცხენი), „უბელი ცხენი (იხ. რემა).

ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს, თითქოს, ჯოგის გაგებით:

... ამილახვარო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია...

მეგრულში ეგვე სიტყვა შემხვედრია უფრო ზოგადი მნიშვნელობით. „საქონელი“. სიტყვა ძველთაგანვე ჩანს, შეთვისებული.

... მ-რემ-ლ-ი — „რემის მომვლელი ადამიანი“, „რემის მწყემსი“, შემდეგ, საერთოდ, მწყემსი [ჩიქობავა. 1942, გვ. 157; შდრ. ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 365].

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მრემლი სწორედ მწყემსის მნიშვნელობითაა გამოყენებული: „და მათ თანა შემოკრბეს ყოველნი იგი მეუდაბნოენი მამანი: და... ნეტარი დედაჲ ფებრონია მოვიდა კრებათა მას... და ყოველნი მრემლნი ანჩისანი მათ თანა და წინაშე ეპისკოპოსთა მათ: წარმოუთხრეს ცქირისა სამართალი“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მრევლის სხვა ეტიმოლოგიაც რომლის მიხედვითაც ეს ფუძე სიარულის აღმნიშვნელ ზმნას უკავშირდება „ტანჯვის მნიშვნელობით კი ის მხოლოდ გადატანით იხმარება განსაზღვრულ კონტექსტში.

მრევლ ფუძის არ ზმნურ ძირთან დაკავშირებისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს ამ ზმნის თავკიდურა ხმოვანი (იგულისხმება ა- ხმოვანი არ ფუძისა — კ. კ.), რომელიც ძირეულია, მაგრამ აფიქსის დართვისას მისი დაკარგვა სავსებით შესაძლებელია. მაგალითად, დასავლურ კილოებში (იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში) ეპიდემიურ დაავადებათა საერთო სახელად ცნობილია ჩამომრები (დლონტი, 1984). ეს არის სწორედ არ ძირიდან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღობა, სადაც თავკიდური ა ხმოვანი დაკარგულია: ჩამო-მ-რ-ებ-ი. იმავე კილოებში გვხვდება ზმნის საწყისი მორება — „მოვლა“ (იქვე).

... რება ზმნიდან მ-ლ (< მ-რ) აფიქსებით ნაწარმოებია *მ-რებ-ლ > მ-რემ-ლ // მ-რევ-ლ (შდრ. მ-კვირცხლ, მ-თხრებ-ლ...)

შეიძლება დავუშვათ, რომ რ (< არ) ძირი გაფორმდა სვადასხვა სუფიქსით (თემის ნიშნით) და ამ გზით მოხდა მათი სემანტიკური დიფერენციაცია (რ-ებ-ა, რ-ევ-ა, რ-ომ-ა). ისიც შესაძლებელია, რომ ბაგისმიერ თანხმოვანთა (ბ, მ, ვ) მონაცვლეობა წმინდა ფონეტიკური ხასიათისა იყოს“ [ჭუმბურიძე, 2002, გვ. 105-106].

მწირო. ძველი ქართული ენის ლექსიკონში მწირო ასეა განმარტებული: „ვედრი“, „მოქცეული“, „დამონებული“, უცხო, მოსული, გერი, ყარიბი, შორიელი ქვეყნისა, „შემყოფი“, „მდგური“, „მსხემი“.

სულხან-საბას განმარტებით მწირო ესე არს უცხო ვინმე უცხოთა ადგილთა იყოფებოდეს და გამოიზ(ა)რდებოდეს, გინა სულსა ზრდიდეს და წმიდათა ადგილსა მოილოცევდეს (24,18 ლუკა). ძველ ქართულში მწიროს სინონიმია მსხემი.

იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ ამ სიტყვის ისტორიას, გავეცნოთ მონასტერთა პირად შემადგენლობას. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს მონასტრის ძმობა სამ „დასად“ იყოფოდა. „პირველისა დასისა“ წევრებად მონასტრის მამასახლისი, ანუ წინამძღვარი, იკონომოსი და ღეკანოზი ითვლებოდნენ და ამათ გარდა აგრეთვე ბერები, რომელნიც „თავადთა ძმათა“, ან „უთავადესთა ძმათა“ სახელით იყვნენ ცნობილნი და დანარჩენებისაგან განირჩეოდნენ, რომელთაც მღვდლობის გარდა რამე თანამდებობაც ჰქონდათ, როგორც მაგ. „რომელნითაცა მკითხველკანანახობაცა შეეძლოს მემკრეთა-ვე თანა“. ამავე „უთავადესთა ძმათა“ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ მაშინ აგრეთვე „მეჭურჭლესა“, „მეტრაპეჯესა“, „კანდელაკსა“ და „იპოტირიტიისა“. ამ გამონათქვამიდგან ცხადი ზღედა, ბერმონაზონთა „პირველ დასს“ მონასტრის თანამდებობის პირნი შეადგენდნენ, რომელნიც აპელირსუფალთა“ სახელით იყვნენ ცნობილნი.

მეორე დასს მღვდლობის პატივის მქონებელი ბერები შეადგენდნენ. წესდებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „მეორისა დასისათა, რომელთაცა წირვისა მეტი სხვა სავმრობაჲ არაჲ შეეძლოს“, ან კიდევ „მეორისა დასისათა, რომელთა წირვისა მეტი არაჲ შეეძლოს“. ამ გარემოების გამო მეორე დასი, ანუ ძმათა ჯგუფი ცნობილი ყოფილა „დასი მღვდელთაჲ“-ს სახელითაც. მათი რიცხვი მონასტრის წესდებაში განსაზღვრულია, რომ ამ „მეორე დასის“ რაოდენობა „რიცხვი ლა (31) უნდა ყოფილიყო, რომელთაგან აქ (24) მღვდელნი და ზ(7) დიაკონნი“ უნდა ყოფილიყვნენ.

ბერთა მესამე ჯგუფს „მწირნი“ შეადგენდნენ. წესდებაში გარკვევით არის ნათქვამი: ძმათა „მესამე დასისათა, ესე იგი არს მწირთა“-ო (ვაჰანის ძეგლი 34). ისინიც მონაზონები იყვნენ და არა მოწაფენი. ეს ვაჰანის მონასტრის წესდებაში მკაფიოდ არის გამოთქმული: „მწირად წოდებულნი იგი, რომელ არიან მონაზონნი“-ო (იქვე 32). ამ სავანის დაარსებისას მათი რიცხვი 20-ად ყოფილა განსაზღვრული. ამავე აზრის სისწორეს შიო მღვიმის მონასტრის მე-XVIII ს. დამდეგის საბუთის ცნობა ამტკიცებს, რომელშიაც ქართლის კათალიკოზად და მწიგნობართუხუცესად ნამყოფი არსენი თავის თავზე ამბობს, რომ ის შიომღვიმეს მონასტერში „მწირობად შემოსრული“ იყო. მაშასადამე, თვით ისეთი პირიც კი, როგორც კათალიკოზი იყო, როცა მონასტერში ისე დამკვიდრდებოდა, რომ მას არავითარი თანამდებობა იქ არ ჰქონდა და მარტო მონაზვნურ მოღვაწეობას მისდევდა, თავის თავს „მწირ“-ად სთვლიდა და უეჭველია სწვებაც მწირად მიაჩნდათ“ [ჯავახიშვილი, 1988, 41-42].

განვიხილოთ ის მნიშვნელობები, რომლებიც ძველი ქართული ენის ლექსიკონშია მოყვანილი მწირის განსამარტავად.

ვედრ-ი თხოვნა; „ვედრი“: აქ ვედრი მოვედრეს, მევედრებელს ნიშნავს.

მოქცეული: მობრუნებული, გადმოსული.

გერ-ი: ნაგერალი, თავისით მოსული; 2. გერი.
ყარიბ-ი: [არაბ. ღარიბ „უცხო“] 1. ძვ. უცხოობაში მყოფი, ვადა-
ვეწილი; უთვისტომო. 2. გადატ. უპატრონო, საცოდავი, საწყალი,
ღარიბი.

მღგურ-ი: „მწირი“, დამღგომი, მგზავრი მოსასვენებლად.
მსხემი: „შინ მყოფი“, „მწირი“, „მოსრული“, „დამონებული“,
„დამკვლრებული“, უცხო, ყარიბი.

აკ. შანიძე განიხილავს რა სასტუმრო-მ ფორმას, აღნიშნავს, რომ ამ-
ვე მნიშვნელობით... ნახმარია „სამწირომ“ და ბერძნ. „ქსენადოში“, რო-
მელიც ახსნილია „უცხო სადგურად“: სასტუმროს გამგეს ერქვა მემწირე.
სამწირომ: აღიშენოს უკუე სამწირომსა მის თანა ბორცუსა ზედა კოშკი
ერთი 29,4; და გლეხი ერთი გაუთავისუფლონ, რადთა ოდენ სამწიროსა
ჰმსახურობდეს შეშისა მოღებითა და წყლისადათა და სხუად რადცა უკმდეს
სამსახურებელი 29,1. მემწირე: და კაცი ერთი სარწმუნომ მემწირედ
მონაზონთაგანი, რომლისა ჰელითა განეყოფოდის დაწესებული ესე საზ-
რდელი გლახაკთა და მოგზაურთა 29,1“ [შანიძე, 1985, გვ. 194].

ქართულ სინონიმთა ლექსიკონში მწირის სინონიმებად გვაქვს: 1. გან-
დევნილი; 2. გამხდარი, 3. მსხემი, ყასი, მოძლოცავი, 4. უნაყოფო, გახრიო-
კებული, ხრიოკი, 5. უნათესაო.

ქეგლ-ში მწირო¹ (მწირისა) 1. უცხოეთიდან გადმონვეწილი, — უთ-
ვისტიომო, უნათესავო. 2. უზარისხო მონაზონი, — მორჩილი.

მწირო² (მწირისა) უნაყოფო, მოუსავლიანი.
მწირო შეიძლება მწირავი, მწირველი ფორმების შეკვეცილი ვარიანტი
იყოს — მწირი, ვინც წირავს (იხ. ზემოთ ივ. ჭავახ.).

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ, როგორც უკვე გვქონდა საუბარი, იგი
წარმოადგენს სამონასტრო ძმობის იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხ-
ურზე მდგომ მონაზონს (მესამე დასი). თუ გავითვალისწინებთ, რომ მონ-
აზონი არის სასულიერო პირი, რომელსაც ასკეტური ცხოვრების აღთქმა
აქვს დადებული, რომელმაც უარი თქვა საერო ცხოვრებაზე, ნათესაებზე,
ქონებაზე და ა. შ. მოწყდა თავის სამშობლოს (საცხოვრისს) და თავი
მონასტერს შეაფარა, მაშინ გასაგებია, რომ იყოს სინონიმი ვედრის, მოქ-
ცეულის, ყარიბის (ღარიბის) მღგური, მსხემი და ა. შ. ფორმებისა.

სწორედ ამ მნიშვნელობების შეთვისების შემდეგ დაკარგა მან სასუბი-
ექტო მიმღეობის გაგება და იქცა სიღარიბის, უთვისტომობის, უნაყოფო-
ბის, სიმცირის (სიმკვლევის) აღმნიშვნელ ფორმად (მღრ. მწირი მოსავალი,
მწირი შიწა, მწირი ქონება, მწირი ბიუჯეტი და სხვ.).

საზღვარი. ქეგლ: ზღვარი (ზღვარისა) 1. საზღვარი, მიჯნა. || გადატ.
ის. რაც აშორებს, ყოფს, ასწავებს ერთმანეთისაგან ორ რასამე ან ვისმე...
2. რასამე უმაღლესი, უკიდურესი ღონე, საფეხური, ხარისხი, ძალა, შეს-
აძლებლობა... 3. მათემ. ის მუდმივი სიდიდე, რომელსაც უსაზღვროდ

უახლოვდება სავალდებულო სიდიდე (როცა სხვაობა მათ შორის მუდმივ რჩება ნაკლები რაგინდარა მცირე დადებით რიცხვებზე).

ზღვარის მნიშვნელობა (1) ემთხვევა მის ძველქართული სიყუარულ მნიშვნელობას ზღვარი-ი „საზღვარი“: „იუდა დგეს ზღვრად მათად სამზრეთ კერძო“ G — „იუდა დადგეს საზღვრად მათა ზღუარით კერძო“ M, „ზღვარსა გარდაჰქდა ბოროტად“ A-92,320.

როგორც ვხედავთ, ზღვარი იგივე საზღვარია. ეს ორი სიტყვა ერთმანეთის პარალელურად გვხვდება ქართულში.

საბას განმარტებით „საზღვარი არს სიტყვა მოკლე საცნაურმყოფელი საქმისა წინამდებარისა არსებობისა, მსწრაფლ გარეშემცველი ძალსა გულისხმისყოფისასა, ხოლო საზღვარი განსამძღვრებასაცა და(ჰ)ნიშნავს და საზღვრის დადებასა და დასასრულისა, ვითარ-იგი საზღვრად სახ(ე)ლისა ითქმის დასასრული მისი და რიცხვი, რომელ(ი) საზღვარ ყოს ვინმე. ZABCDE “ (საბა).

დ. ჩუბინაშვილთან საზღვარი არის „სამზღვარი, სამანი, სინორი, მიჯნა“.

ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ განიხილავს რა წერილობითი საბუთების კანონიერ ფორმებს, აღნიშნავს, რომ „ყოველი უძრავი ნაქონების განთვისების დროს უნდა საბუთში ამ ნაქონების ზომა, ან ნიშანდობლივი საზღვრები ანუ მდებარეობა ყოფილიყო აღნიშნული. ნიშანდობლივ საზღვრებს, როგორც ეტყობა, „ნიშნითი ზღვარნი“ ჰქმნიან: ოპიზართა 1060-1065 წ. სიგელში ნათქვამია: „ზღვარნი ამათნი, ვითა ამათ პირველთა მეფეთა ნაწერთა სიგელთა შიგან უწერიან ნიშნით ზღვარნი — სამზრით სამწყურისა წყალი, ვითა შავშეთისა წყალსა ჩაერთვის, და ტიხარის კლდე და ქედ-ქედ ვითა წავალს, — დასავლით ექუანთა ქედი და ჩრდილოით დიდუბის ხერთვისი და საქათმის კარი, ვითა ქედ-ქედი წავალს, დიდი ქედი ერთკარი — ესე ზღვარნი მტკიცე არიან მიჯნამორეულთა ზედა“-ო (სქს სძვლნი II, გვ. 3-4).

ხშირად, საზღვრების ასეთი ნიშანდობლივი ჩამოთვლის მაგიერ, საბუთში იწერებოდა ხოლმე „მისითა სამართლიანითა ზღვრითა“-ო. მაგრამ უძრავ საკუთრებას მაინც უეჭველად თავისი საზღვარი უნდა ჰქონოდა შემოვლებული. გიორგი ჩორჩანელმა სერაპიონსა და მის თანამგზავრებს ზარზმის მონასტრის ასაგებად მიწები რომ დაუთმო, მაშინვე თავის ხელქვეითს უთხრა: „გზაჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიღრე მწუხრამდე შემოწერით შემოავლონ, მომიცემიეს მათდა, ვინათგან ადგილსა ამას წადიერ არიან“-ო (ცე სრპნ ზრზმლსე 15). თვით სერაპიონის თანამგზავრსაც აღნიშნული აქვს: „ჩუენ გუენება, რამეთუ გარეშეწერით შემოვლით სიმგრგულე მათ ადგილთა“-ო (სქს სძვლნი II, გვ. 16).

ტერიტორიის სივრცის გარკვეული რაოდენობის შემომფარვლელ ხაზს, რომელსაც ეხლა და უკვე კარგა ხანია „საზღვარი“ ეწოდება,

ძველად „ზღუარი“ ერქვა. „საზღვარი“ იმთავითვე „ზღვარი“-ს თანავეობით არსებობდა, მაგრამ მაშინ თვითოვეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. დაბადებებიდან ჩანს, რომ უკვე ებრაელთა სამართლის კანონების თანახმად სამკვდრებელს, ვითარცა კერძო საკუთრებას, უნდა თავისი საზღვარი ჰქონოდა, რომელიც „დამტკიცებული“; ე. ი. ჩაყრილი უნდა ყოფილიყო. მათი გადადგმა, „გარდაცვალება“ არ შეიძლებოდა. ეს უკვე მეორე შჯულთა 19₁₄-შია აკრძალული: „ნუ გარდაცვალებ საზღვართა მოყუასისა შენისა, რომელ დაამტკიცეს მამათა სამკვდრებელსა შენსა ქუეყანასა ზედა, რომელსა დაგამკვდროს შენ ღმერთმან შენმან“-ო. (ჯავახიშვილი, 1984, გვ. 305-306).

ადარებს რა ერთმანეთს ბერძნულ, ლათინურ და სომხურ თარგმანებს, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „ყველა ეს სიტყვები ზღვარსა ნიშნავდა. ქართული „საზღვარი“ კი თავისი თავდაპირველი ძირითადი მნიშვნელობით მხოლოდ იმ ნიშნის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც „ზღვრის“ ზაზის საჩვენებლად და დასამტკიცებლად იყო ხოლომე განკუთვნილი (საზღვარი). ამგვარად, „საზღვარი“ თავდაპირველად სამიჯნო ნიშნის სახელი უნდა ყოფილიყო.

... არსებითად ქართული მთარგმნელი სწორედ მოქცეულა, რომ ამ ადგილას „საზღვარი“ უხმარია, რადგან თვით დაბადების ზემომოყვანილ დებულებაში სწორედ „ზღვრის“ აღმნიშვნელ ნიშანზე არის საუბარი“ (ჯავახიშვილი, 1984, გვ. 306).

სამხარი. სამხრის „შუადლის საკმელი“-ს ეტიმოლოგიას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა არნ. ჩიქობავამ. იგი მიუთითებს, რომ „ძველს ქართულში სამხარი დასტურდება შუადლის მნიშვნელობით, სამხრობა — შუადლის საკმლის („სადილის“) გაგებით.

ოშკ 56v დაბად. 43₁₆: იოსებ... ჰრქუა ეზოას მოძღუარსა მას თუსსა: შეიყვანენ კაცნი ესე სახიდ და დაკალთ საკვლები და მზა ყავთ რა ჰამონ პური. ჩემთანა კაცთა მაგათ სამხრის.

შღრ. იგივე ადგილი ნაბეჭდ ტექსტში: ხ იოსებ იხილნა რა იგინი... ჰრქუა ეზოს მოძღუარსა თუსსა შეიყვანენ კაცნი ესე სახლად და დაკლენ საკვლეღნი და მომზადენ რა, ჩემთანა ჰამდენ კაცნი ესე პურსა შუადლისით... დაბად. შექმნ.

სამხარი = შუადლე
ნაბეჭდი დაბადება, შექმნ. 43₁₆: ხ მათ მომზადენს ძღუენი (?) ვ ე მისლვადმდე იოსებისა სამხრად რ ესმა ვ დ მუნ ეგულები სამხრობა...

შღრ. ოშკ. 57r (იგივე ადგილი): ხ მათ მომზადენს ძღუენი მოსლვად იოსებისა სამხრად რ ესმა ვ დ ისადილებს მუნ...

სამხრობა = სადილობა (არა ეტიმოლოგიური გაგებით) = შუადლია საკმელი.

სამხარი = შუაღლე; მერე: შუაღლის საკმელი (შდრ.: ვახშამი თურქ. „სალამო“ და მერე: „სალამოს საკმელი“); იმავე მნიშვნელობის სამხრობა, შდრ. ვახშამობა...

სამხარ-ის ეტიმოლოგიას რომ ვარკვევთ, ძალაუნებურად გვაგონდება მხარე, მით უმეტეს, რომ სამხარ-ი ქვეყნის მხარეა. ნამდვილად კი მხარე აქ არაფერ შუაშია: ძვ. ქართ. მვარე მვარ-ის ვარიანტი ჩანს და კ-ით იწერება; სამხარ-ში კი ხ გვაქვს.

სამხარ- ნაწარმოები ფუძეა; მასში გამოიყოფა სა- თავსართი და -არ ბოლოსართი. გერჩება მხ-. ძველი ქართულიდან ვიცით, რომ სამხარი შუაღლედაა გაგებული; ასეთ პირობებში ბუნებრივად გვაგონდება ყაბარ-დოული (ზემო-ადიღეური) მახო: „ღლე“, მახო-იგი „ღლისით“. ანუა ლ. ლოპატინსკის მიხედვით, სინამდვილეში კი უნდა გვქონდეს: მა'ხუა...

მა'ხუა-ს პირვანდელი მნიშვნელობა „მზე“ უნდა ყოფილიყო: „მზე“ → „ღლე“. მათი მონაცვლეობა ბუნებრივია; ეს რომ განყენებული შესაძლებლობა არაა, ამას მოწმობს: ხუნძური ბა-ყო — „მზე“ — ყო „ღლე“...

ქართული დ-ღ-ე, ზან დ-ღ-ალ → დ-ღ-ა, სვან. ლა-ღ-ელ -- ყაბარდ. დგ-ღა „მზე“: ძველი მნიშვნელობა დღლა-ს უნდა ჰქონდეს შერჩენილი: მზე — ღლე.

აფხაზური ამგუ „ღლე“ და სვანური „მიჟ“ „მზე“, ქართ. მზე ერთი და იგივე ფუძე ჩანს მნიშვნელობის შემდგომი დიფერენციაციით.

ამავე თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არაა ოთხთავის ერთი ადგილი, სადაც ზოგი ტექსტი „მზე“-ს იძლევა, ზოგაც „ღლეს“:

ჰადიშ: და აძულეს მას და ჰქუ[ეს] ჩნთანა იყავ რ მწუხრ და მიდრეკილ არს მზე... ლკ. 24^ჟ. შდრ. ჭრუჭ-პარხლის ტექსტი: ... იგინი აიძულებდეს მას და იტყოდეს: დაადგერ ჩუენ თანა რ მწუხრ არს და მოდრეკილ არს დღ... ლკ. 24^ჟ [ჩიქობავა, 1953, გვ. 65-71].

არნ. ჩიქობავას მოჰყავს შესაბამისი მაგალითები ძვ. სომხურიდან, ბერძნ. ლათ., ძვ. სლავურიდან და მიუთითებს, რომ „რეალური ვითარება აქ ყველგან მზეს გვაგულისხმებს: გადაიხარა მზე (და არა „ღლე“).

ამრიგად: სამხარ- ფუძეში მა'ხუა („ღლე“ ← „მზე“) არის ამოსავალი და სამზვევ-ს ნიშნავს; ამ მხრივ: სამხარ და სვან. ლა-მგჟ „სამზე“ ერთი კალკისაა“.

ამ ეტიმოლოგიაზე დაყრდნობით, შეიძლება დავადგინოთ სამხრის მნიშვნელობათა ცვლილება — სამზეო → შუაღლე → საშუაღლო ჰამა (საკმელი). სიტყვის მნიშვნელობის ცენტრი გადადის დროის აღნიშვნაზე, სამხარი, ე. ი. დრო, როცა მზე ძალაშია.

სადილი. დილა სიტყვის მნიშვნელობას საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ქ. ლომთათიძემ.

ავტორი მიუთითებს, რომ „ერთ შემთხვევაში ეს სიტყვა დასტურდება დილ-სახეობითაც. ნურადინ-ფრიდონის ქადილში, რომელიც მის ბიძა-ძეთადმა მიმართული, ვკითხულობთ:

„აწ იგი იქმნას, რაცალა ენებოს ღმრთისა წადილსა!

ვექვ, ჩემი სისხლი არ შეპრჩეს, ძალი შემწვედეს ქადილსა!

ოხრად გავუხდი ყოფასა მათ სალამოსა და დილსა,

ეუხმობ ყვაეთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქნევ ხადილსა!“ (608).

რუსთაველს ახასიათებს სიტყვის თავისებურად „მიმოქცევა“, ახალ-წარმოებათა შექმნა (თუმცა მაინც ენაში არსებული გარკვეული ყალიბის მიხედვით), მაგრამ დილ-სახეობა დილა სიტყვისა ზემოხსენებული რიგის მოვლენა არ უნდა იყოს და მას საერთოდაც უნდა ჰქონოდა ენაში საფუძველი.

ამას გვაფიქრებინებს სადილ-სიტყვა, რომელიც დაკავშირებულია სწორედ დილ-სიტყვასთან. თავისი შინაარსით სადილ-ი რომ არ დილა სახეობიდან, არამედ დილ-სახეობიდან უნდა იყოს ნაწარმოები (და, მაშასადამე, ასეთი სახეობა უნდა არსებულიყო კიდევც), ამას სარწმუნოს ხდის თვით სა-თავსართიანი წარმოების ბუნება ქართულში.

ა-ზე დაბოლოებულ სახელის ფუძეს (დილა-ს მსგავსს) სა-პრეფიქსის დართვისას რომ უსუფიქსო ან ფუძისეული ა- მოკვეცილი ფორმები მოეცა, ასეთი შემთხვევა თითქოს არა ჩანს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგ ახალსა და მეტად ხელოვნურ წარმოებას).

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ სა-დილ სიტყვისათვის დილა (ე. ი. ა- ხმოვნისანი ფუძე) კი არ იქნა გამოყენებული, არამედ — დილ- ფუძე (თანხმოვანზე დამთავრებული).

... ივ. ჭავჭავაძის ქართ. დილა მიაჩნია მნათობის — ცისკრის ვარსკვლავის — სახელად, რომლის ანალოგს აფროდიტეს მნიშვნელობით პოულობს ბაბილონურში დილ-ბატ-ის სახით და მასვე უკავშირებს ქართული ხალხური სიმღერების შეძახილს „ო, დილა!“-ს, რომელიც „ვედრების შეძახილის“ შთაბეჭდილებას ახდენს.

შემერულში ცისკრის ვარსკვლავის — აფროდიტეს სახელწოდებაში დილ-ის არსებობის დადასტურება ქართულში დილ- (დილა)-სთან და სათანადო შეძახილების არსებობასთან დაკავშირებით უთუოდ საგულისხმოა. მათი უდაო იგივეობის მტკიცება მომავლის საქმეა.

როგორც შესაძლებლობას, ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ იგივე დილ- ფუძე გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით შეიძლება დღე სიტყვასაც დაკავშირებოდა.

დღე ფუძის გამართილება, კერძოდ, დღ კომპლექსში ღ-ს დაკარგვა. როგორც ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან, სისტემატურ ხასიათს ატარებს, მაგ. მარადის, სამარადისო (← მარადლის, სამარადლისო), -მღე

(-მღის) თანდებული მი-დღე... მეგრულშია: დამოჩილი ← დღა-მორჩილი და სხვ.

ამრიგად, დილ- ფუძისათვის ამოსავალ სახეობად შეუძლებელი არაა ყოფილიყო დილი, ოღონდ გასარკვევი დარჩებოდა ილ- აქ ახალ საწარმოებელ სუფიქსს წარმოადგენს, თუ ამოსავლად სავარაუდო დღელ ფუძის ვარიანტია.

რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, დილ-ისა და დღის სემანტიკურად დაკავშირება რომ შეუძლებელი არ არის, ამის ილუსტრაციას ისევ სადილ-სიტყვა გვაწოდის. სადილი „დილის საკმელია“, მაგრამ მას ჰამენ არა „დილით“, არამედ დღისით. „სამხარ“ სიტყვის განმარტებისას, მაგალითად, საბა წერს: „შუადღე ჰამადი არს სამხარი... უყეთუ სამხარი არა შუადღე მიილო და უღარესად ჰამო მესამე ანუ მეორე ჟამსა, უწოდენ სადილსა და არა სამხარსა; დილაზე მცირესა საკმელსა ეწოდების საუზმე“.

აქედან აშკარაა, სადილი არის არა „დილაზე“ (დღევანდელი გაგებით) საკმელი, არამედ დღისა (სამხარამდე). ნ. ჩუბინაშვილის მიხედვითაც სადილი არის „შუადღის სანოვაგე“.

როგორი წარმომავლობისაც არ უნდა იყოს დილა სიტყვა, უდაო ხდება, რომ ქართულში გვქონია მისი ორი ვარიანტი დილ-ი || დილა. მისი ეტიმოლოგია-წარმომავლობა საძიებო რჩება.

დილა ფორმის ი-ს შესახებ სხვადასხვა ვარაუდი შეიძლება არსებობდეს.

საფიქრებელია დილ-ი || დილა ისეთსავე წყვილს ქმნიდეს, როგორსაც ცილ-ი || ცილა, ძალი-ი || ძალა და მისთანანი“.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ტაეპს, „აქ ნახსენებია „სალამო“ და მისი „საპირისპირო“ „დილი“, მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ სალამო და დილი ჩვეულებრივი მნიშვნელობით არ იგულისხმება. შეუსაბამო იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ნურადინ-ფრიდონი იმუქრებოდეს „მათ ოხრად გავუზღი ყოფას“ „სალამოსა და დილასო“. აქ სწორედ ივარაუდება „ოხრად გავუზღი მათ ყოფას“ „ლამეც და დღეც“, „დღისითაც და ღამითაც“, დღე და ღამე“, ე. ი. ნიადაგ, მუდამ [ლომთათიძე, 1966, გვ. 35].

საყდარი. საყდარი ძველ ქართულში სკამს, დასაჯდომს, ტახტს ნიშნავს: „დაჯდა საყდართა ზედა“ საქ. მოც. 12, 21; „დაჯდა მეფე იგი საყდართა თვისთა“ ფლკტ. 158,2; „მოაქუნდა ტახტი ოქრომსა... და დადგის საყდარი მას ზედა“ H-341, 388; „მიჩუნა მე საყდარი, დაგებული სამოსლითა სპეტაკითა“ H-341, 466; „საყდარი არს ღმრთისაჲ“ მთ. 5, 34; „დაჯდა საყდარსა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ერქუმის ქვაფენილ“ C, ი. 19, 13; „დაიდგას საყდარი სასჯელისაჲ საშინელი“ მ. სწ. 92, 12. (ილ. აბულ.)

არნ. ჩიქობავა ამ სიტყვის შესახებ წერს: „საბას განმარტებით: „საყდარი-ტახტი, საყუდელ-სამყოფი“. საწარმოებელი ფუძე ორივეში ერთი და იგივე უნდა იყოს: ყუდ-; ხა-ყდ-არ-ში იგი შეკუმშულია: სა-ყუდ-არ → სა-ყდ-არ; სა-ყუდ-ელ-ში შეუკუმშავადაა დაცული (მდ. ძალ.. ძალ-ი-ან — ძლ-ი-ერ-)...

ყუდ- ფუძე მეგრულშიცა გვაქვს — ხუდ-ე — და „სახლს“ ნიშნავს: სემასიოლოგიურად სა-ყუდ-ელ-ს. ამ ფუძემ გამოდევნა მეგრული მეტყველებიდან ო-ხ-ორ. შდრ. სოფლის სახელი: ქვა-ყუდე საჭავახოს მახლობლად.

ქართულთან შეპირისპირება არკვევს, რომ მეგრ. ხუდ-ე ← ხუდ-ელ- [ჩიქობავა, 1942, გვ. 84-85].

საყდართან (ტახტი) დაკავშირებით უნდა მოვიყვანოთ ტერმინები საყდრის მოდგამი — თანამოსაყდრე: „ლიყვანა ღმერთმან კაცი, მეუფე იგი საყდრის-მოდგამ ყო იგი მის თანა“ მ. სწ. 218,4; თანა-მოსაყდრე — „მოადგილე: „თანა-მოსაყდრე ჩვენდა იყო“ თვედ. 559.

ამ სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საინტერესოა ივ. ჭავჭავიძის მსჯელობა ეკლესიის მსახურთა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ: „ეპისკოპოზნი იყვნენ „პატივისა მღვდელმთავრობისასა“ (რ. ე. ძე გლისწერა § ა, ქბი, II 62) და ამის გამო მას მღვდლები და ეკლესიის ყველა მსახურნი ხელქვეით ჰყავდა. ამას გარდა იგი იყო სულიერ „მთავრად ერისა“ (არქიპიერატყონი, რ^აკვ). მას ჰქონდა „სული ჳელმწიფებისა“-მ და შეეძლო როგორც გაჰსნამ ყოვლისა კრებულისამ“ (იქვე, რ^აკვ), ისევე დაკრულვა.

ეპისკოპოზი თვით „სწავლებითა და მეცნიერებითა“ განმტკიცებულ იქვე) „მწყემსი“ იყო ერისა (იქვე, რ^ალბ) და მუდამ ითვლებოდა ჳზრუნველად და „მლოცველად ერისა“ და „მცველად სარწმუნოებისა“ (იქვე)...

ამიტომ მხოლოდ ის ითვლებოდა საეპისკოპოზო მიტრის ღირსად, ვისაც „ჰასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამებად და კეთილად განწყურთნეს ჳორცი დამორჩილებად სულისა“.

ეპისკოპოზს ჰქონდა საეპისკოპოზო ტახტი, „საყდარი“ (ც^მ სრ^აჰნ ჳრ^აშ^ალს 41, — სხვაგანაც ბევრგან), რომელსაც იგი „იპურობდა“ ხოლმე რა წამს ეპისკოპოსად გახდებოდა (იქვე), და ჰყავდა თავისი „სამრემლომ“. ამის გამო გარკვეულ ხანამდი „საყდარი“ საეპისკოპოზო ეკლესიასაც ჰნიშნავდა და მარტო შემდეგში ამ ტერმინს საერთოდ ეკლესიის მნიშვნელობა მიენიჭა“ [ჭავჭავიძე, 1984, გვ. 16].

საყდარი სინონიმთა იმ რიგში დგას, რომელსაც შემდეგი სიტყვები შეადგენენ: ტაძარი, ეკლესია, სიონი, სამლოცველო, ბაზილიკა, ეკუტერი, აკანო (სასახლის ეკლესია), კარის ეკლესია, მონასტერი. გასაგები მიზეზების გამო ამ ლექსემათა შორის მხოლოდ ერთია ქართული. განსაკუთრებული დანიშნულების მათ შორის არის მონასტერი — ბერ-მონაზონთა

საეკლესიო-საადგილ-მამულო ორგანიზაცია, თემი, რომელსაც აქვს თავისი მუქრნობა. || ასეთი რელიგიური თემის ეკლესია და საცხოვრებელი ნაგებობანი (ქეგლ). სხვა საკულტო ნაგებობანი ამ კონკრეტისაგან დაცილია. ვთქვათ ტაძარი — საგანგებო შენობა ღვთისმსახურებისათვის, საერთო სამლოცველო, — ეკლესია. ეკლესია — საგანგებო შენობა, სადაც იმართება მღვდელმსახურება (წირვა-ლოცვა), — საერთო სამლოცველო, საყდარი, ტაძარი. ამ სინონიმთა შორის ნამდვილად იყო თავისუფალი ადგილი განსაკუთრებული ფუნქციის ტაძრის აღსანიშნავად. საყდარმაც დაიკავა ეს ადგილი, ანუ მას მიენიჭა სატახტო ტაძრის აღნიშვნის ფუნქცია (შღრ. საკათედრო ტაძარი). არ არის გამორიცხული, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობის ცვლა სწორედ ეპისკოპოსობის საქართველოში დამკვიდრებას უკავშირდებოდეს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მსგავსი გადასვლა სკამი → ტახტი → კათედრა (ეკლ. ეპარქიის გამგის — ეპისკოპოსის თანამდებობა) სხვა ენობრივ სინამდვილეშიც გვხვდება (შღრ. ბერძნ. Kathedra სკამი, სავარძელი).

სამართალი. ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილების ერთ-ერთი ნიშნად წარმოადგენს სიტყვა **სამართალი**. ქეგლ-ი ამ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობაზე მიუთითებს: 1. ერთობლიობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი (ან სანქციონირებული) ყოფა-ქცევის წესებისა (ნორმისა), რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ იძულებით; მიზნად ისახავს გაბატონებული კლასისათვის სასურველი და ხელსაყრელი საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაცვას, განმტკიცებასა და განვითარებას; სოციალისტურ საზოგადოებაში გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებს. 2. სამართალწარმოება, მართლმსაჯულება, იუსტიცია; 3. იხ. სასამართლო; 4. იხ. სიმართლე.

პირველი მნიშვნელობის გარდა, რომელიც ძირითადია ამ სიტყვისათვის, ყველა დანარჩენი კონტექსტურია და მათ თავისი ახსნა გააჩნია.

სამართლის აღსანიშნავად ქართულში კანონიც იხმარება, რომელიც ზოგჯერ „სამართლის წიგნის თვითოეულ მუხლსაც ჰნიშნავდა [ჯავახიშვილი, 1982, გვ. 24], თუმცა იგი ხშირად სასჯელის მნიშვნელობითაც იხმარებოდა: „მონაზონი უკეთეს სიძვითა დაეცეს და მონაზონებისა-ოდენ კურთხევა აქუნდეს, სიძვისა კანონი აღასრულოს“-ო. ასევე, განკანონება-ს ხშირად დასჯის მაგიერ ხმარობენ: „უკეთუ ვინმე არა მოვიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისასა, განკანონის ჩეროვნად ვითარცა განეწესა მამას“ (ცაგ მოე და ეფემესი, 36).

ამავე მნიშვნელობით ძველ ქართულ მწერლობაში სჯულ || შჯული-ც იხმარებოდა, მაგრამ მას უფრო სარწმუნოებრივი, საკლესიო სამართლის მნიშვნელობა ჰქონდა და ამით განსხვავდებოდა ტერმინ სამართლისაგან.

ივ. ჭავჭავაძის მიუთითებს, რომ „იმას, რაც თვითოეულ ერს კაცთა საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედება-დამოკიდებულებათა უზენაეს და ქვეშარცხთვით გამსაზღვრელ მცნებად მიიჩნია, იმას, რასაც რომაულ-სამართალი „norma agendi“-ს, ხოლო გერმანელი „ das objektive Recht“, ფრანგები „droit positif“, რუსები „обективное право“-ს ეძახიან, — იმას ქართულად „სამართალი“ ჰქვიათ (ცა გვლ ხნძთი, ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნი). ეს სიტყვა „მართალი“-საგან არის წარმომდგარი, რაც თავდაპირველად „სწორესა“ ნიშნავდა. ამისდა მიხედვით „სამართალი“-ც სისწორესა, სწორობასა აღნიშნავს... მაგ., იოანეს სახარებაში ნათქვამია: „ნუ თუალსუმიო შვით, არამედ საშჯელის სამართალი საქეთო“-ო. „სამართალ არს სიტყუად შენი“, „სამართალი იყო სიტყუსგებად იგი“-ო (ცა გვლ ხნძთა, გვ. ლ, 3). ესე იგი „შენი სიტყვა სწორეა, კამათი სწორი იყო“...

თუ უძველეს ხანაში ტერმინი „სამართალი“ სწორესა ჰნიშნავდა. შემდგომში მას სწორედ norma agendi-ს მნიშვნელობა მიენიჭა. უქვეყნა-ლია ამაზე უწინარესაც უნდა ჰქონოდა ამ ტერმინს ასეთი განყენებული ცნების მნიშვნელობა, მაგრამ ძველების გამოუქვეყნებლობითა და შეუსწავლელობის გამო ამ უმად პირველ საკანონმდებლო ძეგლად, სადაც „სამართალს“ უკვე სრულებით გარკვევით norma agendi-ს მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ XIV ს. ბეჟა-აღბულას სამართლის წიგნის სათაური „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“ და სვიმონ მეფის 1590 წლის განწესება მეკობრეთმძებნელებზე შემძღიან დავასახელო“ [ჭავჭავაძის, 1986, გვ. 28].

ამაზევე მიუთითებს არნ. ჩიქობავა, როცა აღნიშნავს, რომ „სამართალი“ ძვ. ქართულში ჩვეულებრივ ზედსართაული გაგებით იხმარება და ნიშნავს „სამართლიანს“, „სწორს“, „მართალს“ (და არა არსებით სახელს — „право“).

„მართალი“ კიდევ პირველ ყოვლისა, ადამიანის ატრიბუტია: „მართალი“.

... ყველგან ზმნისართული მნიშვნელობისათვის ამოსავალია ატრიბუტული გაგება სიტყვათა „სამართალ“-ი = „სამართლიანი“, „სწორი“...

ძვ. ქართულისათვის... ჩვეულებრივია ასეთი ხმრება სიტყვისა „სამართალი“

მაგრამ არის შემთხვევებიც მისი სუბსტანტიურად ხმარებისა: რა? „სამართალი“ = წესი, კანონი...

... ზაქარია .. ელისაბედ... იყვნეს ორნიც მართალ წე ონისა. ვიდოდეს ყლთა შინა მცნებათა და სამართალთა ღნისათა... ჰადიშ., 101 b (ლუკა 1).

რუს. ოთხთავში გვაქვს: оба они были праведни... поступая по всем заповедям и уставам господним...

... ვა იტყვს წინაწრემტყუელი ვდ პირი მართლისად იტყოდის სი-
ბრძნესა და ენამან მისმან თქას სამართალი... ბოლნ., 87¹⁷.

ვინ? „მართალ“ — რა? „სამართალი“ [ჩიქობავა, 1942, გვ. 163, 165].

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ უძველეს ქართულ ძეგლებში გვაქვს
სამართლის სუბსტანტივად გამოყენების შემთხვევები, რამაც განაპირობა
ის, რომ თანდათან ეს სიტყვა იქცა კანონისა და „სჯულის“ || „სჯულის“
სინონიმად, შემდეგ კი გაბატონებული ადგილი დაიკავა ქართულ საის-
ტორიო მწერლობაში.

საკუთარი. განიხილავს რა საკუთრების ფორმებსა და ტერმინებს,
ივ. ჭავჭავიძე ალნიშნავს, რომ ძველ ქართულში საკუთრების ზოგადი
ცნების აღსანიშნავად ცალკე ტერმინი არსებობდა. ქართლის პიტიახ-
შის პირადი მსახური მაგ. იაკობ ხუცესს „საკუთარი“-ს სახელით ჰყავს
მოხსენიებული (წამებამ შუშანიკისი 10₂₁). ხოლო დაბადების ქართულ
თარგმანში მოიპოვება უკვე ტერმინი „განკუთნებული“-ც. მაგ. იესო
ნავეის 21₁₃₋₁₄-ში ნათქვამია: „მისცა ქალაქები... ქებრონი და განკუთ-
ნებულნი გარემოს მისსა, ლებანა და განკუთნებულნი გარემოს მისსა“
და სხვაც ასევე. „განკუთნებულნი“ უდრის ბერძნული τὰ ἀπαρτομέσα,
ლათინურს suburbana, ე. ი. გამოსაზღვრულს, გამოყოფილს აგარაკს ჰნიშ-
ნავს. ტერმინი „საკუთრება“ ბ. ზარზმელის თხზულებაში გვხვდება იმ
მნიშვნელობით, როგორც ჩვეულებრივ იხმარება“ [ჭავჭავიძე, 1984, გვ.
282-283]. ამავე მნიშვნელობითაა დადასტურებული იგი XI ს-ის სამართ-
ლის ძეგლებში, ბოლო ხანის ძეგლებში იგი უკვე დამკვიდრებული ტერმი-
ნია. ივ. ჭავჭავიძის აზრით, IX საუკუნიდან მისი, როგორც საკუთრების
ტერმინის, არსებობა უკვე ფაქტია.

„საკუთრების“ პარალელურად, არსებობდა ტერმინი „საზეპურო“, რო-
მელიც „ზეპუპრი“-დან (სპარს. ვისპური — სახლიშვილი) არის ნაწარმოები
და რომელიც სპარსულიდან ზეპირი გზით შემოსულ ტერმინად არის მიჩ-
ნეული. როგორც ვარაუდობენ, იგი წარჩინებული საგვარეულოს წარმომად-
გენელთა საკუთრების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც გვიან
საუკუნეებში „სასეფო“ შეესატყვისებოდა.

„ვითარცა უცხო ენითგან შეთვისებული ტერმინითგან ნაწარმოები და
წარჩინებული საგვარეულოების წევრთათვის მიცემული სიტყვა, საეჭვოა,
რომ საზეპურო“ ზოგადი, მთლიანი მოსახლეობისათვის დაწესებული და
„საკუთრების“ ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინი ყოფილიყო.

მე-VIII-X-ს-ითგან მოყოლებული ეს ტერმინი თანდათან ქრება და
მწიგნობრულ ტერმინად ზდება. შერჩენილია მხოლოდ ტერმინი „სასეფო“,
რომელსაც პირადის მნიშვნელობა მიენიჭა. ადამიანის პირადი საკუთრების
აღსანიშნავად „საზეპურო“-ს „საკუთარ“-მა სძლია. ივ. ჭავჭავიძე ამ
სიტყვას კუთნავს ზმნურ ფორმას უკავშირებს:

... „კუთნვა“ ძველ ქართულში თავისდა-თავადაც იხმარებოდა. დაბადების თარგმანის წყალობით მისი მნიშვნელობა ირკვევა. მაგ. „კუთნვად ძელთა და ქვათა“ (ეზეკიელის 20₃₂), ... „კუმევად და კუთნვად ღმერთთა სხვათა“ (იერემიადისი 42₃)... „ღმერთთა შენთა არა მკუთნველი“ არიან (დანიელისი 3₁₂)... ქართული კუთნვა“ ბერძნული λαρξαιον-ისა და ლათინურ colere-ს, სომხური պատիւ-ის მსგავსად მსახურებას, თავყვანის-ცემას, ზრუნვას და მოვლას ჰნიშნავდა. ამისდა მიხედვით „საკუთარი“ თავდაპირველად მოსაველელის, საზრუნავის და სათაყვანებლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, საკუთრება ის იყო, რაც საზრუნავი და მოსაველელი, თანაც სათაყვანებელი იმ საერთოსა და ზოგადისა, საზიაროსაგან განსარჩევად, რომლისთვისაც თვითოეულ წევრს საგანგებო მზრუნველობა არ სჭირდებოდა. თუ „საზებურო“ წარჩინებულთა საგვარეულოების წევრთა საკუთრების აღმნიშვნელი იყო, „საკუთარი ამ ცნების ზოგადი თვისების საყოველთაო ტერმინი ჩანს და სწორედ ამით აიხსნება, რომ დროთა განმავლობაში გამარჯვებული სწორედ ეს ტერმინი აღმოჩნდა, „საზებურო“ — კი სრულებით გაქრა [ჯავახიშვილი, 1984, გვ. 284-285].

ამ მოსაზრებას ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: საკუთარი ესე არს განთვისებული საქმე ZA.

ესე არს განთვისებული საქმე, ვითარცა თვალისათვის — ფერი, ყურისათვის — სმენა, ცხვირისათვის — ყნოსა, პირისათვის — გემო და ესევეთარნი საკუთარნი B. განთვისებულივით Cb.

ილ. აბულაძე მიუთითებს, „მისი ასეთი გავრცელება და მისგანვე წარმოებული სხვა სიტყვების არსებობა იმას მოწმობს, რომ ხსენებული სიტყვა ქართული ლექსიკის ძირითად ფონდს ეკუთვნის.

... სულხან-საბა ორბელიანის განმარტებიდან ... ისე ჩანს, რომ საკუთარი ნიშნავს დამახასიათებელ მხარეს, სპეციფიკურ რამესა, თვისებას, რაც სხვებისაგან გამოარჩევს ერთ მოვლენას თუ საგანს“ [აბულაძე, 1959, გვ. 159].

ილ. აბულაძე განიხილავს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მოყვანილ სიტყვებს — საკუთარი, უსაკუთრესი, შესაკუთრება და განკუთვნა და მიუთითებს, რომ ეს სიტყვები „ძირად ან ფუძედ კუთ-ს გვიჩვენებს, რომელიც კუთვნილების ან საგანგებო დამახასიათებელი თვისებისა თუ ნიშნის ქონების ცნებას ატარებს, ხოლო მეორე წყება — კუთნვა, დაკუთნვა და მკუთ[ნ]ველი — ფუძედ კუთ-ს აჩენს, რაც მსახურების ცნებას გადმოცემს. „განკუთვნასთან“ საბას მიერ მოყვანილი განმარტება — „სრულად შესაკუთრება, გინა მსახურ ყოფა (BC)“ — უეჭველია, იმისგან წარმოდგება, რომ საბა ამ ორ ფუძეს შინაარსობლივ ერთგვარად განსხვავებულად მიიჩნევს. ავტორი განიხილავს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას „საკუთარ“ ფორმის შესახებ და აღნიშნავს, რომ „აკად. ივ. ჯავახიშვილს

კუთ-სა და კუთნ ძირებსა თუ ფუძეებს შორის, რომელთაგან კუთ სა-
კუთარ-საკუთრებისა და კუთენილების ცნებას უკავშირდება, და კუთნ კი
მსახურება — თაყვანისცემისა და ზრუნვა-მოვლისას, საბასებრ ურთიერ-
თისაგან რამდენადმე გამიჯნულად კი არ წარმოუდგენია, არამედ პირვე-
ლადღა მათთვის მას მსახურება — ზრუნვა მიაჩნია, ხოლო საკუთარ-სა-
კუთრება აქიდან გამოჰყავს.

შესაძლებელია, მართლაც, საკუთარ-საკუთრება და განკუთვნა სიტ-
ყვები ასეთი წარმომავლობისა იყვნენ, მაგრამ მათი ძირის, კუთ-ის პირვე-
ლადი მნიშვნელობა თითქოს იგივე იყოს, რაც კუთნ-ისა (=მსახურება —
ზრუნვა), ზოგიერთი ძველი ქართული წყაროთი, რომლებიც მაშინაც,
როცა აკად. ივ. ჯავახიშვილი თვით ნაშრომს აქვეყნებდა, გამოუცემელი
იყო და დღესაც უმთავრესად ხელნაწერების სახითვეა დაცული, როგორც
ქვემოთ ვნახავთ, სხვაგვარად წარმოგვიდგება.

VIII-IX ს-ში ბერძულიდან თარგმნილი ერთ-ერთი მუხლი, შესული
Xს-ის ცნობილ შატბერდულ კრებულში (S-1141), სახელდობრ, გრიგოლ
ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“, ერთგან, მერვე თავში, ორგან ხმარობს
ხსენებულ საკუთრებას.

ა) „ხოლო უკეთუ ვინმე თქვას, ვითარმედ საკუთრებაჲ ველთაჲ მსახ-
ურებისათჳს სიტყვირისა არს, არავე შესცთეს...“ (გვ. 21), რაც ნიშნავს:
„თუ ვინმემ თქვას, რომ ხელთა სპეციფიკურობა, საგანგებო დამახასიათე-
ბელი თვისება, მეტყველის (ე. ი. ადამიანის) სამსახურია, არ შეცდება-ო.

ბ) „ხოლო აწ ოდეს მიეცნეს ჳელნი გუამსა, მოცალე ქმნულ არს პირი
სიტყჳს-გებად და საზრახავად. და საკუთრებაჲ კაცისაჲ ველნი არიან,
რამეთუ დამბადებელმან დაჰბადნა კაცისა თანა განმარჯუებისათჳს სიტ-
ყუაობისა“ (გვ. 26), რაც ნიშნავს: „ხოლო ეხლა, როცა მოეცა სხეულს
წელები, პირი ირჩება სიტყვა-ჰასუსხისათვის და სამეტყველოდ. კაცისათვის
დამახასიათებელი, სპეციფიკური თვისება ხელებია, რადგან შემოქმედმა
შექმნა [ისინი] კაცთან ერთად მეტყველების წარმართვისათვის“ [აბუ-
ლაძე, 1959, გვ. 160].

ი. აბულაძე ქართულ ტექსტს ადარებს სომხურს, სადაც საკუთრების
ბაღლად გვხვდება „განსაკუთრებული თვისება“.

„სომხურისებრ ჩვენებას ეპოულობთ აღნიშნულ შემთხვევებში ამ ძეგ-
ლის გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) შესრულებულ თარგმანშიც. აქაც
ყველგან „საკუთარი და თჳსია“ ნახმარი. პირველი მაგალითის „საკუთარე-
ბაჲ“ გადმოცემულია „საკუთარი და თჳსით“, მეორისა „თჳსი და საკუთარ-
ით“, ხოლო უკანასკნელისა „თჳსებ-ით“. „საკუთარი“ და „თჳს-ი“ (აქიდან
„თჳსება“) ერთმანეთის სინონიმებია: „თჳსი“ ანუ ზოგჯერ „განთჳსებული“
იგივე საკუთარია“ (საბასაც სწორედ ამ სიტყვით ჰქონდა ახსნილი, რო-
გორც თავშივე ვნახეთ, „საკუთარი“: „საკუთარი ესე არს განთჳსებული
საქმეო“).

ილია აბულაძე განიხილავს არსენ ვაჩეს ძი-ს (XII ს.) იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ თარგმანისას გაკეთებულ „განთქებულის“ განმარტებას, რომლის მიზედვით ეს უკანასკნელი სწორედ დამასასიათერელ თვისებაზე მიუთითებს.

X ს-ის კლარჯული ხელნაწერებიდან მოყვანილი მაგალითი:

ა) „გან-ლა-იგონნეთ საქმენი სოფლისანი საკუთარნი და საერთადონი“ (იოანე ოქროპირი: ებისტოლე, რომელი მიუწერია თევდორეს მთავარსა ჰრომისასა. „მამათა სწავლანი“, გვ. 115,15)

ბ) „რომლისა თანა არს სიყვარული, არარად განიჩემის საკუთრად თავისა თვისისა, არამედ რომელი აქუნ, სხუათათჳს ჰნებავენ“

(ეფრემ ასური: სიყვარულისათჳს, „მამათა სწავლანი“ გვ. 236,4)“.

შესატყვის სომხურ ტექსტთან შედარებისას პირველი მაგალითი ი. აბულაძეს ასე აქვს განმარტებული: „შეიგნეთ სოფლის ზრუნვანი, კერძო და საზოგადო“. ამრიგად. „საკუთარი“ აქ იხმარება კერძოს, პირადის. ხოლო „საერთადო“ საზოგადოს, საერთოს აზრით. უფრო მკვეთრად „საკუთარის“ შინაარსი მეორე მაგალითიდან ირკვევა. აქაც იგი კერძოს, პირადს, სათავისოს ანუ თჳსს აღნიშნავს.

ამრიგად, ტერმინები „საკუთარი, საკუთრება“ და „უსაკუთრეს-ი“ თავისი კუთ ძირით ძირითადად ძველ ქართულში გადმოცემს ცნებას, დაკავშირებულს სპეციფიკურს, კერძოს, პირადს, ცალკეს (←ცალ კერძსა) და სათავისოსთან, ანუ თჳს-თან.

შემდეგ ი. აბულაძე განიხილავს იმ მნიშვნელობებს, რომლებიც დაკავშირებულია „განკუთვნა“ ფორმასთან და მიუთითებს, რომ იგი „უველგან... მიჩენის, მიკუთვნების, განჩინების და განწყესების შინაარსით არის ნახმარი. „განკუთვნა“ ხშირად გამოყოფას და გამოცალკეებას, გამორჩევასა და გამოსაზღვრებას ნიშნავს...

„საკუთარი“ და „განკუთვნა“ მნიშვნელობით ერთი და იგივე ჩანს. „საკუთარი — საკუთრება — უსაკუთრესი“, როგორც ვნახეთ: კერძობა — განთვისება — სპეციფიკურობა, ე. ი. გამოცალკეება საერთოსაგან, რაც უახლოვდება „განკუთვნის“ მნიშვნელობას — გამოყოფას, გამოცალკეება-გამოშორებას, გამორჩევა-გამოსაზღვრებას ან მიჩემა-დამისება — მითვისებას...

„კუთ“-სა და „კუთნ“ ფუძეთა შორის რომ მართლაც არსებითი კავშირია, ამას მათი ეტიმოლოგია გვირკვევს.

„კუთ“ ძირი, რომელიც გამოიყოფა „საკუთარ-საკუთრება-სა“ და „უსაკუთრეს-ში“, ჩვენ „კუთა“-ში წარმოგვიდგენია „კუთ“ ფუძის სახით. „საკუთარი“ ამ ზმნის მიმღობის ფორმაა. მიღებული „საკუთ-არ“-ისაგან (შდრ. საბას ლექსიკონი „საკვითარი“). რომ „უე“-დან შეიძლება „უ“ მიგველო შეკუმშვის საფუძველზე, ამის სამოწმოდ შემდეგი ნიმუშები გამოგვადგება: საკუერთხი → საკურთხი („საკურთხი — ესე არს მსხვერ-

პლი მრგულიად დასაწული“ 50,18 ფსალ.; საკუთრთხეველი → მსხურპ-
ლის საცავი“ 50.18 ფსალ. — საბა), კუედა → კულომა, მკუდარი; წყუედა
→ მწყუდარი და სხვ.

„საკუთარ-ის“ კუთ ძირის „კუეთ“-ისაგან წარმომავლობა ამ სიტყვის
(საკუთარ-ის) შინაარსს გვისახავს, როგორც გამოსარჩევს, გამოსაცალკევ-
ბელს, გამოსაკერძობელს“, ანდა იმას, რითაც უნდა გამოიყოს, გამოიკვე-
თოს, გამოირჩიოს, გამოცალკევდეს, გამოიკერძოს“.

კუთნ ფუძე კუთ (← კუეთ)-ისაგან მომდინარე ჩანს ნართაული
ნართით.

აქვე ი. აბულაძე მიუთითებს, რომ „... როგორი წარმომავლობაც არ უნდა
იყოს „კუთნეა“-ში ფუძისეული -ნ-, იგი ახალი ზმნის ფუძის მაწარმოებე-
ლი ჩანს „კუთ←კუეთ“ ფუძისაგან“.

ილია აბულაძე განიხილავს სომხური ენის მასალასაც და მიუთითებს.
რომ ამ ენაშიც საკუთრების აღმნიშვნელი სიტყვები კუეთის აღმნიშვნელი
ზმნიდან მომდინარეობს.

თუ გავიზიარებთ ი. აბულაძის მოსაზრებას, ნათელი გახდება,
რომ საკუთარი არის გამოცალკევებული, კერძო და მომდინარეობს
კუეთ- ზმნისაგან. მისი პირველადი მნიშვნელობა ყოფილა მოსაკვე-
თი, გამოსაცალკევებელი, გამოსაკერძობელი (შდრ. ნაკვეთი — მიწის
ნაქერი, გაკვეთილი — სწავლებისათვის განკუთვნილი დროის მონ-
აკვეთი, კვეთი II კუეთი — ყველის ასაჭრელი სითხე და სხვ.) [შდრ.
ქინჭარაული, 1974, არაბული, 2001].

მემამულე. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა მემამულე
არ გვხვდება. დ. ჩუბინაშვილი კი მას ასე განმარტავს — მამულის პა-
ტრონი. ქეგლ-ის მიხედვით მემამულე უბრალოდ მიწის პატრონი კი არა,
„თავად-აზნაურთა წრიდან გამოსული მიწის მესაკუთრეა, მსხვილი მი-
წათმფლობელია“. უძველეს ქართულ საისტორიო მწერლობაში (X საუ-
კუნემდე) ეს სიტყვა არ გვხვდება. განიხილავს რა საზოგადოებრივ და
წოდებრივ დანაწილებას საქართველოში, ივ. ჭავჭავაძის ადნიშნავს,
რომ „ნათესავით აზნაური“ ანუ მემკვიდრეობით მქონებელი აზნაურო-
ბისა სწორედ იმ „აზნაურთა მემამულეთა“ ჭგუფს ეკუთვნოდა, რომელნიც
გიორგი II-ის სიგელში არიან მოხსენიებულნი.

„ძველს ქართულში სიტყვა „მემამულე“ ჰნიშნავდა მემკვიდრეს, ისეთ
პირს, რომელსაც ჩამომავლობით რაიმე უფლება ეკუთვნის. მაგ., „მა-
ტიანე ქართლისაჲ“ ამბობს, რომ როდესაც ბაგრატ IV ტფილისი აიღო,
„არა დაიპირა ბაგრატ თვსად ტფილისი“, არამედ მახლობელი ადგილები
შეინარჩუნა მხოლოდ. რაც შეეხება საქართველოს დედაქალაქს, მეფემ
„შემოიყუანა ტფილისად მემამულე სახელით სითილ აბაბი და მისცა მას
ტფილისი“-ო.

მეპატრიანეს სიტყვების მნიშვნელობა რომ ჩვენთვის უფრო გასაგები იყოს, უნდა გავიხსენოთ, რომ მათ მოთხრობილ ამბავზე უწინარეს, ჯერ კიდევ 1064 წ. აღრე ტფილისის ამირა მომკვდარიყო და ტფილელმა ბერებმა ბაგრატ IV მოიწვიეს ტფილისში, მაგრამ ბაგრატმა ტფილისი სამუდამოდ ვერ შეინარჩუნა და ტფილისის ამირობა კვლავ განახლდა. 1068 წელს სპარსეთის სულთანმა საქართველოში შემოსევის დროს ტფილისი თავის ერთგულ მეკავშირეს განძის პატრონს ფადლონს მისცა. მაშასადამე, საქართველოს მეფის მოყმე-ამირასათვის, რომელსაც ამირობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდა, სულტანს ჩამოუერთმევია. როგორც ეტყობა, ის ამასთანავე განდევნილიც ყოფილა. როდესაც ქართველებმა გათამამებული ფადლონი დაატყვევეს, მაშინ მან ტფილისის ამირობაც დაჭკარვა. ხოლო ბაგრატ მეფემათ თითონ კი არ დაიჭირა ტფილისი, არამედ მოიწვია „მემამულე“ ანუ ტფილისის ამირათა შთამომავალი, რომელსაც უფლება ჰქონდა მემკვიდრეობით ამირობა მიეღო, და ის დასვაო. თამარ მეფის ისტორიკოსსაც აქვს ეს სიტყვა „მემამულე“ ნახმარი და ისევე, კანონიერი მემკვიდრის მნიშვნელობით. გიორგი III-ემ 1161 წ. ქ. ანისი რომ აიღო, წინანდელი გამგის შედადიანის გვარის შვილს-კი არ დაუბრუნა და ჩააბარა, არამედ თვითონ დაიჭირა. მაგრამ რაკი მაჰმადიანთა მფლობელები გააფთრებით ებრძოდნენ ამ ქალაქს, რომ კვლავ მაჰმადიან მმართველთა ხელში ჩავარდნილიყო, ბრძოლით მობეზრებულმა გიორგი III ზავის მთხოვნელ მტერს წინააღმდეგობა არ გაუწია და „უბრძანა ანისი თქსსავე მემამულესა და ითაყუნა თავისა თვისისა ყმად“-ო, ამბობს ქართველი ისტორიკოსი. როდესაც გიორგი III-ს ქ. ანისი აუღია, მაშინ ანისის მმართველად შეადიდის ძმა ფადლუნი ყოფილა. დაზავების დროს კი საქართველოს მეფეს ანისი უწყალობნია მაჰმუდის შვილის არსლანისათვის, რომელიც ალბათ შედადიანთა ნათესავი და ჩამომავალი ყოფილა და ამის გამო მათ უფლებათა კანონიერი მემკვიდრეც. მაშასადამე, „აზნაურნი მემამულენი“ მაშინ ისეთ აზნაურებს შეიძლება რქმეოდა სახელად, რომელთაც აზნაურობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდათ და წინაპართაგან დამკვიდრებული ჰქონდათ, ანუ რომელნიც „ნათესავით“ აზნაურნი იყვნენ [ჭავჭავაძე, 1982, 200-201].

თუ გავითვალისწინებთ, რომ აზნაურობა რამდენიმე ფენად იყოფა, და მათ შორის არიან ე. წ. „აზნაურნი მოსაკარგავენი“, „აზნაური მეფისაჲ“, „სახლისა აზნაურნი“, „საპატიოჲ აზნაურისშვილი“ და ა. შ. და მათ შორის ყველას არა აქვს მემკვიდრეობით მამულის, ქონების, სახელის თუ სხვა პრიორიტეტთა გადაცემის უფლება, გასაგები ხდება, მემამულე ამ შემთხვევაში არ არის ჩვეულებრივი მიწის მეპატრონე.

აღმზრდელი. აღმზრდელი ქეგლ-ში ასეა განმარტებული: მიმდ. მოქმ. ვინც. აღზრდის. თავისუფლება, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი... შენ

ნარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა (ილია). არ მყავდა მამა მოსარიდი და არც აღმზრდელი (ა. აბაშ.).

აღზრდა (აღზრდისა) სახელი აღზრდის ზმნის მოქმედებისა, — ვინც განვითარებაზე სისტემატური ზემოქმედება, გარკვეული ჩვევების დანერგვა, წვრთნა... საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზე წარმატებულ იქმნეს ყოველი ძალი და ნიჭი ადამიანისა, როგორც გონებითი, ისე ზნეობითი (ილია). ვახტანგმა ჩინებული აღზრდა მიიღო (ი. გოგბე.) ათასგვარ წვრილმანში ირჩეოდნენ ცოლი და ქმარი, ხასიათით თუ აღზრდით (ვ. ბარნ.). || **გაზრდა**. ზურაბი იმდენად სათნოიანი და გულშემატყვიარი გამოდგა, რომ კისრად იღო ობლის აღზრდა (ს. შანშ.).

აღზრდილ-ი (აღზრდილისა) მიმღ. ვნებ. ნამ. ვინც აღზარდეს ან აღიზარდა, ვინც აღზრდა მიიღო.

ძველ ქართულში აღმზრდელს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა: „მპოხელი“. „შეაჭუენეთ ხოლო აღმზრდელიცა თქუენი“ ps., — „შეაჭუენეთ მპოხელ თქუენი“ I, ბარ. 4,8. (ი. აბულ.)

მპოხელ-ი ძიძა, „აღმზრდელი“: ექმნა მას მპოხელ“ 0, რუთ 4,16; „შეაჭუენეთ მპოხელი თქუენი“ I, — „შეაჭუენეთ ხოლო აღმზრდელიცა თქუენი“ ps., ბარ. 4,8.

პოხა ძველ ქართულში არის საზრდოობა, კვება: „ყრმაჲ იპოხებოდა მამა-ღვდათა მისთა თანა“ მრთ. A, ანტ. დ. 19 v; „პოხდა ყრმასა მას ვიდრე განყენებამდე ქუძუდა“ 0, I მფ. 1, 23; „ღვდაძმუქუ... ზრუნვით პოხნ ყრმათა მათ, რომელნი ერწმუნნიან“ მ. სწ. 301,28; „რამეთუ (მცენარლ) იზრდების და იპოხების“ გრ. ნოს-კაც. აგებ. 222, 28.

აქედან ნაწარმოები: **პოხილ-ი** „ზრქელი“, „მართებული“, „მსუქანი“: „ზროხანი მათნი პოხილ (ზრქელ Z) არიან“ ფხ. 143, 14; „კუროთა პოხილთა მომიცვეს მე“ C, ფხ. 21, 13; „ძოვდეს საცხოვარ შენი... ადგილსა პოხილსა და ფართოსა“ I, ეს. 30, 23; „პოხილთა დაჰკლავთ“ ps., — „მსუქანსა მას დაჰკლევდი“ 0, ეზეტ. 34,3.

პოხიერი: ნოყიერი, მსუქანი: „იპყრა თავი შენი... უფროდსდა პოხიერთა ზედა ჰამადთა“ მ. ცხ. 281r.

განპოხება „განსხობა“, გასუქება: „განდიდნეს და განმდიდრდეს და განსუქნეს და განსხუეს“ 0, იერემ. 5, 38; (ჰმაჲ მყუდროჲ) სიღრმედ მიიწვეს და განაპოხებს ყანასა“ A — 92, 288.

სიპოხე სინოყიერე, სიმსუქნე: სტომაქი მოიღნობს საკმელსა და სიპოხესა მისსა მისცემს ნესტუთა მათ ღუძლისათა“ მ. სწ. 176, 23; „თანაზიარ... სიპოხისა ზეთის-ხილისა იქმენ“ რომ. 11,17.

მაშასადამე, სიტყვა რომლითაც განმარტებულია აღმზრდელი, ნიშნავს მკვებელს, და მისგან ნაწარმოები სიტყვები შესაბამისად მსუქანს, სქელს, ნოყიერს...

თვითონ აღზრდა ი. აბულაძესთან არის გამოკვება, გაზრდა, გამოზრდა: „მისცა მათ (საზრდელი) და აღზარდნენ იგინი“ *ც*, ფს. 103, 26. „ალიზარდე სიმართლით ზედა მუქლთა ჩემთა“

აღზრდილი „განზრდილი“: „აღზრდილი (განზრდილი Z) ამა ქალაქის შინა (და აღზრდილი ფერხთა თანა გამაღიელისთა“ *საქ. მოც.* 22, 3; „კაცი ცოდვთა შინა შობილი და აღზრდილი“ *მაცხ.* 107*რ*.

ზრდა „ფუფუნება, კმევა, კვება; აღზრდა“

მზარდელი გამოკვებავი: „მ მორჩილებაი, მზარდელი ყოველთა წმინდათაო“ *მ. ცხ.* 328*რ*.

მზარდულ-ი. აღმზრდელი, ძიძა: „მოკუდა დებისა, მზარდული რუბეკაისი“ *0*, *დაბ.* 35.8; „მისცა იგი და მზარდული მისი, მაწონებელი საუნჯესა მას ცხედართასა და დამალა“ *M*, II ნშტ 22, 11; „მისცა ზადან მზარდულად“ *ბალ.* 10, 23; „მისცეს მშობელთა მისთა მზარდულსა“ *sin.* — 11, 77*v*. „ფუფუნება აქუნდა მზარდულისა მისისაგან“ *sin.* 11, 77*v*.

საბას ლექსიკონში აღმზრდელი ასეა განმარტებული: „მამა. „მამაღითქმიან მოძღვარი, მღ(ვრ)დელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი“. ცხადია, რომ აქ იგულისხმება ის მნიშვნელობა, რომელიც ქველ-შია მოტანილი.

აღმზრდელის სინონიმებია: მოძღვარი, დამრიგებელი, მწვრთნელი, ხელმძღვანელი, ოსტატი, მწვრთნელი.

ნეშტი. ნეშტი-ი (ნეშტისა) 1. წიგნ. გვამი, ცხედარი. 2. ძვ. „დანარჩომი“ (საბა), ნაშთი, ნარჩენი, ნამცეცვი. შდრ. დ. ჩუბინაშვილი: ნაშთი, დანარჩენი; ილ. აბულაძე: „დაშთომილი“, „ნამეტავი“, ნაშთი, დანარჩომი: „პრქუა... ძეთა მათ ნეშტთა მისთა“ *0*, — „თქუა... ძეთა მისთა დაშთომილთაჲსა“ *G*, *ლევიტ.* 10.12; „ნეშტისაგან მათისა შემოწირეს“ *C*, — „ნამეტავისაგან მათისა შემოწირეს“ *DE*, *მრ.* 12.44; „ნეშტნი იგი მახულითა მოვწყუნენ“ *0*, *ამოს.* 9.1; „დაუტევეს ნეშტი მათი ყრმათ: მათთა“ *ფს.* 16.14; „ალიღეს ნეშტი ნამუსრევისაჲ“ *მთ.* 14.20; „რომლისა იხსნეს ნეშტნი მოწამეთა ქრისტისთანნი“ *ფლკტ.* 160.5.

როგორც ვხედავთ, ქართულში ეს სიტყვა ზოგადად ნაშთის, ნარჩენის აღმნიშვნელია. ვ. თოფურია წერს. „ნეშტი... მნიშვნელობით წარმოადგენს 'დანარჩომ'-ს (საბათი), 'ნაშთ', რაც აშკარაა ამ კონტექსტით: და მივიღე ნაშტი იგი პურისაჲ და წყლისაჲ (უნივ. ხელნ. №1104, იე გ) და სხვა. ძირია: შტ. იგი მიღებული გახლავთ შედ კომპლექსისაგან, რომლის სემანტიკურ-ფონეტიკურ შესატყვისად მეგრულში სქილ მოგვეპოვება. *შედ'ისაგან შტ'ს მიღება ორი ფონეტიკური მოვლენის გადახლართვით შეიძლება: რედუქცია — ასიმილაციის: *ნეშედ-ი → *ნეშმი → ნეშტი. ასიმილაციის შემდეგ შთ'ს მიღებაც იყო მოსალოდნელი და ჩვეულებრივ ეს უკანასკნელი გვევლინება: რლ ნეშტი დაუშთებოდის, მით ვიზარდ-

ებოდი (კიმენი, 1634-5); არა დაშთა ქყანა (ib., 107₅); ობლად დავშთი (TP., III კლ₃)“ [თოფურია, 1979, გვ. 88].

სიტყვის სემანტიკის ცვლილება ვლინდება იმაში, რომ თანამედროვე ქართულში იგი საერთოდ ნაშთის (ნარჩენის) აღმნიშნელი სიტყვა კი აღარაა, არამედ კონკრეტულად ადამიანის ნარჩენს, ნაშთს აღნიშნავს (ანუ იმას, რაც რჩება სულისა და სხეულის გაყრის შემდეგ). ნეშტი უკვე აღარ აჩენს ნარჩენის ასოციაციას, იგი უშუალოდ მიცვალებულს, გვამს მიემართება. უფრო ზუსტად, ნეშტი არის ის, რაც რჩება გვამის გახრწნის შემდეგ. ამდენად მისი მნიშვნელობა სპეციფიკურია.

სპეციალურ ლიტერატურაში განხილულია ნეშტისა და ნაშთის ურთიერთმიმართების საკითხიც [ჩიქობავა, 1942, გვ. 216].

მოქალაქე. ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში რამდენიმე მნიშვნელობითაა მოყვანილი. ერთ-ერთის მიხედვით. „ძვ. ქალაქის მცხოვრები (საპირისპირო—სოფელი). აქ არიან ქალი და კაცი, უცნო თუ ნაცნობი, ... სოფელი და მოქალაქე (ილია). მოქალაქენი თუ სოფელები ამ ამბავმა სულ ერთიან ფეხზე დააყენა“. მეორე განმარტების მიხედვით: ისტ. XV-XVIII ს.ს. საქართველოში — ქალაქის, კერძოდ, თბილისის, ვაჭარი ან ხელოსანი, რომელიც ეკუთვნოდა მეფეს, დედოფალს ან ეკლესიას. II ისტ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მის შემდეგ გარკვეულ დრომდე — ქალაქის, კერძოდ თბილისის, პკვიდრთა საშუალო ფენის წარმომადგენელი — წვრილი მოვაჭრე, ხელოსანი და მისთ“ (ქეგლ).

„თუმცა ტერმინი „მოქალაქე“ თავდაპირველად მხოლოდ ქალაქის მკვიდრს ნიშნავდა და ამ მხრივ „მსოფლიო“-სი და „მდაბიორ“-ის საწინააღმდეგო ცნების აღმნიშნელი იყო ისე, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიცი-კი, მათ თითქოს ერთიმეორეს უპირისპირებს, დიდებული მეფის დროს „ვერც მსოფლიო ვინმე, ვერც მოქალაქე“ უწესობის ჩადენას ვერა ბედადენო. მაგრამ იმ ხანაში, რომელსაც ვიკვლევთ, რასაკვირველია, ამ სიტყვას ასეთი ფართო და საზოგადო აზრი აღარა ჰქონდა“ [ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 198]. ავტორის მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ ქართული საზოგადოების დაყოფა ხდებოდა ორ ჯგუფად „აზნაური და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“.

ამდენად, უკვე აღრეულ შუასაუკუნეებში, მოქალაქეებად ითვლებიან ქალაქის საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენელნი და არა ყველა მცხოვრები. როგორც ჩანს, ამ სიტყვის მნიშვნელობის შეზღუდვა სწორედ ამ დროიდან იწყება.

ამავე დროს მოქალაქეს უჩნდება სხვა მნიშვნელობა. კერძოდ, ნაწარმოები სიტყვა მოქალაქობა || მოქალაქეობა აღნიშნავს ცხოვრებას, ყოფაქცევას; ღვაწლს, მოღვაწეობას: „ზომიერი აქუნდა მოქალაქეობა

სენაკსა შინა თუსსა“ მ. ცხ. 250r; „უცხო ქმნილი მოქალაქობისა მისგან ისრაშლისა“ ეფეს. 2,12; ჩუენი მოქალაქეობაჲ ცათა შინა გამოჩნდეს“ იბ. რომ.-კურთხ. მოს. 162,12; „იხილა მოქალაქეობაჲ მონაზონთაჲ“ მ. ცხ. 291r; „სადმართოფთა მოქალაქობითა ცხოვნდებოდეს“ ი.-ე.25, 29“ (ილ. აბულაძე).

სწორედ ეს რეალობაა ასახული საბას განმარტებაში: „ქალაქში მყოფი; ვიეთნიმე იტყვიან მოქალაქობითი ყოფაქცევითიცა არს და სახლს შჯულობითიცა ZAA“.

თანამედროვე ქართულში მოქალაქე აღარ აღნიშნავს არც ქალაქის მოსახლეობას ან მის რომელიმე ფენას (შღრ. городжанин, Bürger), არამედ ის არის „ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომი, მისი სრულუფლებიანი წევრი, რომელიც სარგებლობს ამ სახელმწიფოს ყველა კონსტიტუციური უფლებით“ (ქეგლ). როგორც ვხედავთ, ამ სიტყვამ ორჯერ განიცადა მნიშვნელობის ცვლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქეგლ-ში ამ განმარტების პარალელურად მოყვანილია სხვაც. კერძოდ, 1. „სრულწლოვანი ადამიანი, საზოგადოების წევრი“, და მეორე — „საზოგადოების შეგნებული წევრი; ადამიანი, რომელიც პირად ინტერესებზე მალა საზოგადოებრივს აყენებს. რად გინდა ლექსი უღლეური და უფერადო... ადამიანთა მოძრაობას თუ არ ბელადობ, როგორც პოეტი, ბოლშევიკი და მოქალაქე? (ა. შირცხ.)“. მოქალაქე სახელმწიფო სამართლის ობიექტია, რომლის ასაკს, რომელიმე საზოგადოების წევრობას თუ პირად შეხედულებას კონსტიტუცია ან განსაზღვრავს, ან არა. ამიტომ ეს ბოლო ორი განმარტება გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს.

ისტორიულად მოქალაქე — როგორც სახელმწიფო სამართლის სუბიექტი, ამ მნიშვნელობას იძენს მას შემდეგ, რაც პიროვნება იძენს სამართლებრივ სტატუსს, ე. ი. გარკვეულ უფლება-მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თვითონ ქალაქის სემანტიკა და მისი ცვლილება.

ქალაქი. დიდი დასახლებული პუნქტი, ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი (ქეგლ). დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ქალაქი სომხური სიტყვაა — „ეს მრავალი შენობა შუკა ბაზრებითურთ და გალავნითა ან თხრილით მოზღუდული“. საბა: „თანა-მოვალეობასა და თანა-სახლობასა ქალაქ სახელ-ედვა, ვინაფთგან კაცი ერთი ვერ კმა-ეყოფ(ვ)ის თავსა თვისსა, არამედ რათა შევეწოდეთ ერთი-მეორესა ცხოვრებად საჯმართ მიმოცვალებისათვის. რამეთუ ერთი მეორესა სარგებელსა მივანაყოფებდეთ“.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ეს სიტყვა სომხურის გზით არც შემოსული სირიულიდან, სადაც იგი შემოზღუდვას, გარშემორტყმას აღნიშნავს. ძველ სომხურში იგი გამოითქმებოდა როგორც kalak. სომხურ-

საისტორიო ძეგლებში ამ სიტყვამ ნაწილობრივ შეინარჩუნა ზღუდის თავდაპირველი მნიშვნელობა.

„Но в грузинских письменных памятниках имеется несколько мест, в которых отражается древнейшее предствление о калаки: так напр., в грузинской версии Хождения ап. Андрея встречается следующая фраза: დაბასა ნიკეას ბითვინიისასა რამეთუ არლა იყო იგი ქალაქად, არამედ უკანასკნელ შეზღუდა იგი და განაერცელა მეფემან ტრაიანემ მან.

„Таким образом, выходит, что деревня, окруженная крепостью, становится городом; во всяком случае существенным признаком города является ограда, крепостные стены“ [ჯავახიშვილი, 1998, გვ. 125].

ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ადგილი ქრონიკებიდან, სადაც ნათქვამია: „მეფობდა ბრატმან, რომელსაზე მცხეთას ქალაქი დაეწყო და მეფობდა შირვან და მან აღაშენა მცხეთა(ს?) ქალაქი“ (Изд. Такайшвили, Три ист. хрон. 8) [ჯავახიშვილი, 1998, გვ. 126]“. ამ წინადადებიდან გამომდინარე, ბცხეთა ბრატმანისა და შირვანის მეფობამდე არსებობდა, მაგრამ არ ჰქონდა ქალაქი (ზღუდე-გალავანი) და ამ მეფეებმა შეზღუდეს იგი. თუ ამ ციტატის ინტერპრეტაცია სწორია, მაშინ ძველ ქართულში ქალაქი სწორედ ზღუდეს, გალავანს უნდა აღნიშნავდეს.

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ადგილი ი. ჭიჭინაძის გამოკვეთული „ქართლის ცხოვრებიდან“, სადაც ნათქვამია: „ტფილისი სოფელია და კალაც მოხრებული იყო.

Таким образом, город Тифлис состоит из селения (სოპალი) и крепости (кала), и это вместе составляет то, что называлось “калаки”.

Хотя из вышеприведенных немногих примеров видно, что слово “калаки” и в древнегрузинском в некоторых случаях сохранило первоначальное значение ограды, крепости и в этом отношении равняется туземному названию “цихэ”, тем не менее, вероятно, уже в момент заимствования... ქალაქი употреблялось как **terminus tehnicus** для обозначения города и административного центра“ [ჯავახიშვილი, 1998, 126].

ქართულსა და სომხურში ქალაქი სიტყვის სესხება ახსნილია იმით, რომ ამ ქვეყნებში ამ სიტყვის სესხების პერიოდში არ იყო განვითარებული ქალაქური ცხოვრება და ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრები არ განსხვავდებოდნენ დანარჩენი დასახლებული პუნქტებისაგან. მაგ. ქსენოფონტეს ცნობით ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დასახლებული პუნქტები არ განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივი სოფლებისაგან. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი იყო ზოგიერთ მათგანში ციხე-სიმაგრის არსებობა, რომელიც მის ირგვლივ გაშენებულ სოფელთა მცხოვრებლების თავშესაფარს წარმოადგენდა. სავარაუდოა, რომ ამ პუნქტის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინები „ზღუდე“, „ციხე“ და არა „ქალაქი“.

სტრახონის „გეოგრაფიაში“, რომელშიც აღწერილია საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ იბერია, ნათქვამია, რომ იბერია მაშინ დაფარული იყო ქალაქებითა და სოფლებით, სახლები გადახურულია კრამიტით, მოწყობილია არქიტექტურის მოთხოვნებისა და მიხედვით, არა ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები. როგორც ივ. ჭავჭავაძის მიუთითებს, თვით ფაქტი ქართულსა და სომხურ ენებში ქალაქის სირიული სახელწოდების გაჩენისა დაკავშირებულია ამ ქვეყნებში ქალაქური ცხოვრების წესის, უფრო ზუსტად სავაჭრო-სამრეწველო კულტურის გაჩენასთან [ჭავჭავაძის მიხედვით, 1998, გვ. 128].

არდადეგები. ქველ: არდადეგი (არდადეგისა) 1. იხ. არდადეგები. 2. ძვ. „არდადეგი არს, რა მკათათვეში მზე ლომზე შევალს, ვიდრე მათ გამოცვლამდე ოცდაათი დღენი“ (საბა). — ერთი თვე, ზაფხულის ბუნებაობიდან (23 ივლისიდან) დაწყებული.

არდადეგები (არდადეგებისა) მხოლოდ მრავლობითში — დრო, რომლის განმავლობაში სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვეტილია, მოსწავლეები დათხოვნილი არიან. ზაფხულის არდადეგები. — ზამთრის არდადეგები. — ... არდადეგებზე შინ ვიყავი და აგვისტოში ისევ ვბრუნდებოდი კიევში (დ. კლდ.); დათხოვნილი იყვნენ ზამთრის არდადეგებზე... (ქ. ბაქრაძე). ლადო საზაფხულო არდადეგებს სამშობლოში ატარებდა (ქ. ლორთქიფანიძე).

დ. ჩუბინ.: არდადეგი. უამი სიცხეებისა, каникулы.

მართლაც, ზაფხულის პერიოდი, რომელსაც საბას მიხედვით არდადეგი ჰქვია, ივლისის 23-დან აგვისტოს ბოლომდე, ჩვენს სინამდვილეში მართლაც ძლიერი სიცხეების პერიოდია და ამ სიტყვისთვის დასვენების დროზე მისადაგება ძნელი წარმოსადგენი არ არის.

ამ სიტყვის შესახებ თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული ივ. ჭავჭავაძის. იგი, მსჯელობს რა მზის ეტიმოლოგიის შესახებ, ამბობს, რომ „ეს ტერმინი (მზე — კ. კ.) ქართულშიც თავისი პირველადი ფორმით მართლდღის დიდი მნათობისათვის არ ყოფილიყო გამოყენებული, არამედ შესაძლებელია სხვა დიდ მნათობათვისაც. ამის გამო მზეს, რასაკვირველია, თავისი განსაკუთრებული სახელიც უნდა ჰქონოდა და ეხლა ამ სახელის გამორკვევა სასურველი. თავისთავად ცხადია, ეს სახელი, ვითარცა ზედსართავი სახელით „მზით“ განდევნილი, ჩვენამდის მოღწეულ ძეგლებში რომ აღმოჩნდეს, ძნელი მოსალოდნელია. ამიტომ ამ ძველის-ძველი სახელის ნაშთი და კვალი სხვადასხვა რთულ, უმთავრესად ცის სფეროს დამახასიათებელ სიტყვებში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ საყურადღებოა ტერმინი „არდადეგი““.

არდადეგი ჩვეულებრივ კანიკულების მნიშვნელობით იხმარება, ე. ი. იმ დროის აღსანიშნავად, როდესაც სირიუსი ანუ ძალღი-ვარსკვლავი მზესთან ამოდის და ჩადის, ე. ი. 22 ივლისიდან 23 აგვისტომდე. ამჟამად

ამ ტერმინს უკვე ყოველგვარი კანიკულების მნიშვნელობით ხმარობენ...

ქართული ტერმინის აგებულება ცხადყოფს, რომ იგი ორნაწილელი სიტყვაა, რომელთაგან მეორე ნაწილი „დეგი“ ან „დადეგი“ უნდა იყოს და, როგორც ჩანს, მზის ამდროინდელი მდგომარეობის, ე. ი. ს. ორბელიანის განმარტებით ლომზე დგომის აღმნიშვნელი უნდა იყოს. თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ ამ ტერმინის პირველი ნაწილი „არდ“ უეჭველად მზის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად „არდადეგი“ თავდაპირველად დადგომის, დგომის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და როგორც აგებულებით, ისე სიტყვა სიტყვით მნიშვნელობით თითქოს ლათინურს Solstitium-ს უდრიდა, რომელიც რეალურად, თუ ზაფხულს ვიგულისხმებთ, მზის კირჩხიბზე დგომას ეწოდებოდა. თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ, მაშასადამე, ისე გამოდის, რომ მზეს ქართულად ოდესღაც „არდი“ უნდა ჰქმეოდა.

ყურადღების ღირსია, რომ ხალღურ წარწერებში მზეს „არდი“ ეწოდება, რომლის სრულ ფორმაც „არდინ“-ი ითვლება [ჯავახიშვილი, 1979, გვ. 170-171; შდრ. ჯორბენაძე, 1997, გვ. 34].

თანამედროვე მხდალი ქართულში მშიშარას ნიშნავს. იგი უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული **ვ**დალი**ი** **ვ**რდალი ფორმებისაგან

იობის 1₃-ში ნათქვამია: „ვირი ვდალი მძოვარი ხუდას“. საბა ორბელიანს ეს სიტყვა უკვე მჭრდალი-ს სახით აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში და განმარტებულია: „ჭაკი ცხენი და ვირი“ -აო.

იობის ზემომოყვანილი ადგილის „ვირი ვდალი“-ს შესატყვისად ბერძნულ დაბადებაში სწერია: νησι θήλιαι — ე. ი. მჭდალი θήλιαι-ს თელედას და ლათინ. asina-ს უდრის, რაც ბერძნულად დედალს, ლათინ. დედალ ვირს ნიშნავდა.

საგულისხმოა, რომ ფშავეში, გუდამაყარში და მთიულურში ეს სიტყვა ეხლაც დედალი ცხენის მნიშვნელობით იხმარება.

მაშასადამე, ძველ ქართულში მჭდალი დედალი ცხოველის აღმნიშვნელი ყოფილა, მერმე-კი მშიშარას აღმნიშვნელ ზედსართავ სიტყვად ქცეულა. აქაც ბუნებრივად იბადება საკითხი, ... რა უნდა ანიჭებდეს მას დედლობის მნიშვნელობას.

უკვე ამ ტერმინის თავიკიდური მ გვაფიქრებინებს, რომ იგი ნამიმლეობევი სიტყვა უნდა იყოს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ამ მიმლეობის ფუძედ ვდ უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ამ ზმნას ჩვენი ტერმინის განსამარტავად თითქოს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ სამაგიეროდ ძველ ქართულ მწერლობაში დედალი ფრინველისაგან შვილების გამოჩეკის გამოსანატავად სწორედ გამოვდა ზმნა გვხვდება. მაგ. „სახისმეტყველ“-ის ქართულ თარგმანში ნათქვამია: კაკაბმა კვერცხებისაგან „მართუენი გამოივადნის“-ო (ნ. მარის გამ. TP. VI, 28_{9,11}).

„რადჟამს მართუნი გამოვადნის“-ო (იქვე 9_გ), „ეუერცხისა დადებითა და მართუსა გამოვლდითა“-ო (იქვე 15_{გ, 11}).

გამონათქვამის ზეთის გამოხდა, ანდა სხვა სითხისა, მაგ.: არყისა, გახსენებაც საკმარისია იმის ცხად-საყოფელად, რომ გამოვდად-ს თავდაპირველი მნიშვნელობა გამოყოფაა. ... ცხადია, რომ ტერმინი მკვლელი ჯდა ზმნისაგან ნაწარმოები აწყო დროის მიმლეობა უნდა იყოს, ე. ი. იმავე ზმნისაგან, რომელიც გამოვდა-ს სახით ძველ ქართულ მწერლობაში, როგორც დავრწმუნდით, ბარტყების გამოჩეკის და ზოგადად გამოყოფის აღსანიშნავად იხმარებოდა. რაკი ძუძუმწოვარ ცხოველთა შობა გამოჩეკით არ ხდება, ამიტომ, ცხადია, გამოვდად თავდაპირველად მართო ფრინველთაგან — კი არა, არამედ ცხოველთა შვილების მოგებისა, გაჩენისა, გამოყვანის აღმნიშვნელი ტერმინიც უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ირკვევა, რომ თავდაპირველად მკვლელი გამოყოფელსა და გამოჩეკს, მომგებსა და მშობელს ნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ უნდა იყოს დედლის აღმნიშვნელადაც ქცეული.

ამავე სიტყვის მშობარას აღმნიშვნელად ქცევა გასაკვირველი არ არის, რადგან დედაკაცი-ს შერწყმული ფორმა დიაცი-ც რომ ამნაირადვე მშობარას მნიშვნელობაც იხმარება ისევე, როგორც მამაკაცი-ს შერწყმული ფორმა მამაცი-ც გულადის აღმნიშვნელად იქცა“ [ჭავჭავიძე, 1992, გვ. 233-234].

ნაშრომში „ერთი ძველი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძის შესახებ მევენახეობის ტერმინში“ არნ. ჩიქობავა განიხილავს ტერმინ ბაბილოს. ბაბილო ხეზე ასული მალლარი ვაზის სახელწოდებაა, რომელიც ივ. ჭავჭავიძეის მიერ „დაბადების“ ტექსტშიცაა დადასტურებული. ბაბილოს პარალელურად ამავე მნიშვნელობით გვხვდება დობილოც.

არნ. ჩიქობავა ეთანხმება ივ. ჭავჭავიძეის მიერ დობილო და ბაბილო ფუძეებში დო- და ბა- პრეფიქსების გამოყოფას. იგი მიუთითებს, რომ მათი ფუნქციაა გრამატიკული კლასების აღნიშვნა.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ „ხუნძურში ყურძნის მნიშვნელობითაა ის ფუძე, რაც ქართულში ვაზს აღნიშნავს, მასთან ხეზე ამეებულ ვაზს. ხომ არაა ეს იმის მაუწყებელი, რომ ასეთი ვაზი, მალლარი, უნდა ვივარაუდოთ ვაზის ძველისძველ სახეობად მევენახეობისათვის ჩვენში“.

რაც შეეხება ფუძის ეტიმოლოგიას, ავტორი მიუთითებს ბი-ბინ-ი ლექსებაზე: „საბას განმარტებით ბიბინი „ყვავილით ფერადობაა“. ბინ-იგევა, რაც ბილ-, ოლონდ ისტორიულად უფრო ძველი ვარიანტი: ამას ნ გვაფიქრებინებს. რაღა თავკიდური ბი-? მასში უნდა გვჭონდეს ფონეტიკურად გამარტივებული ბინ: ბი-ბინ ← ბინ-ბინ-.

იმერულში დასტურდება ბილ-ის ვარიანტი ბიმბილ-ი: „თხმელისა და თხილის ყვავილი“ — (ბიმბილ-ში მ ფონეტიკური დანართია): არა, ზოგადად, ყვავილი, არამედ თავისებური ყვავილი თხმელისა და თხილისა!

ამ მხრივ იმერულში დადასტურებულ ბიბლილ-ს გვერდით უდგას მეგრ. ბიბლილ-ი: „თხმელის ყვავილი“ (მეკვლე რომ მოიტანდა თხილის ტოტებს. „ბიბლილიანი“ უნდა ყოფილიყო).

ზოგადი მნიშვნელობით ითქმის ხოლმე: მეგრ. გობიბილერი სიტყვასიტყვით: „გაბიბილებული“; უშქური, ატამა, ცომური გობიბილერი რე „ვაშლს, ატამს, ტყემალს უხვად გამოუსხამს ყვავილი“, „გაყვავებულია“, „აბიბინებულია“...

ამრიგად: სალიტერატურო ქართული ბიბინ-ი, ქიზ. ბიბილ-ა, იმერ. ბიმბილ-ი, მეგრ. ბიბილ-ი ერთობლივ მოწმობენ, რომ ბა-ბილ-ო-ს ბილ-ფუძე ეტიმოლოგიურად ყვავილს უკავშირდება“ [ჩიქობავა, 1954, გვ. 44-45].

ხსნის რა ვაზის (ყურძნის) და ყვავილის დაკავშირების საფუძველს, ავტორს მიაჩნია, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან ყურძნის ნაყოფი სწორედ ყვავილისაგან წარმოიქმნება და მაგალითად მოჰყავს ლაკური ტუტი-, რომელიც ყურძნისა ც აღნიშნავს და ყვავილსაც. აქედან გამომდინარე „ვაზის ნაყოფი, ყურძენი, სახელდებული აღმოჩნდა ყვავილის მიხედვით“.

ბილ- || ← ბინ ფუძის მნიშვნელობის განვითარება ამგვარი სახით წარმოგვიდგება:

1. ბილ- || ← ბინ- ყვავილი.
2. — ვაზი, ხეზე აშვებული
3. — ვაზის ნაყოფი, ყურძენი“ (ჩიქობავა, 1954, გვ. 45)

ამ მოსაზრების გასამყარებლად ავტორს მოჰყავს ლეჩხუმურის მონაცემებიც, რომლის მიხედვით ბიბილი ყურძნის მარცვალა.

„ლეჩხუმურში დადასტურებული მნიშვნელობა სიტყვისა ბიბილი მეორეულია, უფრო ახალია; იმერულში, მეგრულში ეგვევ სიტყვა უფრო ძველი მნიშვნელობით გვაქვს.

იმერულში „ბიბილი“ თხმელისა და თხილის ყვავილს ნიშნავს, ლეჩხუმურში — ყურძნის მარცვალს.

ბიბილის მნიშვნელობის ევოლუცია ბაბილოს ევოლუციისებურია: ყვავილი — ყურძენი...

ბი-ბილ- ყურძნის მნიშვნელობითაც გვაქვს, ყვავილის მნიშვნელობითაც. ბაბილო- ბა- თავსართით! — ყვავილის აღმნიშვნელად არ ჩანს. ყველაზე ძველი მნიშვნელობაა ვაზი, მალლარი.

ფიქრობთ, აქ უნდა უახლოვდებოდეს „ბაბილო“ ფუნქციით „ყვავილს“: ეს გარეული ვაზი ოდენ ყვავილიანია, უნაყოფო; ყვავილი ვაზისა, ნაყოფი (ყურძენი) არ ჩანს: ასეთი ვაზი ეტიმოლოგიურად ბაბილოა“ (ჩიქობავა, 1954, გვ. 46).

მაშასადამე, სახეზე გვაქვს შინაარსობრივი განვითარება სიტყვის მნიშვნელობისა: ბინ || ბილ- → ბინ || ბილ (მალლარი ვაზი → ყურძენი).

§ 3. ფონეტიკურად სახეცვლილი ლექსემების

მნიშვნელობათა ცვლილება

ბურთი || **ბირთვი**. ძველ ქართულში ბურთის მნიშვნელობით დადასტურებულია ბურთუ ფორმა: ბურთი, სფერო: „აღწერეს ხატთათჳს ქუეყანისათა, ვითარმედ ბურთჳს სახე არს იგი“ ბ. კეს.-ექუს. დღ. 123,20. ამავე მნიშვნელობით გვხვდება ბირთუ-ც: გუნდა, გორგალი, ბურთი: „ბირთუნი და შროშანნი (სასანთლისანი) მისგანვე იუვნენ“ გამოსლ. 24,31; „ბირთუ ერთი თმამ სთუნლით დაუდვა“ I მფ. 19,13; „ბირთუ ოქროსამ მძივსა სარდიონსა“ იგ. სოლ. 25,11; „სცემდით მაგას კისერსა ბრძენისა ბირთუთა“ Sin. 11,6; „გუემღერიან ჩუნ, ვითარცა ყრმანი რამ იმღერიდ ბირთუთა მიმოგდებით“ მ. სწ. 253,5.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ნათქვამია: „ბირთუ (ბირთვი: ZBCabD) (+1 მფ. 19,13 ZA) შეკონვილი ZAB.

კონა, გინა გრგვალი C. კონა D.“

ხოლო ბურთის შესახებ ავტორი ამბობს: ბურთი მგრგვალი მეშთაგან, გინა სხვაი რამ Z.

მგრგვალი მეშთაგან, გინა სხვა A.

ესე არს მეშისაგან მრგვალი სათამაშო ასპარეზთა შინა B. მრგვალი და სუბუქი Cab.

დ. ჩუბინაშვილი ბირთვს განმარტავს როგორც „ბურთისავით მრგვალი რამ, ან ზარბაზნის გულა, шаръ; ядро, გამოსვლ. 25-35,36; 28-39.

მასვე დადასტურებული აქვს ბირთუანი ფორმაც „ბურთი, მრგვალი სხეული, кругъ, шаръ, გამოსვლ. 25-31“.

ბურთი კი არის „ბირთვი მეშისა სათამაშო საასპარეზო; სფერა, სიმრგვლე; мячь, шаръ, გამოსვლ. 25-33; ბურთობა, ბურთობა, ს. ზ. ბურთით თამაშობა, игра въ мячь; (3), играть въ мячь, ვეფხ. 63, რუსულ. 28; ბურთება (ვა), ზ. მ. ბურთით ვათამაშებ, заставить играть мячь (ვი), ნ. ვბურთობ; ვეფ. 330, ბურთული, ს. ბურთის მსგავსი, шарообразный, 601 ქილ.).

ჭეგლ-ის მიხედვით, ბურთი არის: 1. სათამაშო: ღრეკადი მასალისაგან (რეზინი, ტყავი...) გაკეთებული. მრგვალი საგანი, ჰაერით გაბერილი ანდარბილი მსუბუქი მასალით გამოტენილი; მაგარ რამეზე დახლა-მიხლისას უკუ ზტის. 2. მაგარი, მკვრივი მასალისაგან (ძვალი, პლასტმასა...) გაკეთებული მრგვალი საგანი სათამაშოდვე 3. გეომეტრ. იგივეა, რაც სფერო.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი განმარტებები ემთხვევა ერთმანეთს, განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ ბურთი ლექსიკონების მიხედვით არის „ბირთვი მეშისა სათამაშო საასპარეზო“, მაშინ როცა ბირთვს ეს მნიშვნელობა არა აქვს.

ბირთვი განმარტებულია, როგორც 1. ბურთის ფორმის საგანი. 2. სპეც. გული (მცენარის ან ცხოველის უჯრედისა; ატომისა). 3. გადატ

რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან კოლექტივის ძირითადი, აქტიური ნაწილი (ჯგუფი).

მაშასადამე, ძველ ქართულში ბირთვ და ბურთუ ფუძეები ერთი მნიშვნელობისაა, მიუხედავად ფონეტიკური განსხვავებისა.

შემდეგში ხდება მნიშვნელობათა დიფერენციაცია. თუ ბირთვი ბურთის ფორმის საგანს აღნიშნავს, ეს საგანი თავისი მახასიათებლებით განსხვავდება ბურთისაგან. ის არის ლითონის ან სხვა მძიმე ნივთიერებისაგან დამზადებული საგანი. ბირთვის კვრა სპორტის სახეობა რომელშიც ისკრიან ლითონის მძიმე ბურთებს. ამავე დროს ის აღნიშნავს ადამიანის, ცხოველის, ან სხვა საგნის გულს, ცენტრალურ ნაწილს — მისი სინონიმებია — გული, შუაგული (კაკლისა) კუკრუქანა (ბირთვი || გული სიმრგვალისა და განლაგების ადგილის მიხედვით).

მაშინ, როცა ბურთი აღნიშნავს რა მრგვალი ფორმის სათამაშო ინსტრუმენტს, არის მსუბუქი, დრეკადი და თუ მძიმე და მკვრივი მასალისაგან არის დამზადებული, იგი დიამეტრით შედარებით მცირეა. ამავე დროს, ბურთი არ აღნიშნავს ორგანიზმის ან ნივთის ცენტრალურ ადგილს.

ე. ი. გარდა ცნებითი განსხვავებისა, გვაქვს ფონეტიკური სხვაობაც.

ამოსავალი მნიშვნელობა ორივე სიტყვისა იდენტურია, ისევე, როგორც იდენტური უნდა ყოფილიყო მათი ბგერითი შედგენილობა.

ბურთი-ბირთვი ლექსემების შესახებ საყურადღებო გამოკვლევა განოაქვეყნა დ. ჩხუბიანიშვილმა, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ ბირთუ ფორმა ძველ ქართულსა და მოგვიანო ხანის მწერლობაში იშვიათად გვხვდება.

... „ბირთვ იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც ბურთუ. მღერა ბურთუს მიმოგდებით იგივეა, რაც მღერა ბირთუს მიმოგდებით. ბირთუს სახე — მრგვალი, ბურთისებრი, სფეროსებრი, გუნდისებრი. საინტერესოა, რომ ბირთუ იხმარება ბიბლიურ ტექსტებშიც...

... ბირთუს შესატყვისად... ბერძნულ ტექსტში იხმარება σφαιρῶς ზმნიდან ნაწარმოები სიტყვა ὁ σφαιρῶν, რომელიც აღნიშნავს ამობურცულ რაიმეს, კვირტს, კოკორს, გირჩას. სომხურის სათანადო შესატყვისი գույակ „გუნდის“, „გორგალის“ მნიშვნელობა აქვს. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს მნიშვნელობის ერთგვარ დავიწროებასთან — ბურთის“, „გუნდის“ მნიშვნელობიდან „კვირტის“, „გირჩის“ მნიშვნელობისაკენ. მაგრამ აქაც მაინც მომრგვალო, ამობურცული ფორმის საგანთან გვაქვს საქმე...

ჩვენი მასალა ყველა ამ მნიშვნელობას ადასტურებს. როგორც ჩანს, ესაა ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ძველ ქართულში

... მოულოდნელი არ არის, რომ ეს ორი სიტყვა მატერიალურადაც ერთმანეთს დაუკავშირდეს და ერთი და იმავე სიტყვის ვარიანტებად ჩაითვალოს“ [ჩხუბიანიშვილი, 1974, გვ. 102].

დ. ჩხუბიანიშვილი აღნიშნავს, რომ ამ ორი სიტყვის დაკავშირება პირველად ნ. მარმა სცადა. „მისი აზრით, ბირთვ მიღებული *bwirv*-ისაგან ბაგისმიერი ნახევარხმოვნის *ჟ-ს* (*w*) გადასმის შედეგად (შდრ. კიკუ – კვიცი). თავის მხრივ, *bwirv* resp. *birvw* არის დიალექტური სხვაობა ბურთება, რომელიც სომხური *բուր*-დან (*burd*) მომდინარეობს. *բուր* ნიშნავს შალს, *шапель*. თავდაპირველად საქართველოში ბურთს უნდა ჰქონოდა დაგორგოლავებული შალის სახე. ბირთვ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ყველაფერი მრგვალის, ბურთისებურის, სფეროსებურის აღსანიშნავად.

საპირისპირო მოსაზრება აქვს გამოთქმული ილ. აბულაძეს, რომლის მიხედვით ბირთვ საკუთრივ ქართული და იშვიათად ხმარებული სიტყვაა [აბულაძე, 1950, გვ. XVIII-XX].

დ. ჩხუბიანიშვილი მიუთითებს ივ. იმნაიშვილის ნაშრომზეც [იმნაიშვილი, 1971, გვ. 114], რომელშიც ეს სიტყვები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ისინი (ბირთვ და ბურთვ) მოყვანილია ხმოვანთა სუბსტიტუციის მაგალითებად.

„როგორც დავინახეთ, ბირთუ და ბურთუ იმდენად ახლოს მდგომარეობენ, რომ ერთმანეთში შეიძლება გადასვლა, რაც იმნაიშვილი (ივ. იმნაიშვილი), დიალექტურ ვარიანტებად (ნ. მარი) მიიჩნევს. და მაინც, ძველ ქართულშივე, როგორც ჩანს, უკვე ორ ოდენობასთან გვაქვს საქმე, სადაც ბირთვს შემთხვევაში ფორმალურ განსხვავებას ძირითადი მნიშვნელობიდან ერთგვარი გადახრაც მოჰყვა, ახალი სემანტიკური ნიუანსი გაჩნდა“ [ჩხუბიანიშვილი, 1974, გვ. 106].

დ. ჩხუბიანიშვილს ამოსავალ ფორმად მიაჩნია ბირთუი, რომელმაც მოგვცა ბირთუი და ბურთი ფორმები. სტატიამში მოცემულია ამ გადასვლების ფონეტიკური ახსნის რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს [შდრ. ქერქაძე, 2002].

ჩვენთვის მისაღებია ავტორისეული ახსნა ამ გადასვლებისა და ისიც, რომ ორივე ფორმისთვის ბირთვი, ბურთი ამოსავალი ფუძე საერთო უნდა ყოფილიყო. მთავარი ამ შემთხვევაში ისიცაა, რომ სემანტიკურ ცვლილებას ახლავს ფონეტიკური ცვლილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით არა ორ სიტყვას ორი რეალიის აღსანიშნავად, არამედ გვექნებოდა ერთი, პოლისემიური სიტყვა. ფონეტიკური ცვლილება სიტყვის მნიშვნელობის განვითარების ერთ-ერთი გზაა [შდრ. სარკმელი-სარკმელი].

აბაზანა. ქეგლის მიხედვით აბაზანა (აბაზანისა) დიდი მოგრძო საბანაო ჭურჭელია. მარმარილოს აბაზანა. — თუთიის აბაზანა. || სხვადასხვა ზომის ჭურჭელი, სამკურნალო მიზნით ხმარებული (სხეულის ამა თუ იმ ნაწილისათვის). თვალის აბაზანა. || აბაზანაში ბანაობა. ექიმმა თხუთმეტა აბაზანა დამინიშნა. ◊ აბაზანის მიღება პროცესი აბაზანაში ანდა სარკმელი.

კურნალო წყლის აუზში ბანაობისა, მკურნალობისა. ავადმყოფმა წყალ-ტუბოში ოცდაათი აბაზანა მიიღო 0 მზის აბაზანა გადატ. მკურნალობა მზის სხივების ზემოქმედებით სხეულზე. 0 ჰაერის აბაზანა მკურნალობა ჰაერის ზემოქმედებით შიშველ სხეულზე (ჩრდილში).

განმარტება მიუთითებს, რომ აბაზანა არის ჭურჭელი სითხისა, რომლის დანიშნულებაა შეასრულოს საბანაო საგნის ფუნქცია. ამ სიტყვით შეიძლება აღინიშნოს სხვა დანიშნულების, მაგრამ მსგავსი ფორმის საგნები. კერძოდ, სამკურნალო აბაზანა (თვალის აბაზანა). ქეგლ-შივევა მოცემული ამ ლექსემის სხვა მნიშვნელობაც. კერძოდ, ის აღნიშნავს არა მარტო ჭურჭელს, არამედ მიუთითებს გარკვეულ პროცედურებზეც. აბაზანის მიღება ნიშნავს სამკურნალო პროცედურის შესრულებას სწორედ აბაზანაში სითხის თანხლებით. ქეგლში მითითებულია იმაზეც, რომ აბაზანა შეიძლება არც იყოს მხოლოდ სითხისა. შდრ. ჰაერის აბაზანა, მზის აბაზანა. აბაზანის მიღება ამ ორ შემთხვევაში მიუთითებს სუბიექტის უოფნაზე ისეთ გარემოში, როცა ის განიცდის მზისა და ჰაერის ზემოქმედებას. ე. ი. პროცედურა თითქმის იდენტურია, მაგრამ ეს პროცედურები მასალობრივად შეიძლება იყოს სხვადასხვა — წყლის (სითხის) მზის, ჰაერის, ტალახისა და ა. შ. აქედან გამომდინარე შედეგიც სხვადასხვა იქნება.

მაშასადამე, გვაქვს ერთი ლექსემა, რომელთანაც რამდენიმე მნიშვნელობაა დაკავშირებული; ერთი — კონკრეტული საგნის, ჭურჭლის აღნიშვნა; დანარჩენი მნიშვნელობები დაკავშირებულია შესიტყვებებთან: წყლის აბაზანა; მესამე ისეთი პროცედურების აღნიშვნა, რომელიც ჭურჭელთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ფუნქცია (სამკურნალო) ისეთივე აქვს, როგორც სამკურნალო წყლის აბაზანებს.

მაგრამ აბაზანა დამოუკიდებლად მხოლოდ (სითხის) პროცედურების აღსანიშნავად გვხვდება. ყველა სხვა შემთხვევაში მას უნდა ახლდეს მსაზღვრელი სიტყვა, იმისათვის რომ მან ეს მნიშვნელობა გადმოცეს.

მიემართოთ ძველ ქართულს. ილ. აბულაძის ლექსიკონში ავაზანი განმარტებულია როგორც „სიავი“, ქვაბი; აუზი; ემბაზი: „მოაბ, ავაზანი სასოებისა ჩემისაჲ“ Z, — „სიავი სასოებისა ჩემისაჲ“ Z, ფს. 107, 10; „დადგეს ჭურღმულისა ზედა ავაზანისასა“ 0, IV მფ. 18,17; „ავაზანი, რომელი სხუათა რწყავს და რცხის“ მ. ცხ. 252.

აქედან, სიავი არის ქვაბი, კარდალა, საბანელი, „ავაზანი“: „წმიდად იგი შეაგბეს ქუაბებითა და სიავეებითა M, II ნ შტ. 35, B; „რაიმე-მცა ესწორა ქოთანი სიავესა?“ 0, ზირ. 13, 3; „ესე არს სიავი და ჩუენ ვართ ჭორცნი“ 0, ეზეკ. II,3; მიხედვინ მან სიავეთა, რომელ არედ ზედა ცეცხლისა“ ბ. კეს.-ეჭუს. დღ. 62,4; უბრძანა სიავისა დიდისა აღდუღებაჲ“ H — 341,459.

ქუაბი ძველ ქართულში ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. გამოკვ-

აბული, ბუნაგი; 2. ქუაბი ქვაბი. ავაზანის სინონიმად სწორედ მეორე მნიშვნელობა გვაქვს ქუაბისა: „არა მოვილო მგბარი ქუაბთაგან“ 0, I მც. 2, 15; „შეაღ შენ ქუაბი გვე დიდი“ 0, IV, მც. 4, 38; „მოელო პყრობად განრცხრად სასუმლებისაჲ და სტამნებისაჲ და ქუაბებისაჲ და ცხედრებისაჲ“ მრ. 7, 4; „აღადულის უფსკრული, ვითარცა ქუაბი“ M, იობ 41, 21.

ძველ ქართულშივე გვაქვს კომპოზიტი: სიავე-ქვაბი: „წარიღეს... სიავე-ქუაბნი იგი და ფუცხუნი და ავაზანნი და ყოველი ქურჭერი სამსახურებელისაჲ“ წ, IV. მც. 25, 14.

სულხან-საბა სიავეს განმარტავს, როგორც სპილენძის ქვაბს ZACDD სპილენძის ქვაბი, გინა ავაზანი B.

ქუაბიც ასევეა განმარტებული: სპილენძისაგან სადულარი ZA

სპილენძის სადულარი B. სიავე, სპილენძის სახარში C. სიავე

DE.

ავაზანს|ავზს საბა შემდეგნაირად განმარტავს: წყლის სადგური ZA.

წყლის (წყლით) საგუბარი BCb. [გობი პირუტყვის საქმელი]

Ca.

აქვე მითითებულია: ნ. ისარნები, საბანელი.

ისარნები (ისარნა E) (24,20 დაბად.) ავაზანი ZAB.

წყლით შთასასხმელია ზესტაგთ სასმელად და მისთანა C: იგივე განმარტებებია D და E ვარიანტებში.

საბანელი (+4,2 ქება ZAB) აბანო, გინა ავაზანი, გინა ემბაზი ZABC.

ემბაზიც საბასთან საბანელია, ოღონდ განსაწმედელი ZA. საბანელი გა(ნ)მწმედელი. ასეთივე განმარტებაა მოტანილი ი. აბულაძის ლექსიკონშიც: ემბაზი, ემბაზი „საბანელი“, ავაზანი: „მიიბანე ემბაზსა მას სილოამს“ C, — „დაიბანე საბანელსა მას სილოამისასა“ DE, ი. 9,7; „ქმენ ემბაზი რვალისაჲ და ხარისხნი მისნი რვალისანი“ 0, გამოსვ. 30, 18; „ღირს ვიქმნებით მე და შვილი ესე ჩემი... წყალსა ემბაზისასა“ ქ. ცხ. 91,4.

ემბაზის დაკავშირება განსაწმედელთან განპირობებულია იმით, რომ ემბაზის წყალი ითვლება წმინდა წყლად და მას არავითარი კავშირი არა აქვს განსაწმედელის მეორე მნიშვნელობასთან (საპონი).

(შდრ. ქეგლ: ემბაზი-ი (ემბაზისა) [ბერძნ. embasis შესვლა, შესავალი] ეკლ. ბავშვის მოსანათლავე ქურჭელი. თეთრწყვერა, ახმახი მღვდელი ემბაზს მიუახლოვდა (ბ. ჩხ.))

ავაზანი ქართული ენის დიალექტებში (მესხურში, იმერხელში, აჭარულში) არის „დიდი გეგა, ხის მოგრძო ვარკლი პირუტყვთათვის წყლის სასმელად“ (დიალექტ., ი. მაისურ., შ. ნიყარ.)

ქეგლ-ში ავაზანი განმარტებულია როგორც სპეც. ჰერმეტულად დაბურული ქურჭელი სითხეების სადუღებლად ან გამოსახდელად, — ზარფუში.

ავაზანი, აბაზანა ფონეტიკური ვარიანტებია ერთმანეთისა, და ნაწარ-

მოგზია ავზ- ფუძისაგან, ეს უკანასკნელი, რომელიც ქეგლში განმარტებულია შემდეგნაირად:

ავზ-ი (ავზისა) [არაბ. ჰავზ] 1. სპეც. სითხის საცავი დიდი დახურული ჭურჭელი ლითონისა — იგივეა, რაც ბაკი. ბენზინის ავზი. — წყალსაცავი ავზი, — საწნევი ავზი. — ალი მოედო ბენზინის ავზს. 2. ძვ. იგივეა, რაც აუზი. წყალი დის, ავზი სავსეა, მებაღე ვარდსა რწყვიდესა (ფეშ.)

იმავე ქეგლის მიხედვით: აუზი (აუზისა [სპარ. ჰავზ] 1. ხელოვნურად გაკეთებული თავდია წყალსაცავი. 2. გეოგრ. ტერიტორია, რომლიდანაც წყალი იკრებება ამა თუ იმ მდინარეში (შენაკადებიანად). ტბაში, ზღვაში. მტკვრის აუზი. — ხმელთაშუა ზღვის აუზი.

მაშასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ ავზი||აუზი, ავაზანი, აბაზანი ლექსე-მები რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელი ერთეულებია: 1. ჭურჭელი (დია — ქვაბი, სიავი, აუზი, ემბაზი, ავაზანი, აუზი — გეოგრაფ.). 2. ჭურჭელი (დახურული — ავაზანი სპეც., ავზი); 3. საბანელი — ავაზანი, აბაზანი. 4. პროცედურები — მზის, წყლის, ჰაერის, ტალახის...

აქედან მდინარის, ზღვის აუზის აღნიშვნა სულ ახალი მნიშვნელობებია, რომელიც ჭურჭელს აღარ უკავშირდება. ამ ბოლო მნიშვნელობისათვის, ისევე როგორც პროცედურის აღმნიშვნელი ტერმინისათვის, აუცილებელია მსაზღვრელი სიტყვის არსებობა.

ავაზანი — „წყლის სადგური“ (საბა) — მის შესახებ სპეციალურად მსჯელობს მ. ანდრონიკაშვილი.

„მოაბ, ავაზანი სასოებისა ჩემისაჲ; იდუმლად წარვიმართო სლვაჲ ჩემი, და მე უცხო თესლნი დამემორჩილნეს“ (ფს. 59₁₀).

ვარიანტშია სიავი.

„და მოიყვანეს ყრმანი იგი ავაზანად“ (მიმოდასლვ. მოციქულთა, 34₂₁)

„... და... ეღვა თორნესა ავაზანი დიდი; და მას ზედ დაკლიან კაცნი და შთადინ სისხლი იგი მათი მას ავაზანსა და აღმოიღებედ მას სისხლისაგანსა და სუმედ და მიხუნედ კაცნი იგი მომწყდარნი დასხნეს მას ავაზანსა (მიმოდასლვ. მოციქულთა, 33₂₆).

ჩვენ ვფიქრობთ, ქართული ავაზანი-ი და სომხ. avazan, როგორც ამას გვიჩვენებს ფონეტიკა, მომდინარეობენ არა სასანურ — ახალი სპარსულიდან, არამედ ჩრდილო-ირანული დიალექტური წრიდან (ან სოლდურ-პართულიდან ან სკვითურ-ალანურიდან). [ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 218].

როგორც ვხედავთ, მნიშვნელობის განსხვავება, ისევე როგორც ბურთი || ბირთვის შემთხვევაში ფონეტიკურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული.

სარკმელი. ძველი ქართული ენის ლექსიკონში ილ. აბულაძეს განმარტებული აქვს ლექსემა არმარი „პატოპანი“, სარკმელი: „მიგიღე-

ბიეს ობოლთა და ქურივთა და ალგვისიეს პატოჰანი (არმარი A-1399, 166r) მ. ცხ. 168v.

ეს სიტყვა საბასთანაც გვხვდება (არმარი, არმანა Cq) ესეცა სარკმელი არს Z.

სარკმელი(ვე)ა შესაღებელი AB.

სარკმელია ესეცა Cab. სარკმელი.

როცა საბა მიუთითებს, რომ არმარი „სარკმელია ესეცა“, მას მხედველობაში აქვს არმანა, რომელიც, მისი განმარტებით, „სარკმელია შესაღებელი“.

სულხან-საბა ორბელიანს მართებულად აქვს ერთ სტრიქონზე მოტანილი არმარი, არმანა, რადგან ისინი იდენტური მნიშვნელობის სიტყვებია, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ არმარი, არმანა ფონეტიკური ვარიანტებია ერთმანეთისა.

დავაზუსტოთ არმარის (არმანის), პატოჰანისა და სარკმლის მნიშვნელობები ძველ ქართულში:

პატოჰანი იგივეა, რაც „სარკმელი“, „არმარი“.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველი ქართული მწერლობისათვის ჩვეულებრივია სიტყვის განმეორება ან მისი სინონიმის გამოყენება ერთ წინადადებაში. მოყვანილ ციტატაში „ალგვისიეს პატოჰანი ეგე, რამეთუ იხილა სარკმელი, აღსავსე წიგნებითა“ სწორედ ეს ვითარება გვაქვს. ოღონდ, სარკმელი აქ მთლად არ შეესატყვისება ფანჯრის მნიშვნელობას.

ცნობილია, რომ სარკმელი სწორედ ფანჯარას აღნიშნავს ძველ ქართულში: „გარდამოსუა იგი მელიქულ სარკმელით“ 0, მფ. 19,12; „სარკმელით სახლისა მისისაჲ უბანთა გარდმოიჭკრობნ“ 0, იგ. სოლ. 7,6; „სარკმელნი მისნი იყენეს განღებულ ქორსა მას მისსა წინაშე ისრაელისა“ 0, დან. 6,10...

ილ. აბულაძეს სარკმლის განმარტებისას აღარ მოჰყავს სიტყვა არმარი, არამედ პატოჰანი და ფანჯარა.

პატოჰანი საბასთანაც არის მოტანილი. „პატოჰნი (პატოჰანი CD)(+7,20 მამათ. ცხ. ZAA) სარკმელი ZAB.

არმარი, სარკმელი CD“

უცხო შესატყვისობების განხილვისას იგი მიუთითებს, რომ სარკმელი ლათინურად არის უნესტრა B, თურქულად თაღჩა ZAA BCDE. ს. პატუნქ BCD, პატუჰან E.

ქველში მითითებულია, რომ „თახჩა (თახჩისა) [არაბ.-სპარ. თაქჩა „პატარა თარო“; „ნიში“] კედელში დატანებული, გამოჭრილი კარადა (ჩვეულებრივ უკარო და თაროებიანი, კურკლის, სურათისა და სხვ. შესანახად).“

თახჩის სინონიმია „განჯინა (განჯინისა) კედელში დატანებული კარა-

და. განჯინაში პურიას, არა შენთვის, მურიას (ხალხ.) (ქეგლ.) და „ბუ-
ჯერი (ბუჯერისა) ჭურჭლის შესაწყობი თალი (საბა); ჭურჭლის დასაწყობი
თაროები (შდრ. ბურჯი)“.

არმანა გვხვდება ქართული ენის დიალექტებში: (რაკ.) საკმლის შეს-
ანახი (შ. ძიძ.) ყურეში მიღებული ყუთი ჯამ-ჭურჭელთა შესანახავად (ვ.
ბერ.); (ოკრ.) განჯინა დატანებული კედელში (მ. ალავე).

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არმარი (არმანა) არის კედელ-
ში დატანებული განჯინა გარკვეული საგნების (საჭმელ-სასმელის და სხვა
ნივთების) შესანახად. რადგანაც ის ისევეა გამოჭრილი კედელში, რო-
გორც სარკმელი, ამიტომ ამ მნიშვნელობით შეიძლება ეს უკანასკნელიც
შეგვხვდეს. შეიძლება არმანა იყოს ისეთი თაროც, როცა კედელი ბო-
ლომდე იყოს გამოჭრილი და სარკმლის ფუნქციასაც ასრულებდეს.

დიალექტებში მოხდა მნიშვნელობის გადატანა და იგი აღნიშნავს რო-
გორც კედელში გამოჭრილ თაროს (განჯინას), ასევე ამ ფუნქციის მქონე
ყუთსაც. ე. ი. შეიცვალა აღსანიშნი, შეინარჩუნა ფუნქცია და სახელიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარკმლის განმარტებისას ძველი ქარ-
თული ენის ლექსიკონში არაა მოტანილი არმარი (არმანა). ამას თავისი
ახსნა აქვს. სარკმელი, გარკვეულ წილად, შეიძლება ასრულებდეს თა-
როს ფუნქციას, მაგრამ არმანა არ შეიძლება იყოს სარკმლის სინონიმი.
სპეციალურ ლიტერატურაში სარკმელი-ს (რ)კუმ ფუძე კუამ-ლ-თანაა
დაკავშირებული [არაბული, 2001, გვ. 219-222]. აღნიშნულია, რომ „კუ-
ამ-ლ- ფუძის გვერდით გვაქვს ამავე კუამ- ძირიდან მომდინარე ფორმა
სა-(რ)კმ-ელ-, რომელშიც კუამ- ძირის რედუცირება პრეფიქსს ვერ მიეწ-
ერება, ვინაიდან ის ფუძის უსუფიქსო ვარიანტში ამგვარ გავლენას ვერ
ახდენს — სა-კუამ-ი. ამგვარად, ერთმანეთს უპირისპირდება კუამ-ლ/კმ-
ელ- ფუძეები“ [იქვე, გვ. 318]. სარკმელი უნდა მომდინარეობდეს რქუმა
ლექსემისაგან: რქუმა || რკუმა — სარკმელი შდრ.: დაარქუმა დახურვა:
„მოიღო დედაკაცმან ერთმან სარქუელი და დაარქუა ორმოსა მას“ 0,
II მფ. 17, 19; „ალიჯადა გვრგვნი იგი, რომელი თვთ ედგა დაარქუა მას
თავსა“ მ. ცხ. 153 რ.

ურქმელ-ი „ზე-ღებული“: „არა წმიდა იყვნენ... ყოველი ჭურჭელი ზე-
ღებული“ G, — „არა წმიდა იყოს... ყოველი ჭურჭელი ურქმელი“ მხ.,
რიცხ. 1915.

სარქუელ-ი ხუფი: „მოიღო დედაკაცმან ერთმან სარქუელი და დაარ-
ქუა ორმოსა“ 0, II, მფ. 17, 19.

სარქუელი || სარკმელი, როგორც ამას ეთნოგრაფიული და არქეოლო-
გიური საბუთები ამტკიცებენ, წარმოადგენდა სწორედ ხუფს, რომელიც
სახლის სახურავზე იმ ხვრელის (ხანის) დასახურად გამოიყენებოდა, რომ-
ლიდანაც სახლში შუქი შემოდებოდა, ან კვამლი გადიოდა.

როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ჩანს, სარქმელი ზოგადად

სახურავის, სარქველის აღმნიშვნელი სიტყვაა: „ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“, ხოლო მისი ფონეტიკური ვარიანტი, სარქმელი, მიემართება ფანჯარას. ამ უკანასკნელის ენაში გაბატონების შემდეგ სარქმელი აღნიშნავს ან ფანჯრის ნაწილს, ან კედელში დატანებულ პატარა ფანჯარას.

ფონეტიკურად სახეშეცვლილ სიტყვებთან და მათ მნიშვნელობებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ფონეტიკური პროცესი, ერთ-ერთი ენობრივი საშუალებაა სიტყვაში ახალი მნიშვნელობის დამკვიდრებისა. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი შეგნებული, მიზანდასახული შემოქმედების შედეგია. ენაში ამა თუ იმ მოვლენას თავისი კანონზომიერება აქვს. ასევე შეიძლება ითქვას ფონეტიკურ პროცესებზე. გადასვლები — სარქმელი → სარქმელი → სარქველი; ავზი → აუზი, ბურთი ← ბირთვი ახსნადი ფაქტებია ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების თავისებურებებიდან გამომდინარე. როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის ფონეტიკური სისტემა საკმაოდ კონსერვატული სისტემაა. ამიტომ იგი მარტივად არ ამკვიდრებს ენაში (განსაკუთრებით სალიტერატურო ენაში) სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტებს და, უპირატესად, ანგარიშს უწევს ტრადიციას ე. ი. სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებიდან ენაში უკვე დამკვიდრებულ ფორმას ანიჭებს უპირატესობას. ეს გასაგებობაა, რადგან სწორედ ტრადიციურად დამკვიდრებულ ფორმასთანაა დაკავშირებული სიტყვის მნიშვნელობა, და ამდენად, იგია ღირებული კომუნიკაციის პროცესისათვის.

ამასთანავე, როგორც ვნახეთ, და როგორც ეს არაერთხელაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, ენა ახალი რეალობის აღსანიშნად ზოგჯერ სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტსაც იყენებს. ახალი მნიშვნელობა სწორედ სიტყვის ახალ ვარიანტს უმკვიდრდება სარქმელი → სარქმელი → სარქველი — სარქმელი; ასევე — ავზი → აუზი. ბურთი → ბირთვი. აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ სიტყვის ფონეტიკური ცვლილება მნიშვნელობის სემანტიკური დიფერენციაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

სასურველია, რომ სემანტიკური დიფერენციაციის და ამის შედეგად ლექსიკის განვითარების ეს ფორმა სპეციალური კვლევის საგანი გახდეს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვის ბგერით შედგენილობის შეცვლით ენამ, არა მიზანდასახულად, მაგრამ მაინც აირიდა რიგი სიტყვების მრავალმნიშვნელოვანობა და ახალი დენოტატის აღსანიშნავად სიტყვის ახალი ფორმა გამოიყენა. თუმცა, არ არის გამოჩენილი, რომ ფონეტიკურად სახეშეცვლილმა სიტყვებმა ახალი პოლისემია შექმნან

ფონეტიკურად სახეშეცვლილი სიტყვები შეიძლება ძირითადი მნიშვნე-

ლობით არა. მაგრამ მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგიერთ კონიტექსტში ეს განსხვავება საკმაოდ საგრძნობია, თუმცა ძირითადი მიმართებები მაინც შენარჩუნებულია.

სანამ შევუდგებოდეთ მოყვანილი საილუსტრაციო მასალის ანალიზს, წარმოვადგენთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას. კერძოდ, გ. რამიშვილი ასე სვამს საკითხს: „თუ გვსურს მივაგნოთ ენის სიღრმისეული მოქმედების კვალს ადამიანის აღქმასა, წარმოდგენებსა და სხვა ინტელექტუალურ პროცესებში, წინასწარ უნდა იქნეს დამკვიდრებული ის თვალსაზრისები, რაც ენის გაგებაში იჩენს თავს და რასაც ჩვენ „ნომენკლატურის“ საერთო სახელწოდებით ვაერთიანებთ. ესაა თვალსაზრისები, რომლებიც სიტყვის მნიშვნელობათა კლასიფიკაციის დროს გარეენობრივ, ე. წ. საგნობრივ კრიტერიუმებს მიმართავს იმ მარტივი ფაქტიდან ამოსვლით, რომ სიტყვა საგანზე „მიუთითებს“ და რომ იგი ცნებას გამოხატავს“ [რამიშვილი, 1995, გვ. 71]. იგი მიუთითებს, „რომ ენა ჩართულია ადამიანის საგნებთან ურთიერთობაში და სწორედ საგნობრივი ცნობიერების აგების მონაწილე ფაქტორია. მაგრამ საგნობრივ კრიტერიუმს მაინც ძალაში ტოვებენ: რამდენი საგანიცაა, იმდენი მნიშვნელობაა“ [იქვე, გვ. 72]. ავტორი განიხილავს არნ. ჩიქობავას დამოკიდებულებას ამ საკითხთან და აღნიშნავს, რომ არნ. ჩიქობავას „დეფინიციის მიხედვით „სიტყვის მნიშვნელობა“ და „აღმნიშვნელობითი ფუნქცია“ სინონიმებია“. რომ „ავტორი არ ასხვავებს ერთიმეორისაგან სიტყვის ბგერით მხარესა და თვითონ სიტყვას. მისი მაგალითი, რასაც ხშირად ვიმოწმებთ, ეხება სიტყვას — „ცხედარი“, რომელიც ძველ ქართულში მიუთითებდა საწოლზე, ახლა მიუთითებს — მიცვალებულზე. „აი ეს მითითება შეიცვალა... რადგან მნიშვნელობა მითითებაა“ [ჩიქობავა, 1939, გვ. 173]. რაც მთავარია, გ. რამიშვილი ასკვნის: სიტყვამ კი არ იცვალა მნიშვნელობა, ეს უკვე სხვადასხვა სიტყვაა — ბგერითად ერთნაირი. სხვადასხვაა იმიტომ, რომ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა სიტყვათვლის წევრია: ცხედარი (1) ძველ ქართულში — ლოგინი, საკაცე, საწოლი, სარეცელი, სასუნეხბელი. ცხედარი (2) — ახალ ქართულში მიცვალებული, გვამი... ეს სხვადასხვა სიბრტყეა. ამ სიტყვათმნიშვნელობების ერთიმეორის გვერდით დაყენება, ვთქვათ პოლისემიის ან სინონიმის მიხედვით, ან ბუდობრივი პრინციპით ანაქრონიზმი იქნება. განსხვავება თანამედროვე ქართველის წარმოდგენაშიც არის არეკლილი: „ცხედარი განბანეს“ — აქ ტახტი არავის ახსენდება. შინაარსების კვლევის დროს ბგერითი წარმომავლობის მსგავსებაზე ყურადღების გადატანამ შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს. ამდენად: სახელი და სიტყვა სხვადასხვა რამეა. სიტყვის მეორე მხარეს სიკარიელე კი არ არის, არამედ შინაარსია და განუყრელია იგი ბგერითი ფორმისაგან“ [რამიშვილი, 1995, გვ. 72-73].

მართლაც, შეუძლებელია პოლისემიის ან სინონიმიის მიხედვით ერთმანეთის გვერდით დააყენო კონკრეტული სიტყვის ზემოთ მოყვანილი ორი მნიშვნელობა **სარეცელი** (საწოლი, ლოგინი) და **ცხედარი** (გვამი). ეს სიტყვა პოლისემიური ვერ იქნება, რადგან არ არსებობს მათი რომელიმე სინქრონიულ სიბრტყეზე ერთმანეთის პარალელურად ხმარების ფაქტები. ერთი მნიშვნელობა (საწოლი, ლოგინი) გამოიყენებოდა ენის განვითარების ერთ ეტაპზე, მეორე (გვამი) კი — სხვა ეტაპზე. აქედან გამომდინარე, მათი ერთ ბუდეში მოთავსებაც შეუძლებელი იქნებოდა. ამავე დროს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ კიდევ ერთი მნიშვნელობა — **საკაცე** („დასადგმიდეს ცხედრებითა და საკაცებითა“), რომელიც ნათლად გვიჩვენებს მიმართებას ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობას შორის. **ცხედარი¹** და **ცხედარი²** მართლაც სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი ლექსიკური ერთეულებია, მაგრამ არა პოლისემიურობის თვალსაზრისით.

სიტყვას ენის განვითარების სხვადასხვა მონაკვეთში შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა (რაც უკვე იყო ნაჩვენები). აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა ვიმსჯელოთ ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებზე, თუ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნდა ჩავთვალოთ, რომ საქმე გვაქვს არა ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობასთან, არამედ ორ სხვადასხვა სიტყვასთან.

ამასთან დაკავშირებით შევხებით ერთ საკითხს. კერძოდ, ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ სიტყვების სემანტიკური ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა პარადიგმატული ურთიერთობა, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს შეუძლიათ ჩვენაცვლონ ერთმანეთს გამონათქვამის ერთსა და იმავე პოზიციაში. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ასეთ სიტყვათა რიგი: დარდი — ვარამი — მწუხარება — სევდა — კეფანი — ჯავრი. ასეთი პარადიგმისათვის აღარ არის სავალდებულო წევრთა რაოდენობის განსაზღვრულობა (განსხვავებით მორფოლოგიური პარადიგმისაგან) და თანამიმდევრობასაც მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება დაგვეწყოს სიტყვით **ვარამი** ან **სევდა** [ფონხუა, 1981, გვ. 18].

ჩვენი მსჯელობის ამოსავალს წარმოადგენს დებულება ცვლადი საგნის იგივეობის, ანუ ისტორიული იგივეობის შესახებ. არავინ კამათობს იმაზე, რომ სიტყვის მნიშვნელობა იცვლება. მნიშვნელობა კი განისაზღვრება მისი ბგერითი გარსით, იმ ცნებით (resp. შინაარსით), რომელსაც იგი გამოხატავს, იმ საგნით (დენოტაციით), რომელსაც ეს ცნება მიემართება. სიტყვის მნიშვნელობის ცვლილების თავისებურებიდან გამომდინარე, საესეებით ლოგიკურია ვამტკიცოთ, რომ სიტყვის ბგერითი მხარე უცვლელი რჩება, იცვლება მისი მნიშვნელობა, რადგან ენის განვითარების მოკვმული ეტაპზე იგი აღარ მიემართება პირვანდელ დენოტატს, და არ გამოხატავს პირვანდელ ცნებას. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სიტყვის ისტორიულ იგივეობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მნიშვნელობის შემადგენელი რომელიმე ელემენტი (სიგნიფიკატი ან დენოტატი) არ კარგავს ლოგიკურ მიმართებას სიტყვის უწინარეს მნიშვნელობასთან.

თუ დაუბრუნდებით ზემოთ განხილულ შემთხვევას (ცხედარი) და მივეუბნებით მას დიაქრონიული თვალსაზრისით, უნდა ვაღიაროთ, რომ საქმე გვაქვს სიტყვის ისტორიულ იგივეობასთან. კერძოდ, ცხედარი (← *მსხედარი — კ. კ.) — სარეცელი; ცხედარი — საკაცე; ცხედარი — გვამი ისტორიული იგივეობის პრინციპიდან გამომდინარე, ერთი და იგივე სიტყვაა. სხვა საკითხია რომ ის სიტყვა მისი მნიშვნელობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება შედიოდეს სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში, წარმოადგენდეს სხვადასხვა სინტაგმის წევრს, გაერთიანებული იყოს სხვადასხვა სინონიმურ რიგში. ის რომ მნიშვნელობა მიმართებითა (არნ. ჩიქობავა), არ ნიშნავს მაინცდამაინც საგნობრივ მიმართებას (თუმცა ეს ასეცაა). მნიშვნელობის „მიმართებულობაში“ (კ. კ.) შეიძლება ვიგულისხმოთ ერთი მნიშვნელობის (ერთი ცნებისაც) მიმართება სხვა, პირვანდელი ან მომდევნო, მნიშვნელობებით. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვამ შეიძლება არც შეიცვალოს სინტაგმატური კავშირები. ეთქვათ, **სართულზე ჯდომა** (სახურავზე ჯდომა) და **სართულზე ცხოვრება** (და არა **სართულში ცხოვრება**). ისედაც ცხადია, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობის ცვლილება და აქედან გამომდინარე სხვა ცვლილებები სახეზეა.

ფიქრობთ, რომ თუ შესაძლებელია საუბარი ლექსიკურ პარადიგმაზე, რაც გულისხმობს ჩანაცვლების უნარის მქონე სიტყვების არსებობას ერთ სიბრტყეში, უნდა ვილაპარაკოთ მნიშვნელობათა ვერტიკალურ პარადიგმაზე სიტყვის მნიშვნელობის განვითარების გათვალისწინებით. ანუ უნდა ვაღიაროთ, რომ ცხედარის მნიშვნელობები — სარეცელი, საკაცე, გვამი; კასრის მნიშვნელობები — ციხე, ქოხი, ჭურჭელი; თივის მნიშვნელობები — მწვანე ბალახი, მოთიბული (გამხმარი) ბალახი; ფეხისა — ტერფი, ქვედა კიდური; გვამისა — სხეული, პიროვნება, ცხედარი; ნეშტისა — ნაშთი, გვამი; საზღვრისა — სასაზღვრო და ზღვარი და ასე შემდეგ, დიაქრონიული თვალსაზრისით და ცვლადი საგნის ისტორიული იგივეობის პრინციპიდან გამომდინარე პარადიგმულ მიმართებაშია ერთმანეთთან.

სიტყვის მნიშვნელობის ცვლა იწვევს სინტაგმატურ ცვლილებებსაც. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ **აბეზარი** ძველ ქართულში ნიშნავს გამდგარს (შდრ. საბა: გამდგარი გინა მწყრალი; თუშ. აბეზრად წასვლა — გათხოვილი ქალის მშობლებთან წასვლა საჩივლელად) და ის გარკვეულ სინტაგმაშია (კონსტრუქციაში) წარმოდგენილი (აბეზარს მოყვანი; აბეზარ ვიქმნები...), ხოლო ახალ ქართულში ის მიემართება იმას, ვინც (ან რაც) იწვევს აბეზრობას ძველი მნიშვნელობით, სინტაქსური ურთიერთობაც იცვლება. თუმცა ძველი სინტაქსური კონსტრუქ-

ციის გადმონაშთები ახალ ქართულშიც გვაქვს. მაგ.: ჭორი... კუდის ფიცხელი ქნვეით იგერიებდა... მისეულ აბეზარ ბუზებს (ა. ბელ.), ჭიკა-ჭიკავით ... მოაშორეს ვითომსც და აბეზარი მთხოვნელი (ნ. ლორთქ.); შდრ. აბეზარს მოვედი, მოთმინება აღარ არის! (ილია), აბეზარსა ვარ მი: სული ... შენ რისხვა არა მაქვს! (ილია). ეს კი გამოწვეულია იმით, რომ სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ხშირად იწვევს სიტყვის ერთი კლასიდან (მეტყველების ნაწილიდან) მეორეში, ან ერთ კლასში შემავალი ჭფუფიდან მეორეში, სინონიმთა ერთი რიგიდან სხვა რიგში და ა. შ. გადასვლას. მაგალითად, დღეს შეიძლება ითქვას მეტოქე მოკლა, მაგრამ მოცემული სიტყვის მნიშვნელობის განვითარების სხვა ეტაპზე ეს შეუძლებელია, რადგან იგი აღნიშნავს „მონასტრის კუთვნილ დაქვემდებარებულ ეკლესიას მამულით“.

მაგრამ, თუ სიტყვა მნიშვნელობის შეცვლის შედეგად არ გადადის სიტყვათა სხვა კლასში, ამ შემთხვევაში სინტაგმატური ცვლილებები შედარებით იშვიათად ხდება (მაგ. თივა „მწვანე ბალახი“ → „მოთიბული ხმელი ბალახი“). უფრო მეტიც, სიტყვა მნიშვნელობის შეცვლის შემდეგ ინარჩუნებს ისეთ კავშირებს, რაც მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო. სართულზე ცხოვრობს (უნდა ყოფილიყო სართულში ცხოვრობს). ეს კი იმ შემთხვევაში ხდება, როცა სიტყვა ინარჩუნებს მნიშვნელობის ძირითად სემას.

განსაკუთრებით ხელშესახებია სინტაგმატური ცვლილებები ნაწარმოებ სიტყვებში. მოვიყვანთ ასეთ მაგალითს. საზღვარი — ის რაც განკუთვნილია ზღვის ალსანიშნად, დასაფიქსირებლად, საზღვარი — „ზღვარი“. გადასვლა საზღვარი → ზღვარი ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ სინტაგმები, რომლებშიც ეს სიტყვები გამოიყენება, ასევე განსხვავებულია. ამბობენ საზღვარზე მსახურობს, მაგრამ არ ითქმება — ზღვარზე მსახურობს; ჩვეულებრივი სინტაგმაა საზღვარზე მუშაობს, მაგრამ შესაძლებლობის ზღვარზე მუშაობს არ ნიშნავს, რომ ადამიანი რომელიმე კონკრეტულ ადგილზე ასრულებს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას.

სამართალი ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე უკავშირდება სიტყვებს მართალი, სწორი. მნიშვნელობის შეცვლის შემდეგ ეს სიტყვა აღარ თავსდება ძველ კონტექსტში. პირიქით, იგი თვითონ ქმნის ახალ კონტექსტს — სამართალმა პური ჭამა — სიმართლემ პური ჭამა; მაგრამ მართალმა პური ჭამა, ან სწორმა პური ჭამა სულ სხვა შინაარსის გამომხატველი შესიტყვებებია.

საუღარი სინონიმთა იმ რიგში დგას, რომელსაც შემდეგი სიტყვები შეადგენენ: ტაძარი, ეკლესია, სიონი, სამლოცველო, ბაზილიკა, აკანო (სასახლის ეკლესია), კარის ეკლესია, მონასტერი. გასაგები მიზეზების გამო ამ ლექსემათა შორის მხოლოდ ერთია ქართული. განსაკუთრებული დანიშნულების მათ შორის არის მონასტერი — ბერ-მონაზონთა საეკლესიო-

საადგილმამულო ორგანიზაცია, თემი, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა, ასეთი რელიგიური თემის ეკლესია და საცხოვრებელი ნაგებობანი (ქველ). სხვა საკულტო ნაგებობანი ამ კონკრეტიზაციისაგან დაცლილია. ვთქვათ ტაძარი — საგანგებო შენობა, სადაც იმართება მღვდელმსახურება (წირვა-ლოცვა), — საერთო სამლოცველო, საყდარი, ტაძარი. ამ სინონიმთა შორის ნამდვილად იყო თავისუფალი ადგილი განსაკუთრებული ფუნქციის ტაძრის აღსანიშნავად. საყდარმაც დაიკავა ეს ადგილი, ანუ მას მიენიჭა სატახტო ტაძრის აღნიშვნის ფუნქცია (შდრ. საკათედრო ტაძარი). აქედან გამომდინარე, სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა დაკავშირებულია ენის მოთხოვნილებასთან, აღნიშნოს გარკვეული რეალობა. არ არის გამორიცხული, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობის ცვლა სწორედ ეპისკოპოსობის საქართველოში დამკვიდრებას უკავშირდებოდეს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მსგავსი გადასვლა სკამი → ტახტი → კათედრა (ეკლ. ეპარქიის გამგეს ეპისკოპოსის თანამდებობა) სხვა ენობრივ სინამდვილემიც გვხვდება (შდრ. ბერძნ. კათედრა, სკამი, სავარძელი).

სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, როგორც უკვე ითქვა, გარკვეულ სისტემურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სადილ-ლექსემა და მისი მნიშვნელობა. როგორც ზემოთ მოყვანილი ეტიმოლოგიიდან ჩანს, სადილ-სიტყვა მიემართება დილა/დილ ლექსემას, ხოლო მისი მნიშვნელობა სხვა მიმართებას გულისხმობს: 1. შუადღის პურის ჭამა საუზმის შემდეგ და სამხრის წინ. || გადატ. საერთოდ საკმელი. 2. სადილობის უამს გამართული წვეულება... 3. ძვ. „დილის საკმელი“ (საბა), ადრე ამდგომსა ყმაწვილსა დედა უმზადებს სადილსა (ანდაზა) ქველ.

როგორც ვხედავთ, დღეს სადილი ნიშნავს შუადღის პურის ჭამას.

მაშასადამე საკმლის მიღების დროთა სახელებია: საუზმე (1. დილით, უზმოზე, პირველი ჭერის პურის ჭამა. 2. საერთოდ, მკირედ პურის ჭამა, დანაყრება სადილამდე ან ვახშამამდე), სადილი, სამხარი, ვახშამი.

აქედან სადილი (სა-დილ-ი) თავისი წარმოებიდან გამომდინარე, სწორედ დილის პურის ჭამას უნდა აღნიშნავდეს, სამხარი — შუადღისას.

სადილი, ჩვენი აზრით, სწორედ დილის საკმლის მიღების დროს აღნიშნავს, რომელსაც შეიძლება უძლოდა უზმოზე მიღება საკმლისა, შეიძლება არა.

საუზმე ზოგადად არ ნიშნავს, რომ მისი მიღება აუცილებლად დილით ხდება. სიტყვის მიმართება ფუძესთან უზმი || უზმო მიუთითებს, რომ ჭამა ხდება უზმოზე და არა აუცილებლად დილით. აქედან გამომდინარე, სადილი მართლაც დილით საკვების მიღებაზე მიუთითებდა. სადილობა შეიძლება მომხდარიყო სამხრობამდე საუზმის შემდეგ, ან საუზმის მიღების გარეშეც. საუზმის — დილის საკვების მიღების — სახელდება

გვიანდელი უნდა იყოს. სადილმა შეინარჩუნა მდგომარეობა საუზმესა და სამხარს შორის, ხოლო მას შემდეგ, რაც სამხრობა რეალურად ამოვარდა ჩვენი კვების რეჟიმიდან, მან ამ უკანასკნელის ადგილი დაიკავა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

1. სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ხდება მაშინ, როცა სიტყვა არ მიემართება კონკრეტულ საგანს. ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე იგი კარგავს რიგ მნიშვნელობებს, მათ შორის ძირითადად, და ის მნიშვნელობა, რომელიც პერიფერიული იყო, ხდება ძირითადი. ნიჭი — საჩუქარი, საბოძვარი, შესაწირავი, ძღვენი; ტალანტი → ნიჭი — მაღლი, ძალი ზეგარდმო მონიჭებული; ტალანტი → ნიჭი — უნარი.

2. სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს მაშინ, თუ ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე მას ზოგადი მნიშვნელობა აქვს, ხოლო სხვა ეტაპზე ის უკვე კონკრეტულ საგანს მიემართება — ნესტო → ხვერილი → ნესტო — საკრავი → ნესტო → ცხვირის ღრუ.

3. შეიძლება სიტყვამ, რომელიც ერთ ეპოქაში სხვა სახელთან მიმართებაში, შეიცვალოს თავისი მნიშვნელობა და ჩაენაცვლოს თავის მისამართ სიტყვას. ამის მაგალითია საზღვარი — ზღვარი → საზღვარი || ზღვარი, ანუ, სიტყვამ მიიღოს ის მნიშვნელობა, რომელიც სწორედ მისამართ სიტყვას ჰქონდა

4. სიტყვის მნიშვნელობის შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მისი ფუნქციონირების საფუძვლის მოშლა. მაგ. აზავერი — თავისუფალი (შდრ. მონა, ყმა, პატრონი, თავადი, აზნაური). მნიშვნელობა — თავისუფლება — ადამიანის დამახასიათებელ სახელთა რიგიდან გადავიდა ცხოველთა დამახასიათებელ სიტყვათა რიგში.

5. სიტყვის მნიშვნელობის შეცვლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს საგნის იერარქიული მიმართების შეცვლა. ამის შედეგად სიტყვამ შეიძლება ზოგადი შინაარსი მიიღოს და სიტყვათა ერთი კლასიდან მეორეში გადავიდეს: მეტოქი — სათადარიგო მონასტერი — მეტოქი — იერარქიულად გაუტოლდა ძირითად მონასტერს, ხოლო სიტყვამ ტერმინოლოგიიდან საერთო-სახალხო ენაში დაიმკვიდრა ადგილი.

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს მაშინ, როცა გარკვეული რეალობის აღსანიშნავად ენას არა აქვს შესაბამისი სიტყვა. მაგ. ანაბარი, ამანათი, ბაზმა...

მაგრამ სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს მაშინაც, როცა ენას აქვს სიტყვა, მაგრამ მოცემულ სიტყვას არა აქვს შესაბამისი ელფერი. გვაქვს გვაში, ნეშტი, მაგრამ საჭირო გახდა ცხედარი.

საქმე ისაა, რომ ცხედარში აღარ ჩანს მოტივაცია, ამასთანავე მასში გამოხატულია ადამიანის დამოკიდებულება დენოტატთან. ე. ი. მისი ღირებულება განსხვავდება მისი სინონიმების ღირებულებებისაგან.

სიტყვის მნიშვნელობის ცვლასთან დაკავშირებით შეიძლება დაღ-

ინდეს სემანტიკური კანონი, ოღონდ ტიპოლოგიის თვალსაზრისით. მსგავსი ისტორიული და კულტურული განვითარების ენებში შეიძლება დადასტურდეს მსგავსი სემანტიკური გადასვლები. მაგრამ ცალკე აღებულ ენაში ასეთი კანონზომიერებების დადგენა ძნელი საქმეა.

7. შეიძლება შეიცვალოს ცნება, საგანი კი იგივე დარჩეს (ასაბია — თანამებრძოლი — ასაბია — ჭირისუფალი, გულშემატკივარი).

ეს ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ არ ამოიწურება საანალიზო მასალა.

თითოეულ მოცემულ შემთხვევაში შეიძლება მოიძებნოს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლის მიზეზი. შეიძლება შეიცვალოს რომელიმე სემა, შეიძლება შეიცვალოს საგნის დამახასიათებელი რომელიმე ნიშანი, შეიძლება შეიცვალოს სიტყვის კლასი (მეტყველების ნაწილი), აქედან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს საგანთან დაკავშირებული ცნების რომელიმე აზრი, შეიძლება შეიცვალოს მილიანად ცნება, შეიძლება შეიცვალოს მიმართება ნაწარმოები სიტყვისა მისამართ ფუძესთან, შეიძლება შეიცვალოს სიტყვის ფონეტიკური შედგენილობა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყოს ცნებითი და საგნობრივი მხარის ცვლილებასთან, მაგრამ ამ ცალკეული ცვლილებისა საერთო ნიშნის მოძებნა ვერ მოხერხდეს.

ჩვენ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ახალი მნიშვნელობების (რესპ. შინაარსების) წარმოქმნას ერთი პრინციპი ვერ ექნება [რამიშვილი, 1995, გვ. 56].

დასკვნა

ენის განვითარების ისტორიაზე თვალის გადავხედვით შეიძლება გამოიყოს ლექსიკის ცვლილების დასაშვები სახეები:

1. მორფემული დერივაცია, ანუ ახალი სიტყვის შექმნა მორფემების საშუალებით;
2. ლექსიკურ-სემანტიკური დერივაცია, ანუ ახალი სიტყვის გაჩენა ძველის გადაზრების მეშვეობით;
3. ლექსიკურ-სინტაქსური დერივაცია, ე. ი. სიტყვათშეხამების ლექსიკალიზაცია სიტყვების შერწყმის შედეგად;
4. სესხება;
5. ლექსემის დაკარგვა;
6. კალკირება;
7. სემანტიკური კალკირება (უცხო ენის სიტყვის მეორეული, გადატრიალითი მნიშვნელობის სესხება);
8. ახალი მნიშვნელობების ფორმირება პოლისემიის ნიადაგზე;
9. სიტყვის ან მისი ერთ-ერთი მნიშვნელობის არქაიზაცია;
10. სიტყვის სტილისტიკური ან ექსპრესიული მარკირების შეცვლა;
11. ლექსემების სიტყვათმაწარმოებელი სტრუქტურებისა და სიტყვათმაწარმოებელი კავშირების ხასიათის შეცვლა;
12. სიტყვათშეხამების შეცვლა, როგორც ლექსიკური ძვრების ასახვა;
13. ცალკეული შესიტყვებების გამძლეობის განმტკიცება;
14. ცალკეული შესიტყვებების ილიომატურობის განვითარება;
15. ფრაზეოლოგიზმების გამოყენების მოშლა [სუბარუნი, 1983, გვ. 394-396].

ცვლილებების სახეები შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლებიც. ამ ჩამონათვალში, პირველიდან მეექვსეს ჩათვლით, პროცესები ლექსიკის მოცულობის ცვლილებასთანაა დაკავშირებული. მეშვიდედან მეთერთმეტეს ჩათვლით ეხება ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის შეცვლას, ხოლო ცვლილებების ბოლო სამი სახე მიემართება ლექსემათა შეხამებების შეცვლას. ლექსიკის სუსტი სისტემური ორგანიზაციის გამო ისტორიული პროცესი აქ ხასიათდება ნაკლები მიზანმიმართულებით, ცალკეულ ცვლილებებს შორის ნაკლები კავშირითა და ურთიერთგანპირობებულობით. ამიტომ ლექსიკაში მომხდარი ცალკეული ცვლილებები უფრო დამოუკიდებელია.

ლექსიკაში მიმდინარე პროცესების საერთო სურათი უფრო ღია და ადვილად შესამჩნევია, ვიდრე გრამატიკასა და ფონეტიკაში. მაგრამ თვითონ პროცესი არაა მარტივი.

გრამატიკისაგან განსხვავებით ლექსიკის ისტორია არაენობრივი სინამდვილით მეტად არის განპირობებული. აქ თითქმის ყველა ცვლილება დაკავშირებულია ხალხის ისტორიასთან, მის მატერიალურ თუ სულიერ კულტურასთან. ამასთანავე, საზოგადოების ისტორია რომ აისახება ლექსიკაში, ამაში არის გარკვეული შინაგანი კანონზომიერება.

ლექსიკის განვითარება განისაზღვრება ენის ტიპოლოგიური თავისებურებით. მაგალითად, ანალიტიკური და სინთეზური წყობის ენები ქმნიან სიტყვის სემანტიკური განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს. ანალიტიკურ ენებში ცალკე აღებული სიტყვა შეიძლება ეკუთვნოდეს

მეტყველების სხვადასხვა ნაწილს. ეს განუსაზღვრელობა აიხსნება ტექსტში კონვერსიის საფუძველზე. სინთეზური ენებისათვის დამახასიათებელია კონკრეტული სიტყვის კონკრეტული შინაარსით შეზღუდვა [სეპირი, 1934, გვ. 100]. ამიტომ ანალიტიკურ ენებში სიტყვა გაცილებით მრავალმნიშვნელობანია, ვიდრე სინთეზურში. ამიტომაც, რომ ანალიტიკურ ენებში (ვთქვათ ფრანგულში) ახალი საგნის, წარმოდგენის სახელებისათვის გამოიყენება ენაში უკვე არსებული სიტყვის რომელიმე გადატანითი მნიშვნელობა, მაშინ როცა სინთეზური ენა ამ შემთხვევაში ნეოლოგიზმს იყენებს [გაკი, 1977, გვ. 253].

ქართული ენა მდიდარია სიტყვაწარმოებითი საშუალებებით [შანიძე, 1973, გვ. 108-165]. ამასთანავე, ლექსიკის ცვლილების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ლექსიკური სემანტიკური დერივაციაც.

ენის ლექსიკის განვითარებაში მისი სტრუქტურული თავისებურებები ბევრადაა განპირობებული, სესხებასთან მისი დამოკიდებულებით. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ადგილი აქვს ნასესხებ სიტყვას მსესხებელი ენის ლექსიკურ სისტემაში, ავსებს იგი ენაში არსებულ დეფიციტს თუ სინონიმთა რიგში იკავებს ადგილს, ერთვება იგი ენაში არსებულ გრამატიკულ სისტემაში თუ ინარჩუნებს გამსესხებელი ენისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ ნიშნებს. ეს პირობა ზოგჯერ სესხებისათვის ხელისშემშლელიც შეიძლება აღმოჩნდეს. ამასთანავე, სიტყვამ შეიძლება დაკარგოს „გენეტიკური კავშირი“ თავის პირვანდელ მნიშვნელობასთან. სესხების დროს გასათვალისწინებელია ისიც, ამა თუ იმ ერის ისტორიის რომელ პერიოდში ხდება სიტყვის სესხება, განვითარების რა საფეხურზეა ენა.

შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ენის ლექსიკის განვითარება დამოკიდებულია ენის ტიპოლოგიურ თავისებურებებზე და ნორმატიულ-სტილისტურ სისტემაზე. ამიტომ ლექსიკის განვითარება, რომელიც ძირითადად არაენობრივ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მთლიანობაში წარმოდგენილია როგორც მოცემული ენის მთელი ისტორიის ორგანული ნაწილი.

ლექსიკის განვითარების შიდაენობრივი კანონზომიერებები მკლავნდება იმაშიც, რომ ლექსიკური პროცესები ასე თუ ისე დაკავშირებულია საერთოდ ენის ლექსიკური სისტემის ცვლილებასთან.

კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობის შეცვლის შესაძლებლობა დამოკიდებულია ენის სისტემაში მისი ადგილით: ა) შედის თუ არა სიტყვა ძირითად ლექსიკურ ფონდში თუ განეკუთვნება ე. წ. პერიფერიულ ლექსიკას; ბ) რომელი მეტყველების ნაწილს განეკუთვნება სიტყვა — უფრო ელასტიურ ზმნებს თუ შედარებით კონსერვატულ არსებითებს, სუბიექტური ელფერის მქონე თუ „მკაცრად“ ჩამოყალიბებულ ზედსართავებს; გ) სიტყვა შედის ნათელი დენოტაციური მნიშვნელობის თუ კონოტაციური სიტყვების ჯგუფში; დ) აქვს თუ არა მას სინონიმები ან ანტონიმები;

რა სინშირით გამოიყენება იგი ტექსტში და ასოცირდება შემეცნებაში. ამიტომ, ნებისმიერი პროცესი არის არა სისტემის ერთი კონკრეტული ელემენტის, არამედ მთელი სისტემის ცვლილება. როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, ესაა არა ისეთი მყარი სისტემა, როგორც ფონეტიკური და გრამატიკული, მაგრამ სისტემური ფაქტორი მაინც მნიშვნელოვანია ლექსიკის განვითარებაში.

სხვადასხვა ლექსიკური პროცესის ურთიერთკავშირი უფრო ნათლად იკვეთება პარადიგმატიკასა და სინტაგმატიკაში. სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა განსაზღვრავს მის ზოგად სინტაგმატურ თავისებურებებს. მნიშვნელობის დავიწროება ან გაფართოება, მისი მეტაფორული ან მეტონიმური გამოყენება, ტერმინოლოგიზაცია ცვლის მის სხვა სიტყვებთან ურთიერთობის პირობებს: თუ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა არაა კონტექსტით განპირობებული, ის თვითონ კარნახობს შესაბამის კონტექსტებს, მაშინ როცა პერიფერიული მნიშვნელობები ვლინდება მხოლოდ გარკვეულ სიტყვათშეხამებებში. ამავე დროს, შესიტყვებაში (სიტყვათშეხამებაში) სიტყვის მონაწილეობა მხოლოდ მისი სემანტიკის დადგენის საშუალება კი არ არის, არამედ სიტყვის არსებობის პირობაც. შესიტყვება — ეს არის სიტყვის „ქმედება“ განუსაზღვრელი რაოდენობისა და მუდმივად ცვლად ტექსტებში. სწორედ აქ ხდება მისი ცვლილება. სწორედ შესიტყვებებში უნდა ვეძებოთ ის პირველი ბიძგები, ის მინიმალური სიახლე მნიშვნელობისა, რომლისგანაც იწყება ენაში სემანტიკური პროცესები. საქმე ისაა, რომ ყოველი ტექსტი ინდივიდუალური, განუმეორებელი და, აქედან გამომდინარე, ახალია. ამასთანავე, ეს ინდივიდუალური თავისებურებანი არსებითია მხოლოდ იმ კონკრეტული საკომუნიკაციო აქტისთვის, რომელშიც ის ჩამოყალიბდა. თუ ეს ინდივიდუალური სიახლე საზოგადოებრივი ხდება, მაშინ ის შედის უზუსში. ამ ინდივიდუალურ სიახლეს მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებრივი ღირებულება, თუ მანამდე არსებულისაგან მკვეთრად განსახვავდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დამკვიდრდება შემეცნებაში, ანუ არ იქნება მიღებული უზუსში. ასე რომ, ახალი მნიშვნელობა (გნებათ, ახალი სიტყვა) იქმნება ტექსტში, ახალ გარემოცვაში, ახალ სინტაგმატურ კავშირებში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლექსიკის სემანტიკური განვითარების (ცვლილების) ძირითადი მიზეზები დამოკიდებულია ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის შინაგან თავისებურებებზე, როგორცია ენის ბგერითი ორგანიზაცია, გრამატიკული წყობა, სიტყვათწარმოქმნა, სტილისტიკის ეროვნულ-ისტორიული თავისებურებანი და, ბოლოს, ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სტრუქტურა და თავისებურებანი უზრუნველყოფენ ენის განვითარების მემკვიდრეობითობას, ენობრივი კომუნიკაციის სათანადო ელობას.

Изменение значения слова в грузинском языке

